

ედ კეიპი და ზაზა ნამორაძე

ეფექტური  
სისხლისსამართლებრივი  
დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში

ბულგარეთი | საქართველო | მოლდოვა | ლიტვა | უკრაინა



ედ კეივი  
ზაზა ნამორაძე

# ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში

ადაპტირებული ვერსია

ნაშრომი მომზადდა და გამოიცა ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს მიერ.



ინგლისურიდან თარგმნა ბესარიონ ბოხაშვილმა.

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და რედაქტორი - თამარ ქალდანი

ნაშრომის ადაპტირებაზე, რედაქტირებასა და კორექტურაზე მუშაობდნენ - თემურ რეხვიაშვილი, ნიკა ჯეირანაშვილი, მარინა გვიმრაძე

დიზაინი - თორნიკე ლორთქიფანიძე

## რედაქტორისგან

წარმოდგენილი ნაშრომი არის ადაპტირებული ვერსია წიგნისა: ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში (Effective Criminal Defence in Eastern Europe), რომელიც იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელის (LARN) ფარგლებში და ღია საზოგადოების ფონდების დაფინანსებით განხორციელებული კვლევითი პროექტის შედეგია.

წიგნის სრული ვერსია მოიცავს ბულგარეთის, საქართველოს, მოლდოვის, ლიტვისა და უკრაინის მაგალითზე სისხლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისა და სტანდარტების ანალიზს, მათ შედარებას ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მოთხოვნებსა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო პრაქტიკასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია აღნიშნული ხუთი ქვეყნის მონაცემების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ჯვარედინ-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის.

ქართული ვერსია დეტალურად არ განიხილავს ზემოთ აღნიშნული ყველა ქვეყნის სისტემებს. აქცენტი გაკეთებულია საქართველოზე, აღწერილი და გაანალიზებულია სისხლის სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, ინსტიტუტები, პროცესები და პრაქტიკა. ამასთანავე, წიგნის ქართული ვერსია მოიცავს ყველა იურისდიქციისთვის საერთო და საქართველოსთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს ეფექტური სისხლის სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის, რაც არსებითია სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფისთვის.

წინასიტყვაობა.....	8
--------------------	---

<b>თავი 1: ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა და სამართლიანი სასამართლო .....</b>	<b>11</b>
1. შესავალი .....	11
2. კვლევის პროექტი და მეთოდოლოგია .....	13
3. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა და სამართლიანი სასამართლო განხილვა .....	15
4. სამართლიანი სასამართლოს უფლებები საერთაშორისო კონტექსტში.....	18
4.1. გლობალური კონტექსტი .....	18
4.2. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია.....	19
4.3. ევროპის კავშირი და პროცესუალური უფლებები სისხლის სამართლის პროცესში .....	22
4.3.1. ლისაბონის შეთანხმება .....	23
4.3.2. პროცედურულ უფლებათა „საგზაო რუკა“ .....	26
5. დასკვნა .....	29
6. ბიბლიოგრაფია .....	30

<b>თავი 2: ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის სტანდარტები.....</b>	<b>33</b>
1. შესავალი .....	33
2. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის სტანდარტების ანალიზი .....	33
3. „სისხლის სამართლის პროცესი“ და „სისხლის სამართლის ბრალდება“ .....	35
4. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება .....	37
4.1. ინფორმაცია უფლებების შესახებ .....	38
4.2. ინფორმაცია დაპატიმრების, ბრალდების ხასიათისა და საფუძვლის შესახებ .....	39
4.3. ინფორმაცია მატერიალური მტკიცებულებების/საქმის მასალების შესახებ.....	40
5. დაცვის უფლება და იურიდიული დახმარება .....	42
5.1. საკუთარი ინტერესების პირადად წარმოდგენის უფლება .....	43
5.2. იურიდიული დახმარების უფლება.....	45
5.3. იურიდიული დახმარების უფლების წარმოშობა.....	46
5.4. სამართლებრივი დახმარება დაკითხვის დროს .....	50
5.5. დამცველთან განმარტოებით კონსულტაციის უფლება .....	51
5.6. უფასო იურიდიული დახმარება და იურიდიული წარმომადგენლობა არჩევით .....	52
5.7. ადვოკატთა როლი, დამოუკიდებლობა და სტანდარტები .....	54
6. პროცესუალური უფლებები.....	56
6.1. უდანაშაულობის პრეზუმფცია და დუმის უფლება.....	56
6.1.1. უდანაშაულობის პრეზუმფცია .....	56
6.1.2. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისაგან დაცვისა და დუმის უფლება .....	57
6.2. სასამართლო განხილვამდე პატიმრობიდან გათავისუფლების უფლება .....	60
6.3. სასამართლო განხილვაზე დასწრებისა და მონაწილეობის უფლება.....	62
6.4. უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებებზე .....	63
6.5. გასაჩივრების უფლება.....	65
7. ეფექტური დაცვის ხელშემწყობი უფლებები .....	66
7.1. საქმის გამოძიების უფლება.....	66
7.2. დაცვის მომზადებისთვის ადეკვატური დრო და საშუალება .....	68
7.3. მხარეთა თანასწორობა მოწმეთა მოწვევისა და დაკითხვის დროს .....	69
7.4. უფასო თარჯიმნის მომსახურებისა და დოკუმენტების თარგმნის უფლება .....	71
8. დასკვნა .....	74
9. ბიბლიოგრაფია .....	78

<b>თავი 3. საქართველო</b> .....	79
1. ზოგადი სურათი სისხლის სამართლის სექტორში .....	79
1.1. სისხლის სამართლის სექტორის სამართლებრივი რეფორმა .....	81
1.2. სისხლის სამართლის სასამართლოები .....	81
1.3. ადვოკატურა .....	82
1.4. პოლიცია .....	83
2. სამართლებრივი უფლებები და მათი განხორციელება .....	87
2.1. ინფორმაციის მიღების უფლება .....	87
2.2. საკუთარი თავის დაცვის უფლება .....	89
2.2.1. საკუთარი თავის პირადად დაცვის უფლება .....	89
2.2.2. ადვოკატის მეშვეობით დაცვის უფლება .....	90
2.2.3. დაცვის უფლება უფასო იურიდიული დახმარების განევის გზით .....	92
2.3. პროცესუალური უფლებები .....	93
2.3.1. სასამართლოს განხილვის დროს გათავისუფლების უფლება .....	93
2.3.2. ბრალდებულის უფლება განსჯილ იქნას მისი თანდასწრებით .....	95
2.3.3. უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება .....	97
2.3.4. დუმილის უფლება .....	98
2.3.5. უფლება დასაბუთებულ გადანყვეტილებაზე .....	98
2.3.6. გასაჩივრების უფლება .....	99
2.4. ეფექტურ დაცვასთან დაკავშირებული უფლებები .....	100
2.4.1. საქმის გამოძიების უფლება .....	100
2.4.2. დაცვის მომზადებისთვის ადეკვატური დროისა და საშუალებების უფლება .....	102
2.4.3. მოწმეთა დაკითხვის დროს მხარეთა თანასწორობის უფლება .....	102
2.4.4. თარჯიმნის უფასო მომსახურებისა და დოკუმენტების თარგმნის უფლება .....	103
3. დაცვის ადვოკატების პროფესიული კულტურა .....	103
4. პოლიტიკური ვალდებულება ეფექტური სისხლის სამართლის დაცვისათვის .....	106
5. დასკვნა და რეკომენდაციები .....	109
5.1. ძირითადი საკითხები .....	109
5.2. რეკომენდაციები .....	110
6. ბიბლიოგრაფია .....	112
<b>თავი 4. ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა</b> .....	114
1. შესავალი .....	115
2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება .....	115
2.1. ინფორმაცია უფლებების შესახებ .....	115
2.2. ინფორმაცია დაპატიმრების, ბრალდების ხასიათისა და მიზეზის შესახებ .....	117
2.3. ინფორმაცია მატერიალურ მტკიცებულებაზე .....	118
3. დაცვისა და უფასო იურიდიული დახმარების უფლება .....	119
3.1. სავალდებულო იურიდიული დახმარება .....	120
3.2. როდის გამოიყენება იურიდიული კონსულტაციის უფლება .....	121
3.3. ადვოკატთან ხელმისაწვდომობის პრაქტიკული პირობები .....	123
3.4. არჩევანი და იურიდიული დახმარება .....	124
3.5. ადვოკატების როლი, დამოუკიდებლობა და სტანდარტები .....	126
4. პროცედურული უფლებები .....	127
4.1. უდანაშაულობის პრეზუმფცია და დუმილის უფლება .....	127
4.2. სასამართლო პროცესამდე გათავისუფლების უფლება .....	128

4.3 უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე და გასაჩივრების უფლება .....	130
5. ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დაცვის დამხმარე უფლებები .....	131
5.1. საქმის გამოძიების უფლება.....	131
5.2. ადეკვატური დროისა და საშუალებების უფლება .....	133
5.3. მონმეთა მონვევისა და დაკითხვის დროს მხარეთა თანასწორობის უფლება.....	134
5.4. თარჯიმნით უფასო მომსახურებისა და თარგმნის უფლება.....	135
6. დასკვნა .....	136
7. ბიბლიოგრაფია .....	138
<b>თავი 5. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება .....</b>	<b>139</b>
1. შესავალი .....	139
2. საერთო საკითხები .....	140
2.1. უფლებათა თავიდან აცილების მექანიზმები .....	140
2.2. წინასწარი პატიმრობა .....	141
2.3. ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობა და მტკიცებულებათა განხილვა .....	142
2.4. პროფესიული კულტურა და პრაქტიკა .....	143
2.5. იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება.....	144
დასკვნა და რეკომენდაციები საქართველოსთვის.....	146
რეკომენდაციები.....	148
ბიბლიოგრაფია .....	149



# წინასიტყვაობა

წარმოდგენილი ნაშრომი იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელის (LARN) ფარგლებში და ღია საზოგადოების ფონდების ადამიანის უფლებათა და მართვების საგრანტო პროგრამის დაფინანსებით განხორციელებული კვლევითი პროექტის შედეგია. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ: სოროსის ფონდი – მოლდოვა, ღია საზოგადოების ინსტიტუტი – სოფია, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, საერთაშორისო რენესანსის ფონდი – უკრაინა, ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივა.

ბოლო ათი წელია ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივა და ღია საზოგადოების ადგილობრივი ფონდები მხარს უჭერენ ეროვნული უფასო იურიდიული დახმარების სისტემების დამკვირდებლასა და განვითარებას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქვეყნებში. შედეგად, უფასო იურიდიული დახმარების კანონები მიღებულ იქნა 2005 წელს ლიტვაში, 2006 წელს – ბულგარეთში, 2007 წელს – საქართველოსა და მოლდოვაში, 2011 წელს – უკრაინაში.

იურიდიული დახმარების უფლება არის მნიშვნელოვანი საფუძველი სამართლიანი სასამართლოს უფლების ჯეროვანი რეალიზებისთვის. იურიდიული დახმარების შესახებ კანონების მიღება კი შექმნა მნიშვნელოვანი წინაპირობა ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირებისთვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ამავ დროს, როგორც ამ წიგნშია გადმოცემული, ზოგიერთი პრობლემა და გამოწვევა კვლავაც აქტუალურია, ვინაიდან ჯერ კიდევ არ მომხდარა სისხლის სამართლის რეფორმების დაკავშირებით დაცვის უფლებების სრული და ეფექტური რეალიზაცია.

## ინფორმაცია ავტორთა შესახებ

LARN-ი შეიქმნა 2009 წელს, როგორც იმ ორგანიზაციებისა და ინდივიდების საერთაშორისო ინფორმაციის გაცვლითი ქსელი, რომლებიც იურიდიული დახმარებისა და ეფექტური დაცვის უფლებების განვითარებას ემსახურებიან. LARN-ის კვლევით პროექტს საფუძვლად დაედო 2010 წელს ჩატარებული კვლევა *„ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა ევროპაში“<sup>1</sup>*, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ევროპაში შედარებითი სისხლის სამართლის განვითარებისა და ევროპის ფარგლებში რეფორმების მხარდაჭერისთვის. 2010 წელს ჩატარებული კვლევის ძირითადი მიზანია, განავითაროს ევროპის კავშირის საკანონმდებლო პოლიტიკა სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილ და ბრალდებულ პირთა უფლებებზე, გააუმჯობესოს დაცვის უფლებების სტანდარტები და მათი იმპლემენტაცია, შესაბამის ქვეყნებში პოლიტიკის შემქმნელებსა და პრაქტიკოს იურისტებს გაუზიაროს არსებულ პრობლემებთან დაკავშირებული არგუმენტები და რეკომენდაციები რეფორმებისთვის. პროექტისა და კვლევის სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს გამოცდილი სპეციალისტები: ედ კეიპი – აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის პროფესორი; ნადეჟდა ჰრიპტიევსკი – იურისტი მოლდოვიდან; ზაზა ნამორაძე – ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივის ბუდაპეშტის ოფისის დირექტორი. ედ კეიპი და ზაზა ნამორაძე, სხვებთან ერთად, მონაწილეობდნენ 2010 წელს ჩატარებულ კვლევაში *„ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა ევროპაში“<sup>2</sup>*, რომელიც ეხებოდა დაცვის უფლების საკითხებს ევროპის კავშირის რვა წევრ და ერთ განწევრიანების პროცესში მყოფ ქვეყანაში. ედ კეიპი ევროპის კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ დაცვის უფლებებისა და სისხლის სამართლის პროცესის თემაზე რამდენიმე კვლევის ავტორია, მისი ავტორობითვე მომზადდა ღია საზოგადოების მართლმსაჯულების ინიციატივის პუბლიკაცია სათაურით *„წინასასამართლო მართლმსაჯულების გაუმჯობესება: ადვოკატთა და პარალელგალთა როლი“*.

1 ედ კეიპი, ზაზა ნამორაძე, როჯერ სმიტი და ტარუ სპრონკენი, ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა ევროპაში, ანტვერპენი: ინტერსენტია, 2010.

2 კვლევა დაფინანსდა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების დირექტორატისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მიერ.

ზაზა ნამორაძე ხელმძღვანელობდა იურიდიული დახმარების რეფორმებთან დაკავშირებულ რამდენიმე პროექტს, მათ შორის, ეროვნული იურიდიული დახმარების რეფორმის ინიციატივებს კვლევაში განხილულ ქვეყნებში.

LARN-ის კოორდინატორი ნადეჟდა ჰრიპტიევსჩი მუშაობდა სისხლის სამართლის პროცესის რამდენიმე კვლევით პროექტზე მოლდოვაში და აქტიურად იყო ჩართული ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ინიციატივებში.

პროექტის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამუშაო ჯგუფის წევრებმა: ვალისლავა დელჩევაშ (ლია საზოგადოების ინსტიტუტი-სოფია), თამარ ქალდანმა (ფონდი ლია საზოგადოება საქართველო), ვიქტორ მუნტეანუშ (სოროსის ფონდი – მოლდოვა), რომან რომანოვმა (საერთაშორისო რენესანსის ფონდი – უკრაინა).

პროექტის სამუშაო ჯგუფს დახმარებას უწევდნენ მარიონ ისობელი და კატალინ ომბოლი (ლია საზოგადოების სამართლის ინიციატივა), ვასილინა იავორკა (საერთაშორისო რენესანსის ფონდი – უკრაინა), მარსელ ვარმანი და ტატიანა დანილესკუ (სოროსის ფონდი – მოლდოვა).

სტივენ ფრილენდმა (საერთაშორისო სამართლის პროფესორი დასავლეთ სიდნეის უნივერსიტეტი, ავსტრალია) რედაქტირება გაუკეთა წიგნის მეორე ნაწილში მოცემულ ეროვნულ ანგარიშებს.

კვლევა ვერ განხორციელდებოდა, რომ არა თითოეული ქვეყნის მკვლევართა მონაწილეობა, ესენი არიან: იონკო გროზევი (ბულგარეთი), ბესარიონ ბოხაშვილი (საქართველო), რეგინა ვალუტეტა და ინგა აბრამავიჩიუტე (ლიტვა), ნადეჟდა ჰრიპტიევსჩი (მოლდოვა), გენადი ტოკარევი და არკადი ბუსჩენკო (უკრაინა). ქვეყნების მიხედვით ანგარიშის შემფასებლებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს კრიტიკული მოსაზრებების წარმოდგენითა და მკვლევართა მიერ მონაწილეების დადასტურებით. შემფასებლებს შორის იყვნენ: როუმენ ნენკოვი (ბულგარეთი), გიორგი ჩხეიძე (საქართველო), რაიმუნდას ჯურკა (ლიტვა), ვასილე როტარუ (მოლდოვა) და მეკოლა ხავრონიუკი (უკრაინა).

ჩვენ მადლიერებას გამოვხატავთ ტომ ბასის მიმართ საბოლოო ტექსტის რედაქტირებისათვის, აგრეთვე მადლობას ვუხდით ყველა იმ პირს, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა კვლევითი პროექტის განხორციელებასა და წიგნის მომზადებაში.

იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე კვლევა ხელს შეუწყობს ცოდნის გაღრმავებას და სისხლის მართლმსაჯულების სფეროში ეფექტურ დაცვაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის გაცნობიერებას. ჩვენი მიზანია, კვლევა იქცეს შთაგონების წყაროდ კონსტრუქციული და ეფექტური პოლიტიკის, პროგრამების, სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებისთვის ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს მასშტაბით.

კვლევის პრეზენტაციაზე, რომელიც გაიმართა ბრიუსელში 2012 წლის 7 ივნისს, მონაწილე იყვნენ იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ზემოაღნიშნული სტანდარტების დადგენასა და დაცვის უფლების განხორციელებაზე. ჩვენ გვჯერა, რომ მოცემული წიგნის გააზრება მცირედით მაინც დაეხმარება მილიონობით დაპატიმრებულს, დაკავებულს ან სისხლისსამართლებრივად დევნილს. მათ აქვთ საქმის სამართლიანად და კანონიერად განხილვის უფლება და ეს უფლება რეალობად უნდა იქცეს.

მაისი 2012

ედ კეიპი, ზაზა ნამორაძე

## თავი 1:

# ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა და სამართლიანი სასამართლო

### 1. შესავალი

2010 წელს გამოცემულია კვლევა ("ECDE კვლევა") ცხრა ევროპულ ქვეყანაში ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის შესახებ.<sup>3</sup> ამათგან რვა გახლავთ ევროკავშირის (EU) წევრი ქვეყანა და ერთი განწევრების პროცესში მყოფი, ამავე დროს ყველა მათგანი მიერთებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას (ECHR). კვლევამ დაადასტურა, რომ მიუხედავად იმ გადამწყვეტი როლისა, რომელიც ECHR-მა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (ECtHR) პრეცედენტულმა სამართალმა ითამაშა ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის სტანდარტების დანერგვაში, არსებობს როგორც პრაქტიკული, ასევე სისტემური შეზღუდვები კონვენციის მიერ სისხლისსამართლებრივი დაცვის არსებითი კომპონენტების დეტალური სტანდარტების წარმოდგენისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. კვლევამ აჩვენა, რომ მაშინ, როცა ცხრავე იურისდიქციაში მოსალოდნელი იყო ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის უფლების ფართოდ აღიარება და მისი უზრუნველყოფა, ყველა იურისდიქციაში დაფიქსირდა არსებითი წინააღმდეგობები ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ზოგიერთი უფლება, რომელთა მიმართებითაც ECHR-ის სტანდარტები ნათელია, მაგალითად, საქმის დროული განხილვის უფლება ან იურისტისა და კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის უფლება, არსებითად ირღვეოდა რამდენიმე ქვეყანაში.

კონვენციიდან გამომდინარე გარკვეული უფლებები ბევრ იურისდიქციაში არ არის ჯეროვნად უზრუნველყოფილი. მაგალითად, დუმილის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება და წინასასამართლო გათავისუფლების უფლება. ამავე დროს, სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ხარვეზების უმრავლესობა კავშირშია იმ უფლებებთან, რომელთა მიმართებითაც ECHR-ის პრეცედენტული სამართალი არასაკმარისად დეტალური იყო იმისთვის, რომ წარმოედგინა ადეკვატური განმარტებები ძირითად სტანდარტებთან დაკავშირებით.<sup>4</sup>

ECDE-ის კვლევის დასრულების შემდეგ ევროპაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა პროცედურულ უფლებებთან დაკავშირებით. ECHR-ს მიერ დაცულ უფლებებთან მიმართებათ საჩივრებისა და ECtHR-ის გადაწყვეტილებების მზარდი რაოდენობის ფონზე,

<sup>3</sup> კეიპი, 2010;

<sup>4</sup> იხ. კეიპი, 2010, თავები 12 და 13;

მთელს ევროპაში შოკის მაგვარი ეფექტი მოახდინა სასამართლოს გადაწყვეტილებამ *Salduz*<sup>5</sup> საქმეზე, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ იურიდიულ დახმარებაზე უფლება მოქმედებს პოლიციის მიერ ეჭვმიტანილის პირველი დაკითხვის მომენტიდან. გაცხარებული დებატების დროს, რამდენიმე ქვეყნის მთავრობებმა სცადეს შეეზღუდათ გადაწყვეტილების შედეგები, ამტკიცებდნენ რა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ აძლევს ეჭვმიტანილს უფლებას ჰყავდეს ადვოკატი პოლიციის მიერ დაკითხვის დროს.

მთავრობის მხრიდან უმოქმედობის პირობებში, რიგი ქვეყნების ადგილობრივი სასამართლოები წინააღმდეგობას უწევდნენ მოცემული გადაწყვეტილების აღსრულებას და საჭირო გახდა იურისტების შეთანხმებული მოქმედება, რათა სააპელაციო სასამართლოებს აღსრულებინათ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>6</sup> ევროპის კავშირის ნევრ ქვეყნებში ადგილი ჰქონდა კიდევ ორ ტენდენციას, რომლებმაც შედეგი იქონია ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობაზე. პირველი, 2009 წლის დეკემბერში, ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლის შედეგად, შემოღებულ იქნა სისხლისსამართლებრივ საკითხებზე კენჭისყრა ფარდობითი უმრავლესობის საფუძველზე. კერძოდ, ცალკეულ სახელმწიფოებს აღარ აქვთ უფლება ვეტო დაადონ ევროპის კავშირის კანონმდებლობას აღნიშნულ სფეროში. მეორე, იმავე წელს, ევროპის კავშირმა დაამტკიცა “საგზაო რუკა” კანონმდებლობისა და სხვა მოქმედებებისთვის სისხლისსამართლებრივ პროცესში ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა პროცედურულ უფლებებთან დაკავშირებით, რომელიც აისახა სტოკჰოლმის პროგრამაში (2010-2014). “საგზაო რუკის” მიზანი იყო ნათლად და დეტალურად განესაზღვრა უფლებები, რომლებიც უფრო მეტად პირდაპირ აღსრულებადი იქნებოდა, ვიდრე ECHR-ი.<sup>7</sup>

ECDE კვლევამ წარმოადგინა ყოვლისმომცველი ინფორმაცია 9 ქვეყანაში ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა საპროცესო უფლებებთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის კავშირმა მხარი დაუჭირა რამდენიმე კვლევას პროცესუალური უფლებების ინდივიდუალურ ასპექტებთან დაკავშირებით, ECDE კვლევა გახლდათ პირველი, რომელმაც განიხილა მთელ რიგ იურისდიქციებში ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის რელევანტური უფლებების პრაქტიკული აღსრულების საკითხები ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებთან მიმართებით. აღნიშნული კვლევა გამოყენებულ იქნა როგორც ძირითადი წყარო საჭიროებათა შეფასებისას, რომელიც ჩატარდა ევროპის კავშირის დაკვეთით, “საგზაო რუკის” საფუძველზე დირექტივებში შესაბამისი უფლებების ასახვისთვის.<sup>8</sup> კვლევამ საფუძველი ჩაუყარა მთელ რიგ მოქმედებებს ევროპის ქვეყნებში ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა პროცესუალური უფლებებისა და არსებული ნორმების სამართლებრივი სირთულეების დაძლევის თვალსაზრისით, აგრეთვე მთავრობების მიერ მხარდაჭერილ კვლევებს, რომლებიც შეეხებოდა განხორციელების პროცესში მყოფი რეფორმების პრაქტიკულ შედეგებს.<sup>9</sup>

5 ECtHR, დიდი პალატა, 2008 წლის 27 ნოემბერი, *Salduz v. Turkey*, No. 36391/02, აგრეთვე იხილეთ ქვემოთ თავი 2, ნაწილი 5.3 გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა ECDE-ის კვლევის დასრულებამდე, მაგრამ ქვეყნების უმრავლესობას გარკვეული დრო დასჭირდა ამ გადაწყვეტილების შედეგების გასაზრებლად.

6 მაგალითად შოტლანდიასა და საფრანგეთში.

7 იხილეთ ნაწილი 3.3. ლისაბონის შეთანხმება ძალაში შევიდა და “საგზაო რუკა” დამტკიცდა ECDE-ის კვლევაზე მუშაობის პროცესში, მაგრამ კვლევის გამოქვეყნებამდე არანაირი არსებითი მოქმედება არ განხორციელებულა. მხოლოდ გამოქვეყნების შემდეგ ამოქმედდა საკანონმდებლო პროგრამა „საგზაო რუკის“, საფუძველზე.

8 იხ. ჩარჩო გადაწყვეტილების პროექტი თარჯიმნის მომსახურების უფლებასა და სისხლის სამართლის პროცესის დროს თარჯიმნის შესახებ: საჭიროებათა კვლევა, ბრიუსელი, 8.7.2009 SEC (2009) 915, პარაგრაფი 23; ჩარჩო გადაწყვეტილების პროექტი თარჯიმნის მომსახურების უფლებასა და სისხლის სამართლის პროცესის დროს თარჯიმნის შესახებ: საჭიროებათა კვლევა, ბრიუსელი, 20.7.2010 SEC (2010) 907, პარაგრაფი 2.2.2. და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის პროექტი ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლებისა და სისხლისსამართლებრივი პროცედურების დროს მესამე პირისთვის დაკავების ფაქტის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ: საჭიროებათა კვლევა, ბრიუსელი 8.6.2011 SEC (2011) 686, პარაგრაფი 2.2.2

9 მაგალითად, აღნიშნული მითითებულ იქნა, როგორც მტკიცებულება გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს საქმეში *Cadder v. HMA* [2010] UKSC 43, და განხილულ იქნა “კარლოვის მიმოხილვაში” იურიდიული დახმარების შესახებ შოტლანდიის სამართალში. (Carloway 2011).

## 2. კვლევის პროექტი და მეთოდოლოგია

ECDE-ს კვლევის ერთ-ერთი მიზანი გახლდათ ისეთი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა იურისდიქციაში. იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელმა (LARN), რომლის შემადგენლობაში შედიან ახლად დაფუძნებული უფასო იურიდიული დახმარების ორგანიზაციები, პოლიტიკის შემმუშავებელი პირები და უფასო იურიდიული დახმარების იურისტები ბულგარეთიდან, საქართველოდან, ლიტივიდან, მოლდოვიდან, მონღოლეთიდან და უკრაინიდან<sup>10</sup> – გადწყვიტა მიელო და განევიტარებინა აღნიშნული მეთოდოლოგია და მსგავსი კვლევა ჩატარებინა ქსელის წევრ ხუთ ქვეყანაში. ამ ქვეყნებიდან ოთხი (მონღოლეთის გარდა) ყოფილ საბჭოთა კავშირში შედიოდა და მათთვის დამახასიათებელი იყო საბჭოთა მიდგომები სისხლის სამართლის პროცედურასთან, ინსტიტუტებთან და პროცესებთან მიმართებით. განსხვავებულია მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად წარმოადგენდა საბჭოთა სისტემა უნიკალურ საპროცესო სისტემას<sup>11</sup>, მაგრამ არსებობს საერთო შეთანხმება იმაზე, რომ სისხლის სამართლის პროცესი ფოკუსირებული იყო წინასწარ პატიმრობაზე, რომელიც ძირითადად ეფუძნებოდა აღიარებებს და არა გამოძიებასა და სასამართლო პროცესებს, რომლებიც წარმოადგენდნენ „პოლიტიკურ“ ღონისძიებებს. ხელისუფლების ინტერესების სამსახური ევალუბოდა პროცესის ყველა მონაწილეს, მათ შორის პროკურორს, ადვოკატს და მოსამართლეს. 1990-იან წლებში, საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ, ბევრ ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში სამართლებრივ და პროცედურულ რეფორმებზე გავლენა იქონია არა მარტო ლიბერალურ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ, არამედ სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის მიდგომებმა.<sup>12</sup> სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა რთული და კომპლექსური პროცესია, რომელიც მოიცავს არა მარტო კონსტიტუციურ და სამართლებრივ ცვლილებებს, არამედ ინსტიტუციურ რეფორმას, განახლებასა და ცვლილებებს პროფესიულ კულტურაში. ამასთან ერთად, რეფორმის პროცესი არ არის ცალმხრივი და იზოლირებული სხვა პროცესებისა და მოვლენებისაგან, მაგალითად ეკონომიკური და ფისკალური ტენდენციებისგან, დანაშაულის დონისა და საზოგადოებრივი აზრისგან.

LARN-ის წევრები, რომლებიც სხვადასხვა გზით ჩართულნი იყვნენ მათ ქვეყნებში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაში, კარგად იყვნენ ინფორმირებულნი მათ ქვეყნებში რეფორმის პროცესის ცვალებადი და ხშირად არასაიმედო გზების შესახებ და სურდათ კვლევის ჩატარება იმაზე, თუ რამდენად ეფექტური იყო რეფორმა სამართლიანი სასამართლოს და ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით.

ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპული კონვენციის სტანდარტებთან მიმართებით კვლევა მიზანშეწონილია ხუთივე ქვეყნისთვის, ვინაიდან ყველა მათგანი მიერთებულია კონვენციას. ამასთან, ბულგარეთი და ლიტვა არიან ევროპის კავშირის წევრები და დანარჩენი სამი ქვეყანა ევროკავშირის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) წევრია.<sup>13</sup> მაშინ, როცა ENP-ის პარტნიორი ქვეყნები პირდაპირ სამართლებრივად შებოჭილნი არ არიან EU-ს დირექტივებით, EU-ს ხედვა ENP-სთან მიმართებაში შემდეგია: დამყარდეს ახლო ურთიერთობა EU-სთან და მის მეზობლებთან სტაბილურობის, უსაფრთხოების და წარმატების ზონის შექმნით, აგრეთვე EU-მ და მისმა ნებისმიერმა პარტნიორმა მიაღწიონ შეთანხმებას რეფორმის მიზნებზე სხვადასხვა სფეროში, მათ შორის მართლმსაჯულებასა და უსაფრთხოებაში.

10 დამატებითი ინფორმაცია LARN-ის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე <http://www.legalaidreform.org/>.

11 მაგალითად, რეიჩელი დაობდა, რომ შესაძლებელია იდენტიფიცირებულ იქნას „განსხვავებები, რომლებიც განსაზღვრავს განცალკევებულ სოციალისტურ სამართლებრივ ტრადიციას“, ვოგლერი კი საბჭოთა მიდგომას სისხლის პროცესის მიმართ მიიჩნევდა ინკვიზიციურობის განვითარებად, „შექმნილს თანამედროვე ტოტალიტარული სახელმწიფოს მიზნებისთვის“. იხილეთ შესაბამისად, რეიჩელი 2005, გვ. 123 და ვოგლერი 2005, გვ.64

12 ვოგლერი 2005, გვერდები 186-190

13 იხილეთ დამატებითი ინფორმაცია ENP-სთან დაკავშირებით [http://ec.europa.eu/world/enp/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/world/enp/index_en.htm).



2010 წლის სექტემბერში საქართველოში შეხვედრაზე LARN-ის წევრები შეთანხმდნენ ECDE კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით კვლევითი პროგრამის შემუშავებაზე, რათა შეესაბამებინათ აღმოსავლეთ ევროპის ხუთ ქვეყანაში ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობა.<sup>14</sup> ხუთ ქვეყანაში ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის შესახებ საიმედო და დამაჯერებელი ინფორმაციის მოპოვებასთან ერთად, პროგრამის მიზანს წარმოადგენდა: მთავრობების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრთა ცნობიერების ამაღლება ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების პროცესუალური უფლებების შესახებ; ამ უფლებებთან მიმართებით მთავრობებისა და იურიდიული პროფესიული ორგანიზაციების ინტერესის გაზრდა; ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად პრაქტიკული ნაბიჯების განსაზღვრა.

პროგრამა დაიწყო 2010 წლის ნოემბერში და დასრულდა 2012 წლის ივნისში. ქვეყნების მიხედვით შეირჩნენ სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე მკვლევრები და მათ დაევალებათ არსებული საინფორმაციო რესურსების გამოყენებით დოკუმენტური კვლევა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისა და ეფექტური სისხლის სამართლის დაცვის შემადგენელი ელემენტების შესახებ; აგრეთვე, სტრუქტურული მიდგომის გზით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის შესახებ კრიტიკული ანალიზის მომზადება.

ამ პროცესში მკვლევრებმა გამოიყენეს ECDE-ს კვლევითი ინსტრუმენტები, რომლებიც დაზუსტდა პროექტის განხორციელებისას.<sup>15</sup> დოკუმენტური კვლევა და კრიტიკული ანალიზი შესწავლილ იქნა პროექტის სამუშაო ჯგუფის მიერ<sup>16</sup>, აგრეთვე ქვეყნის ანგარიშის შემფასებლების მიერ, რომლებიც ქვეყნების მიხედვით მათი გამოცდილებისა და ექსპერტიზის საფუძველზე შეირჩნენ. კვლევის შესწავლის მიზანი გახლდათ შეფასებულებით: (ა) დოკუმენტურ კვლევასა და კრიტიკული ანალიზის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისობა კვლევითი ინსტრუმენტების კითხვებთან და თემატიკასთან, (ბ) ინფორმაციის დაზუსტების საჭიროება, (გ) ემპირიული კვლევების საჭიროება.

დოკუმენტური კვლევისა და კრიტიკული შეფასების დოკუმენტების ანალიზის შემდეგ, 2011 წლის აპრილში, თბილისში გაიმართა შეხვედრა. მასში მკვლევრებთან და შემფასებლებთან ერთად მონაწილეობას იღებდა პროექტის სამუშაო ჯგუფი. შეხვედრის მიზანი გახლდათ იმ ეტაპზე გამოტანილი ძირითადი დასკვნების განხილვა, მსჯელობა საერთო პრობლემებსა და თემებზე, დამატებით ემპირიული კვლევის ჩატარების საჭიროების განსაზღვრა. დარჩენილ დროში არსებული რესურსით რაოდენობრივი სავსე კვლევის ჩატარება შეუძლებელი იყო. სტატისტიკურად სანდო რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვებისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსის მობილიზება ვერ მოხერხდა. ამავე დროს, პროექტის ჯგუფის აზრით, პროფესიონალებთან ინტერვიუების შედეგად შესაძლებელი იყო სათანადო ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესი პრაქტიკაში.

შემდეგ ეტაპზე მკვლევრებმა ჩატარეს ინტერვიუები. ამ ინტერვიუებისა და დოკუმენტური კვლევის შედეგად მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა ეროვნული ანგარიშები წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურის მიხედვით (იხილეთ დანართი 3). აღნიშნული ანგარიშები კვლავ იქნა გაანალიზებული ქვეყნის ანგარიშების შემფასებლებისა და პროექტის სამუშაო ჯგუფის მიერ, რომ გადამოწმებულიყო ფაქტობრივი შეცდომები, შემუშავებულიყო შესაბამისი რეკომენდაციები და შეფასებულიყო წარმოდგენილი დასკვნების სანდოობა. პროექტის ჯგუფი 2011 წლის ოქტომბერში კვლავ შეიკრიბა მოლდოვაში, რათა ემსჯელა

14 კვლევა დაფინანსდა ღია საზოგადოების ფონდების ადამიანის უფლებებისა და მმართველობის საგრანტო პროგრამის მიერ და განხორციელდა სოროსის ფონდის - მოლდოვის მიერ ღია საზოგადოების ინსტიტუტის - სოფიის, ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს, საერთაშორისო რენესანსის ფონდის - უკრაინის და ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივასთან თანამშრომლობით.

15 წიგნის ინგლისურ ვერსიაში მოცემულია კვლევის ინსტრუმენტები დანართი 1 და დანართი 2 სახით.

16 პროექტის მენეჯმენტის შემადგენლობაში შედიოდა ედ კეივი და ზაზა ნამორაძე, რომლებიც ასევე შედიოდნენ ECDE-ის კვლევის სამუშაო ჯგუფშიც.

ანგარიშების პროექტებზე, კერძოდ კი დასკვნების და რეკომენდაციების მიზანშეწონილობასა და სანდოობაზე, აგრეთვე განეხილა ეროვნული ანგარიშებიდან გამომდინარე საერთო თემები. მკვლევრებმა განაახლეს ანგარიშები, რომლებიც წარმოდგენილია წიგნის შესაბამის თავებში.

ბოლო ეტაპზე პროექტის სამუშაო ჯგუფმა ეროვნულ ანგარიშებში მოცემული ინფორმაცია გააანალიზა ევროპის კონვენციისა და ევროპის კავშირის სტანდარტებთან მიმართებაში.

ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის მიმართ კვლევის მიდგომის წარმოდგენამდე, აუცილებელია მოკლედ აღინიშნოს ის გამოწვევები, რომლებიც გამოიკვეთა სხვადასხვა იურისდიქციის სისხლის სამართლის პროცესის კვლევის შედეგად.<sup>17</sup> სისხლის სამართლის პროცესი და პროცედურა ქვეყნების უმრავლესობაში არ ყოფილა ემპირიული კვლევის საგანი, შესაბამისად, მცირედი გამონაკლისების გარდა, ინფორმაციის ძირითადი წყარო არის მკვლევრების მიერ ჩატარებული ინტერვიუები და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები. ემპირიული მონაცემების არარსებობა კიდევ უფრო დაამძიმა იმ გარემოებამ, რომ იურისდიქციათა უმრავლესობაში სანდო სტატისტიკური ინფორმაცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე, კერძოდ, დაკავებული ან სისხლის სამართლებრივად პასუხისმგებლობაში მიცემული პირების რაოდენობაზე, დაკავებულ პირთა შორის პასუხისმგებლობაში მიცემულ პირთა პროპორციაზე, წინასწარი პატიმრობის საშუალო ხანგრძლივობასა ან სისხლის სამართლის სფეროში უფასო იურიდიული დახმარების დანახარჯებზე სისტემატურად არ იკრიბებოდა ან არ ხდებოდა მისი გასაჯაროება. შედეგად, მკვლევარებს მოუწიათ ყველა შესაძლო წყაროს შესწავლა და ინფორმაციის მოთხოვნის სპეციალური მიმართებების შეტანა სამინისტროებსა და სხვა ორგანოებში. დამატებითი გამოწვევაა განსხვავებული ტერმინოლოგია და მათი შინაარსი, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი ტერმინები გამოიყენება სხვადასხვა პროცესების ან სტადიების აღსანიშნავად.<sup>18</sup> ისეთი ტერმინები, როგორცაა „დაკავება“ ან „სისხლის სამართლის დარღვევა“ სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს უნდა განევითარებინა ტერმინების „ავტონომიური“ გაგება იმისათვის, რომ კონკრეტულ იურისდიქციებში შეექმნა ევროპის კონვენციის თანაბარი გამოყენების საშუალება (იხილეთ თავი 2, ნაწილი 3).<sup>19</sup>

### 3. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა და სამართლიანი სასამართლო განხილვა

ECDE კვლევის მსგავსად, მოცემული ანალიზის მიდგომაც კვლევის ცენტრში ექვმიტანილის ან ბრალდებულის მოთავსებაა. აღნიშნულ პროცესში სამართლიანი სასამართლოს უფლება მიჩნეულია როგორც მნიშვნელოვანი არა მარტო შედეგების, არამედ პროცესის თვალსაზრისით.<sup>20</sup> მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი სტატისტიკა არ მოიპოვება კვლევაში მოცემულ ყველა ქვეყანაში, ნათელია, რომ ყოველწლიურად პოლიცია ათობით ათას ადამიანს აპატიმრებს და/ან აკავებს. უმრავლესობა ამ ქვეყნების მოქალაქეა, მაგრამ მცირე ნაწილი – უცხო ქვეყნის მოქალაქე ან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია. დაკავებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ღარიბი ან შედარებით ღარიბია და მაშინაც ვერ გასწვდება (ფინანსურად) იურიდიულ დახმარებას, თუ ამის შესაძლებლობას მისცემენ და თვით

17 მოცემული საქმიანობის სირთულე კარგად არის გააანალიზებული - ჯეკსონი et al. 2008.

18 მსგავსმა განსხვავებებმა გამოიწვია სირთულეები ადგილობრივ სასამართლოებში ევროპის კავშირის ჩარჩო გადაწყვეტილების ევროპული დაკავების ბრძანებასთან მიმართებაში, 2002/584/JHA. მაგალითად იხილეთ Neave v. Court of Rome, Italy [2012] EWHC 358 (Admin).

19 აგრეთვე იხილეთ განხილვა - კეიპი et al. 2007, გვერდები 15 და 16 და კეიპი et al. 2010, გვერდები 16 და 17.

20 ზოგადად ECHR-ის და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით იხილეთ, ტრეჩსელი, 2005, ბარდი 2008 და სამერსი 2007.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აღნიშნული დახმარება ხელმისაწვდომია. ბევრი მათგანისთვის ეს დაპატიმრების ან დაკავების პირველი შემთხვევა იქნება; უდანაშაულობის, მტკიცებულებების არარსებობის, სისხლის სამართლის პროცესისგან სხვა წარმოებაში გადაკვალიფიცირების ან სხვა მიზეზების გამო, ფორმალური სისხლის სამართლის პროცესი არ იქნება აღძრული დაკავებულთა დიდი ნაწილის მიმართ, ხოლო მათ მიმართ, ვისზეც ფორმალური პროცესი გაგრძელდება, შეიძლება გამოყენებულ იქნას ფართოდ გავრცელებული საპროცესო შეთანხმება ან დაჩქარებული განხილვის პროცედურები, რაც ხშირად გამოირიცხავს სასამართლო განხილვას ან სხვა დამოუკიდებელ ზედამხედველობას ან სხვა სახის განხილვას ბრალეულობის ან პროცედურის ლეგალურობის, მტკიცებულებების სიმყარის შესახებ. ზოგიერთი მათგანი აცდუნეს თანამშრომლობაზე თანხმობის შემთხვევაში საპატიმროდან გათავისუფლების, საკითხის სწრაფი გადაწყვეტის ან სასჯელის შემცირების პირობით. ბევრი მათგანი გამოცდის არა მარტო მოკლე ვადით პატიმრობას პოლიციის განყოფილებაში, არამედ ხანგრძლივი პერიოდით წინასწარ პატიმრობას - როგორც მსჯავრდებული. არსებობს კიდევ სხვა მიზეზები ეჭვმიტანილ თუ ბრალდებულ პირებზე ორიენტირებული მიდგომის სასარგებლოდ. პირველი, ევროსასამართლოს მიერ უფლებებზე ფოკუსირება როგორც „რეალურზე“, „პრაქტიკულსა“ და „ეფექტურზე“<sup>21</sup> არის იმის აღიარება, რომ კონსტიტუციით, კოდექსით ან კანონმდებლობით უფლებების დეკლარირება აუცილებლად არ ნიშნავს, რომ ეს უფლებები ეფექტურია და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ მათ მიერ, ვისზეც ისინი ვრცელდება. მეორე, არსებობს საშიშროება, რომ იმ ინსტიტუტებისა და პროფესიონალების შეშფოთება, რომლებსაც აქვთ სათანადო ძალაუფლება ან „ხმა“, არ სწვდება სისხლის სამართლის გამოძიებისა და პროცესის სუბიექტებს, რომლებსაც არც მათი ინტერესების დამცველი ორგანიზაციები აქვთ და არც ლეგიტიმაცია მთავრობისა და მედიის თვალში. ბოლო წლების განმავლობაში ბევრ იურისდიქციაში პრობლემატურ პოლიტიკურ საკითხთაგან პრიორიტეტული იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის ეფექტური მართვა და (როგორც მინიმუმ, რიტორიკის დონეზე) დაზარალებულის ინტერესები, ნაცვლად სამართლიანი სასამართლოს უფლებებისა და მართლმსაჯულებისა. მესამე, იმ სისტემებში, სადაც უფასო იურიდიული დახმარება განვითარებულია, მეტიც, სადაც დებატები სცდება ისეთ საკითხს, როგორცაა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საქმიანობაში ჩართული ადვოკატების შესაბამისი ანაზღაურება, ყურადღება იშვიათად ექცევა ისეთ პრობლემებს, რომელიც ეხება უფასო იურიდიული დახმარების სერვისის „მომხმარებლებს“.

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისთვის სამართლიანი სასამართლოს გარანტიები შეიძლება მცირე მნიშვნელობის იყოს, თუ ისინი შეზღუდულია სასამართლო განხილვით და პროცესის ვინრო გაგებით, სადაც პირის ბრალეულობა თუ უდანაშაულობა დგინდება. საქმის განხილვა არის პროცესი, რომელიც იწყება, როგორც მინიმუმ, სამართალდამცავი ორგანოების მიერ პირის დაპატიმრების ან დაკავების მომენტიდან და გრძელდება გამართლებამდე ან მსჯავრდებამდე, შესაბამისად გასაჩივრებამდე. ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა შეიძლება გაიაროს სრული პროცესი ან მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ეტაპი. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია ითვალისწინებს გარკვეულ გარანტიებს თავისუფლებისა და ფიზიკური უსაფრთხოების უფლების (მუხლი 5) და სამართლიანი სასამართლოს უფლების (მუხლი 6) სახით. მიუხედავად იმისა, რომ საქმის შედეგი შეიძლება სამართლიანი და კანონიერი იყოს, ბრალდებულმა შესაძლოა მძიმე მდგომარეობაში იგრძნოს თავი, თუ მის მიმართ მოპყრობა არ იყო სამართლიანი. საბოლოოდ, წარმატებული საქმე მსჯავრდებულის წინააღმდეგ, რომელიც უზრუნველყოფილია პოლიციის მიერ ადვოკატთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვით მოპოვებული აღიარებითი ჩვენებით, ან წინასწარ პატიმრობაში გატარებული წლებით, ბრალდებულს, მაღალი ალბათობით, უკმაყოფილოს ტოვებს და უყალიბებს უნდობლობას მთლიანად სისხლის სამართლის სისტემის მიმართ. ნდობა წარმატებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია, რაც წარმოადგენს კანონის მიმართ მორჩილებისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საფუძველს.<sup>22</sup>

21 Artico v. Italy (1981) 3 EHRR 1; Airey v. Ireland (1979) 2 EHRR 305; ECtHR 9 ოქტომბერი 2008, Moiseyev v. Russia, No. 62936/00, პარაგრაფი 209; and ECtHR 24 სექტემბერი 2009, Pishchalnikov v. Russia, No. 7025/04, პარაგრაფი 66.

22 იხილეთ მაგალითად, ტაილერ 2006.



მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოცემული კვლევის ფოკუსი არა მხოლოდ უბრალოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებებია, არამედ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობაც, როგორც სამართლიანი სასამართლოს გარანტიების გამოყენების წინაპირობა. სამართლიანი სასამართლო განხილვა, პროცესისა და შედეგის თვალსაზრისით, ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დაცვაზე ხელმისაწვდომობის გარეშე, მოითხოვდა, რომ სამართალდამცავი ორგანოები და პროკურორები ყოფილიყვნენ სრულად ნეიტრალურნი და მიუკერძოებელნი, ხოლო სასამართლო ორგანოებს აერჩიათ პროაქტიური მიდგომა. გამოცდილება და მტკიცებულებების კვლევა გვაჩვენებს, რომ აღნიშნული შეუძლებელია, და შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, საუკეთესო შემთხვევაშიც კი, მოცემული სისტემა შაბლონური და არადემოკრატიული იქნებოდა. შესაბამისად, სამართლიანი პროცესი მოითხოვს, რომ ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებს ჰქონდეთ ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დაცვაზე ხელმისაწვდომობა. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა მოიცავს მთელ რიგ ურთიერთდაკავშირებულ პროცესულ უფლებებს. მათგან ყველაზე აშკარაა იურიდიული დახმარების უფლება, რომელიც აღიარებულია ყველა საერთაშორისო კონვენციითა და ინსტრუმენტით, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის პროცესს. იურიდიული დახმარების უფლების ეფექტურობა გულისხმობს პროფესიონალი, თავდადებული, შესაბამისად მომზადებული და გამოცდილი იურისტების ხელმისაწვდომობას, როდესაც მათზე მოთხოვნაა (ხშირად საკმაოდ მცირე ვადაში). ის აგრეთვე მოითხოვს, რომ ეჭვმიტანილმა და ბრალდებულმა პირებმა იცოდნენ თავიანთი უფლების შესახებ, ესოდეთ მისი მნიშვნელობა და შეეძლოთ გამოიყენონ იგი. შესაბამისად, უნდა არსებობდეს მექანიზმი იმისა, რომ ეჭვმიტანილებმა და ბრალდებულებმა იცოდნენ იურიდიული დახმარების უფლებისა და მისი გამოყენების შესახებ და რომ იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია, როდესაც ამის საჭიროება არსებობს, მათ შორის მათთვის, ვისაც არ აქვს საშუალება აღნიშნული დახმარების საფასურის გადახდისა.

არც იურიდიული დახმარების უფლებაა საკმარისი წინაპირობა ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის გარანტირებისთვის. რაც უნდა კარგი იყოს იურიდიული დახმარება, იგი ვერ უზრუნველყოფს სამართლიან პროცესს თუ სისხლისსამართლებრივი დაცვის სხვა ელემენტები არ იქნება გარანტირებული. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა მოითხოვს, რომ ეჭვმიტანილებს და ბრალდებულებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ იმ პროცესში, რომელიც მათ ეხებათ; გაიგონ, რას უცხადებენ მათ და მოუსმინონ მათ; მიეცეთ ინფორმაცია მათ მიმართ ეჭვისა და ბრალდების შესახებ; ინფორმირებულნი იყვნენ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლების შესახებ; ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა საქმის მასალებთან; ჰქონდეთ დრო და რესურსი, რომ უპასუხონ ბრალდებებს და მოემზადონ პროცესისთვის; ჰქონდეთ საშუალება წარადგინონ ინფორმაცია და მტკიცებულებები თავის სასარგებლოდ; მოეპყრან ისე, რომ არ ჩააყენონ არახელსაყრელ მდგომარეობაში; გაასაჩივრონ მათი ინტერესების წინააღმდეგ გამოტანილი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

ამ პერსპექტივიდან ნათელია, რომ მხოლოდ შესაბამისი კანონები არასაკმარისია ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობისათვის. ზღვარი დაწერილ კანონსა და აღსრულებულ კანონს შორის არსად არის ისეთი დიდი, როგორც ეს სისხლის სამართლის პროცესშია. შესაბამისად, აუცილებელია, ნებისმიერ კონკრეტულ იურისდიქციაში ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის შესწავლა მოხდეს სამი კრიტერიუმით:

- (1) რამდენად არსებობს კონსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ადეკვატურად ითვალისწინებს სისხლის სამართალში დაცვის უფლებებს.
- (2) რამდენად არსებობს რეგულაციები, ინსტიტუტები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მოცემული უფლებების „პრაქტიკულობასა და ეფექტურობას“.
- (3) რამდენად არსებობს თანმიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული პროფესია, რომელსაც სურს და შეუძლია უზრუნველყოს ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების პროფესიული კულტურით გამყარებული იურიდიული დახმარება, კლიენტის ინტერესების უზენაესობის დაცვა.

ეს სამი საკითხი წარმოადგენდა ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის საფუძველს ხუთ ქვეყანაში ჩატარებული კვლევის დროს.

მე-2 თავში ჩვენ განვიხილავთ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის შესაბამის დებულებებს, ევროპის სასამართლოს იურისდიქციას, EU-ს დირექტივას და წარმოდგენილ (პროექტი) დირექტივებს, რათა განვსაზღვროთ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის სტანდარტები. წიგნში ჩვენ ვაანალიზებთ ხუთი ქვეყნიდან მიღებულ ინფორმაციას შესაბამის სტანდარტებთან მიმართებით.

## 4. სამართლიანი სასამართლოს უფლებები საერთაშორისო კონტექსტში

ამ ნაწილში ჩვენ წარმოვადგენთ ევროპის კონვენციის მუხლებს, რომლებიც არეგულირებენ სისხლის სამართლის პროცესში დაცვის უფლებებს და ყურადღებას გავამახვილებთ კონვენციისა და პრაქტიკის რიგ შეზღუდვებზე შესაბამისი სტანდარტების დადგენის კუთხით. აგრეთვე წარმოვადგენთ მოკლე ისტორიულ ექსკურსს პროცედურულ უფლებებთან დაკავშირებულ EU-ს საქმიანობაზე, განვიხილავთ ლისაბონის შეთანხმებისა და „საგზაო რუკის“ გავლენას პროცედურულ უფლებათა სტანდარტების ჩამოყალიბებასა და მათ აღსრულებაზე. ამასთან, დასაწყისშივე მოკლედ განვიხილავთ საკითხს გლობალურ ქრილში.

### 4.1. გლობალური კონტექსტი

სამართლიანი სასამართლოს უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ყველა ძირითადი შეთანხმებითა და კონვენციით.<sup>23</sup> მაშინ, როდესაც ECHR-ზე ხელმომწერი ევროპის ქვეყნებისთვის კონვენცია წარმოადგენს ძირითად წყაროს საერთაშორისო სამართლიანი სასამართლოს უფლებებისთვის, ევროპის სასამართლო სამართლიანი სასამართლოს უფლებების განმარტების დროს ხშირად უთითებს საერთაშორისო სტანდარტებზე.<sup>24</sup> სისხლის სამართლის დაცვის უფლების კონტექსტში ხშირად მიუთითებენ ჰავანის დეკლარაციაზე ადვოკატთა როლის შესახებ (შემდგომში – ჰავანის დეკლარაცია).<sup>25</sup> აღნიშნული დოკუმენტი აფართოებს ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების უფლებას ადვოკატზე, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-14 მუხლში (ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის ეკვივალენტი). დეკლარაცია ნათლად მიუთითებს, რომ მოცემული უფლება ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე და განსაზღვრავს, თუ რა უნდა გააკეთონ სახელმწიფოებმა აღნიშნული გარანტიის რეალობაში განსახორციელებლად. ერთ-ერთი მოცემული მოთხოვნა გახლავთ ის, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ადეკვატური დაფინანსება, რესურსები ღარიბებისთვის და სხვა მონყვლადი პირობებისთვის, სადაც ეს აუცილებელია.<sup>26</sup>

23 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-14 მუხლი; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლები 10 და 11; აფრიკის ადამიანის უფლებათა კონვენცია, მუხლი 8 (2) (C)-(E); აფრიკის ქარტია ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ, მუხლი 7 (1)(C).

24 იხილეთ მაგალითად, ევროპის სასამართლოს დიდი პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Salduz v. Turkey*, No. 3639/02, 32-44.

25 გაეროს დანაშაულის პრევენციისა და ბრალდებულთა მოპყრობის შესახებ მე-8 კონგრესი, ჰავანა, 27 აგვისტო - 7 სექტემბერი 1990 წელი: სამდივნოს მიერ მომზადებული ანგარიში (გაეროს გამოცემები, სერია E.91.IV.2).

26 მუხლი 1.3, აგრეთვე იხილეთ OSF 2012, გვერდები 22-27. ღია სახელმწიფოთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაძლიერების შესახებ შეხვედრის თაობაზე, რომელიც შედგა ვენაში 2011 წლის 16-18 ნოემბერს და რომელმაც ინიცირება გაუკეთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ გაეროს პრინციპებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტის მიღებას. პრინციპებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტის პროექტი მცირე მოდიფიკაციებით მიღებულ იქნა გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიის მიერ 2012 წლის 27 აპრილს.

ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევების განსახილველად შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოები, როგორცაა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო ყოფილი იუგოსლავიისთვის (ICTY), რუანდის ტრიბუნალი (ICTR) და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო (ICC), იყენებენ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის იმ სტანდარტებს, რომლებიც ჩამოაყალიბა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა.<sup>27</sup> ICC-ის წესდება ითვალისწინებს, რომ სასამართლომ უნდა გამოიყენოს და განმარტოს კანონი საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის სტანდარტების მიხედვით, რომლებიც შესაბამისობაშია ევროპის სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებთან. ICC წესდებით გარანტირებულია „დაკითხვის წინ“ პირის ინფორმირების უფლება მის მიმართ არსებული ეჭვის შესახებ იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელზეც ვრცელდება ICC-ს იურისდიქცია, აგრეთვე გარანტირებულია დაკითხვის დროს ადვოკატის ყოლის უფლება.<sup>28</sup> ICTY-ის წესდება ასევე ითვალისწინებს დაკითხვის დროს ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებას<sup>29</sup> და განსაზღვრავს, რომ თუ ეს უფლება დარღვეულია, მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იყოს ცნობილი სასამართლოში.<sup>30</sup> ამასთან ერთად, ევროპის წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის (CPT) მოთხოვნების შესაბამისად, პოლიციის მიერ დაკითხვის დროს ადვოკატის ყოლის უფლება გახლავთ ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტია დაკავებულ პირთა მიმართ არაადამიანური მოპყრობის საწინააღმდეგოდ.<sup>31</sup>

## 4.2. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია

ECHR-ის ორი მუხლი პირდაპირ ეხება სისხლის სამართლის პროცესს: მე-5 მუხლი (თავისუფლებისა და ფიზიკური უსაფრთხოების უფლება) და მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლოს უფლება).<sup>32</sup> მე-5 მუხლის მიხედვით, დაპატიმრება და დაკავება უნდა იყოს კანონიერი და უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. როცა დაკავება ხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი ორგანოს წინაშე პირის წარდგენის მიზნით, ეს მოითხოვს საფუძვლიან ეჭვს, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა (ან ეს დასაბუთებულია იმით, რომაც იტყვიან იქნეს პირის მიერ დარღვევის ჩადენა ან სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ მისი მიმალვა) (მუხლი 5(1)(c)). დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა იყოს ინფორმირებული დაპატიმრების საფუძვლების შესახებ და მის წინააღმდეგ ნებისმიერი ბრალდების შესახებ მისთვის გასაგებ ენაზე (მუხლი 5 (2)). ნებისმიერი დაპატიმრებული ან დაკავებული პირი მე-5 (1) (c) მუხლის თანახმად, დაუყოვნებლივ წარდგენილ უნდა იქნეს მოსამართლის ან სხვა უფლებამოსილი თანამდებობის პირის წინაშე მართლმსაჯულების უფლებამოსილების განსახორციელებლად და აღნიშნული პირი უფლებამოსილია მისი საქმის დროულ განხილვასა ან სასამართლომდე გათავისუფლებაზე (რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოზე გამოცხადების გარანტიით) (მუხლი 5 (3)). თავისუფლებაშეზღუდულ პირს უფლება აქვს მისი დაკავების ან დაპატიმრების კანონიერების განმხილველ პროცედურაზე, რომელიც „სწრაფად“ უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ და თუ დაკავება უკანონოა, უნდა მოხდეს მისი გათავისუფლება (მუხლი 5 (4)).

27 იხილეთ ტუინსტრა 2009.

28 მუხლი 55.

29 ყოფილი იუგოსლავიისათვის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდება, მუხლი 18 (3).

30 გადაწყვეტილება დაცვის შუამდგომლობაზე მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ ICTY-ში საქმეში ზდრაგო მუჩიჩი, 1997 წლის 2 სექტემბერი, საქმე No. IT-96-21-T, Trial Chamber II.

31 წამების პრევენციის კომიტეტი, 1992, გვერდები 36-38.

32 მე-7 მუხლი (არანაირი სასჯელი კანონის გარეშე) ძირითადად ეხება მატერიალურ სისხლის სამართალს და აქ დამატებით არ იქნება განხილული.

მე-6 (1) მუხლი ითვალისწინებს სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებას გონივრულ ვადაში, კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ. გადანყვეტილებები, როგორც წესი, ცხადდება საჯაროდ, თუმცა პრესისა და საზოგადოების წარმომადგენლებს შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ შეეზღუდოთ პროცესზე დასწრება გამონაკლის, წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევებში. უდანაშაულობის პრეზუმფცია გარანტირებულია მე-6 (2) მუხლით. მინიმალური პროცესუალური უფლებები მინიჭებული აქვთ პირებს, რომლებიც ბრალდებულნი არიან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ: დროულად, გასაგებ ენაზე და დეტალურად ინფორმირების უფლება მათ მიმართ ბრალდების ხასიათისა და საფუძვლების შესახებ (მე-6 (2)(a) მუხლი); საკუთარი დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროისა და საშუალებების ქონის უფლება (მე-6 (2)(b) მუხლი); საკუთარი თავის დაცვის უფლება ან უფლება იურიდიულ დახმარებაზე, მიიღოს იურიდიული დახმარება უფასოდ მისი არჩევანით, ან როდესაც მას არ აქვს ფინანსური საშუალება, ან თუ მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს (მე-6 (2)(c) მუხლი); უფლება დაკითხოს ან დაკითხულ იქნეს მოწმე მის წინააღმდეგ და უფლება მიიღოს მონაწილეობა და დაკითხოს მისი მოწმე იმავე პირობებში, როგორც დაკითხა მოწმე მის წინააღმდეგ (მე-6 (3)(d)); უფლება უფასო თარჯიმანზე, თუ ის ვერ იგებს ან არ ფლობს სასამართლოში გამოყენებულ ენას (მე-6 (3)(e)). მე-6 (3) მუხლში მოცემული გარანტიები წარმოადგენს მე-6 (1) მუხლში მოცემული სამართლიანი განხილვის სპეციფიკურ ასპექტებს. მე-6 (1) მუხლთან მიმართებით ევროპის სასამართლოს მთავარი ინტერესი არის პროცესის სამართლიანობა. აღნიშნული ანალიზის დროს სასამართლო ამოწმებს პროცედურებს და ითვალისწინებს დაცვის უფლებებს (როგორც ეს მოცემულია მე-6 (3) მუხლში), აგრეთვე საზოგადოების, დაზარალებულთა და, სადაც ასეთი საჭიროება არსებობს, მოწმეთა ინტერესებს.<sup>33</sup> ევროპის კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, მე-5 და მე-6 მუხლებით გარანტირებული უფლებებიდან გადახვევა დასაშვებია, მაგრამ მხოლოდ „საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს“. მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებები უფრო ფართოდ განიმარტა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, რომელიც ეხება პროკურორსა და დაცვას შორის მხარეთა თანასწორობის პრინციპს,<sup>34</sup> საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან დაცვისა და დუმილის უფლებას,<sup>35</sup> შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული განხილვის უფლებას და უშუალოდ პრინციპს (რომელიც გულისხმობს, რომ ყველა მტკიცებულება, როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლო პროცესზე შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით).<sup>36</sup> კონვენცია შექმნილია იმისათვის, რომ მოახდინოს ისეთი უფლებების გარანტირება, რომლებიც „პრაქტიკული და ეფექტურია“ და არა მარტო „თეორიული და ილუზორული“,<sup>37</sup> და რომ ბრალდებულს შეეძლოს „ეფექტური მონაწილეობა“ სისხლის სამართლის პროცესში.<sup>38</sup> მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებები, განსაკუთრებით კი მე-6 (3) მუხლში მოცემული უფლებები, აგრეთვე ვრცელდება წინასწარი გამოძიების პროცესზე<sup>39</sup>. კონკრეტულად კი პროცედურა, რომელიც ხორციელდება მე-5 (4) მუხლის საფუძველზე (წინასწარი პატიმრობა), გამოძიების კონკრეტული ფაქტების გათვალისწინებით, უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანი სასამართლოს ძირითად მოთხოვნებს, როგორცაა შეჯიბრებითობაზე დაფუძნებული პროცედურის უფლება.<sup>40</sup>

33 ECtHR, დიდი პალატა, 2011 წლის 15 დეკემბერი, Al-Khawaja and Tahery v. UK, Nos. 26766/05 და 22228/06, პარაგრაფი 118, და ECtHR, დიდი პალატა, 2010 წლის 16 ნოემბერი, Taxquet v. Belgium, No. 926/05.

34 ECtHR, 2005 წლის 15 მაისი, Ocalan v. Turkey, No. 46221/99, პარაგრაფი 140.

35 ECtHR, 1993 წლის 25 თებერვალი, Funke v. France, A 256-A, და ECtHR, 2009 წლის 19 მარტი, Bykov v. Russia, No. 4378/02.

36 ECtHR, 1991 წლის 28 აგვისტო, Brandstetter v. Austria, A 21, პარაგრაფი 67, და ECtHR, 1988 წლის 6 დეკემბერი, Barbera, Messegué and Jabardo v. Spain, A 146, პარაგრაფი 78.

37 Artico v. Italy (1981) 3 EHRR 1; Airey v. Ireland (1979) 2 EHRR 305; ECtHR, 9 ოქტომბერი 2008, Moiseyev v. Russia, No. 62936/00, პარაგრაფი 209; და ECtHR 24 სექტემბერი 2009, Pishchalnikov v. Russia, No. 7025/04, პარაგრაფი 66.

38 Ekbetani v. Sweden (1991) 13 EHRR 504, და Stanford v. UK A/282 (1994).

39 ECtHR, 24 ნოემბერი 1993, Imbrioscia v. Switzerland, No 13972/88, პარაგრაფი 38; ECtHR, დიდი პალატა, 27 ნოემბერი 2008, Salduz v. Turkey, No. 36391/02, პარაგრაფი 50; და ECtHR, 11 დეკემბერი 2008, Panovits v. Cyprus, No. 4268/04 პარაგრაფი 64.

40 ECtHR, 13 თებერვალი 2001, Garcia Alva v. Germany, Lietzow v. Germany and Schops v. Germany, Nos. 23541/94, 24479/94 და 25116/94; და ECtHR, 9 ივლისი 2009, Mooren v. Germany, No. 11364/03, პარაგრაფი 124–125.



ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის თანახმადაც არავინ შეიძლება გახდეს წამების ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი და ეს, რა თქმა უნდა, ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესზე, მათ შორის დაკავებისა და დაკითხვის პირობებზე. მე-3 მუხლიდან გადახვევა დაუშვებელია (მე-15 (2) მუხლი). კონვენციის მე-8 (1) მუხლი ითვალისწინებს პირის პირადი, ოჯახური ცხოვრების, სახლისა და კორესპონდენციის დაცვის უფლებას. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის კონტექსტში, მე-8 მუხლი გასათვალისწინებელია იურისტის/კლიენტის კომუნიკაციის დროს, იურიდიული დახმარებისადმი ხელმისაწვდომობისა და პოლიციის მიერ ისეთი საგამოძიებო მოქმედებების შემთხვევაში, როგორცაა თვალთვალი და მიყურადება. მნიშვნელოვანია, რომ მოცემული უფლების განხორციელებაში ჩარევა დასაშვებია, თუ ეს ხორციელდება კანონის საფუძველზე, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში და, *inter alia*, ემსახურება საზოგადოების უსაფრთხოების, საჯარო წესრიგის ან დანაშაულისა და არეულობის პრევენციას (მე-8 (2) მუხლი).

ევროპის კონვენცია თავისთავად არ ითვალისწინებს გასაჩივრების უფლებას, თუმცა აღნიშნული უფლება სისხლის სამართლის პროცესში მოცემულია ევროპის კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლში, რომლის მიხედვითაც ტრიბუნალის მიერ სისხლის სამართლის გადაცდომისთვის მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს, რომ მისი მსჯავრდება ან სასჯელი განიხილოს ზემდგომმა ტრიბუნალმა. მოცემული უფლება შეიძლება გახდეს შეზღუდვის სუბიექტი, თუ საქმე ეხება მცირე მნიშვნელობის გადაცდომას, ან პირის საქმე განიხილა ზემდგომმა ტრიბუნალმა პირველი ინსტანციით, ან პირის მსჯავრდება მოხდა მისი გამართლების გადანყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ კვლევაში განხილული ხუთივე ქვეყანა მიუერთდა დამატებით ოქმს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის პრინციპები ძირითადად ნათელია, ხშირად რთული ან შეუძლებელია დეტალური, განზოგადებული დასკვნების გამოტანა პრეცედენტული სამართლიდან, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, როდესაც სასამართლო იხილავს კონკრეტულ პროცესუალურ უფლებებს, ის მის ძირითად ფუნქციად მიიჩნევს იმის გამოკვლევას, თუ რამდენად სამართლიანი პროცედურები იყო ერთიანობაში გამოყენებული ინდივიდუალური საქმის კონკრეტულ ფაქტებთან მიმართებით.<sup>41</sup> შესაბამისად, თუ პროცედურული უფლების დარღვევა შეიძლება გამოსწორდეს ან კომპენსირდეს სხვა პროცედურული თუ სასამართლო პროცესით, ამან შეიძლება მთლიანი პროცესის უსამართლობა არ გამოიწვიოს. მეტიც, ევროპის სასამართლო ზოგადად მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხს მიიჩნევს ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლოების კომპეტენციად და იგი მხოლოდ იმას იხილავს, თუ რამდენად სამართლიანად ჩატარდა პროცედურა.<sup>42</sup> ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის გარკვეული ელემენტები, მაგალითად – იურიდიული დახმარების ხარისხი, არ შედის სასამართლოს კომპეტენციაში.<sup>43</sup> ზემოაღნიშნული შეზღუდვების გათვალისწინებით, ჩვენი მიზანია არა მარტო ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის უფლებებთან დაკავშირებული ევროსასამართლოს პრაქტიკით დადგენილი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრა, არამედ აგრეთვე ნაკლოვანებებისა და გაურკვევლობების გამოკვეთა. ხარვეზების აღმოფხვრა შესაძლებელია ევროკავშირის განვითარების პროცესში მყოფი სამართლით ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების პროცედურული უფლებების შესახებ.

41 ECtHR 20 ნოემბერი 1989, Kostovski v. Netherlands, No. 11454/85, პარაგრაფი 39; და ECtHR 6 დეკემბერი 1988, Barbera, Messegue and Jabardo v. Spain 11 EHRR 360.

42 ECtHR, დიდი პალატა, 2010 წლის 1 ივნისი, Gafgen v. Germany, No. 22978/05, პარაგრაფი 163.

43 ECtHR 24 ნოემბერი 1993, Imbrosca v. Switzerland, No. 13972/88.

### 4.3. ევროპის კავშირი და პროცესუალური უფლებები სისხლის სამართლის პროცესში

ევროპის კავშირი შედარებით ახალი ფიგურაა ევროპაში პროცესუალური უფლებების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1991 წელს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ (ECJ) დაადგინა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებების დაცვის აუცილებლობა<sup>44</sup>, ამ დრომდე სამართლიან პროცესზე არ შექმნილა ევროპის თანამეგობრობის არც ერთი დოკუმენტი. ამის მიუხედავად, შემდეგი ორი ათეული წლის განმავლობაში ევროპის კავშირის მიდგომა პროცესუალურ უფლებებთან დაკავშირებით განვითარდა მთელ რიგ შეთანხმებებსა და აქტებში. 1992 წლის მაასტრიხტის შეთანხმება<sup>45</sup> ითვალისწინებს, რომ მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების სფეროში წარმოშობილი საკითხები უნდა გადაწყდეს ევროპის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენციასთან შესაბამისობაში. აღნიშნულს მოჰყვა 1997 წლის ამსტერდამის შეთანხმება<sup>46</sup>, რომელმაც ცვლილებები შეიტანა ევროპის კავშირის შეთანხმებაში და გააძლიერა ევროპის კავშირის კომპეტენცია სისხლის სამართლის სფეროში პოლიციისა და სასამართლო თანამშრომლობის კუთხით - თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროს შექმნით. მინისტრთა საბჭომ, რომელიც 1999 წელს ფინეთში შეიკრიბა (ტამპერეს დასკვნები)<sup>47</sup>, ევროპის საბჭოსა და კომისიისგან მოითხოვა ორმხრივი აღიარების შესახებ მოქმედებათა პროგრამის მიღება, ორმხრივი აღიარების პრინციპის მოქმედების ხელშესაწყობად კი ისეთი საერთო მინიმალური სტანდარტების განვითარება, რომლებიც პატივს სცემდა მონაწილე ქვეყნების ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპებს.<sup>48</sup> ევროკავშირმა გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები საგამოძიებო და სასამართლო ურთიერთთანამშრომლობის კუთხით, რამაც გააძლიერა არსებული მექანიზმები და ინსტიტუტები და, ამასთან, განავითარა ახალი<sup>49</sup>. თუმცა ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების საპროცესო უფლებებთან დაკავშირებული სტანდარტების გაბნეულობა ევროკავშირის ქვეყნებში ხელს უშლიდა ორმხრივი აღიარების სრულ მიღებას.<sup>50</sup> 2003 წელს ევროპის კომისიამ წარმოადგინა პროექტები ევროკავშირის ფარგლებში ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა პროცედურული გარანტიების შესახებ სისხლის სამართლის პროცესში.<sup>51</sup> მიუხედავად ევროკავშირის მხარდაჭერისა, კომისიის მიერ 2004 წელს წარმოდგენილი და გადამუშავებული ჩარჩო გადაწყვეტილების პროექტი<sup>52</sup>, 2007 წელს გერმანიის პრეზიდენტობის დროს გამოცემული უფრო შემზღუდველი პროექტი საბოლოო ჯამში კონსენსუსის გზით არ იქნა მხარდაჭერილი წევრი ქვეყნების მიერ. მიუხედავად მთელი რიგი მიზეზებისა, ხელშემშლელ ფაქტორად დასახელდა ის, რომ მონაწილე სახელმწიფოთა უმცირესობა თვლიდა, რომ ევროპის კავშირს არ ჰქონდა კომპეტენცია შეექმნა კანონმდებლობა წმინდა ადგილობრივ პროცედურებთან დაკავშირებით. ამ შეხედულების მიხედვით, კანონმდებლობა უნდა შეზღუდულიყო საზღვრებს შორის თანამშრომლობის საქმეებზე.<sup>53</sup> ევროპის კავშირის პოზიცია ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების პროცესუალურ უფლებებთან დაკავშირებით შეცვალა ორმა მოვლენამ: 2009 წელს –

44 საქმე C-49/88 Al-Jubail Fertilizer Co. and Saudi Arabian Fertilizer Co. v. Council [1991] ECR I-3187. წინა საქმეში Hoechst AG v. Commission [1989] ECR 2859, ECJ დაადგინა რომ "...ყურადღება უნდა მიექცეს დაცვის უფლებებსა და პრინციპს, რომლის ფუნდამენტურ ხასიათი მრავალჯერ აღინიშნა..."

45 ევროპის კავშირის შეთანხმება, ხელმოწერილი მაასტრიხტში, 1992 წლის 7 თებერვალი.

46 ამსტერდამის შეთანხმება: ევროპის კავშირის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა, ხელმოწერილი ამსტერდამში 1997 წლის 2 ოქტომბერს.

47 ევროპის თანამეგობრობის კომისია, საპრეზიდენტო დასკვნები, ტამპერეს ევროპის საბჭო, 1999 წლის 15 და 16 ოქტომბერი, SI (1999).

48 ორმხრივი აღიარებასა და პროცედურულ გარანტიების შორის კავშირზე იხილეთ ვერმეულენ და ვან პუნენბროეკი 2010.

49 იხილეთ ზოგადად მიტსულეგას 2009 წელი და კლიპ 2012.

50 იხილეთ ვერნიმენ-ვან ტიგელენ და სურანო 2008 და ვეიემბერგ 2009.

51 კომისიის მწვანე დოკუმენტი: ევროპის კავშირში ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა პროცედურული გარანტიების შესახებ სისხლის სამართლის პროცესში, COM (2003) 75.

52 COM/2004/0328 final.

53 შეტყობინება პრესისთვის, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეთა საბჭო, 12-13 ივნისი 2007 წელი.

ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლამ და სტოკჰოლმის პროგრამის საფუძველზე პროცესუალური უფლებების „საგზაო რუკის“ მიღებამ.

#### 4.3.1. ლისაბონის შეთანხმება

ლისაბონის შეთანხმებამ, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს<sup>54</sup> გააუქმა ევროპის კავშირში გადანყვეტილების ერთხმად მიღების მოთხოვნა და განსაზღვრა გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილების განაწილება ევროპის პარლამენტსა და საბჭოში წარმოდგენილ ეროვნულ მთავრობებს შორის.<sup>55</sup> შესაბამისად, ცალკეულ სახელმწიფოებს არ ექნებათ საშუალება ხელი შეუშალონ ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების პროცესუალურ უფლებებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებას. სისხლის სამართლის სფეროში შეთანხმება აწესებს ორმხრივი აღიარების პრინციპს, რომელიც ავალდებულებს ევროპის კავშირის წევრი ქვეყნის სასამართლოს აღიაროს და აღასრულოს მეორე წევრი ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება.<sup>56</sup> შეთანხმება ასევე ეხება პოლიციის სფეროში თანამშრომლობას (რელევანტური ინფორმაციის მოძიება, დაცვა, დამუშავება, ანალიზი და გაცვლა) და ვრცელდება ყველა პოლიციისა და სპეციალიზებულ სამართალდამცავ სააგენტოზე<sup>57</sup>. ხელშეკრულება აგრეთვე უშვებს ევროპის საჯარო პროკურატურის შექმნას, თუ ყველა ეროვნული მთავრობა დათანხმდება ასეთი ოფისის შექმნას.<sup>58</sup> პროცესუალურ უფლებებთან დაკავშირებით შეთანხმება ევროპის პარლამენტს და საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას მინიმალური სტანდარტის დასადგენად გამოსცეს დირექტივები, მათ შორის სისხლის სამართლის პროცესში ინდივიდთა და დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა უფლებების შესახებ – იმ პირობით, რომ ღონისძიებები აუცილებელად ორმხრივი აღიარებითი განაჩენებისა და სასამართლო გადანყვეტილებების აღსასრულებლად იქნება მიმართული, და განხორციელდება სისხლის სამართლის სფეროში საზღვრებთაშორის საკითხებზე პოლიციებისა და სასამართლოების თანამშრომლობით.<sup>59</sup> აღნიშნული შეზღუდვის მიუხედავად, ეროვნულ დონეზე სისხლის სამართლის პროცესზე ზეგავლენა არ უნდა დარჩეს შეუფასებელი. ასე მაგალითად, რეგულაცია, რომელიც ეხება ევროპის დაკავების ბრძანებისათვის (EAW) მტკიცებულებების შეგროვებას – არ შეიძლება შეიზღუდოს საზღვრებშორისი საქმეებით, რადგან მტკიცებულების მოპოვების პროცესში შეიძლება არ იყოს ცნობილი, საქმეში ევროპის დაკავების ბრძანების (EAW) გამოცემის შესახებ. თუ მტკიცებულებათა შეკრება არ მოხდა

54 ლისაბონის შეთანხმებამ ცვლილება შეიტანა ევროპის კავშირის შეთანხმებაში და შეთანხმებაში ევროპის თანამეგობრობის დაფუძნების შესახებ, ხელმოწერილია ლისაბონში, 2007 წლის 13 დეკემბერს, 2007/C 306/01. შეთანხმებათა კონსოლიდირებული ვერსიის სანახავედ, იხილეთ ევროპის კავშირის შეთანხმება (TEU) და შეთანხმება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ (TFEU), No. 2008/C 115/01, ევროპის კავშირის ოფიციალური ჟურნალი, C 115, Volume 51, 9 მაისი 2008. სისხლის სამართლის საკითხებზე მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობაზე იხილეთ ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (TFEU) მე-4 თავი.

55 ამასთან ერთად, არსებობს მოლაპარაკების შედეგად დაშვებული გამონაკლისები აღნიშნული წესებიდან. არსებობს პრეზუმფიცია, რომ არც ერთი ახალი ან შეცვლილი, მართლმსაჯულების ან საშინაო საკითხებზე არ იქნება გამოყენებული გაერთიანებული სამეფოს ან ირლანდიის მიმართ და ამ სახელმწიფოებს აქვთ სამი თვე, რომ გადაწყვიტონ, გავრცელდება თუ არა მათზე ეს დებულებები. დანია არ გააგრძელა მასზე მართლმსაჯულების და საშინაო საკითხები. გარდა აღნიშნული გამონაკლისებისა, ევროპის კავშირის წევრების მიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს “გაუთვალისწინებელი მუხრუჭი”, თუ ის თვლის, რომ წარმოდგენილი ღონისძიებები იქონიებენ ფუნდამენტურ ეფექტს მათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე. აღნიშნული ნორმა ვრცელდება ორივეზე - ორმხრივ აღიარებასა და სამართლის არსებით რეფორმაზე. როდესაც “გაუთვალისწინებელი მუხრუჭი” გამოიყენება, საკანონმდებლო პროცესი ჩერდება და საკითხი გადადის განსახილველად ევროპის კავშირის ევროპის საბჭოში. ევროპის საბჭოს აქვს ოთხი თვე, რათა გადაუგზავნოს პროექტი უკან მინისტრთა საბჭოს შეჩერების პროცესის გაუქმებით. თუ ამ ვადაში შეთანხმება არ შედგა საკითხის უკან გადაგზავნის შესახებ და თუ ევროპის კავშირის ცხრა წევრს სურს გააგრძელოს პროექტის განხილვა, მათ შეუძლიათ ეს განახორციელონ პროცედურით, რომელსაც ეწოდება “გაძლიერებული თანამშრომლობა”

56 TFEU-ის 82-ე მუხლი.

57 TFEU-ის 87-ე მუხლი.

58 TFEU-ის 86-ე მუხლი.

59 Art 82(2) TFEU. ამასთან ერთად, ევროპის პარლამენტს და საბჭოს აქვთ კომპეტენცია გამოსცენ დირექტივები მონაწილე სახელმწიფოთა შორის მტკიცებულებათა ომხრივი დასაშვებობის შესახებ. იხილეთ წარმოდგენილი ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივის პროექტი სისხლის პროცესში ადვოკატთა ხელმისაწვდომობის უფლების და დაპატიმრების დროს კომუნიკაციის უფლების შესახებ - გადამუშავებული ტექსტი, 2011/0154(COD).

ევროპის კავშირის შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიქმნება EAW-თან შეუთავსებლობის საშიშროება, მისი შემდგომი გამოცემის შემთხვევაში. მსგავსი არგუმენტი შეიძლება განხილულ იქნეს ეჭვმიტანილ და ბრალდებულ პირთა პროცესუალურ უფლებებთან დაკავშირებით. ეს რელევანტურია სისხლის სამართლის პროცესის გამოძიების ეტაპზე უფლებებთან მიმართებაში, რადგან ამ ეტაპზე ვერ იქნება ცნობილი რამდენად დადგება სხვადასხვა იურისდიქციას შორის თანამშრომლობის საკითხი შემდგომში. ამავე დროს, ეს მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესის მომდევნო ეტაპებზეც, რადგან EAW შეიძლება მოთხოვნილ იქნას სასჯელის შეფარდების შემდეგაც. მეტიც, პროცედურულ უფლებებთან დაკავშირებულ რეგულაციებთან შესაბამისობა შეიძლება რელევანტური იყოს მოქმედებებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ურთიერთალიარების დოკუმენტებთან.<sup>60</sup>

ლისაბონის შეთანხმებამ ცვლილებები შეიტანა TEU-ის მე-6 მუხლში, რათა უზრუნველყო ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის აღიარება, რომელიც თავდაპირველად გაცხადებულ იქნა ევროპის კავშირის ინსტიტუტების მიერ ნიცაში სახელმწიფოთაშორის კონფერენციაზე 2000 წლის დეკემბერში.<sup>61</sup> სამოქალაქო უფლებების სფეროში ქარტია პირდაპირ ადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, უდანაშაულობის პრეზუმციას და ერთი და იმავე დანაშაულისათვის ხელმეორედ მსჯავრდებისგან დაცვის უფლებას. ქარტია იქცა სამართლებრივად სავალდებულოდ იმ შედეგით, რომ ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც მასშია მოცემული, ამოქმედდა ევროპის კავშირის კანონმდებლობასა და ევროპის კავშირის სამართლის ეროვნულ სამართალში იმპლემენტაციასთან მიმართებით. ეს ნიშნავს, რომ ევროპის კავშირმა ერთიან დოკუმენტში პირველად მოუყარა თავი ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებიც ევროპის კავშირის მოქალაქეს შეუძლია სარგებელი მიიღოს. ამასთან ერთად TEU-ს მე-6 (3) მუხლი ახლა ნათლად აცხადებს, რომ ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც გარანტირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით, რაც კონსტიტუციური ტრადიციების შედეგია და, თავის მხრივ, საერთოა ნევრი ქვეყნებისთვის, უნდა შეადგენდეს გაერთიანების სამართლის ზოგად პრინციპებს. საბოლოოდ, ლისაბონის შეთანხმებამ გზა გაუხსნა ევროპის კავშირს ევროპის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენციასთან შეერთებისკენ;<sup>62</sup> რის შედეგადაც ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები ისევე იქნებიან ანგარიშვალდებულნი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს წინაშე ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის ფარგლებში, როგორც ევროპის კავშირის ცალკეული ქვეყნები. შესაბამისად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო უფლებამოსილი იქნება პირდაპირ გამოიყენოს კონვენცია როგორც ევროპის კავშირის სამართლის ნაწილი და ევროპის კავშირის სამართალი უნდა განიმარტოს კონვენციის ჭრილში.<sup>63</sup>

ლისაბონის შეთანხმებამ აგრეთვე გააძლიერა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (ECJ) უფლებამოსილება პროცესუალურ უფლებებთან დაკავშირებით. თვით ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლამდე ECJ-მ გამოიტანა გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის პროცესში დაცვის უფლებებთან

60 მაგალითად, საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება ევროპის კავშირში საპატიმრო სანქციებისა ან მათი აღსრულების მიზნით თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, 2008 წლის 27 ნოემბერი, 2008/909/JHA; და საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება ფინანსური სასჯელების ორმხრივი აღიარების პრინციპის გამოყენების შესახებ, 2005 წლის 24 თებერვალი, 005/214/JHA.

61 TEU-ს მე-6 (1) მუხლის თანახმად: “კავშირი აღიარებს უფლებებს, თავისუფლებებს და პრინციპებს წარმოდგენილს ევროპის კავშირის 2000 წლის 7 დეკემბრის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიაში, რომელიც ადაპტირებულია სტრასბურგში 2007 წლის 12 დეკემბერს, რასაც უნდა ქონდეს იგივე იურიდიული ძალა, როგორც ხელშეკრულებებს”.

62 იხილეთ CDDH-ს არაფორმალური ჯგუფის მერვე სამუშაო შეხვედრა ევროპის კომისიასთან, ევროპის კავშირის მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციასთან შეერთების შესახებ (CDDH-UE): სამართლებრივი ინსტრუმენტების პროექტი ევროპის კავშირის მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციასთან მიერთების შესახებ, CDDH-UE (2011) 16.

63 უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს იურისდიქცია იმ აქტებთან მიმართებაში, რომელიც გამოიცა ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლამდე არ ვრცელდება მართლმსაჯულების და საშინაო საკითხებზე ხუთი წლის განმავლობაში (36-ე ოქმი, მე-10 მუხლი) და ამის შემდეგ თუ გაერთიანებული სამეფო ამ პერიოდის დასრულებამდე ექვსი თვით ადრე აცნობებს საბჭოს იმის თაობაზე, რომ გაფართოებულ უფლებამოსილებას არ იღებს, ეს აქტები შეწყვეტენ მოქმედებას გაერთიანებულ სამეფოში.



დაკავშირებით<sup>64</sup> და მიუთითა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაზე.<sup>65</sup> ლისაბონის შეთანხმების რატიფიცირების შემდეგ, ECJ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პარალელურად, თავის როლს შეასრულებს სისხლის სამართლის პროცესში ინდივიდთა უფლებების შესახებ სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში. მეტიც, ECJ-ის იურისდიქცია ახლა შეზღუდულია TFEU-ის 82-ე მუხლით, რომელიც ანიჭებს ევროპის კავშირს კომპეტენციას გამოსცეს რეგულაციები. TEU-ს მე-6 (3) მუხლი ახლა ნათლად განსაზღვრავს, რომ ფუნდამენტური უფლებები, ისე როგორც ეს გარანტირებულია ევროპის კონვენციით, ისევე როგორც ეს გამომდინარეობს ნევრი ქვეყნებისათვის საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან, წარმოადგენს სამართლის ზოგადი პრინციპების გაერთიანებას. ამის შედეგად, მოცემული პრინციპები შეიძლება მოხმობილ იქნეს ადგილობრივ პროცედურებში, რომელთაც არა აქვს პირდაპირი საზღვრებში კომპონენტი. აღნიშნული ხსნის შესაძლებლობას TFEU-ს მექანიზმების აღსასრულებლად, რომელსაც აქვს განსხვავებული ხასიათი და გავლენა, ვიდრე საჩივრის *ex post* პროცედურას ევროპის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად და რომელიც შეიძლება იყოს დამატებითი მნიშვნელობის მქონე ევროპის სასამართლოს აღსრულების მექანიზმთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის კონვენციამ დაამტკიცა, რომ ის არის ყველაზე ეფექტური საერთაშორისო მექანიზმი ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით<sup>66</sup>, ევროპის სასამართლოს წინაშე დგას სერიოზული პრობლემები, კერძოდ, განსახილველ საქმეთა დიდი რაოდენობა<sup>67</sup> და გადაწყვეტილებათა აღსრულების მექანიზმის სისუსტე. საქმეების დიდი ნაწილი, რომელშიც ევროპის სასამართლო ადგენს დარღვევას, მომდინარეობს ევროპის კონვენციასთან შეუსაბამობიდან და ამ საკითხზე სასამართლოს უკვე ნამსჯელი აქვს.<sup>68</sup> ევროპის კავშირის აღსრულების მექანიზმები ოპერირებენ განსხვავებული გზით. TFEU-ს 267-ე მუხლი ადგენს ECJ-ს ზოგად კომპეტენციას ხელშეკრულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით.<sup>69</sup> ეროვნულ სისხლისსამართლებრივ წარმოებაში ნებისმიერ სასამართლოს თუ ტრიბუნალს აქვს უფლება მოითხოვოს ECJ-სგან, რომ მან გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება შესაბამის საკითხზე. იმ შემთხვევისათვის, როდესაც აღნიშნული საკითხი წარმოიშობა პატიმრობაში მყოფ პირთან დაკავშირებით, ECJ-მ შექმნა სპეციალური პროცედურა განაცხადის დაჩქარებულად განსახილველად.<sup>70</sup> ლისაბონის შეთანხმების მიერ შემოტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, ECJ ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება წინასწარ დასმულ საკითხზე ევროპის კავშირის კანონმდებლობის, ევროპის სასამართლის პრაქტიკის და ECJ-ს მიერ დამოუკიდებლად წარმოებული სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი პრინციპების საფუძველზე.<sup>71</sup> ამასთან ერთად, კომისია უფლებამოსილია შეიტანოს საჩივარი ნევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ თუ მიიჩნევს, რომ მისი მხრიდან

64 იხილეთ კლიპი 2009, ნაწილი II, პარაგრაფი 2.2, რომელიც მოიცავს ფართო მითითებას ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე შემდეგ საკითხებზე - სამართლიანი სასამართლოს, დაცვის უფლებაზე, ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლებაზე, საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობაზე, დუმის უფლებაზე, სახლის ხელშეუხებლობის გარანტიაზე, დასწრების და წარმომადგენლობის უფლებაზე, დამცველის თავისუფლად არჩევის უფლებაზე, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის პრივილეგიაზე, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლებაზე, ეფექტური ანაზღაურების უფლებაზე, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ საქმის განხილვის და დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებაზე.

65 იხილეთ, მაგალითად, ECJ 26 ივნისი 2007, C-305/05, *Ordre des barreaux francophones et germanophone, Ordre français des avocats du barreau de Bruxelles v. Conseil des Ministres*, ECR 2007 I-535, პარაგრაფი 31, და Pupino საქმე, ECJ 16 ივნისი 2005, C-105/03 ECR 2005 I-5285, პარაგრაფები 59-60.

66 იხილეთ ბ-ნი ვიდაპერის სიტყვა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეზიდენტი, 2006 წლის სასამართლო წლის გახსნის ცერემონიაზე.

67 2011 წლის 30 ნოემბრისთვის საერთო განსახილველ საქმეთა რაოდენობა იყო 152,800. იხილეთ <http://www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/Reports+and+Statistics/Statistics/Statistical+data>.

68 2010 წელს ევროპის სასამართლომ გამოიტანა 1,499 გადაწყვეტილება, რომელთა შორის 32,6% დაკვალიფიცირდა, როგორც 1 და 2 დონის მნიშვნელობის. იხილეთ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, წლიური ანგარიში 2010, სტრასბურგი, სასამართლოს რეგისტრატურა, 2011, გვ. 77 <http://www.echr.coe.int>.

69 ლისაბონის შეთანხმებამდე ECJ-ს ქონდა იურისდიქცია გამოეტანა წინასწარი გადაწყვეტილება TEU-ს 35-ე მუხლის საფუძველზე მესამე სვეტი სამართლებრივი ინსტრუმენტების განმარტებაზე. ყველაზე აღსანიშნავი მაგალითია Pupino გადაწყვეტილება, 2005 წლის 16 ივნისი, C-105/03 ECR 2005 I-5285.

70 მუხლები 33-42 მართლმსაჯულების სასამართლოს საინფორმაციო დოკუმენტი ეროვნული სასამართლოებისგან წინასწარ გადაწყვეტილებაზე მიმართების შესახებ (2009/C 297/01), ევროპის კავშირის ჟურნალი, 2009 წლის 5 დეკემბერი, C 297/1.

71 იხილეთ კლიპი 2009, ნაწილი II, პარაგრაფი 2 და ნაწილი 4, პარაგრაფი 10.

არ მოხდა TEU-ით ან TFEU-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.<sup>72</sup> ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება მაშინ, როდესაც პროცედურულ გარანტიებთან დაკავშირებული დირექტივები იქნება მიღებული. წევრი სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის დადგენა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მან ეროვნული კანონმდებლობა მოიყვანოს შეთანხმებასთან შესაბამისობაში. ამასთან ერთად, კომისიამ შეიძლება ECU-ს სთხოვოს ფინანსური სანქციების გამოყენება, თუ წევრი ქვეყანა არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

#### 4.3.2. პროცედურულ უფლებათა „საგზაო რუკა“

ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლამდე ცოტა ხნით ადრე, 2009 წელს შვედეთის პრეზიდენტობის დროს კვლავ წამოსწიეს პროცესუალური უფლებების თემა და წარმოადგინეს „საგზაო რუკა“ სისხლის პროცესში ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების პროცესუალური უფლებების გასაძლიერებლად.<sup>73</sup> შვედეთის პრეზიდენტობის დროსვე წარმოდგენილ იქნა ევროპის საბჭოს რეზოლუციის პროექტი, რომელიც მიიღეს 2009 წლის ნოემბერში.<sup>74</sup> „საგზაო რუკა“ შეტანილ იქნა 2010-2014 წლების სტოკჰოლმის პროგრამაში,<sup>75</sup> რომელიც ევროპის საბჭომ 2009 წლის 11 დეკემბერს მიიღო.<sup>76</sup> ევროპის კომისიის მიერ 2010 წლის აპრილში გამოქვეყნებული „საგზაო რუკის“ იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს იმ საკანონმდებლო პროგრამას და სხვა რიგ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც უნდა დასრულდეს 2014 წლისთვის.<sup>77</sup> ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების პროცესუალური უფლებების დაცვის ევროკავშირის სტანდარტების საჭიროება შვედეთის პრეზიდენტობის დროს ახსნილ იქნა სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის აუცილებლობით, ვინაიდან შიდა საზღვრების მოხსნამ და თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლების ფართოდ გამოყენებამ ბიძგი მისცა დანაშაულებრიობის ზრდას. აღიარებულ იქნა, რომ პროცესუალური უფლებების დაცვის გაძლიერება ხელს შეუწყობს ორმხრივ აღიარებას, ორმხრივი ნდობის გაზრდას და გააძლიერებს მოქალაქეთა რწმენას ევროპის კავშირის მიერ მათი უფლებების და გარანტიების დაცვის თვალსაზრისით. აგრეთვე, აღიარებულ იქნა, რომ მიუხედავად ევროპის კავშირის დიდი პროგრესისა სასამართლოსა და პოლიციის ურთიერთთანამშრომლობის თვალსაზრისით და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების კუთხით, აღნიშნული არ იყო გამყარებული ინდივიდების პროცესუალური უფლებების დაცვის თანაბარი ღონისძიებებით.<sup>78</sup> თანმიმდევრულ მიდგომას უნდა უზრუნველყო საერთო შესაბამისობა და გამოენჯია „ყურადღების გამახვილება ცალკეულ ღონისძიებაზე, რათა თითოეულის ღირებულების გაზრდით ხელი შეეწყოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისთვის“.<sup>79</sup> „საგზაო

72 TFEU-ს 258-ე მუხლი.

73 საგზაო რუკა იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს სისხლის პროცესში ეჭვმიტანილების და ბრალდებულების დაცვა, 2009 წლის 1 ივლისი, 11457/09 DROI PEN 53 COPEN 120. სრული ინფორმაციისთვის საგზაო რუკის წარმოშობის და პირველადი მდგომარეობის შესახებ იხილეთ, მ. ჯიმენო-ბულენს 2010.

74 საბჭოს რეზოლუცია სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილების და ბრალდებულების პროცედურული უფლებების გაძლიერების საგზაო რუკის შესახებ. 2009 წლის 24 ნოემბერი, 15434/09, DROI PEN 149 COPEN 220.

75 იხილეთ დანართი პრეზიდენტობაზე, საბჭოს ცნობა, 2009 წლის 2 დეკემბერი, სტოკჰოლმის პროგრამა - ღია და დაცული ევროპა, რომელიც ემსახურება და იცავს მოქალაქეებს, 17024/09, პარაგრაფი 2.4.

76 ევროპის საბჭო 10/11, 2009 წლის დეკემბერი, დასკვნები, EUCO 6/09.

77 ევროპის მოქალაქეებისთვის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროს წარმოდგენით: სამოქმედო გეგმა სტოკჰოლმის პროგრამის აღსასრულებლად, ბრიუსელი, 2010 წლის 20 აპრილი, COM (2010) 171 fi nal.

78 “მიუხედავად იმისა, რომ პოლიციისა და სასამართლო სფეროში ურთიერთ თანამშრომლობის ერთ-ერთი მიზანი გახლდათ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა, ევროპის კავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულება თითქმის შემოფარგლული იყო მხოლოდ ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც მიმართული იყო გამოძიებაზე, სისხლისსამართლებრივ დევნაზე და ბრალდებულების მსჯავრდებაზე.” (ჰოდსონი, 2011, გვერდი 616)

79 საგზაო რუკა იმ მიზნით რომ მოხდეს სისხლის პროცესში ეჭვმიტანილების და ბრალდებულების დაცვის გაძლიერება, 2009 წლის 1 ივლისი, 11457/09 DROI PEN 53 COPEN 120, პარაგრაფი 11.

რუკის“ საფუძველზე მიღებული საკანონმდებლო ღონისძიებები უნდა იყოს არა მარტო თანმიმდევრული, არამედ შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ევროპის კონვენციის, მისი ოქმების მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებთან, როგორც ეს ინტერპრეტირებულია ევროპის სასამართლოს მიერ.<sup>80</sup> მნიშვნელოვანია ის, რომ 82-ე (2) მუხლში აღნიშნული კვალიფიკაციის მიხედვით „მოცემული ღონისძიებები უნდა იყოს აუცილებელი სისხლის სამართლის საკითხებზე საზღვრებს შორის განაჩენების და სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებების ორმხრივი აღიარების, პოლიციისა და სასამართლოების თანაშრომლობის ხელშეწყობისთვის“. „საგზაო რუკა“ პირდაპირ არ ადგენს მინიმალური უფლებების შესახებ ვალდებულება გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა საქმეში, თუ მხოლოდ ისეთ საქმეებზე უნდა კონცენტრირდეს, რომლებსაც საზღვრებს შორის განზომილება აქვთ. მაგრამ საგზაო რუკის იმპლემენტაცია გაგრძელდა იმის საფუძველზე, რომ ის გამოიყენება მთლიანად სისხლის სამართლის პროცესზე სპეციალური ნორმით EAW საქმეებისთვის. საგზაო რუკა შედგება ექვსი „ღონისძიებისგან“: ღონისძიება A – თარგმანი; ღონისძიება B – უფლებებისა და ბრალდების შესახებ ინფორმაცია; ღონისძიება C – იურიდიული დახმარება და კონსულტაცია; ღონისძიება D – ახლობლებთან, დამსაქმებელთან და საკონსულო სამსახურთან კომუნიკაცია; ღონისძიება E – სპეციალური გარანტიები მოწყვლადი პირებისთვის; ღონისძიება F – მწვანე დოკუმენტი დაკავების საფუძველების გადახედვის უფლების თაობაზე. გათვალისწინებულ იქნა, რომ ყველა ღონისძიება, გარდა F-სა, აღსრულებული იქნებოდა დირექტივების გზით ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე. სისხლის სამართლის პროცესში თარგმანის უფლების შესახებ დირექტივა (დირექტივა თარგმანის შესახებ), რომელმაც ძალა მიანიჭა A ღონისძიებას, მიღებულ იქნა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ 2010 წლის 20 ოქტომბერს.<sup>81</sup> საერთო ჯამში, ეს ავალდებულებს ნევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ, რომ ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირები, რომლებიც ვერ საუბრობენ სისხლის პროცესის ენაზე ან საერთოდ არ ესმით ეს ენა, აღნიშნული პროცესის დროს უზრუნველყოფილი იყვნენ უფასო თარჯიმნით და მნიშვნელოვანი დოკუმენტების თარგმანით (მუხლები 2 და 3). ნევრი ქვეყნები აგრეთვე ვალდებულნი არიან მიიღონ კონკრეტული ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ თარგმანის ისეთი ხარისხი, რომ გარანტირებულ იქნეს პროცესის სამართლიანობა (მუხლი 5) და მოსთხოვონ მოსამართლეების, პროკურორებისა და სასამართლოს აპარატის ტრენინგზე პასუხისმგებელ პირებს, რომ „განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ თარჯიმნის დახმარებასთან დაკავშირებული კომუნიკაციის თავისებურებებს, რათა უზრუნველყონ შედეგიანი და ეფექტიანი კომუნიკაცია“ (მუხლი 6). ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა აამოქმედონ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული წესები, რომ 2013 წლის 27 ოქტომბრისთვის უზრუნველყოფილ იქნეს დირექტივასთან სრული შესაბამისობა.

სისხლის სამართლის პროცესში ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ დირექტივის პროექტი B ღონისძიების აღსასრულებლად, გამოცემულ იქნა 2010 წლის 20 ივლისს და მოსალოდნელია, რომ საკანონმდებლო პროცესი დასრულდეს 2012 წელს.<sup>82</sup> მთლიანობაში დირექტივის პროექტი ითვალისწინებს შემდეგ სამ დამოუკიდებელ უფლებას: უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება (მუხლი 4), დაკავების დროს უფლებების შესახებ წერილობითი სახით ინფორმირების უფლება (უფლებების შესახებ წერილი) (მუხლი 4); ბრალდების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება (მუხლი 6) და საქმის მასალებთან

80 მე-12 პარაგრაფი.

81 ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2010 წლის 20 ოქტომბრის 2010/64/EU დირექტივა სისხლის სამართლის პროცესში თარგმანის უფლების შესახებ. საგზაო რუკის საფუძველზე თითოეული დირექტივის პროექტს წინ უძღვის საჭიროებათა კვლევა. იხილეთ აღნიშნულ დირექტივასთან დაკავშირებით საბჭოს ჩარჩო დირექტივის პროექტი სისხლის სამართლის პროცესში თარგმანის უფლების შესახებ, აღნიშნულ პროექტზე თანდართული: საჭიროებათა კვლევა, ბრიუსელი, 8.7.2009 SEC (2009) 915.

82 სისხლის სამართლის პროცესში ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივის პროექტი, ბრიუსელი, 20.7.2010 COM (2010) 392. საჭიროებათა კვლევისთვის იხილეთ, საჭიროებათა კვლევა თანდართული სისხლის სამართლის პროცესში ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის პროექტი 20.7.2010 SEC (2010) 907. წარმოდგენილი დირექტივის პროექტი დამტკიცებულ იქნა მცირე მოდიფიკაციების შემდეგ ევროპის კავშირის იუსტიციის მინისტრების მიერ 2012 წლის 27 აპრილს, აღნიშნული წიგნის გამოქვეყნებამდე მცირე ხნით ადრე. წარმოდგენილი დირექტივა ინფორმაციის მიღების უფლებაზე კვლევაში აისახა თავდაპირველად გამოქვეყნებული სახით, თუმცა საჭიროა დებულებების გადამოწმება. მაგალითად, შეიცვალა მე-3 მუხლი და ის მოითხოვს, რომ ეჭვმიტანილები და ბრალდებულები ინფორმირებულ იყვნენ უფასო იურიდიული დახმარების მიღების უფლების და დუმის უფლების შესახებ, მაგრამ ამოღებულია მოთხოვნა სასამართლოს წინაშე დაყოვნების გარეშე წარდგენის უფლების ინფორმირების შესახებ.

ხელმისაწვდომობის უფლება (მუხლი 7). ამასთან ერთად, მე-5 მუხლი ითვალისწინებს უფლებას წერილობით ინფორმაციაზე ევროპის დაკავების ბრძანების პროცესების დროს პირის უფლებების შესახებ. უფლებები, რომლის თაობაზე ეჭვმიტანილები და ბრალდებული პირები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, როგორც ეს მე-3 მუხლშია მოცემული, სულ მცირე მოიცავს იურისტიკადი ხელმისაწვდომობის უფლებას, ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლებას (და სადაც ეს მნიშვნელოვანია, საქმის მასალების ხელმისაწვდომობას), თარჯიმნის მომსახურების უფლებას, და უფლებას სასამართლოს წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენის შესახებ, თუ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირი დაპატიმრებულია. ამასთან ერთად, ზემოაღნიშნული ითვალისწინებს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი პროცედურის არსებობა, რომლის მიხედვითაც შემომწდება ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირს რამდენად სრულად მიენოდა მისთვის განკუთვნილი ინფორმაცია (მუხლი 8) და შესაბამის თანამდებობის პირებს რამდენად სათანადო ცოდნა აქვთ იმისათვის, რომ უზრუნველყონ უფლებების შესახებ პირის ადეკვატური ინფორმირება (მუხლი 9).

დირექტივის პროექტი სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის ხელმისაწვდომობისა და დაკავების დროს კომუნიკაციის უფლების შესახებ (იურისტიკის ხელმისაწვდომობის შესახებ დირექტივის პროექტი) გამოცემულ იქნა 2011 წლის 8 ივნისს.<sup>83</sup> ღონისძიება C-ში მითითებულია, რომ იურიდიული დახმარებისა და იურიდიული კონსულტაციის უფლება განხილულ იქნება ერთად და კომუნიკაციის უფლება წარმოდგენილი იქნება ცალკე D ღონისძიებაში. იურიდიული კონსულტაციის უფლება და იურიდიული დახმარების უფლება განცალკევებულ იქნა იმ განზრახვით, რომ ეს უკანასკნელი დარეგულირდებოდა საგზაო რუკის პროგრამაში,<sup>84</sup> ასე რომ წარმოდგენილი დირექტივა მოიცავს იურიდიული კონსულტაციის უფლებას კომუნიკაციის უფლებასთან ერთად. ზოგადად, წარმოდგენილი დირექტივა ითვალისწინებს ადვოკატთან ხელმისაწვდომობის უფლებას იმ მომენტიდან, როდესაც პირს ეცნობება, რომ ის ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, მათ შორის, უფლებას ადვოკატის დასწრებაზე ნებისმიერი დაკითხვის თუ სასამართლო განხილვის დროს (გარკვეულ პირობებში ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების პირობით), ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის გარანტიით (მე-2, მე-3, მე-4, მე-7 და მე-8 მუხლები). EAW-ს პროცედურებში შემოთავაზებულია, რომ პროცესის ობიექტს აქვს ადვოკატის ყოლის უფლება წევრ სახელმწიფოში (მე-11 მუხლი). პირებს, რომლებიც არ არიან ეჭვმიტანილები და ბრალდებულები, რომელთა „მოსმენა“ ხდება პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ აგრეთვე აქვთ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება (მე-10 მუხლი). ამასთან ერთად, შემოთავაზებულია, რომ თავისუფლებაზე ზღუდულ ეჭვმიტანილებს და ბრალდებულებს კომუნიკაციის უფლება აქვთ, სულ მცირე, ერთ დასახელებულ პირთან (ბავშვის შემთხვევაში, მისი სამართლებრივი წარმომადგენელი ან ვინმე სრულწლოვანი უნდა იყოს ინფორმირებული თავისუფლების შეზღუდვის შესახებ); არამოქალაქეებს უფლება აქვთ, რომ მათზე ინფორმირებული იყოს საკონსულო ან დიპლომატიური წარმომადგენლობა და ჰქონდეთ მათთან კომუნიკაციის უფლება (მუხლი 6). დირექტივით გათვალისწინებული უფლების დარღვევის შემთხვევაში განსაზღვრულია ისეთი ეფექტური სისტემა, რომელიც პირს ჩააყენებს ისეთივე მდგომარეობაში, რომელშიც იქნებოდა დარღვევის არარსებობისას (მუხლი 13). მიუხედავად იმისა, რომ უფასო იურიდიული დახმარება არ იქნა გათვალისწინებული წარმოდგენილ დირექტივაში, პროექტი წევრ ქვეყნებს შორის კამათის საგანი გახდა. კერძოდ კი, დებატები მიმდინარეობდა შემდეგ საკითხებზე: რა მომენტში წარმოიშობა იურიდიული კონსულტაციის უფლება; რამდენად უნდა გამოიყენებოდეს უფლება იმ პირების მიმართ, რომლებიც არ დაუკავებიათ (“მოხალისეები” ან მოწმეები); შესაბამისი საჯარო მოხელეებისა და ეჭვმიტანილი/ბრალდებული პირების მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების პროცესში არსებული ვალდებულებები და უფლების დარღვევის შემთხვევაში დაკმაყოფილების

83 ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის პროექტი სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის ხელმისაწვდომობისა და დაკავების დროს კომუნიკაციის უფლების შესახებ, ბრიუსელი, 2011 წლის 8 ივნისი, COM (2011) 326 final. საჭიროებათა კვლევისათვის, იხილეთ საჭიროებათა კვლევა თანდართული ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის პროექტზე სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის ხელმისაწვდომობისა და დაკავების დროს კომუნიკაციის უფლების შესახებ, ბრიუსელი, 8.6.2011, SEC (2011) 686.

84 ამ დროისთვის ხდება C ღონისძიების იურიდიული დახმარების ელემენტის შედეგობრივი კვლევა.



მექანიზმები.<sup>85</sup> წარმოდგენილ დირექტივაზე მიმდინარე დისკუსიების თვალსაზრისით, ქვემოთ მოცემულ ანალიზში მითითება იქნება დირექტივის ორიგინალურ გამოქვეყნებულ ვერსიაზე.

ლონისძიება E, რომელიც ეხება სპეციალურ გარანტიებს ბავშვების ან სხვაგვარად მონყვლადი ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულებისთვის (მაგალითად ფსიქიკურად დაავადებული პირები), დღესდღეობით საჭიროებათა კვლევის ობიექტია, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს. ევროპის კომისიამ 2011 წლის ივნისში F ლონისძიების საფუძველზე გამოსცა მწვანე დოკუმენტი თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ნათელი, რა ლონისძიების მიღებას გეგმავს ევროპის კავშირი წინასწარი პატიმრობის თაობაზე.<sup>86</sup>

## 5. დასკვნა

სისხლისსამართლისმართლმსაჯულებისსფეროშიდა, კონკრეტულად, ეჭვმიტანილებისდაბრალდებულების პროცესულურ უფლებებთან დაკავშირებით კვლევის შედეგები ხშირად საკამათოა. შეხედულებები და მიდგომები სისხლის სამართლის კანონის დარღვევაში ბრალდებული პირების მიმართ მოპყრობაზე ხშირად ემყარება შეხედულებებს, განწყობებს, ეროვნული იდენტობისა და სახელმწიფოებრიობის კონცეფციებს. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა და შესაბამისი პროცესები, უპირველეს ყოვლისა, ისტორიისა და კულტურის დინამიკური პროდუქტია, რაც ძალზედ სფეციფიკურია კონკრეტული ქვეყნებისა თუ იურისდიქციებისთვის.<sup>87</sup> ამის ერთ-ერთი შედეგი გახლავთ ის, რომ სისხლის სამართლის პროცესი უცხო იურისდიქციებში ხშირად მიიჩნევა როგორც „უცნაური“, თუ არა „უსამართლო“. ეს არის გაგება, რომელიც ხშირად დაფუძნებულია არასრულ ინფორმაციაზე და ეროვნული თავისებურებების შესახებ სტერეოტიპულ შეხედულებებზე.<sup>88</sup> ამის საპირისპიროდ, კონკრეტული იურისდიქციის გადმოსახედიდან, სისხლის სამართლის პროცესი ხშირად მიიჩნევა როგორც „ბუნებრივი“ და „ჩვეულებრივი“; ის ასახავს უძველეს ნორმებსა და ღირებულებებს, რაც, თავის მხრივ, წარმოაჩენს აღიარებულ წარმოდგენებს ეროვნულ ხასიათზე. ამ მსგავსების საერთო შედეგი არის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფენომენისა და პროცესის შესახებ კრიტიკული აზროვნებისა და კვლევის არარსებობა. ევროპული სტანდარტების საზომად გამოყენებით და რაც შეიძლება მკაცრი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებით, შეზღუდული დროისა და რესურსების პირობებში, მოცემულ წიგნში წარმოდგენილი კვლევის ავტორები შეეცადნენ თავიდან აეცილებინათ აღნიშნული პრობლემები. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემები და პროცესები ამავე დროს არის კომპლექსური, რთული და, სულ მცირე, ზედაპირულად ცვალებადი. ამის გამო, ზოგიერთი ჩვენი დასკვნა შეიძლება სადაო გახდეს. ეს, ჩვენი მოსაზრებით, დადებითი მახასიათებელია. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები წარმოშობს არგუმენტებს და დებატებს. ეს აუცილებელი პროცესია იმისათვის, რომ უკეთ იქნეს გაგებული ის ფენომენი, რასაც ჩვენ აღვწერთ და განხორციელებულ იქნას ცვლილებები პროცესულური უფლებების გასაუმჯობესებლად და მართლმსაჯულების უკეთესი სტანდარტის მისაღწევად.

85 იხილეთ, მაგალითად, ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივის პროექტი სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების და დაპატიმრების დროს კომუნიკაციის უფლების შესახებ, ბრუსელი, 2011 წლის 21 ოქტომბერი, 2011/0154 (COD), ანარიშის პროექტი ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივის პროექტზე სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების და დაპატიმრების დროს კომუნიკაციის უფლების შესახებ, 7.2.2012, 2011/0154 (COD).

86 ევროპის მართლმსაჯულების სფეროში ურთიერთ ნდობის გამტკიცებისათვის - მწვანე დოკუმენტი თავისუფლების აღკვეთის სფეროში ევროპის კავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კანონმდებლობის გამოყენების შესახებ, 2011 წლის 12 ივნისი, COM (2011) 327 final.

87 არსებობს ვრცელი ლიტერატურა ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ იხილეთ, მაგალითად, დელმას-მარტი და სპენსერი, 2002, განსაკუთრებით 1 თავი და ჰოდგსონი 2005

88 იხილეთ ფიელდი 2006, გვერდი 525.

## 6. პიპლოგრაფია

### ნიგნები და კვლევითი ანგარიშები

#### ბარდი 2008

ბარდი, კ. სამართლიანობა სისხლის სამართლის პროცესში, ბუდაპეშტი: უნგრეთი ოფიციალური ჟურნალის გამომცემელი, 2008;

#### კეიპი et al. 2007

კეიპი, ე. ჰოდგსონ, ჯ. პრაკენ, ტ. და სპრონკენ, ტ., *ექვმიტანილები ევროპაში*, ანტვერპენ: ინტერსენტია, 2007

#### კეიპი et al. 2010

კეიპი, ე., ნამორაძე, ზ., სმიტი, რ. და სპრონკენ, ტ., ეფექტური სისხლისამართლებრივი დაცვა ევროპაში, ანტვერპენ: ინტერსენტია, 2010.

#### დალმას-მართი და სპენსერი 2002

დალმას-მართი, მ. და სპენსერ, ჯ., ევროპის სისხლის სამართლის პროცესი, კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 2002.

#### ჰოდგსონი 2005

ჰოდგსონი, ჯ. საფრანგეთის სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, ოქსფორდი: ჰარტის გამომცემლობა, 2005

#### ჯექსონი et al. 2008

ჯექსონი, ჯ., ლანგერ, მ. და ტილერს, პ., დანაშაული, პროცესი და მტკიცებულებები შედარებით და საერთაშორისო კონტექსტში, ოქსფორდი: ჰარტის გამომცემლობა, 2008.

#### კლიპ 2009

კლიპ, ა., ევროპის სისხლის სამართალი, ანტვერპენი: ინტერსენტია, 2009

#### კლიპ 2012

კლიპ, ა., ევროპის სისხლის სამართალი, ანტვერპენი: ინტერსენტია, 2012.

#### მიტსილეგას 2009

მიტსილეგას, ვ., ევროპის კავშირის სისხლის სამართალი, ოქსფორდი: ჰარტის გამომცემლობა, 2009

#### ოსფ 2012

ღია საზოგადოების ფონდები, წინასასამართლო მართლმსაჯულების გაუმჯობესებისთვის: იურისტთა და პარალელგალთა როლი, ნიუ-იორკი: ღია საზოგადოების ფონდები, 2012

#### რეიჩელ 2005

რეიჩელ, პ., შედარებითი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემები, ნიუ ჯერსი: პეარსონ, 2005

#### სამმერს 2007

სამმერს, ს., სამართლიანი პროცესები: ევროპის სისხლის სამართლის საპროცესო ტრადიციები და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, ოქსფორდი: ჰარტის გამომცემლობა, 2007.

#### ტრესჩსელ 2005

ტრესჩსელ, ს., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2005.

### **ტუინსტრა 2009**

ტუინსტრა, ჯ., დაცვის ადვოკატი საერთაშორისო სისხლის სამართალში, ჰააგა: ტ.მ.ს. ასსერ პრესა, 2009.

### **ტილერ 2006**

ტილერ, ტ., რატომ ემორჩილება კანონს ხალხი, პრინსტონი: პრინსტონის უნივერსიტეტის პრესა, 2006.

### **ვერმეულენ და ბან პუნბროეკი 2010**

ვერმეულენ, გ., და პუნბროეკი, ლ., ევროპის კავშირის სისხლის სამართლის პროცესში ფარგლებში ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების პროცესუალური სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანა და ორმხრივი აღიარება, კულს, მ., et al., ევროპის კავშირის და საერთაშორისო დანაშაულის კონტროლი, ანტვერპ: მაკლუ, 2010.

### **ვერნიმენ-ვან გიგელენ და სურანო 2008**

ვერნიმენ-ვან გიგელენ, გ. და სურანო, ლ., ევროპის კავშირში სისხლის სამართლის საკითხების ორმხრივი აღიარების მომავლის ანალიზი, ბრიუსელი: DG მართმსაჯულების და შიდა საკითხები, 2008, იხილეთ at [http://ec.europa.eu/justice\\_home/doc\\_centre/criminal/recognition/docs/mutual\\_recognition\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice_home/doc_centre/criminal/recognition/docs/mutual_recognition_en.pdf).

### **ვერნიმენ-ვან გიგელენ, სურანო და ვეიმბერგი 2009**

ვერნიმენ-ვან გიგელენ, გ., სურანო, ლ. და ვეიმბერგი, ა., ევროპის კავშირში სისხლის სამართლის საკითხების ორმხრივი აღიარების მომავლის ანალიზი, ბრიუსელი: ბრიუსელის უნივერსიტეტი, 2009.

### **ვოგლერი 2005**

ვოგლერი, რ., სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მსოფლიო ხედვა, ალდერშოტ: აშგეიტ, 2005

### **სტატიები ჟურნალებში**

#### **ფიელდ 2006**

ფიელდ, ს., „სახელმწიფო, მოქალაქე და ხასიათი საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში“, 33, სამართლისა და საზოგადოების ჟურნალი, 33 (4), 2006, გვერდები 522–546.

#### **ჰოდგსონი 2011**

ჰოდგსონი, ჯ., „ეჭვმიტანილთა უფლებების დასაცავად ევროპაში: შედარებითი პერსპექტივა“, ახალი სისხლის სამართლის მიმოხილვა, 14 (4), 2011, გვერდები 611–665.

#### **ჯიმენო-ბულნეს 2010**

ჯიმენო-ბულნეს, მ., ევროპის კავშირში სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა უფლებების საერთო სტანდარტებისკენ?, CEPS „თავისუფლება და უსაფრთხოება ევროპაში“, სერია, 2010, ხელმისაწვდომია [www.ceps.eu](http://www.ceps.eu).

#### **ოფიციალური წყაროები**

##### **კარლოვეი 2011**

კარლოვეის მიმოხილვა: ანგარიში და რეკომენდაციები, ედინბურგი: კარლოვეის მიმოხილვა, 2011, ხელმისაწვდომია <http://www.scotland.gov.uk/About/CarlowayReview>.

#### **სისხლის სამართლის პროცესში თარგმანის უფლების შესახებ ჩარჩო გადანყვეტილების პროექტი: საჭიროებათა კვლევა 2009**

სისხლის სამართლის პროცესში თარგმანის უფლების შესახებ ჩარჩო გადანყვეტილების პროექტი: საჭიროებათა კვლევა, ბრიუსელი, 8.7.2009 SEC (2009) 915.

**სისხლის სამართლის პროცესში თარგმანის უფლების შესახებ ჩარჩო გადანყვეტილების პროექტი:  
საჭიროებათა კვლევა 2010**

სისხლის სამართლის პროცესში თარგმანის უფლების შესახებ ჩარჩო გადანყვეტილების პროექტი:  
საჭიროებათა კვლევა, ბრიუსელი, 20.7.2010 SEC (2010) 907.

**ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივის პროექტი სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატთან  
ხელმისაწვდომობის შესახებ და მესამე პირებისთვის დაკავების ინფორმირების უფლების შესახებ:  
საჭიროებათა კვლევა 2011**

ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივის პროექტი სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატთან  
ხელმისაწვდომობის შესახებ და მესამე პირებისთვის დაკავების ინფორმირების უფლების შესახებ:  
საჭიროებათა კვლევა 2011, ბრიუსელი, 8.6.2011SEC (2011) 686.

**სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში იურიდიული დახმარებისადმი  
ხელმისაწვდომობის გაძლიერების შესახებ ღია სახელმწიფოთაშორისი ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში  
2011**

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში იურიდიული დახმარებისადმი ხელმისაწვდომობის  
გაძლიერების შესახებ ღია სახელმწიფოთაშორისი ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში, რომელიც გაიმართა ვენაში  
16-18 ნოემბერს, 2011, E/CN.15/2012/24, წარმოდგენილი გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის  
სამართლის მართლმსაჯულების კომისიის წინაშე, 21-ე სესიაზე, ვენა, 22-26 აპრილი, 2012.



## თავი 2.

# ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის სტანდარტები

### 1. შესავალი

ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ჩვენეული მიდგომა წარმოდგენილია პირველ თავში, სადაც ვამტკიცებთ, რომ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა არის სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილი. ნებისმიერ იურისდიქციაში ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის წინაპირობა არის კონსტიტუციური და საკანონმდებლო სტრუქტურა, რომელიც, როგორც მინიმუმ, შეესაბამება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის და ევროპის სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს, აგრეთვე ევროპის კავშირის მიერ სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების პროცესუალური უფლებების შესახებ სტანდარტებს.

ამასთან ერთად, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად კონსტიტუციური და საკანონმდებლო სტრუქტურა უნდა გაძლიერდეს რეგულაციებით და პრაქტიკით, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული უფლებების „პრაქტიკულობასა და ეფექტურობას“. აღნიშნული თავის ფუნქცია არის ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციისა და ევროპის კავშირის სტანდარტების განხილვა დაცვის უფლებებთან მიმართებაში, რომლებიც, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და რომელთა განხილვა ხუთ იურისდიქციაში გახლავთ სწორედ წარმოდგენილი კვლევის საგანი.

### 2. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის სტანდარტების ანალიზი

ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციისა და ევროპის კავშირის სტანდარტების ანალიზის დროს სტრუქტურული კვლევისთვის შესაძლებელია სხვადასხვა მიდგომების გამოყენება. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია განმარტავს სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებას თავისი კონკრეტული უფლებებით, რაც მოცემულია მე-6 (3) მუხლში. ეს მუხლი აერთიანებს ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტებს, რომლებიც მხედველობაში მიიღება იმის გაანალიზებისას, თუ რამდენად სამართლიანია პროცესი ერთიანობაში. უფლებები, რომლებიც წარმოიშევა დაპატიმრებისა და დაკავების დროს მოცემულია ცალკე მე-5 მუხლში, თუმცა სამართლიანი

სასამართლოს პრინციპები და, კონკრეტულად, უდანაშაულობის პრეზუმფცია ვრცელდება იმის დადგენის პროცესშიც, უნდა დარჩეს თუ არა პირი წინასწარ პატიმრობაში.<sup>89</sup> მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებები აგრეთვე წარმოიშვება დაპატიმრების ან დაკავების დროს და ზოგჯერ გამოიყენება მაშინაც, როცა დაპატიმრებას ადგილი არ აქვს (იხილეთ მე-3 ნაწილი ქვემოთ). ევროპის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას (47-ე მუხლი) და უდანაშაულობის პრეზუმფციას (48-ე მუხლი), მაგრამ ზოგადად ნაკლებად კონკრეტულია უფლებების წარმოდგენაში, ვიდრე ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია. ევროპის კავშირის „საგზაო რუკა“ (იხილეთ თავი 1, ნაწილი 4.3.2.) პირდაპირ მონოდეტულია ექვმიტანილებისა და ბრალდებული პირების პროცესუალურ უფლებებზე სტანდარტების გაძლიერებისკენ, რათა უზრუნველყოფილ იყოს სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანობა და გაიზარდოს ურთიერთნდობა და რწმენა. საგზაო რუკის საფუძველზე კანონმდებლობა დეტალურად განსაზღვრავს როგორც უფლებებს, ასევე მინიმალურ ვალდებულებებს აღნიშნული უფლებების აღსასრულებლად. რადგან ჩვენი მიზანია ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვანი ელემენტების შესაბამისი სტანდარტების იდენტიფიცირება და განხილვა, როგორც ეს გამომდინარეობს სამართლიანი პროცესისაგან *per se*, მოცემულ თავში წარმოდგენილი ანალიზი სტრუქტურირებულია იმდაგვარად, რომ ყურადღების გამახვილება სწორედ აღნიშნულ ელემენტებზე მოხდეს. დასაწყისში მოცემულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების ანალიზი, მათ შორის განხილულია დაპატიმრების და დაკავების მიზეზებისა და მტკიცებულებების შესახებ (საქმის მასალების) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება. მე-5 (2) და მე-6 (3)(ა) მუხლები ითვალისწინებენ მთელ რიგ ვალდებულებებს ზემოაღნიშნული უფლებებთან მიმართებაში, მაგრამ პირდაპირ არ უთითებენ მესამე უფლებაზე, რომელიც შეიძლება მოძიებულ იქნეს ევროპის კავშირის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების თაობაზე წარმოდგენილ დირექტივაში. ამის შემდგომ, ჩვენ განვიხილავთ პირის მიერ საკუთარი თავის დაცვის უფლებას, მათ შორის იურიდიული დახმარების და უფასო იურიდიული დახმარების უფლებებს. აღნიშნული უფლებები განხილულია სხვა უფლებებისგან გამოცალკევებით, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ ევროპის კავშირის ორი დირექტივის ცალკეულ თემებს, მაგრამ უფრო მეტად იმიტომ, რომ ჩვენ მათ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის არსებითად მივიჩნევთ. პირი, რომელმაც არ იცის მისი უფლებების შესახებ – ვერ გამოიყენებს მათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული უფლებები თავისთავად ადეკვატურია. პირს, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა ან რომელსაც ხელი არ მიუწვდება იურიდიულ რჩევაზე ან დახმარებაზე, არც ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დაცვაზე მიუწვდება ხელი – რაც უნდა სამართლიანი იყოს სისხლის პროცესის სხვა ასპექტები. ანალიზის შემდგომი ეტაპი არის პროცესუალური უფლებების სტანდარტების განხილვა, კერძოდ: უდანაშაულობის პრეზუმფცია და დუმილის უფლება; საქმის განხილვის პროცესში გათავისუფლების უფლება; პირის დასწრებით საქმის განხილვის უფლება და მონაწილეობის უფლება; დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება და გასაჩივრების უფლება. შეიძლება დავა იმასთან დაკავშირებით, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება ფუნდამენტური უფლებაა და არა „მარტო“ პროცესუალური, რაც გამოხატულია იმითაც, რომ ის წარმოდგენილია როგორც ცალკე უფლება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6(2) მუხლში. ის ფაქტი, რომ ჩვენ უდანაშაულობის პრეზუმფციას განვიხილავთ პროცესუალურ უფლებად არ ნიშნავს იმას, რომ არ მივიჩნევთ მას ფუნდამენტურ უფლებად. ჩვენ მას ვაანალიზებთ პროცესუალური კუთხით და გვაინტერესებს პრეზუმფციის პრაქტიკული გავლენა სხვა პროცესუალურ უფლებებზე.

ანალიზის მესამე და ბოლო ეტაპი ეხება უფლებებთან დაკავშირებულ იმ სტანდარტებს, რომლებიც ხელს უწყობს ან აძლიერებს ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დაცვას. აქვე განხილულია ექვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ საქმის გამოძიების უფლება, დაცვის მომზადებისთვის ადეკვატური დროისა და საშუალებების ხელმისაწვდომობის უფლება, მონმეთა მონვევისა და დაკითხვის თვალსაზრისით მხარეთა თანასწორობის უფლება და თარჯიმნის მომსახურების უფლება.

89 ECtHR 6 თებერვალი 2007, Garycki v. Poland, No. 14348/02, გვერდები 71–72.

### 3. „სისხლის სამართლის პროცესი“ და „სისხლის სამართლის ბრალდება“

კვლევის მიზნებისთვის ჩვენ მხედველობაში მივიღეთ თითოეული იურისდიქციის სისხლის სამართლის პროცესის კლასიფიკაცია და არ შეგვისწავლია ის სამართალწარმოებები, რომლებიც ასეთად არ არიან კლასიფიცირებულნი. თუმცა, რამდენად ითვლება კონკრეტული წარმოება სისხლის სამართლის პროცესად სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, თავისთავად მნიშვნელოვანი საკითხია. ევროპის კავშირის წევრი ქვეყნები და ევროპის კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები წარმოების სისხლის სამართლის პროცესად განსაზღვრისათვის სხვადასხვა მიდგომას იყენებენ. ზოგიერთი სახელმწიფო მიჯნავს სისხლისა და ადმინისტრაციულ პროცესებს, სხვა სახელმწიფოები კი ირჩევენ „მესამე გზის“ მიდგომას, როდესაც გარკვეული წარმოებები, მიუხედავად სისხლის სამართლის პროცესის მახასიათებლებისა, ადგილობრივ დონეზე მიჩნეულია სამოქალაქო პროცესად. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი განსხვავებულია იურისდიქციებში, მაგრამ მათ უმეტესობას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი ბავშვის მიერ ჩადენილი „კრიმინალური“ ქმედების შემთხვევაში აქვს სპეციალური მექანიზმი, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის პროცესის გარკვეულ მახასიათებლებს.

ევროპის კავშირის საგზაო რუკა მიუთითებს „სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილების და ბრალდებული პირების პროცესუალურ უფლებებზე“ ამ ტერმინის განმარტების გარეშე და დღემდე მიღებულ დირექტივებშიც მსგავსი მიდგომაა არჩეული.<sup>90</sup> ამის მიუხედავად, ევროპის კავშირის შეთანხმების (TEU) მე-6 (3) მუხლის მიხედვით: „ძირითადი უფლებები, როგორც ეს გარანტირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენციით და როგორც ისინი გამომდინარეობენ წევრი ქვეყნების კონსტიტუციური ტრადიციებიდან, წარმოადგენენ ევროპის კავშირის სამართლის ზოგად პრინციპებს“. ევროპის კონვენციის მნიშვნელობა ევროპის კავშირის კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას გამყარებულია ევროპის კავშირის ევროპის კონვენციასთან მიერთების ფაქტითაც. ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია ითვალისწინებს „ბრალდებულ“ პირთა უფლებებს<sup>91</sup>, აგრეთვე უთითებს „სისხლის სამართლის პროცესზე“<sup>92</sup>. ამასთან ერთად, ქარტიის 52 (3) მუხლი ადგენს, რომ ქარტით დადგენილი უფლებები, რომლებიც ასევე მოცემულია ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენციაში, თავისი შინაარსითა და ფარგლებით კონვენციაში წარმოდგენილი უფლებების იდენტური უნდა იყოს. შესაბამისად, თუ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს „სისხლის სამართლის პროცესის“ მნიშვნელობას და ევროპის კავშირის დირექტივის ან ქარტიის მიზნებისთვის განმარტავს ტერმინებს, იგი ვალდებული იქნება დაეყრდნოს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკას.<sup>93</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია არ ითვალისწინებს „სისხლის სამართლის პროცესის“ დეფინიციას. მე-6 (1) მუხლი ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმფციას, სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებას „ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალდების“ დადგენის დროს და იმას, რომ მე-6 (3)(c) მუხლით გათვალისწინებული უფლებები ვრცელდება ყველაზე, ვინც „ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში“. შესაბამისად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს უნდა განეხილა ორი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული საკითხი – რა იგულისხმება „სისხლის

90 ამავე დროს იხილეთ ნაწილი 21 ევროპის კავშირის დირექტივის ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ, 27 აპრილი, 2012 წელი. TFEU-ს 82-ე მუხლი აგრეთვე უთითებს „სისხლის სამართლის საკითხებს“ და „სისხლის სამართლის პროცესს“ ტერმინოლოგიური განმარტების გარეშე.

91 ასე მაგალითად, 48-ე (1) მუხლი ითვალისწინებს, რომ „ყველა, ვინც ბრალდებულია ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის საფუძველზე“.

92 50-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ „არავინ არ უნდა გასამართლდეს ან დაისჯოს სისხლის სამართლის პროცესში იმ დანაშაულისთვის, რომელზეც პირი უკვე საბოლოოდ გამართლდა ან მსჯავრდებულ იქნა კავშირის ფარგლებში კანონით დადგენილი წესით.“

93 მიუხედავად იმისა, რომ 52 (3) მუხლი ითვალისწინებს, რომ შინაარსი და ფარგლები უნდა იყოს „იგივე როგორც“ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაშია, ის დამატებით აცხადებს რომ „აღნიშნულმა ნორმამ არ უნდა შეზღუდოს გაერთიანების სამართლის მხრიდან უფრო ფართო დაცვის არსებობა“

სამართლის“ და „ბრალდების“ ქვეშ. იმის დადგენის საჭიროება, თუ რამდენად ითვლება „დარღვევა“ (და მასთან დაკავშირებული პროცესი) სისხლის სამართლის დარღვევად და რა რისკებია ამ პროცესში, კარგად ჩანს სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე *Ozturk*.<sup>94</sup>

კონვენცია ხელს არ უშლის სახელმწიფოებს მათ მიერ საჯარო ინტერესის დაცვის ფუნქციის განხორციელებაში, როგორც ადგილობრივი სამართლის მიზნებისთვის სხვადასხვა სამართალდარღვევების კატეგორიების შექმნისა თუ შენარჩუნების, ისევე მათ შორის განმასხვავებელი ხაზის გავლების თვალსაზრისით, მაგრამ იგი სახელმწიფოების მიერ დადგენილ კლასიფიკაციას არ მიიჩნევს კონვენციის მიზნებისთვის გადამწყვეტად.

ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე გათვალისწინებული სისხლის სამართლის დარღვევათა კატეგორიიდან გარკვეულ ქმედებათა ამოღებით, კანონშემოქმედს შეუძლია ინდივიდთა ინტერესების სასარგებლოდ იმოქმედოს, მათ შორის ეფექტური მართლმსაჯულების ადმინისტრირების ინტერესების საჭიროების სასარგებლოდ. კერძოდ, თუ სასამართლო ორგანოები შესაბამისად გათავისუფლებიან იმ ვალდებულებისგან, რომ განახორციელონ სისხლისსამართლებრივი დევნა და დასაჯონ მრავალი, მაგრამ ნაკლები მნიშვნელობის მქონე საგზაო მოძრაობის წესების დარღვევები. კონვენცია არ ეწინააღმდეგება მოქმედებებს „დეკრიმინალიზაციის“ მიმართულებით, რომელთაც აქვს ადგილი – განსხვავებული ფორმით – ევროპის საბჭოს სხვადასხვა წევრ ქვეყანაში. სახელმწიფოები საკმაოდ მართებულად ამტკიცებდნენ ამ მოსაზრებას. ამის მიუხედავად, თუ ხელმომწერ სახელმწიფოებს მიეცემათ დისკრეტია მოახდინონ სამართალდარღვევის კლასიფიკაცია როგორც „ჩვეულებრივი“ და არა სისხლის სამართლის გადაცდომა, რათა გამორიცხონ მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული ფუნდამენტური ნორმების მოქმედება, ამ ნორმების მოქმედება დაექვემდებარება მათ სუვერენულ ნებას. აღნიშნული მიდგომის ასე ფართოდ გავრცელებას შეიძლება მოჰყვეს კონვენციის ამოცანასთან და მიზანთან შეუსაბამობა.

შესაბამისად „სამართალდარღვევის“ ადგილობრივი კლასიფიკაცია, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის შესაბამისად არ არის მისი სისხლის სამართლის დარღვევად კლასიფიკაციისთვის გადამწყვეტი. ტრეჩსელის კომენტარის შესაბამისად, „სასამართლო არ დაუშვებს რაიმე „ხრიკს“, რომლითაც ადგილობრივი კანონმდებელი შეეცდება მე-6 მუხლის გამოყენების თავიდან არიდებას.“<sup>95</sup> საკუთარ გადაწყვეტილებაში საქმეზე *Engels*,<sup>96</sup> რომელიც მას შემდეგ ხშირად არის მითითების საგანი, ევროპის სასამართლომ გამოყო სამი ფაქტორი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს იმის დასადგენად, თუ რამდენად არის პირი *სისხლის სამართლის ბრალდების* ობიექტი:

- ადგილობრივი კლასიფიკაცია – თუ როგორ არის აღნიშნული კლასიფიცირებული კონკრეტულ იურისდიქციაში;
- „სამართალდარღვევის“ ხასიათი;
- შესაძლო სასჯელის ხასიათი და სიმძიმე.

შესაბამისად, ნებისმიერ კონკრეტულ იურისდიქციაში ბრალდების (და მასთან დაკავშირებული პროცესის) „სისხლისსამართლებრივად“ განსაზღვრა ევროპის კონვენციასთან (და როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირის პროცესუალური უფლებების ინსტრუმენტებთან) შესაბამისობის მიზნით, მარტივი ამოცანა არ არის; ვინაიდან იგი მოითხოვს შესაბამისი ფაქტორების და მათ შორის კავშირის ინტერპრეტაციის მნიშვნელოვან ხარისხს. მართალია, მოცემული ანალიზი აქ დამატებით არ გრძელდება, თუმცა იმის

94 ECtHR 21 თებერვალი 1984, *Ozturk v. Germany*, No. 8544/79, გვერდი 49.

95 ტრეჩსელი 2006, გვერდი 15.

96 (1979–80) 1 EHRR 706.

დადგენა, თუ რამდენად არის ბრალდება (ან პროცესი) სისხლისსამართლებრივი, მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკრეტულ იურისდიქციაში კანონის და პროცესის ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციისა და ევროპის კავშირის პროცესუალური უფლებების შესახებ ინსტრუმენტებთან შესაბამისობის განსასაზღვრად.<sup>97</sup> „სისხლისსამართლებრივი პროცესის“ დეფინიციის გამოყენებისას ევროპის კავშირის პროცესუალური უფლებების შესახებ ამ დრომდე გამოცემული დოკუმენტები მეტწილად თავს არიდებდნენ „სისხლის სამართლის ბრალდების“, როგორც პროცესუალური უფლებების წარმოშობის<sup>98</sup> წინაპირობის გამოყენებას. ამის მიუხედავად, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის თანახმად, სისხლისსამართლებრივი ბრალდება გახლავთ წინაპირობა მე-6 (2) და (3) მუხლში მოცემული სამართლიანი სასამართლოს ყველა უფლებისთვის. ტერმინის თარგმანთან დაკავშირებული სირთულეების დაშვების შემთხვევაშიც კი, „ბრალდებას“ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა იურისდიქციაში. მეტიც, როგორც სასამართლომ პირდაპირ აღიარა, იმისათვის, რომ პროცესი იყოს სამართლიანი, აუცილებელია გარკვეული უფლებები ეფექტური იყოს „ბრალდებამდე“, როგორც ეს აღიარებულია იურისდიქციების უმრავლესობაში. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ შეიმუშავა „ბრალდების“ ავტონომიური დეფინიცია, რასაც თანმიმდევრულად იყენებდა მრავალი წლის განმავლობაში.

„ბრალდება“ მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის მიზნებისთვის შეიძლება განისაზღვროს როგორც „კომპეტენტური ორგანოების მიერ ინდივიდისთვის მიცემული ოფიციალური შეტყობინება იმის თაობაზე, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული“. ეს დეფინიცია ასევე პასუხობს ტესტს – რამდენად არსებითი იყო გავლენა „[ეჭვმიტანილის] მდგომარეობაზე.“<sup>99</sup>

შესაბამისად, მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლებები გამოიყენება იმ მომენტიდან, როდესაც ეს ეტაპი წამოიშვება მიუხედავად იმისა, პირი „ბრალდებულად ცნობილია“ თუ არა კონკრეტულ იურისდიქციაში არსებული განსაზღვრების მიხედვით. ეს არ გულისხმობს იმას, რომ დაუყოვნებლივ ხდება ყველა სამართლიანი სასამართლოს უფლებების გამოყენება ან ერთგვაროვანი გამოყენება მიუხედავად სისხლის სამართლის პროცესის ეტაპისა. მაგალითად, იმის დასადგენად, მოხდა თუ არა მე-6 (2)(c) მუხლით გათვალისწინებული იურიდიული დახმარების უფლების დარღვევა, გზის გადაკვეთის გამო პოლიციის მიერ მძღოლის დაკითხვისას, სასამართლომ საქმეში *Zaichenko*<sup>100</sup> დაადგინა, რომ „ [მე-6 (1) და (3)(c) მუხლით დადგენილი გარანტიების წინასასამართლო წარმოებაში გამოყენება დამოკიდებულია ამ პროცესის სპეციალურ მახასიათებლებზე და საქმის გარემოებებზე“<sup>101</sup>. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის სტანდარტებთან მიმართებით ეს საკითხი დამატებით იქნება განხილული.

#### 4. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება<sup>102</sup>

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სისხლის სამართლის პროცესში ეფექტურად მონაწილეობისთვის უმნიშვნელოვანესია მათთვის ინფორმაციის მიწოდება. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სამ ქრილში უნდა განვიხილოთ. (1) ინფორმაციის პროცესუალური უფლებების შესახებ: თუ პირმა არ იცის მისი უფლებები,

97 უფრო მეტი დეტალური ანალიზისთვის იხილეთ ტრეჩსელი 2006, გვერდები 14-31.

98 წარმოდგენილი დირექტივა ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ მე-6 მუხლში ადგენს „ბრალდების“ ('charge') შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას, მაგრამ 2012 წლის 27 აპრილს მიღებულ ვერსიაში აღნიშნული შეცვლილ იქნა სიტყვით „ბრალდება“ ('accusation').

99 ECtHR 15 ივლისი 1982, *Eckle v. Germany*, No. 8130/78, გვერდი. 73.

100 ECtHR 18 თებერვალი 2010, *Zaichenko v. Russia*, No. 39660/02.

101 პარაგრაფი 45.

102 ამ თავის დიდი ნაწილი ეფუძნება კეიპი et al. 2010, თავი 2-ს, რომლის თავდაპირველი ვერსია მოამზადა პროფესორმა ტარუ სპრონკენიმ. ამავე დროს, ტექსტი რესტრუქტურირებულ და განახლებულ იქნა და აგრეთვე ითვალისწინებს (სადაც ეს რელევანტურია) ევროპის კავშირის პროცესუალურ უფლებათა საგზაო რუკის საფუძველზე გამოცემულ დირექტივას.



ის ვერ შეძლებს მათ გამოყენებას და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან შეძლოს საკუთარი ინტერესების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადამიანის უფლებების კონვენცია პირდაპირ არ ითვალისწინებს ინფორმაციის მიღების უფლებას სისხლის სამართლის პროცესში, მოცემული უფლება გარანტირებულია დირექტივით სისხლის სამართლის პროცესში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ. (2) ინფორმაცია დაპატიმრების ან/და ბრალდების შესახებ (ან ბრალდების/დაკავების შინაარსისა თუ საფუძველის შესახებ): ეს უფლება გარანტირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 (2) და მე-6 (3) (ა) მუხლებით და დირექტივის მე-6 მუხლით. (3) მატერიალური მტკიცებულების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა): ეს უფლება პირდაპირ არ წერია ევროპის კონვენციის მე-6 მუხლში, თუმცა, არსებობს ევროპის სასამართლოს პრაქტიკა და ეს უფლება გარკვევით არის მოცემული დირექტივის მე-7 მუხლში.

#### 4.1. ინფორმაცია უფლებების შესახებ

როგორც აღინიშნა, პროცედურული უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში, მაგრამ არსებობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც მოითხოვს მართლმსაჯულების ორგანოებისგან, რომ მათ გაატარონ პოზიტიური ღონისძიებები მე-6 მუხლთან ეფექტური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.<sup>103</sup> საინტერესოა ევროპის სასამართლოს გადანიშნული საქმეზე *Padalov* და *Talat Tunc*, რომელშიც სასამართლომ მოსთხოვა ხელისუფლების ორგანოებს აერჩიათ აქტიური მიდგომა, რათა ეჭვმიტანილებისთვის გაეცნოთ მათი უფლებები იურიდიულ დახმარებაზე.<sup>104</sup> *Panovits*-ის საქმეში დადგინდა, რომ ხელისუფლების ორგანოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება ბრალდებულებისათვის იურიდიული კონსულტაციისა და უფასო იურიდიული დახმარების შესახებ (თუ ამისთვის შესაბამისი პირობები შესრულებულია) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.<sup>105</sup> საკმარისი არ არის ინფორმაციის მარტივად – წერილობით გადაცემა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა გონივრული ზომა იმისათვის, რომ ეჭვმიტანილები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი მათი დაცვის უფლებებზე და, სადაც ეს შესაძლებელია, აცნობიერებდნენ იმ ქმედების შედეგებს, რომლის მიმართებიც არსებობს ეჭვები.<sup>106</sup>

ბოლო წლებში განხორციელებული კვლევა აჩვენებს, რომ პროცესუალური უფლებების შესახებ ეჭვმიტანილებისა ან ბრალდებული პირების ინფორმირებულობის დონე, გზა და ფარგლები განსხვავებულია ევროპის სხვადასხვა იურისდიქციაში. მათ უმრავლესობაში ინფორმაცია პროცესუალური უფლებების შესახებ გაიცემა მხოლოდ ზეპირად, ნაკლებად ეფექტურად და ამ პროცესის მონიტორინგი რთულია.<sup>107</sup> ამ კონტექსტში ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივა ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ნათლად განსაზღვრავს უფლებების შესახებ ინფორმაციის უფლებას, უფრო მკაფიოდ და ფართოდ წარმოაჩენს მას ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკასთან შედარებით. მე-3 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში დროულად უნდა იქნეს ინფორმირებული მარტივ და გასაგებ ენაზე სულ ცოტა:

- ადვოკატის, თუ საჭიროა უფასო ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ;

103 ECtHR 13 მაისი 1980, *Artico v. Italy*, No. 6694/74, პარაგრაფი 36 და ECtHR 30 იანვარი 2001, *Vaudelle v. France*, No. 35683/97, პარაგრაფები 52, 59 და 60.

104 ECtHR 10 აგვისტო 2006, *Padalov v. Bulgaria*, No. 54784/00, და ECtHR 27 მარტი 2007, *Talat Tunc v. Turkey*, No. 32432/96.

105 ECtHR 11 დეკემბერი 2008, *Panovits v. Cyprus*, No. 4268/04, პარაგრაფები 72–73.

106 ECtHR 11 დეკემბერი 2008, *Panovits v. Cyprus*, No. 4268/04, პარაგრაფები 67–68. იხილეთ აგრეთვე ECtHR 31 მარტი 2009, *Plonka v. Poland*, No. 20310/02, პარაგრაფები 37–38, და ECtHR 24 სექტემბერი 2009, *Pishchalnikov v. Russia*, No. 7025/04, პარაგრაფები 79–80.

107 იხილეთ სპრონკენ et al. 2009, გვერდები 92–98, და კეიბი et al. 2010, გვ. 555.

- ბრალდების შესახებ ინფორმაციისა და, სადაც ეს ადეკვატურია, საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის შესახებ;
- თარჯიმნის ხელმისაწვდომობის უფლებაზე;
- დაპატიმრების შემთხვევაში, სასამართლოს წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენის უფლებაზე (იხილეთ თავი 1, სქოლიო 79).

მე-4 მუხლის მიხედვით, პირის დაპატიმრების შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ წერილობით უნდა იქნეს ინფორმირებული მისი პროცესუალური უფლებების შესახებ (უფლებების წერილი), უნდა მიეცეს შესაძლებლობა გაეცნოს უფლებებს და შეინახოს ასლი მანამ, სანამ მისი თავისუფლება შეზღუდულია. უფლებების სანიმუშო წერილი წარმოდგენილია დირექტივის დანართის სახით. მე-4 მუხლი ასევე ითვალისწინებს უფლებების განმარტების შესახებ ნორმას იმათთვის, ვინც შეიძლება ვერ შეძლოს ნაკითხვა ან მათი გაგება (მე-4(3) და (4) მუხლი).

#### 4.2. ინფორმაცია დაპატიმრების, ბრალდების ხასიათისა და საფუძვლის შესახებ

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 (2) მუხლის მიხედვით, დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ინფორმირებული მისთვის გასაგებ ენაზე დაპატიმრების მიზეზების და მის მიმართ წაყენებული ბრალდების შესახებ. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(ა) მუხლის თანახმად, ბრალდების ხასიათის და საფუძვლის შესახებ ინფორმაცია სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს იგივე ფორმით უნდა მიეწოდოს. მე-3 ნაწილში განხილული „ბრალდების“ შინაარსის გათვალისწინებით, ერთად აღებული ნორმები აკისრებენ შესაბამის ხელისუფლების ორგანოებს ვალდებულებას, მოახდინონ დაპატიმრებული ან დაკავებული პირების ინფორმირება: (ა) დაპატიმრების ან დაკავების მიზეზების შესახებ; (ბ) ბრალდების მიზეზების შესახებ და (ც) ბრალდების ხასიათის და მიზეზების შესახებ. ხელისუფლების ორგანოს მიერ დაპატიმრების, დაკავების ან ბრალდების შესახებ მხოლოდ და მხოლოდ დეკლარირება საკმარისი არ არის.<sup>108</sup> მეტიც, შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფა არასაკმარისია. ექვმიტანილი ან ბრალდებული პირის მიმართ ბრალდების ხასიათისა და მიზეზების შესახებ ინფორმირების ვალდებულება სრულად აკისრია ხელისუფლების ორგანოებს და ექვმიტანილისათვის ან ბრალდებულისათვის ამ ინფორმაციის წარდგენის გარეშე, მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პასიური), არ მიიჩნევა ვალდებულების შესრულებად.<sup>109</sup> მე-5 (2) და მე-6 (3)(ა) მუხლების არსი ისაა, რომ ექვმიტანილმა ან ბრალდებულმა პირმა სრულად გაიგოს ბრალდება მათი დაკავების კანონიერების გასაჩივრების<sup>110</sup> ან დაცვის მომზადების მიზნით.<sup>111</sup> მიუხედავად იმისა, რომ ორივე მუხლი საკმაოდ სპეციფიკურია ინფორმაციის მოთხოვნის თვალსაზრისით, ვალდებულებები შეზღუდულია დაპატიმრების მიზეზების, ბრალდების ხასიათისა და მიზეზების და ორივეს სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციით.<sup>112</sup> ექვმიტანილისთვის ან ბრალდებულისთვის გადასაცემი ინფორმაციის ფარგლები, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მიხედვით, დამოკიდებულია საქმის ხასიათზე და სირთულეზე, რაც ყოველთვის ფასდება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ დაცვის

108 ECtHR 21 აპრილი 2011, Nechiporuk and Yonkalo v. Ukraine, No. 42310/04, პარაგრაფი 209.

109 ECtHR 25 ივლისი 2000, Mattoccia v. Italy, No. 23969/94, პარაგრაფი 65.

110 ECtHR 30 აგვისტო 1990, Fox, Campbell and Hartley, A 182, პარაგრაფი 40.

111 ECtHR 25 ივლისი 2000, Mattoccia v. Italy, No. 23969/94, პარაგრაფი 60.

112 ECtHR 16 დეკემბერი 1992, Edwards v. UK, No. 13071/87, პარაგრაფი 35–38.

მომზადების (მე-6 (3)(b) მუხლი)<sup>113</sup> და, უფრო ზოგადად, სამართლიანი სასამართლოს უფლების ქრილში (მე-6(1) მუხლი).<sup>114</sup> დირექტივა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არ მოიცავს დაპატიმრების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას, მაგრამ ადგენს, რომ როდესაც პირი დაპატიმრებულია, მის ადვოკატს უნდა ხელი უნდა მიუწვდებოდეს საქმის მასალების იმ დოკუმენტებზე, რომლებიც რელევანტურია დაპატიმრების ან დაკავების კანონიერების დასადგენად (მე-7(1) მუხლი). მე-7 (3) მუხლის მიხედვით, ზემოაღნიშნული ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამის დროში, რათა ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა გაასაჩივროს წინასწარი გამოძიების გადაწყვეტილებები, რომლებიც მაღალი ალბათობით მოიცავს დაპატიმრებასაც. წარმოდგენილი დირექტივის მე-6 მუხლი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს ბრალდებულთან დაკავშირებით. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს სამართალდარღვევის (ბრალდების) ჩადენის გარემოებების აღწერას – მითითებული უნდა იყოს დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი და ბრალდებული პირის მიერ დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი, აგრეთვე სამართალდარღვევის (ბრალდების) ხასიათი და სამართლებრივი კლასიფიკაცია (მე-6 (3) მუხლი). აღნიშნული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს დროულად და ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისთვის გასაგებ ენაზე (მე-6(2) მუხლი).

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 (2) და მე-6 (3)(c) მუხლები არ უთითებენ იმ საშუალებებზე, რომელთა მეშვეობითაც ინფორმაცია უნდა იქნეს წარდგენილი, თუმცა ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გადადგან შესაბამისი ნაბიჯები, რათა უზრუნველყონ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირის მიერ წარდგენილი ინფორმაციის გაგება.<sup>115</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეში *Kamasinski* დაადგინა, რომ ბრალდებული, როგორც წესი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბრალდების დოკუმენტთან დაკავშირებით წერილობითი განმარტებით, თუ ის არ ფლობს შესაბამის ენას, მაგრამ ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლომ საკმარისად ჩათვალა ზეპირი განმარტება მე-6 (3)(a)-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.<sup>116</sup> უფლებების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარდგენის ვალდებულების საპირისპიროდ, დირექტივა არ ითვალისწინებს ბრალდების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარდგენის აუცილებლობას. ამასთან ერთად, იგი აკონკრეტებს, რომ ბავშვების შემთხვევაში, ინფორმაცია ბრალდების შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს ისეთი ფორმით, რომელიც ესადაგება ბავშვის ასაკს, მის ინტელექტუალურ დონესა და ემოციურ მდგომარეობას (მე-6 (2) მუხლი).

### 4.3. ინფორმაცია მატერიალური მტკიცებულებების/საქმის მასალების შესახებ

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია რომ პროკურატურის ორგანოებმა დაცვის მხარეს უნდა განუსაჯაროონ ბრალდებულის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგო ყველა მატერიალური მტკიცებულებები<sup>117</sup>. ორივე, პროკურატურაც და ბრალდებულიც უფლებამოსილნი არიან არა მხოლოდ გასაჯაროებაზე, არამედ მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა კომენტარი გააკეთონ მეორე მხარის მოსაზრებებსა და მტკიცებულებებზე.<sup>118</sup> ეს გახლავთ მხარეთა თანასწორობის პრინციპის ელემენტი და ის აგრეთვე განიხილება ევროპის კონვენციის მე-6 (3)(b) მუხლით გათვალისწინებული „ადექვატური დროისა და საშუალებების“ უფლების ერთ-ერთ ასპექტად. სასამართლომ *Natunen*-ის საქმეში დაადგინა, რომ

113 უხილეთ 7.2. ნაწილი ქვემოთ.

114 ECtHR 25 მარტი 1999, *Pelissier and Sassi v. France*, No. 25444/94, პარაგრაფი 54 და ECtHR 25 ივლისი 2000, *Mattocchia v. Italy*, No. 23969/94, პარაგრაფი 60 და 71.

115 ECtHR 19 დეკემბერი 1989, *Brozicek v. Italy*, No. 10964/84, პარაგრაფი 41; ECtHR 25 ივლისი 2000, *Mattocchia v. Italy*, No. 23969/94, პარაგრაფი 65; და ECtHR 30 აინვარი 2001, *Vaudelle v. France*, No. 35683/97, პარაგრაფი 59.

116 ECtHR 19 დეკემბერი 1989, *Kamasinski v. Austria*, No. 9783/82, პარაგრაფი 79; ECtHR 25 მარტი 1999, *Pelissier და Sassi v. France*, No. 25444/94, პარაგრაფი 53.

117 ECtHR 16 December 1992, *Edwards v. United Kingdom*, No.13071/87, para. 36.

118 ECtHR 28 აგვისტო 1991, *Brandstetter v. Austria*, Nos. 11170/84, 12876/87, 13468/87, პარაგრაფი 66; ECtHR 16 თებერვალი 2000, *Jasper v. United Kingdom*, No. 27052/95, პარაგრაფი 51; და ECtHR 6 სექტემბერი 2005, *Salov v. Ukraine*, No. 65518/01, პარაგრაფი 87.



გასაჯაროების ვალდებულებები უნდა შეიცავდეს ეჭვმიტანილისთვის შესაძლებლობას გაეცნოს პროცესის განმავლობაში განხორციელებული გამოძიების შედეგებს მისი დაცვის მომზადების მიზნით.<sup>119</sup> ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ წარმოდგენილი დირექტივის მე-7 (2) მუხლი ითვალისწინებს ეჭვმიტანილის ან მისი ადვოკატის უფლებას ხელი მიუწვდებოდეს „საქმის მასალებზე“, რაც თავისთავად განსაზღვრული არ არის. აღნიშნული ტერმინი გვხვდება ინკვიზიციური ტრადიციის მქონე იურისდიქციებში, მაგრამ ის არ გამოიყენება საერთო სამართლის სისტემებში. იმის გათვალისწინებით, რომ ინკვიზიციურ სისტემებში საქმის მასალები უნდა მოიცავდეს გამოძიების დროს მოპოვებულ ყველა მასალას, საქმის მასალებად მიჩნეულია არა მარტო ის დოკუმენტები, რომლებიც ამხელენ ბრალდებულს, არამედ ნეიტრალურიც და მისი გამამართლებელი მასალაც. ევროპის სასამართლოს პრაქტიკის ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ წარმოდგენილი დირექტივის მიხედვით გასაჯაროების უფლება არ არის აბსოლუტური. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, გასაჯაროების ვალდებულება შეიძლება შეიზღუდოს კანონიერად ისეთი არგუმენტების არსებობისას, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოება, ინფორმაციის წყაროთა დაცვა, მონმეთა შურისძიებისგან დაცვა ან პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების მეთოდების საიდუმლოდ შენახვა.<sup>120</sup> ნებისმიერი მსგავსი შეზღუდვა უნდა იყოს მკაცრად დაცული და უნდა გამოსწორდეს შემდგომ პროცესში.<sup>121</sup> ასე მაგალითად, გარკვეული მასალების მიუწოდებლობა უნდა დაბალანსდეს ინფორმაციის აპელაციის ეტაპზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით და პასუხის მოსამზადებლად დაცვისათვის საკმარისი დროის მიცემით.<sup>122</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო აგრეთვე მოითხოვს მოსამართლის მიერ საკითხის შემონმებას, რადგან გასაჯაროების საჭიროების შესაფასებლად ეს უკანასკნელი არის ყველაზე ხელსაყრელი პოზიცია. მეორე მხრივ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პირი, რომელიც ითხოვს კონკრეტული დოკუმენტების გასაჯაროებას, ვალდებულია წარმოადგინოს მისი მოთხოვნის საფუძვლები.<sup>123</sup> დირექტივაში უფრო შეზღუდულია საქმის მასალების ხელმისაწვდომობის შესახებ უფლებებიდან გამონაკლისები: გარკვეულ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა შეიძლება უარყოფილ იქნას კომპეტენტური სასამართლო ხელისუფლების ორგანოს მიერ, თუ ხელმისაწვდომობამ შეიძლება სერიოზულ რისკი შეუქმნას სხვა პირის სიცოცხლეს ან სერიოზული ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს უსაფრთხოებას. როდესაც ხელმისაწვდომობა ასე შეზღუდულია, ბრალდებულს ან მის დამცველს შეუძლია მოითხოვოს საქმის მასალებში არსებული დოკუმენტების ჩამონათვალი იმის გათვალისწინებით, რომ ეს მართლმსაჯულების ინტერესებში შედის (მე-7 (2) მუხლი). შესაბამისად, დოკუმენტების ჩამონათვალის მოთხოვნა ყოველთვის შესაძლებელია და მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ეს შედის მართლმსაჯულების ინტერესებში.

მაშინ, როდესაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ დირექტივის მე-7 მუხლი ითვალისწინებს საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის დაკმაყოფილებას „როდესაც სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიება დასრულდება“ (მე-7 (2) მუხლი) და დაცვას მომზადებისთვის მიეცემა საკმარისი დრო (მე-7(3) მუხლი), არ არსებობს ევროპის კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებაში განსაკუთრებული პრაქტიკა, რომელიც დააზუსტებდა პროცესის რომელ მომენტში უნდა მოხდეს მატერიალური მტკიცებულებების გასაჯაროება. ამის მიუხედავად ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ევროპის კონვენციის მე-5 (4) მუხლის კონტექსტში წარმოადგინა გარკვეული მითითება მატერიალური მტკიცებულების გასაჯაროების ეტაპსა და ფარგლებზე. წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებულ საქმეებში სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოითხოვს დაცვის ხელმისაწვდომობას გამოძიების იმ

119 ECtHR 31 მარტი 2009, *Natunen v. Finland*, No. 21022/04, პარაგრაფი 42, და ECtHR 15 ნოემბერი 2007, *Galstyan v. Armenia*, No. 26986/03, პარაგრაფი 84.

120 ECtHR 16 თებერვალი 2000, *Jasper v. United Kingdom*, No. 27052/95, პარაგრაფი 43, და ECtHR 24 ივნისი 2003, *Dowsett v. United Kingdom*, No. 39482/98, პარაგრაფი 42.

121 ECtHR 16 თებერვალი 2000, *Jasper v. United Kingdom*, No. 27052/95, პარაგრაფი 43, და ECtHR 16 დეკემბერი 1992, *Edwards v. United Kingdom*, No. 13071/87, პარაგრაფი 39.

122 ECtHR 16 დეკემბერი 1992, *Edwards v. United Kingdom*, No. 13071/87, პარაგრაფი 35–37, და ECtHR 18 მარტი 1997, *Foucher v. France*, No. 22209/93, პარაგრაფები 35–38.

123 ECtHR 24 თებერვალი 1992, *Bendenoun v. France*, No. 12547/86, პარაგრაფი 52.

დოკუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია წინასწარი პატიმრობის კანონიერების გასასაჩივრებლად.<sup>124</sup> ეს მოცემულია წარმოდგენილი დირექტივის მე-7 (1) მუხლში. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ გაითვალისწინოს მისი საწინააღმდეგოდ პოლიციის ან გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები და განცხადებები, მიუხედავად იმისა, შეძლებს თუ არა დაცვასთვის აღნიშნული ინფორმაციის რელევანტურობის წარმოჩენას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო აღიარებს სისხლის სამართლის გამოძიების ეფექტურად ჩატარების საჭიროებას, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გასაიდუმლოებას ეჭვმიტანილების მიერ მტკიცებულებებზე ზეგავლენისა ან მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის თავიდან ასაცილებლად, ეს ლეგიტიმური მიზანი არ შეიძლება მიღწეულ იქნეს დაცვის არსებითად შეზღუდვის ხარჯზე. შესაბამისად, დაკავების კანონიერების შესამოწმებლად აუცილებელი ინფორმაცია სათანადო ფორმით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ეჭვმიტანილის ადვოკატისათვის.<sup>125</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის მასალების მოკლე აღწერილობა და ფაქტებისა თუ მტკიცებულებების შესახებ ზეპირი ინფორმაცია საკმარისი არ არის. როდესაც ეს აუცილებელია, ხელისუფლების ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ დაცვის მხარეს საქმის მასალების გაცნობაში და არ უნდა ჰქონდეთ ზედმეტად ფორმალური მიდგომა.<sup>126</sup> ბოლო დროს ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ გასაჯაროების ან საქმის მასალების მიმართ ხელმისაწვდომობის პრაქტიკა განსხვავდება ნევრ სახელმწიფოებში. სახელმწიფოების უმეტესობაში არც ეჭვმიტანილ პირებს და არც მათ ადვოკატებს არ აქვთ გამოძიების ეტაპზე ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებულ მტკიცებულებაზე ინფორმაციის მიღების უფლება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოების უმეტესობა ეჭვმიტანილებს ან მათ ადვოკატებს მტკიცებულებებზე ინფორმაციის მიღების უფლებას ანიჭებს სასამართლოზე ან სასამართლოსწინა ეტაპზე, თუმცა აღნიშნული უფლების ზუსტი ფორმულირება ძალზედ განსხვავებულია და დამოკიდებულია კონკრეტული იურისდიქციის ინკვიზიციურ თუ შეჯიბრებით ტრადიციაზე.<sup>127</sup> ზოგიერთ იურისდიქციაში ხდება საქმის მასალების ასლის გადაღების ხარჯის გადახდა.<sup>128</sup> ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ წარმოდგენილი დირექტივა ითვალისწინებს, რომ საქმის მასალების ხელმისაწვდომობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი უფასოდ (მე-7 (3) მუხლი). საინტერესოა, როგორ მოხდება ამ ნორმის ინტერპრეტირება, ის განმარტებული იქნება, როგორც უფასოდ საქმის მასალების ხელმისაწვდომობა თუ უფასოდ საქმის მასალების ან დოკუმენტების ასლების გადაცემა.

## 5. დაცვის უფლება და იურიდიული დახმარება

ეს თავი ეხება ორ განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ უფლებას – ეჭვმიტანილის და ბრალდებულის უფლებას დაიცვას საკუთარი თავი და იურიდიული კონსულტაციის, დახმარებისა და წარმომადგენლების ყოლის უფლებას. ორივე მათგანი ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს განეკუთვნება და მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობისთვის.<sup>129</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(C) მუხლი სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს ორივე უფლებას ანიჭებს – საკუთარი თავის დაცვის და იურისტის დახმარების უფლებას. იურისტთან

124 ECtHR 13 თებერვალი 2001, Garcia Alva v. Germany, Lietzow v. Germany and Schops v. Germany, Nos. 23541/94, 24479/94 და 25116/94, და ECtHR 9 ივლისი 2009, Mooren v. Germany, No. 11364/03, პარაგრაფები 124–125.

125 ECtHR 13 თებერვალი 2001, Garcia Alva v. Germany, No. 23541/94, პარაგრაფი 41–42, და ECtHR 9 ივლისი 2009, Mooren v. Germany, No. 11364/03, პარაგრაფები 121–124.

126 ECtHR 13 თებერვალი 2001, Schops v. Germany, no. 25116/94, პარაგრაფები 47–55, და ECtHR 9 ივლისი 2009, Mooren v. Germany, No. 11364/03 პარაგრაფები 121–125.

127 სპრონკენ et al. 2009, გვ. 94.

128 მაგალითად, ბელგია, იხილეთ კეიპი et al. 2010, გვ. 77.

129 ოსფ 2012, პარაგრაფი 2.1.

ხელმისაწვდომობის შესახებ<sup>130</sup> წარმოდგენილი დირექტივა ეხება მხოლოდ მეორე მათგანს. აღნიშნული ორი უფლება არ არის ტოლფასიანი ალტერნატივა. დაცვის ორივე ფორმას აქვს თავისი პროცედურული ფუნქცია: ექვმიტანილის კონტრიბუცია არის საკუთარი პიროვნება, ფაქტებისა და მონაცემების ცოდნა, ხოლო იურისტის კონტრიბუცია არის იურიდიული ცოდნა, უნარ-ჩვევები და პროფესიული გამოცდილება. იურიდიული დახმარების უფლების განხილვისას რამდენიმე საკითხია მნიშვნელოვანი: (1) სისხლის სამართლის პროცესის რომელ ეტაპზე და რა დროს წარმოიშვება აღნიშნული უფლება, რამდენად მოიცავს ის იურისტის დასწრებას პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ ექვმიტანილის დაკითხვის დროს. ეს ის საკითხია, რომელმაც გარკვეული სირთულეები შეუქმნა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს და ჯერ კიდევ საკამათოა რამდენიმე წევრ ქვეყანას შორის. (2) იმის გათვალისწინებით, რომ ექვმიტანილისა და ბრალდებულის სტატუსის მქონე პირები დანაშაულის ჩადენაში არიან ექვმიტანილი/ბრალდებულნი, დგება საკითხი უნდა მიეცეს თუ არა სახელმწიფოს იურისტისა და კლიენტის ურთიერთობების თვალთვალის საშუალება. (3) ვინაიდან თითქმის ყველა იურისდიქციაში ექვმიტანილი და ბრალდებული პირების დიდ ნაწილს არა აქვს საშუალება, უნდა გამოყოს თუ არა სახელმწიფომ იურიდიული დახმარების უფლების ეფექტურობისთვის ფინანსური რესურსები და რა ფარგლებში. (4) ასევე რჩება კითხვები ექვმიტანილი და ბრალდებული პირების დახმარების დროს ადვოკატების როლსა და სტანდარტებზე.

## 5.1. საკუთარი ინტერესების პირადად წარმოდგენის უფლება

ექვმიტანილ და ბრალდებულ პირთა უფლება დაიცვან საკუთარი თავი შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც უმნიშვნელოვანესი უფლება, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 (3)(ც) მუხლის გარდა აღიარებულია ადამიანის უფლებების შესახებ მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში.

აღნიშნული გულისხმობს, რომ პირი, რომელიც ექვმიტანილია ან ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში უფლებამოსილია დაიცვას საკუთარი ინტერესები, იმოქმედოს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მოიკვლიოს და წარადგინოს მტკიცებულებები, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები, წარადგინოს პროცედურასთან დაკავშირებული შუამდგომლობები, ეჭვქვეშ დააყენოს მონმეთა სანდობა და სხვა. საკუთარი ინტერესების პირადად დაცვის უფლება ნათლად და პირდაპირ არის ჩამოყალიბებული და გამიჯნულია ადვოკატის მეშვეობით თავის დაცვის უფლებისგან. თუმცა ჩნდება კითხვა – რამდენად შეუძლიათ ექვმიტანილსა და ბრალდებულს საკუთარი თავის დაცვა და, სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან გამომდინარე, გამართლებული იქნება თუ არა მათი ნების სანინაალმდეგოდ მათთვის ადვოკატის დანიშვნა.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა ნათლად უთითებს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირი უფლებამოსილია დაესწროს საკუთარ სასამართლო განხილვას და მონაწილეობა მიიღოს სამართალწარმოებაში. ამასთან ერთად, ეს არ არის აბსოლუტური უფლება, არამედ იგი „შეჯერებულ უნდა იქნეს“ საზოგადოებრივ ინტერესებსა და განსაკუთრებით მართლმსაჯულების ინტერესებთან „გონივრული ბალანსის“ მიღწევის შედეგად. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო თავისუფალია ამ საკითხის შეფასებაში და შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის სავალდებულო დანიშვნა, თუ მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს. საქმეში Croissant სასამართლომ დაადგინა, რომ ხსენებულის წინაპირობა შეიძლება იყოს საქმის შინაარსი, ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების სირთულე და ბრალდებულის პიროვნება. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ იურიდიული დახმარების მოთხოვნა პირს ასევე შეუძლია სააპელაციო საჩივრის წარდგენისას. აღნიშნული გულისხმობს, რომ რიგ შემთხვევებში იურისტის დახმარება შედის ბრალდებულის ინტერესებში, რათა იგი

<sup>130</sup> ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივის პროექტი სისხლის სამართლის პროცესში იურისტის ხელმისაწვდომობის შესახებ და დაპატიმრების დროს კომუნიკაციის უფლების შესახებ, ბრიუსელი, 8 ივნისი 2011, COM (2011) 326 საბოლოო. იხილეთ თავი 1, ნაწილი 4.3.2.

უკეთ იყოს ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ და განხორციელებული დაცვა იყოს ეფექტიანი.

ამავე დროს საკამათო რჩება, რამდენად შესაბამისობაშია სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან იმ პირისათვის ადვოკატის ყოლის ვალდებულების დაკისრება, რომელსაც არ სურს ადვოკატის ყოლა. ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილმა საერთაშორისო ტრიბუნალმა Seselj-ის საქმეზე განაცხადა, რომ ცნებას „მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე“ პოტენციურად ფართო ფარგლები გააჩნია:

იგი მოიცავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც არა მარტო ბრალდებულის ფუნდამენტური უფლებაა, არამედ აგრეთვე შედის ტრიბუნალის ძირითად ინტერესებში მისი ლეგიტიმურობის თვალსაზრისით. სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის განხილვის ვადა, მისი მოცულობა და სირთულე. რთული სამართლებრივი, მტკიცებულებითი და პროცესუალური საკითხები, რომლებიც შეიძლება წამოიშვას ასეთი მოცულობის საქმეში, შეიძლება ვერ დაძლიოს თვით სამართლებრივად კვალიფიციურმა ბრალდებულმაც კი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრალდებული პატიმრობაშია და მას ხელი არ მიუწვდება ყველა საჭირო საშუალებებზე. მეტიც, ტრიბუნალს გააჩნია იმის ლეგიტიმური ინტერესი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესის დროულად, უწყვეტად, გადადების ან ხელის შეშლის გარეშე წარმართვა.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ იურიდიული დახმარების დანიშვნა მსგავს საქმეებში შეიძლება დასაბუთდეს თავად ტრიბუნალის ინტერესებიდან გამომდინარე; იგი შეიძლება კონკრეტულად ბრალდებულის ინტერესებს კი არ ემსახურებოდეს, არამედ უზრუნველყოფდეს სწრაფ სამართალწარმოებას. პრაქტიკაში დამტკიცდა, რომ ადვოკატისთვის, სავალდებულო დაცვის დროს რთულია ბრალდებულის ეფექტური წარმომადგენლობა კლიენტის მხრიდან ინსტრუქციების არ-არსებობის ფონზე, აგრეთვე როდესაც მისთვის ნათელი არ არის კლიენტის მოსაზრება – რას მიიჩნევს იგი სიმართლედ ან როგორ აღიქვამს მოვლენებს. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა საქმეში Faretta კალიფორნიის წინააღმდეგ:

„საკუთარი თავის დაცვის უფლებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ წარსულში განხორციელებული აღიარება, ფედერალური სასამართლოს მიერ ხსენებული უფლების კონსტიტუციურად გამოცხადება და შტატების კონსტიტუციების მიერ ამ უფლებისათვის ფუნდამენტური ხასიათის მინიჭება, აყალიბებენ კონსენსუსს, რომლის მარტივად უგულებელყოფაც შეუძლებელია. [...] ჩვენ აქ საქმე გვაქვს ფაქტიურად ჩვენი ხალხის, ისევე როგორც სასამართლოების უნივერსალურ რწმენასთან, რომლის მიხედვითაც ადვოკატის ყოლის იძულება ბრალდებულებისთვის, რომელსაც ეს არ სურს, ეწინააღმდეგება მის ძირითად უფლებას დაიცვას საკუთარი თავი პირადად, თუ მას ამის განხორციელების ჭეშმარიტი სურვილი გააჩნია.“

სასამართლომ დაადგინა:

მე-ნ შესწორების ტექსტი და არსი მოიაზრებს, რომ ადვოკატი, ისევე როგორც შესწორებით გარანტირებული დაცვის სხვა საშუალებები, დახმარებას უნდა უწევდეს იმ ბრალდებულს, რომელსაც ამის სურვილი გააჩნია – და არ უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო ორგანოს, რომელიც ჩადგება დაცვის უფლების არმქონე ბრალდებულსა და მის მიერ საკუთარი თავის პირადად დაცვის უფლებას შორის. ამგვარად, ბრალდებულის იძულება, მისი ნების საწინააღმდეგოდ იყოლიოს ადვოკატი, არღვევს შესწორების ლოგიკას. მოცემულ საქმეებში ადვოკატი არა დამხმარე, არამედ უფროსია და დაცვის განხორციელების უფლებას არ გააჩნია პირის სურვილზე დაფუძნებული ხასიათი, როგორც ამას შესწორება მოითხოვს.<sup>131</sup>

131 Faretta v. California, 422 U.S. 806 (1975), at 807.



## 5.2. იურიდიული დახმარების უფლება

იურიდიული დახმარების უფლება საკვანძო ასპექტია ეჭვმიტანილთა და ბრალდებულ პირთა პროცესუალურ უფლებებში. ეჭვმიტანილს, რომელსაც დახმარებას უწევს ადვოკატი, უკეთ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები, რადგან იგი მეტად არის მათ შესახებ ინფორმირებული, ხოლო ადვოკატს კი შეუძლია დაეხმაროს მას საკუთარი უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში. ამასთან ერთად, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფონზე, ადვოკატს უფრო ეფექტურად შეუძლია წარმოადგინოს ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირის ინტერესები. ამის აღსანიშნავად, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(C) მუხლი ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს უფლება აქვს „დაიცვას თავი... დამცველის მეშვეობით“. წარმოდგენილი დირექტივა ადვოკატზე ხელმისაწვდომობის შესახებ ადგენს: ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ „ეჭვმიტანილ და ბრალდებულ პირებს გააჩნდეთ ხელმისაწვდომობა ადვოკატზე მაქსიმალურად სწრაფად“ და „დროის ისეთ მონაკვეთში და იმგვარად, რომ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს მიეცეს საშუალება ეფექტიანად გამოიყენოს დაცვის უფლება“ (მე-6 მუხლის მე-3 (1) და (2) ნაწილები). მნიშვნელოვანი კითხვა ჩნდება იურიდიული დახმარების უფლებასთან დაკავშირებით – რამდენად არის ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირი უფლებამოსილი უარი თქვას ამ უფლებაზე? უფლებაზე უარის თქმის საკითხი დაკავშირებულია სავალდებულო იურიდიულ დაცვასთან (როგორც განხილულ იქნა ზემოთ), რადგან ეს უკანასკნელი არ იქნებოდა რელევანტური, თუ ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირს აღნიშნულ უფლებაზე უარის თქმის უფლება არ ექნებოდა. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(C) მუხლის თანახმად – პირს უფლება აქვს „დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით“ – გულისხმობს რომ უფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია და წარმოდგენილი დირექტივა ამასვე ითვალისწინებს (მე-9 მუხლი).<sup>132</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა და წარმოდგენილი დირექტივის მე-9 მუხლი ყურადღებას ამახვილებს აუცილებელ გარანტიებზე დაცვის უფლებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. შესაბამისად, Pishchalnikov-ის საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დაცვის უფლებაზე უარის თქმა „არა მარტო ნებაყოფლობითი უნდა იყოს, არამედ უნდა წარმოადგენდეს გაცნობიერებულ და ინფორმირებულ უარს დაცვის უფლებაზე. მანამ, სანამ ბრალდებული განაცხადებს, რომ მან პირდაპირ, მისი ნების საფუძველზე უარი თქვა მე-6 მუხლით გარანტირებულ მნიშვნელოვან უფლებაზე, უნდა დადასტურდეს, რომ მან გონივრულად განჭვრიტა, რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა მის ამ ქმედებას.“<sup>133</sup> სასამართლოს აზრით, დაცვის უფლებაზე უარის თქმა არ შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ იმ ფაქტიდან, რომ ეჭვმიტანილმა პასუხი გასცა პოლიციის მიერ განხორციელებული დაკითხვის დროს დასმულ შეკითხვებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას განუმარტეს მისი უფლებები. ბრალდებული, რომელმაც გამოხატა სურვილი მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებებში მხოლოდ დამცველის მეშვეობით, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიხედვით, არ უნდა დაიკითხოს შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების მიერ მანამ, სანამ მისთვის იურიდიული დახმარება არ იქნება უზრუნველყოფილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული თავად იქნება პოლიციასთან ან პროკურატურასთან დამატებითი კომუნიკაციის, ინფორმაციის გაცვლის ან საუბრის ინიციატორი.<sup>134</sup>

წარმოდგენილი დირექტივა ადვოკატთან ხელმისაწვდომობის შესახებ პირდაპირ ითვალისწინებს უფლებაზე უარის თქმას შემდეგ შემთხვევებში:

ა) ეჭვმიტანილმა და ბრალდებულმა მიიღეს წინასწარი სამართლებრივი კონსულტაცია უფლებაზე უარის თქმის შესახებ ან სხვაგვარად მიიღეს სრული ინფორმაცია მოსალოდნელ შედეგებზე;

<sup>132</sup> მე-9 მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებს უფლებაზე უარის თქმის უფლებას, მაგრამ მოიცავს გარანტიებს აღნიშნული უარის თქმის დროს, აგრეთვე განმარტავს, რომ ნებისმიერ უფლებაზე უარის თქმა შეიძლება გავრცელდეს „ეროვნულ სამართალზე, რომელიც ითვალისწინებს ადვოკატის სავალდებულო დასწრებას და დახმარებას“ (მე-9 (2) მუხლი).

<sup>133</sup> ECtHR 24 სექტემბერი 2009, Pishchalnikov v. Russia, No. 7025/04 პარაგრაფი 76. იხილეთ აგრეთვე ECtHR 31 მარტი 2009, Plonka v. Poland, No. 20310/02, და ECtHR 1 აპრილი 2010, Pavlenko v. Russia, No. 42371/02, პარაგრაფი 102.

<sup>134</sup> ECtHR 24 სექტემბერი 2009, Pishchalnikov v. Russia, No. 7025/04, პარაგრაფი 79.



ბ) პირს აქვს საკმარისი შესაძლებლობა, გაიაზროს შედეგები;

გ) უფლებაზე უარის თქმა განხორციელდა ნებაყოფლობით და ერთმნიშვნელოვნად.

ამასთან ერთად, ნებისმიერ უფლებაზე უარის თქმა და პირობები, რომლებშიც ეს მოხდა, უნდა იქნეს დაფიქსირებული და ხელმისაწვდომი პროცესის ნებისმიერ ეტაპზე (მე-9 (2) და (3) მუხლი).<sup>135</sup>

### 5.3. იურიდიული დახმარების უფლების წარმოშობა

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(C) მუხლი არ მიუთითებს იურიდიული დახმარების უფლების წარმოშობის კონკრეტულ მომენტზე ან ეტაპზე. როცა აღნიშნული უფლება გამოიყენება იმ პირის მიმართ, „რომელიც ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში“, უფლება მოქმედებს ბრალდების წაყენების ან პროცესის ფორმალური დაწყების შემდეგ. როგორც ზემოთ – მე-3 ნაწილში აღინიშნა, მოცემული ტერმინის განმარტებაა – „ოფიციალური შეტყობინება პირის მიმართ კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების მიერ ბრალდებასთან დაკავშირებით, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული“. მრავალი წლის განმავლობაში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო აცხადებდა, რომ იურიდიული დახმარების უფლება წარმოიშობა დაპატიმრებისთანავე.<sup>136</sup> როდესაც ეჭვმიტანილმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები პოლიციის მიერ დაკითხვის დროს, რომლებიც შეიძლება გადაწყვეტი იყოს პროცესის შემდგომი ბედისთვის, მას აქვს უფლება გაიაროს კონსულტაცია ადვოკატთან დაკითხვის დაწყებამდე.<sup>137</sup> მართალია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ აღიარა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადვოკატის ფიზიკურად დასწრება შეიძლება მიჩნეულ იქნეს პოლიციის მიერ დაკითხვისას განხორციელებული ზენოლისაგან დაცვის გარანტიად<sup>138</sup>, უკანასკნელ პერიოდამდე სასამართლო უთითებდა, რომ პოლიციის მიერ დაკითხვის დროს დამცველის ყოლის უფლება არ გამოდინარეობდა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(C) მუხლიდან.<sup>139</sup> აღნიშნული მიდგომა არ შეესაბამება არც ICTY-ს<sup>140</sup> და არც ევროპის წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის კომიტეტის<sup>141</sup> მიდგომებს, ვინაიდან ორივე მათგანმა აღიარა, რომ პოლიციის მიერ განხორციელებული დაკითხვის დროს ადვოკატის დასწრების უფლება წარმოადგენს დაკავებული პირების მიმართ არაადამიანური მოპყრობის განხორციელებისაგან დაცვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ გარანტიას.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ თავისი მიდგომა იურიდიული დახმარების შესახებ უფლების წარმოშობის მომენტთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეცვალა Salduz-ის საქმეზე დიდი პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ, რომელშიც აღინიშნა:

135 დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე McGowan v. B [2011] UKSC 54 დადგენილ იქნა, რომ მე-6 (3)(C) მუხლთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, იურიდიული კონსულტაცია უფლებაზე უარის თქმის შედეგების შესახებ, ჩვეულებრივ, არ არის სავალდებულო, თუმცა „პირები, რომლებსაც დაბალი ინტელექტი აქვთ ან სხვაგვარად არიან მონყვლადი ან არიან ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, შესაძლებელია საჭიროებენ სტანდარტული ფორმულარით გათვალისწინებულზე მეტ დროს, რათა მათი უფლება სამართლიან სასამართლოზე არ შეილახოს.“

136 ECtHR 8 თებერვალი 1996, John Murray v. UK, No. 18731/91, და ECtHR 6 ივნისი 2000 Magee v. UK, No. 28135/95.

137 ECtHR 6 ივნისი 2000, Averill v. UK, No. 36408/97.

138 ECtHR 6 ივნისი 2000, Magee v. UK, No. 28135/95, და ECtHR 2 მაისი 2000, Condron v. UK, No. 35718/97: “განმცხადებლის საქმეზე, ადვოკატის ფიზიკურად დასწრება პოლიციის მიერ დაკითხვის დროს, სასამართლოს მიერ განხილულ იქნა, როგორც პრაქტიკული გარანტია ნებისმიერი ზენოლის თავიდან ასაცილებლად. სასამართლო სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ადვოკატის ხელმისაწვდომობის გარეშე დარჩენილი ბრალდებულის პასუხებს დაკითხვის დროს, ვინაიდან პასუხები შეიძლება იყოს მაინკრიმინირებელი, (პარაგრაფი 60).”

139 ECtHR 6 ოქტომბერი 2001, Brennan v. UK, No. 39846/98, და ECtHR 14 დეკემბერი 1999, Dougan v. UK, No. 44738/98.

140 ყოფილი იუგოსლავიისთვის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდების მე-18 (3) მუხლი. გადაწყვეტილება დაცვის შუამდგომლობაზე მტიცებულებების გამორიცხვის შესახებ ICTY-სგან საქმეში Zdravko Mucic, 2 სექტემბერი 1997, Case No. IT-96-21-T, საქმის გამხილველი კოლეგია II.

141 მეორე ზოგადი ანგარიში (CPT/Inf (92) 3), ნაწილები 36–38, at <http://www.cpt.coe.int>.

სასამართლო ადგენს, იმისათვის რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება იყოს ჯეროვნად „პრაქტიკული და ეფექტური“, მე-6 (1) მუხლი ითხოვს, რომ, როგორც წესი, იურისტზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყოს პოლიციის მიერ ეჭვმიტანილის პირველი დაკითხვის მომენტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე წარმოდგენილია დამაჯერებელი მიზეზები ამ უფლების შესაზღუდად (პარაგრაფი 55).<sup>142</sup>

სასამართლომ გადაწყვეტილება დაასაბუთა თვითინკრინირების საწინააღმდეგო გარანტიების უზრუნველყოფის მნიშვნელობით და მიიჩნია იგი არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ მიმართულ აუცილებელ გარანტიად:

ადრეულ ეტაპზე ადვოკატზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს პროცედურული გარანტიების შემადგენელ ნაწილს, რომელსაც სასამართლო შესაბამისად ითვალისწინებს, როდესაც განიხილავს, თუ რამდენად აღმოფხვრა პროცედურამ საკუთარი თავის ინკრინირების საფრთხე.... ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო აგრეთვე უთითებს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციებს (პარაგრაფები 39-40 ზემოთ), რომელშიც კომიტეტმა არაერთხელ აღნიშნა, რომ დაკავებულის უფლება იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით წარმოადგენს ფუნდამენტურ გარანტიას არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ. ამ უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით ნებისმიერი გამონაკლისი ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ხოლო მისი გამოყენება მკაცრად ლიმიტირებული დროში. აღნიშნული პრინციპები პრაქტიკულად გამოიყენება მძიმე ბრალდებების საქმეზე, მძიმე სასჯელების დაკისრების მოლოდინში. სამართლიანი სასამართლოს უფლება მაღალი ალბათობით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დემოკრატიულ საზოგადოებაში (პარაგრაფი 54).

კონვენციის საფუძველზე იურიდიული დახმარების უფლების აღნიშნული ახალი ინტერპრეტაცია, რომელსაც ეწოდა *Salduz* დოქტრინა, დადასტურებულ იქნა ბევრ შემდგომ გადაწყვეტილებებში.<sup>143</sup> მიუხედავად იმ არგუმენტისა, რომ იურიდიული დახმარება აუცილებელი გარანტიაა საკუთარი თავის ინკრინირების საწინააღმდეგოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ *Salduz* დოქტრინა გამოიყენება, თუ ეჭვმიტანილი ფაქტობრივად იყენებს დუმის უფლებას.<sup>144</sup> როგორც ეს გადაწყვეტილებიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი დაკითხვის წინ იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობა შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ნორმა, ეს არ არის აბსოლუტური უფლება. ის შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქმის მასალებში მოიპოვება დამაჯერებელი მიზეზები ამის განსახორციელებლად.<sup>145</sup> მეტიც, თუ სახეზე გვაქვს უფლების შეზღუდვის აღნიშნული მიზეზები, სასამართლოზე იმ მასალების გამოყენებამ, რომლებიც მოპოვებულ იქნა დაკითხვის დროს იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის გარეშე, შეიძლება დაარღვიოს სამართლიანი სასამართლოს უფლება.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამაჯერებელმა მიზეზებმა, გამონაკლისის სახით, შეიძლება გაამართლოს ადვოკატის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, მოცემულმა შეზღუდვამ – მიუხედავად დასაბუთებისა – არ უნდა დააყენოს ეჭვის ქვეშ მე-6 მუხლით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებები. დაცვის უფლებები უცილობლად დაირღვევა თუ მაინკრინირებელი განცხადებები, რომლებიც

142 ECtHR, დიდი პალატა, 27 ნოემბერი 2008, *Salduz v. Turkey*, No. 36391/02. იხილეთ აგრეთვე ECtHR 11 დეკემბერი 2008, *Panovits v. Cyprus*, No. 4268/04.

143 იხილეთ, მაგალითად ECtHR 10 მარტი 2009, *Boke and Kandemir v. Turkey*, Nos. 71912/01, 26968/02 და 36397/03; ECtHR 3 მარტი 2009, *Aba v. Turkey*, Nos. 7638/02 და 24146/04; ECtHR 17 თებერვალი 2009, *Aslan and Demir v. Turkey*, Nos. 38940/02 და 5197/03; და ECtHR 17 თებერვალი 2009, *Ozturk v. Turkey*, No. 16500/04, ECtHR 24 დეკემბერი 2009, *Pishchalnikov v. Russia*, No. 7025/04.

144 ECtHR 13 ოქტომბერი 2009, *Dayanan v. Turkey*, No. 7377/03, პარაგრაფი 33, და ECtHR 26 ივლისი 2011, *Huseyn and Others v. Azerbaijan*, Nos. 35485/05, 45553/05, 35680/05 და 36085/05, პარაგრაფი 171.

145 სასამართლოს ჯერ არ ქონია შესაძლებლობა განემარტა თუ რას გულისხმობს „დამაჯერებელ მიზეზებში..“

გაკეთდა ადვოკატის მონაწილეობის გარეშე პოლიციის მიერ ეჭვმიტანილის დაკითხვის დროს, მსჯავრდებისთვის იქნება გამოყენებული (პარაგრაფი 55).

არ შეიძლება მოხდეს იურიდიული დახმარების უფლების დარღვევის კომპენსირება სხვა პროცედურული დაცვის საშუალებებით, როგორცაა ადვოკატის მიერ განხორციელებული შემდგომი დახმარება ან მომდევნო პროცედურების შეჯიბრებითი ხასიათი.<sup>146</sup>

სხვა საკითხია, რამდენად მოქმედებს იურიდიული დახმარების უფლება დაპატიმრებამდე ან პირველ დაკითხვამდე. *Zaichenko*-ს<sup>147</sup> საქმეში მომჩივანი, რომელიც საკუთარი მანქანით გადაადგილდებოდა, გააჩერეს შესამონებლად და მას დაუსვეს კითხვები ისე, რომ არ დაუპატიმრებიათ. სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა ადგილის თავისუფლად დატოვების შესაძლებლობა, გარემოებები არ წარმოადგენდა „მომჩივანის მოქმედების თავისუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას, რაც საკმარისი იქნებოდა იურიდიული დახმარების მოთხოვნის წარმოშობისათვის პროცესის ამ ეტაპზე“ (პარაგრაფი 48). შესაბამისად, როგორც ჩანს, იურიდიული დახმარების უფლება შეიძლება გამოიყენებოდეს დაპატიმრების არარსებობის შემთხვევაშიც ან დაპატიმრებამდე, როდესაც პირის მოქმედების თავისუფლება მნიშვნელოვნად არის შეზღუდული.<sup>148</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოცემული უფლება გამოიყენება, როდესაც პირი იმყოფება ადმინისტრაციულ დაკავებაში და ფაქტობრივად მას ეპყრობიან როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს.<sup>149</sup> სასამართლოს დადგენილებით მოცემული უფლება აგრეთვე ვრცელდება პირზე, რომელიც პოლიციის იზოლაციაშია, ეპყრობიან როგორც მოწმეს, მაგრამ ფაქტობრივად განიხილება როგორც ეჭვმიტანილი.<sup>150</sup>

წარმოდგენილი დირექტივა ადვოკატზე ხელმისაწვდომობის შესახებ მოქმედებს „იმ მომენტიდან, როდესაც პირს კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოები აცნობებენ ...ოფიციალური შეტყობინებით ან სხვაგვარად, რომ ის ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში მანამ, სანამ პროცესი არ დასრულდება...“ (მე-2(1) მუხლი). მე-3 მუხლი კონკრეტულად ითვალისწინებს, რომ იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის უფლება დაუყოვნებლივ ვრცელდება ეჭვმიტანილ და ბრალდებულ პირებზე, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში:

- (ა) პოლიციის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოებული ნებისმიერი დაკითხვის დაწყებამდე;
- (ბ) ნებისმიერი პროცესუალური აქტის თუ მტკიცებულების მოპოვებისას, რომლის დროსაც ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს პირის დასწრების სავალდებულო ხასიათს ან აღიარებს მას უფლებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხელს შეუშლის მტკიცებულების ამოღებას;
- (გ) თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან (Art. 3 (1)).

146 ECtHR, დიდი პალატა, 27 ნოემბერი 2008, *Salduz v. Turkey*, No. 36391/02, პარაგრაფი 58, და იხილეთ ECtHR 13 ოქტომბერი 2010, *Demirkaya v. Turkey*, No. 31721/02, პარაგრაფი 16.

147 ECtHR 18 თებერვალი 2010, *Zaichenko v. Russia*, No. 39660/02.

148 დიდი ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ დაადგინა, რომ მანქანაში მყოფი პირისათვის, რომელიც სავარაუდოდ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იყო, კითხვების დასმა, რამდენად მართავდა ან აპირებდა ემართა მანქანა, არ წარმოშობდა იურიდიული დახმარების უფლებას. ამის საპირისპიროდ, პირის დაკითხვა და ბორკილების დადება, მის სახლში ჩხრეკის ბრძანების აღსრულების დროს, ( მიუხედავად იმისა რომ ფორმალურად ის არ დაუკავებიათ) წარმოშობს იურიდიული დახმარების უფლებას (*Ambrose v. Harris*; *HMA v. G.*; *HMA v. M.* [2011] UKSC 43).

149 ECtHR 21 აპრილი 2011, *Nechiporuk and Yonkalo v. Ukraine*, No. 42310/04, პარაგრაფი 264.

150 ECtHR 14 ოქტომბერი 2010, *Brusco v. France*, No. 1466/07.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გამოხატულია სხვა ტერმინებით, იგი სრულ შესაბამისობაშია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკასთან, რომლის თანახმადაც, იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეჭვმიტანილის თავისუფალი მოქმედების ნებისმიერი მნიშვნელოვანი შეზღუდვის მომენტიდან. თუ რამდენად ფართოა ხსენებული ვალდებულება, განხილულ უნდა იქნეს დამცველზე ხელმისაწვდომობის შესახებ ევროკავშირის წარმოდგენილი დირექტივის ორ მუხლზე - მე-2 (1) და მე-3-ზე - დაყრდნობით. მაგალითად, მე-3 (1) (b) მუხლი პირებს იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას აძლევს პოლიციის მიერ მათი სახლების ჩხრეკის დროს, მიუხედავად იმისა, გახდნენ თუ არა ისინი თავისუფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვის მსხვერპლნი, იმის გათვალისწინებით, რომ მათ აცნობეს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში მათ მიმართ არსებული ეჭვის შესახებ. ანალოგიურად, დირექტივა, სავარაუდოდ, ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც გააჩერეს ქუჩაში დაპატიმრების გარეშე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აცნობეს, რომ ისინი ეჭვმიტანილები არიან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. ჩნდება კითხვა, რამდენად ექნება ადგილი იურიდიული დახმარების უფლების დარღვევას, თუკი პირი არ ყოფილა ინფორმირებული.<sup>151</sup> დამცველზე ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივის მე-10 მუხლის მიხედვით, პირს, რომელიც ეჭვმიტანილი არ არის, „ვისი მოსმენაც ხდება პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ მიმდინარე სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით“, აქვს დამცველზე ხელმისაწვდომობის უფლება, „თუ დაკითხვის პროცესში ... მას მიიჩნევენ ეჭვმიტანილად... სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში“ (მე-10 (1) მუხლი). მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირ არ არის ხსენებული შესაბამის დირექტივაში, იგულისხმება, რომ როგორც კი პირი ფაქტიურად ეჭვმიტანილი ხდება, მას უნდა ეცნობოს ამ ფაქტის შესახებ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, პოლიცია და ხელისუფლების სხვა ორგანოები თავიდან აიცილებდნენ სამართლებრივი დახმარების უფლებით პირის უზრუნველყოფას იმ შემთხვევაში, როდესაც არ ახორციელებენ პირის დაკავებას და დაკითხვის დროს არ შეატყობინებდნენ მას იმის შესახებ, რომ ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში. ამავე დროს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირს მიეწოდება შესაბამისი ინფორმაცია, სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებული უფლება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით გაჩნდება ეჭვი, რომელიც შეიძლება მანამდე დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებით იყოს გამოწვეული. მოცემულ შემთხვევაში, მე-10 (2) მუხლი ადგენს, რომ დასმულ კითხვებზე გაცემული ნებისმიერი პასუხი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირების წინააღმდეგ. დამცველზე ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივის მე-3 მუხლის (დამცველზე ხელმისაწვდომობის შესახებ) მე-4 (1)-(3) მუხლთან ერთობლიობაში (რომელიც გულისხმობს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირის უფლებას შეხვედეს თავის ადვოკატს და მისი ადვოკატი ესწრებოდეს ნებისმიერ დაკითხვას, მოსმენას ან ნებისმიერ საგამოძიებო ან მტკიცებულებების შეგროვების პროცედურას)<sup>152</sup> მოთხოვნებიდან გადახვევა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ნებისმიერი გადახვევა:

- (ა) გამართლებული უნდა იყოს საფუძვლიანი მიზეზებით, რომელიც ადასტურებს მის ცალსახა აუცილებლობას, პირის სიცოცხლის ხელყოფის ან ფიზიკური დაზიანების სერიოზული შედეგების თავიდან ასაცილებლად;
- (ბ) არ იყოს დაფუძნებული მხოლოდ სავარაუდო დანაშაულის ტიპსა თუ სიმძიმეზე;
- გ) არ უნდა გასცდეს საჭიროების ფარგლებს;
- (დ) რაც შეიძლება მეტად იყოს შეზღუდული დროში და ნებისმიერ შემთხვევაში არ გავრცელდეს სასამართლო განხილვის ეტაპზე; და
- (ე) არ ხელყოს სამართალწარმოების სამართლიანობა (მე-8 მუხლი).

<sup>151</sup> რაც თავისი არსით იყო რუსკოს პოზიცია.

<sup>152</sup> და მე-5 მუხლი (დაპატიმრებისთანავე კომუნიკაციის უფლება) და მე-6 მუხლი (საკონსულო და დიპლომატიურ ორგანოებთან კომუნიკაციის უფლება).



ხსენებული კონკრეტულად და უფრო დეტალურად აყალიბებს „საფუძვლიანი მიზეზების“ მოთხოვნას, რომელიც უკავშირდება დამცველზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკით (იხილეთ ზემოთ). თუმცა, იმ მოთხოვნასთან ერთად, რომ გადახვევა იყოს არა მარტო დასაბუთებული, არამედ დადგინდეს სასამართლო ორგანოს მიერ კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დირექტივა უფრო შორს მიდის, ვიდრე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

## 5.4 სამართლებრივი დახმარება დაკითხვის დროს

*Salduz* -ის გადაწყვეტილებამ მკაფიოდ განსაზღვრა, რომ იურიდიული დახმარების უფლება მოქმედებს “პირველი დაკითხვის მომენტიდან”, მაგრამ ის გარკვევით არ ადგენს მოიცავს თუ არა მოცემული უფლება ნებისმიერი დაკითხვის დროს დამცველის ყოლის უფლებას.<sup>153</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს რამდენიმე შემდგომმა გადაწყვეტილებამ ნათელი მინიშნება გააკეთა იმაზე, რომ ამ უფლების მოქმედების ფარგლები არ არის ასე ფართო<sup>154</sup>, სასამართლოს გადაწყვეტილებებმა *Mader*<sup>155</sup> და *Sebalj*<sup>156</sup> საქმეებში ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაადასტურა ხსენებული. *Mader*-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის (1) და (3) (c) პარაგრაფების დარღვევა, რადგან “მომჩივანი დაკითხა პოლიციამ და მან მისცა აღიარებითი ჩვენება დამცველთან კონსულტაციისა და მისი დასწრების გარეშე”.<sup>157</sup> *Sebalj*-ის საქმეში მოსარჩელემ იჩილა, რომ “პოლიციის მიერ მისი პირველი დაკითხვის დროს იგი არ იყო უზრუნველყოფილი სამართლებრივი დახმარებით”<sup>158</sup> და სასამართლომ კვლავ დაადგინა, რომ “ამ ფაქტებზე დაყრდნობით, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (1) და მე-6 (3) (c) მუხლების დარღვევას იმის გამო, რომ 2005 წლის 9 ნოემბერს განმცხადებელი დაკითხულ იქნა პოლიციის მიერ დამცველის დასწრების გარეშე.”<sup>159</sup>

წარმოდგენილი დირექტივა დამცველზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მისი მე-4 (2) მუხლი, პირდაპირ ითვალისწინებს დამცველზე ხელმისაწვდომობის უფლებას პოლიციის მიერ განხორციელებული დაკითხვების დროს. ამასთან:

დამცველს უნდა ჰქონდეს უფლება დაესწროს ნებისმიერ დაკითხვასა და განხილვას. მას უნდა ჰქონდეს უფლება, დასვას კითხვები, მოითხოვოს დაზუსტება და გააკეთოს განცხადებები, რაც უნდა დაფიქსირდეს კანონით დადგენილი წესით.

ამასთან ერთად, მე-4 (3) მუხლი ითვალისწინებს, რომ დამცველს აგრეთვე აქვს უფლება დაესწროს ნებისმიერ საგამოძიებო და მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებულ მოქმედებას, რომელშიც ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირების დასწრება სავალდებულოა ან დაშვებულია როგორც უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამან შეიძლება ხელი შეუშალოს მტკიცებულებების მოპოვებას. მაშინ, როდესაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ევროპის კონვენციის ზოგადი მიდგომის გათვალისწინებით იხილავს საკითხს ეჭვმიტანილის უფლებებთან დაკავშირებით, წარმოდგენილი დირექტივა დაკითხვაზე დასწრების უფლებას ასევე ანიჭებს დამცველს, რომელიც დახმარებას უწევს ეჭვმიტანილს. მიუხედავად

153 ამის შედეგად, ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა, როგორცაა ნიდერლანდები, აცხადებდა, რომ ის არ ვრცელდება ასე ფართოდ.

154 მაგალითად, ECtHR 14 ოქტომბერი 2010, *Brusco v. France*, No. 1466/07, და ECtHR 13 ოქტომბერი 2009, *Dayanan v. Turkey*, No 7377/03.

155 ECtHR 21 ივნისი 2011, *Mader v. Croatia*, No. 56185/07.

156 ECtHR 28 ივნისი 2011, *Sebalj v. Croatia*, No. 4429/09.

157 ECtHR 21 ივნისი 2011, *Mader v. Croatia*, No. 56185/07, პარაგრაფი 153.

158 ECtHR 28 ივნისი 2011, *Sebalj v. Croatia*, No. 4429/09, პარაგრაფი 256.

159 პარაგრაფი 257.



იმისა, რომ განსხვავებული მიდგომების შედეგები აქ არ იქნება განხილული, წარმოდგენილი დირექტივის დებულებები წამოჭრის მნიშვნელოვან საკითხებს იმ ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, რომელიც არსებობს სამართლებრივ დახმარებაზე ექვემდებარების მიერ უარის გაცხადების უფლებასა და დაკითხვის დროს დამცველის დასწრების უფლებას შორის.

## 5.5 დამცველთან განმარტოებით კონსულტაციის უფლება

ეფექტური იურიდიული დაცვის მნიშვნელოვანი პირობაა ადვოკატ-კლიენტს შორის კონფიდენციალური ურთიერთობა, რომელიც გულისხმობს კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლებას და ადვოკატის შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას კლიენტზე. ეს გულისხმობს იმის გარანტიების არსებობის აუცილებლობას, რომ დამცველებს გააჩნდეთ საშუალება შეხვედნენ და ესაუბრონ თავიანთ კლიენტებს კონფიდენციალურად, მესამე მხარის მიერ მიყურადების გარეშე.<sup>160</sup> მაშინ, როდესაც დამცველზე ხელმისაწვდომობის შესახებ წარმოდგენილი დირექტივა ნათლად ითვალისწინებს დებულებას ადვოკატ-კლიენტს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალობის შესახებ (მე-7 მუხლი), ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში ეს დებულება ნათლად არ არის განსაზღვრული. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განიხილა მე-ნ და მე-მ (პირადი ცხოვრების უფლება) მუხლების სავარაუდო დარღვევის საკითხი, როდესაც იხილავდა ადვოკატ-კლიენტის კონფიდენციალურობის დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეს. ამ თემაზე უმნიშვნელოვანესი გადამწყვეტილება იქნა გამოტანილი საქმეზე *Niemietz*, რომელშიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ზოგადი სახით დაადგინა: „როდესაც საქმე ეხება ადვოკატს, პროფესიული საიდუმლოების დარღვევამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მართლმსაჯულების ეფექტურ ადმინისტრირებასა და კონვენციის მე-ნ მუხლით გარანტირებულ უფლებებზე“.<sup>161</sup> ანალოგიურად, *Ocalan*-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაციაზე მიყურადება არღვევდა „დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას“.<sup>162</sup> სხვა გადამწყვეტილებებში სასამართლომ მიუთითა მე-ნ (3) მუხლით გარანტირებულ უფლებებზე, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი დახმარების მოთხოვნას. *Schonenberger and Durmaz*-ის საქმეში კორესპონდენცია, რომელიც ადვოკატმა მის კლიენტს გაუგზავნა, შეჩერებულ იქნა, რადგან ხელისუფლების ორგანოებმა შეიტყვეს მისი შინაარსი. კერძოდ, ბატონმა დურმაზმა მის კლიენტს მისცა რჩევა, გამოეყენებინა დუმის უფლება. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა უფლების დარღვევას და განამტკიცა პრინციპი, რომ დუმის უფლება, როგორც ასეთი, უზრუნველყოფილია მე-ნ მუხლით. სასამართლომ ამასთანავე აღნიშნა, რომ კომუნიკაციაში ჩარევა ეწინააღმდეგება მე-მ (2) მუხლის მოთხოვნას და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>163</sup> ამასთანავე, სასამართლომ განმარტა, რომ სამართლიანი სასამართლოსათვის ადვოკატ-კლიენტს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, ეს უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. კომუნიკაციაში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც არსებობს იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ბოროტად ხდება კონფიდენციალურობის გამოყენება. მაშინ, როდესაც კომუნიკაციის სისტემატური კონტროლი წინააღმდეგობაში მოდის სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან, მიყურადება შეიძლება დასაშვებ იყოს. მაგალითად, თუ არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ კომუნიკაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას უშიშროებას სხვათა უსაფრთხოებას ან გააჩნდეს დანაშაულის ჩადენის მიზანი.<sup>164</sup> ზოგიერთ სახელმწიფოში მოქმედებს დებულებები, რომლებიც უშვებენ

160 ECtHR 27 ნოემბერი 2007, *Zagaria v. Italy*, No. 58295/00, პარაგრაფი 30.

161 ECtHR 16 დეკემბერი 1992, *Niemietz v. Germany*, A 251-B, პარაგრაფი 37.

162 ECtHR 12 მაისი 2005, *Ocalan v. Turkey*, No. 46221/99.

163 ECtHR 20 ივნისი 1988, *Schonenberger and Durmaz v. Switzerland*, No. 11368/85. ასევე იხილეთ *S. v. Switzerland* (1992) 14 EHRR 670.

164 ECtHR 9 ოქტომბერი 2008, *Moiseyev v. Russia*, No. 62936/00, პარაგრაფი 210. ასევე იხილეთ, ECtHR, 25 მარტი 1992, *Campbell v. United Kingdom*, No. 13590/88, პარაგრაფი 48.

ადვოკატისა და კლიენტის კონსულტაციის მიყურადებას ან თვალთვალს<sup>165</sup>. ამასთან დაკავშირებით ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უთითებს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობის პრივილეგია ექვემდებარება განსხვავებულ ადგილობრივ ან ეროვნულ ჩვეულებებს და ეს ჩვეულებები ხშირად არ არის შესაბამისი კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებთან.<sup>166</sup>

## 5.6 უფასო იურიდიული დახმარება და იურიდიული წარმომადგენლობა არჩევით

მე-6 (3) (c) მუხლის ტექსტი ნათლად განსაზღვრავს, რომ ეჭვმიტანილ და ბრალდებულ პირებს ადვოკატის არჩევის უფლება აქვთ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი თავად იხდიან ადვოკატის მომსახურების საფასურს. თუმცა, არ არის ნათელი რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატის მომსახურების უზრუნველყოფა უფასოდ ხორციელდება. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ თუმცა ადვოკატისა და კლიენტს შორის ურთიერთობაზე დაფუძნებული ურთიერთობა მნიშვნელოვანია, ადვოკატის არჩევის უფლება არ არის აბსოლუტური. კერძოდ, ის შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას, როდესაც ხდება უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა. მართალია, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირის სურვილები ადვოკატის დანიშვნის დროს, მაგრამ პირის სურვილი შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს „როდესაც სახეზეა შესაბამისი საფუძვლები, რომ ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესების განხორციელებისათვის.“<sup>167</sup> მე-6 (3) (c) მუხლი ითვალისწინებს, რომ უფასო იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მაშინ, როდესაც ორი პირობაა დაკმაყოფილებული: ერთი – პირს არ გააჩნია საკმარისი საშუალებები, რომ გადაიხადოს დამცველის მომსახურების საფასური (საშუალებათა პირობა) და მეორე – ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები (არსობრივი პირობა). როგორც აღინიშნა პირველი თავის 4.3.2 ნაწილში, მართალია ევროპის კავშირის გზამკვლევი ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის პროცესში იურიდიული დახმარების შესახებ დირექტივა იქნება მიღებული, აღნიშნული დირექტივა ჯერ არ გამოქვეყნებულა. დამცველზე ხელმისაწვდომობის შესახებ წარმოდგენილი დირექტივის მე-12 (2) მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ იმას, რომ წევრმა სახელმწიფოებმა სამართლებრივი დახმარების შესახებ არ უნდა გამოიყენონ იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი დებულებები, ვიდრე ეს ამჟამად არის გათვალისწინებული დამცველზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული დირექტივით. სახელმწიფოები აწყდებიან პროცედურულ და პრაქტიკულ პრობლემებს შესაბამისი მექანიზმების შექმნისა და გამოყენების დროს იმის დასადგენად, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული კონკრეტულ საქმეში საშუალებებისა და არსობრივი პირობები, განსაკუთრებით სისხლის სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე, როდესაც გადაწყვეტილებები მცირე დროში უნდა იქნეს მიღებული.<sup>168</sup> მართალია ევროპის კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოებს გააჩნიათ შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლები იმის დასადგენად, თუ როგორ უზრუნველყონ უფასო სამართლებრივი დახმარება, მიღებული სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სამართლებრივი დახმარების უფლების „პრაქტიკულობასა და ეფექტიანობას“. შესაბამისად *Wersel*-ის საქმეში, რომელიც ეხებოდა საკასაციო საჩივარს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ „ეროვნული სასამართლო ვალდებული იყო განეხილა მომჩივანის განაცხადი სამართლებრივი დახმარების მინიჭებაზე იმგვარად, რომ უზრუნველყო საკასაციო საჩივრის

165 იხილეთ, მაგალითად, პოლონეთთან დაკავშირებით, კეიპი et al. 2010, გვერდი 482.

166 იხილეთ ECtHR 25 მარტი 1998, Kopp v. Switzerland, No. 23224/94; ECtHR 25 ნოემბერი 2004 Decision as to the Admissibility of Aalmoes and 112 Others v. Th e Netherlands; ECtHR 27 სექტემბერი 2005, Petri Sallinen and Others v. Finland, No. 50882/99; ECtHR, 7 ივნისი 2007, Smirnov v. Russia, No. 71362/01; და ECtHR 28 ივნისი 2007, Th e Association for European Integration and HumanRights and Ekimdzhiiev v. Bulgaria, No. 62540/00. იხილეთ აგრეთვე სპრონკენ და ფერნმონი 2008.

167 ECtHR 25 სექტემბერი 1992, Croissant v. Germany, No. 13611/88, პარაგრაფი 29, და ECtHR 14 იანვარი 2003, Lagerblom v. Sweden, No. 26891/95, პარაგრაფი 54.

168 იხილეთ კეიპი et al. 2010, გვერდი 590 იმ სირთულეების შესახებ, რომლებსაც აწყდებიან ევროპის კავშირის რამდენიმე იურისდიქციაში.

შესაბამისად მომზადება და საქმის განხილვა უზენაესი სასამართლოს მიერ.<sup>169</sup> მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადამიანის უფლებების პრაქტიკა ამ თემასთან დაკავშირებით საკმაოდ მწირია, ნათელია, რომ უფასო სამართლებრივი დახმარების მექანიზმები უნდა იყოს ისეთი, რომ ისინი არ ახდენდნენ მე-6 (1) და მე-6 (3) (c) მუხლებით გათვალისწინებულ უფლებებში მნიშვნელოვან ჩარევას.

რაც შეეხება არსობრივ პირობას, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია საშუალებათა არარსებობის შესახებ მტკიცების ტვირთი აკისრია პირს, რომელიც ითხოვს უფასო სამართლებრივ დახმარებას (ანუ ეჭვიმტანილს ან ბრალდებულს),<sup>170</sup> ეჭვიმტანილს არ აკისრია ვალდებულება „ყოველგვარი ეჭვის მიღმა“ დაამტკიცოს, რომ მას არ გააჩნია საშუალება გადაიხადოს დამცველთან დაკავშირებული ხარჯები.<sup>171</sup> კვლავაც, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზე მწირია და საკმაოდ მცირე განმარტებებია მოცემული იმაზე, თუ რას ნიშნავს „არასაკმარისი საშუალებები“ ზოგადად და როგორ უნდა მოხდეს მისი განმარტება კონკრეტული იურისდიქციის კონტექსტში. არსობრივი პირობა უფრო საფუძვლიანად იქნა განხილული ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ და მითითებულ იქნა სამი ფაქტორი, რომლებზეც უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება სამართლებრივ დახმარებაზე უფლების არსებობის დასადგენად:<sup>172</sup>

(a) დანაშაულის სერიოზულობა და პოტენციური სასჯელის სიმკაცრე;

(b) საქმის სირთულე;

(c) ბრალდებულის სოციალური და პირადი მდგომარეობა.

პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ არსობრივი პირობა დაკმაყოფილებულია პრინციპის დონეზე, როდესაც თავისუფლების აღკვეთას აქვს ადგილი,<sup>173</sup> თუმცა ეს წარმოადგენს „მართლმსაჯულების ინტერესების“ საკმაოდ ვიწრო განმარტებას. ამასთან ერთად, სამართლებრივ დახმარებაზე უარის თქმა პროცესუალური აქტების განხორციელების დროს, მათ შორის დაკითხვისა და სამედიცინო შემოწმებისას, სრულიად დაუშვებელია.<sup>174</sup> პრეცედენტულ სამართალში არსებობს დამატებითი მითითება, თუ როგორ უნდა მოხდეს სხვადასხვა ფაქტორების ინტერპრეტირება ნებისმიერ კონკრეტულ საქმეში.

არსებული კვლევები აჩვენებს, რომ სამართლებრივი დახმარება ევროპის კავშირის ბევრი წევრი ქვეყნის აქტიულის ქუსლია. მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს გააჩნია სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებული არსობრივი ტესტის სტანდარტი. ასევე სახეზეა არსებითი განსხვავებები იმ მიდგომებში, რომლებითაც ხდება ამ საშუალებათა შეფასება და გადახდისუუნარობის ზღვრის დადგენა. ბევრ ქვეყანაში არ არსებობს სტანდარტული არსობრივი ტესტი. განცხადების პროცედურები ხშირად ბუნდოვანია და ასევე ბუნდოვანია ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები. ევროპის კავშირის ქვეყნების ნახევარში არ არსებობს საკანონმდებლო დონეზე დადგენილი ვადები, რომლებშიც უნდა მოხდეს სამართლებრივი დახმარების მოთხოვნის განხილვა და ბევრი სახელმწიფო უფასო სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფის დროს არ უშვებს დამცველის არჩევის უფლებას.<sup>175</sup> უფასო

169 ECtHR 13 სექტემბერი 2011, Wersel v. Poland, No. 30358/04, პარაგრაფი 52, იხილეთ აგრეთვე ECtHR 14 სექტემბერი 2010, Subicka v. Poland, No. 29342/06.

170 ECtHR 25 სექტემბერი 1992, Croissant v. Germany, No. 13611/88, პარაგრაფი 37, და ECtHR 21 ივნისი 2011, Orlov v. Russia, No. 29652/04, პარაგრაფი 114.

171 ECtHR 25 აპრილი 1983, Pakelli v. Germany, No. 8398/78.

172 ECtHR 24 მაისი 1991, Quaranta v. Switzerland, No. 12744/87, პარაგრაფი 35.

173 ECtHR 10 ივნისი 1996, Benham v. UK, No. 19380/92, პარაგრაფი 59.

174 ECtHR 20 ივნისი 2002, Berlinski v. Poland, Nos. 27715/95 და 30209/96.

175 სპონკენ et al., პარაგრაფი 3.2. იხილეთ აგრეთვე ბოვლს და პერრი 2009, და კეიპი et al. 2010.

სამართლებრივი დახმარების განმხორციელებელი დამცველის ხარჯების ანაზღაურება მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში და მთავრობათა მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სისხლის სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი დახმარების განწევაზე მიუთითებს, რომ პრაქტიკაში ვანყდებით პრობლემებს ევროპის კონვენციის მე-6 (3)(C) მუხლთან შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც გამონვეულია ამ ხარჯების დაბალი ანაზღაურებით.<sup>176</sup> თუმცა, ანაზღაურების საკითხზე არ არსებობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ნათელი პრეცედენტული სამართალი.

## 5.7 ადვოკატთა როლი, დამოუკიდებლობა და სტანდარტები

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში არ არის პირდაპირი დებულება სისხლის სამართლის ადვოკატების როლზე, დამოუკიდებლობაზე ან სტანდარტებზე. დამცველზე ხელმისაწვდომობის შესახებ წარმოდგენილი დირექტივა ადგენს გარკვეულ ფუნქციებს, რომელთა განხორციელების შესაძლებლობაც უნდა გააჩნდეს ადვოკატს, რომელიც მოქმედებს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირის სახელით.<sup>177</sup> თუმცა, დირექტივა არ შეიცავს დამოუკიდებლობასთან ან სტანდარტებთან დაკავშირებულ დებულებებს.<sup>178</sup> ჰავანის დეკლარაცია<sup>179</sup> ითვალისწინებს, რომ მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ადვოკატების შესაძლებლობა განხორციელონ ფუნქციები ზენოლის, ხელის შეშლის, დევნის ან არასწორი ჩარევის (მუხლი 16) გარეშე. სხენებული დეკლარაცია ადგენს, რომ ადვოკატების გაიგივება არ უნდა მოხდეს მათ კლიენტებთან ან მათი კლიენტების საქმესთან (მუხლი 18). თუმცა, მსგავსი დებულებები არ გვხვდება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში.

დაცვის ადვოკატის როლი შეიძლება წარმოჩინდეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებიდან. ადვოკატის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა კლიენტის დახმარება არა მხოლოდ სასამართლო სამართალწარმოებისათვის მომზადების პროცესში, არამედ იმის უზრუნველყოფაში, რომ სამართალწარმოებისას განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება იყოს კანონიერი.<sup>180</sup> რაც შეეხება სისხლის სამართლის პროცესის საგამოძიებო სტადიას, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იურიდიული დახმარების განწევაზე დუმის უფლების და საკუთარი თავის ინკრინინირებისგან დაცვის გარანტიის განხორციელების თვალსაზრისით, კერძოდ, ამ კუთხით ზენოლის და ძალადობის პრევენციის მიმართულებით.<sup>181</sup> *Dayanan*-ის საქმეში სასამართლო უფრო შორს წავიდა იმის აღნიშვნით, რომ მხარეთა თანასწორობის უფლება მოითხოვს, რომ ეჭვმიტანილმა, მათ შორის პოლიციის მიერ დაკითხვის ეტაპზე, მიიღოს ყველა ის სარგებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამართლებრივი დახმარებიდან. ესაა: საქმის გაანალიზება, ბრალდებულის მიერ ინსტრუქციების მიცემა, ფაქტების გამოძიება და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება, დაკითხვისთვის მომზადება, ბრალდებულის მხარდაჭერა და იმ პირობების გაკონტროლება, რომელშიც ბრალდებული იმყოფება.<sup>182</sup>

176 იხილეთ მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის (CEPEJ) ანგარიში - ევროპული სასამართლო სისტემები - 2008, ევროპის საბჭო, სექტემბერი 2008, 46-ე პუნქტი და სპრონკენ et al. 2009, გვერდი 71.

177 მაგალითად, დაკითხვის, სასამართლო განხილვის ან მტკიცებულებების მოპოვების პროცედურების დროს დასწრება და იმ პირობების შემონგების უფლება, რომლებშიც კლიენტი იმყოფება.

178 ეს შეიძლება შედარებულ იქნეს სისხლის სამართლის პროცესში თარგმანის უზრუნველყოფის შესახებ დირექტივასთან, 20 ოქტომბერი 2010, მე-5 მუხლი, რომელიც აკისრებს ვალდებულებას წევრ სახელმწიფოებს მიიღონ კონკრეტული ზომები, რათა უზრუნველყონ რომ, თარგმანი აკმაყოფილებდეს ხარისხის სტანდარტებს, რომლებიც მე-2 (8) და მე-3 (9) მუხლებითაა გათვალისწინებული.

179 ჰავანის დეკლარაცია ადვოკატთა როლის შესახებ, დამტკიცებული გაეროს დანაშაულის პრევენციისა და ბრალდებულთა მოპყრობის მე-8 კონგრესზე, ჰავანა, კუბა, 1990.

180 ECtHR 12 ივლისი 1984, Can (B 79), და ECtHR 4 მარტი 2003, Öcalan v. Turkey, No. 63486/00.

181 ECtHR, დიდი პალატა, 27 ნოემბერი 2008, Salduz v. Turkey, No. 3639/10, პარაგრაფი 54, და ECtHR 1 აპრილი 2010, Pavlenko v. Russia, No. 42371/02, პარაგრაფი 101.

182 ECtHR 13 ოქტომბერი 2009, Dayanan v. Turkey, No. 7377/03, პარაგრაფი 32: 'En effet, l'équité de la procédure requiert que l'accusé puisse obtenir toute la vaste gamme d'interventions qui sont propres au conseil. A cet égard, la discussion de l'affaire, l'organisation de la défense, la recherche des preuves favorables à l'accusé, la préparation des interrogatoires, le soutien de l'accusé en détresse et le contrôle des conditions de détention sont des éléments fondamentaux de la défense que l'avocat doit librement exercer.'



რაც შეეხება დამოუკიდებლობას, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მიხედვით ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს აქვთ შეფასების გარკვეული ფარგლები ადვოკატის ფუნქციებში ნებისმიერი ჩარევის აუცილებლობის განსაზღვრის დროს, მაგრამ ჩარევასთან დაკავშირებული თავისუფლების ფარგლები ექვემდებარება ზედამხედველობას, როგორც შესაბამის საკანონმდებლო ნორმებთან მიმართებაში, ისე ამ ნორმების საფუძველზე გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. როდესაც ადვოკატის მიერ მოსამართლის ან პროკურორის კრიტიკა გამოთქმულია სასამართლო დარბაზში, ადვოკატის საქმიანობაში ჩარევასთან დაკავშირებით სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფარგლები უფრო ვიწროა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც კრიტიკა საჯაროა, მაგალითად, გამოთქმულია მედიაში.<sup>183</sup> *Nikula-ს*<sup>184</sup> საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ “ადვოკატის მიერ სისხლის სამართლის პროცესში მეორე მხარის (პროკურორის) კრიტიკის *ex post facto* განხილვის საშიშროება რთულია შეჯერებულ იქნეს დაცვის ადვოკატის ვალდებულებასთან დაიცვას თავისი კლიენტის ინტერესები მთელი სისრულით“. ადვოკატის თავისუფლება დაიცვას მისი კლიენტის ინტერესები თავისი შეხედულებისამებრ, განხილულ იქნა სასამართლოს მიერ მე-10 მუხლთან (გამოხატვის თავისუფლება) შესაბამისობის კუთხითაც. *Nikula* საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ რიგ შემთხვევებში ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა პროცესის დროს ქმნის საფრთხეს მე-6 მუხლის კუთხითაც, რაც გულისხმობს ბრალდებული კლიენტის უფლებას ისარგებლოს სამართლიანი სასამართლო პროცესით. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ძირითადი მიდგომა შემდეგია: ადვოკატები რეალურად უფლებამოსილი არიან გააკეთონ კომენტარი მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე საჯაროდ, მაგრამ მათმა კრიტიკამ არ უნდა გადააბიჯოს გარკვეულ ზღვარს. ყურადღება უნდა მიექცეს არსებულ სხვადასხვა ინტერესს შორის სწორი ბალანსის დაცვის საჭიროებას, რაც გულისხმობს საზოგადოების უფლებას, მიიღოს ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობს სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან, მართლმსაჯულების შესაბამისი ადმინისტრირების მოთხოვნებიდან და იურიდიული პროფესიის ღირსებიდან.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს თანახმად, იურიდიული დახმარება უნდა იყოს ეფექტიანი და სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, რომ ადვოკატებს გააჩნდეთ საჭირო ინფორმაცია ეფექტური დაცვის განსახორციელებლად.<sup>185</sup> თუ კონკრეტული ადვოკატის მოქმედება არ არის ეფექტიანი, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ეფექტიანი სხვა ადვოკატი.<sup>186</sup> თუმცა, სასამართლო არანაირ პასუხისმგებლობას არ აკისრებს სახელმწიფოებს ადვოკატების მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რომლებსაც, როგორც დამოუკიდებელი ლიბერალური პროფესიის წარმომადგენლებს, თავად უნდა ჰქონდეთ შემუშავებული რეგულირების წესები. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ რამდენიმეჯერ განაცხადა:

სახელმწიფო არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს უფასო სამართლებრივი დახმარების შედეგად დანიშნული ადვოკატის ნებისმიერ შეცდომაზე...სახელმწიფოები მხოლოდ მაშინ არიან ვალდებულნი ჩაერიონ, თუ ადვოკატის მიერ ეფექტიანი წარმომადგენლობის განუხორციელებლობა აშკარაა და ხელისუფლების ორგანოებმა უწყიან ამის შესახებ.<sup>187</sup>

183 იხილეთ ECtHR 21 მარტი 2002, *Nikula v. Finland*, No. 31611/96, პარაგრაფი 46, ECHR 2002-II; *Schöpferv. Switzerland*, გადაწყვეტილება, 20 მაისი 1998, გადაწყვეტილებების ანგარიშები 1998-III, გვერდები 1053-54, პარაგრაფები 33, და ECtHR 17 ივლისი 2008, *Schmidt v. Austria*, No. 513/05.

184 ECtHR 21 მარტი 2002, *Nikula v. Finland*, No. 31611/96.

185 ECtHR 9 აპრილი 1984, *Goddi (A 76)*, და ECtHR 4 მარტი 2003, *Öcalan v. Turkey*, No. 63486/00.

186 ECtHR 13 მაისი 1980, *Artico v. Italy (A 37)*.

187 ECtHR 24 ნოემბერი 1993, *Imbrioscia v. Switzerland*, No. 13972/88. იხილეთ აგრეთვე ECtHR 19 დეკემბერი 1989, *Kamasinski v. Austria*, No. 9783/82; ECtHR 10 ოქტომბერი 2002, *Czekalla v. Portugal*, No. 38830/97, პარაგრაფი 65; ECtHR 7 ოქტომბერი 2008, *Bogumil v. Portugal*, No.35228/0317/168; ECtHR 21 აპრილი 1998 *Daud v. Portugal*, No. 22600/93, პარაგრაფი 38; ECtHR 14 იანვარი 2003, *Lagerblom v. Sweden*, No. 26891/95, პარაგრაფი 56; ECtHR 26 იანვარი 2010, *Ebanks v. UK*, No. 36822/06, პარაგრაფი 73 და 84-82; და ECtHR 21 ივნისი 2011, *Orlov v. Russia*, No. 29652/04, პარაგრაფი 108.



აღნიშნული წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ადვოკატი შერჩეულია ბრალდებულის მიერ და მაშინაც, როდესაც იგი დანიშნულია უფასო სამართლებრივი დახმარების ფარგლებში.<sup>188</sup> რაც შეეხება იურიდიულ დახმარებას პოლიციაში დაკითხვის დროს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ კრიტიკულად გააანალიზა უფასო სამართლებრივი დახმარების შედეგად დანიშნული ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გაწეული დახმარების ეფექტურობა, რათა პოლიციაში დაკავებისას, კლიენტს არ მოეხდინა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა და ეფექტიანად ესარგებლა დუმილის უფლებით. *Pavlenko*-ს საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიცია ვალდებული იყო თვალყური მიედევნებინა ადვოკატის ეფექტიანობისთვის.<sup>189</sup> თუმცა ხსენებული დადგენილ იქნა კონკრეტულ განმცხადებელთან მიმართებით, რომელმაც უარი განაცხადა უფასო იურიდიული დახმარების ადვოკატის მომსახურებაზე და აირჩია დედის მიერ დაქირავებული ადვოკატი, ხოლო პოლიცია კი განმცხადებელს არაფორმალურად, ადვოკატის თანდასწრების გარეშე „გაესაუბრა“.

## 6. პროცესუალური უფლებები

### 6.1 უდანაშაულობის პრეზუმფცია და დუმილის უფლება

#### 6.1.1 უდანაშაულობის პრეზუმფცია

უდანაშაულობის პრეზუმფცია გარანტირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (2) მუხლით და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. ის შედგება სამი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული მოთხოვნისაგან:<sup>190</sup>

პირველი, სასამართლო ორგანოებმა წინასწარ არ უნდა მიიჩნიონ, რომ პირმა ჩაიდინა ის დანაშაული, რომელშიც ის ბრალდებულია. უდანაშაულობის პრეზუმფცია დარღვეული იქნება თუ კანონის შესაბამისად არ მოხდება ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა, კერძოდ, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა თუ პირს არ ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს დაცვის უფლებებით და ასეთი სამართალწარმოების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება მიიჩნეოს ბრალდებულს დამნაშავედ.<sup>191</sup> მაგალითად, *Paskal*-ის საქმეში ინტერვიუში, რომელიც მოსამართლემ სავარაუდოდ საინფორმაციო ჟურნალს პროცესის დასაწყისში მისცა, უთითებდა, რომ მოსამართლე დარწმუნებული იყო პირის ბრალეულობაში, ეს კი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, არღვევდა ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებას.<sup>192</sup> მე-6 (2) მუხლი მოქმედებს სისხლის სამართალწარმოების მთლიანი პროცესის განმავლობაში „მიუხედავად სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგებისა“.<sup>193</sup> მაგრამ, როგორც კი ბრალდებული ცნობილ იქნება დამნაშავედ, პრეზუმფცია, პრინციპის დონეზე, წყვეტს მოქმედებას.<sup>194</sup> უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის ვალდებულება აქვთ საჯარო მოხელეებსაც და ის შეიძლება დაირღვეს, თუ საჯარო მოხელის

188 ECtHR 1 აპრილი 2010, *Pavlenko v. Russia*, No. 42371/02, პარაგრაფი 99.

189 ECtHR 1 აპრილი 2010, *Pavlenko v. Russia*, No. 42371/02, პარაგრაფები 108–114.

190 ECtHR 6 დეკემბერი 1988, *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, No. 10590/83, პარაგრაფი 77

191 ECtHR 21 თებერვალი 1983, *Minelli v. Switzerland*, No. 8660/79, პარაგრაფი. 37. აღნიშნული დასაბუთება აგრეთვე ვრცელდება იმ პროცედურებზე, რომლებიც ეხება ქონების კონფისკაციას: ECtHR 1 მარტი 2007, *Geerings v. the Netherlands*, No. 30810/03, პარაგრაფები 41–51; ან კონვენსაცია გამართლების შემდეგ: ECtHR 25 აგვისტო 1993, *Sekanina v. Austria*, No. 13126/87, პარაგრაფი. 30; ECtHR 13 იანვარი 2005, *Capeau v. Belgium*, No. 42914/98, პარაგრაფები 21–26; და ECtHR 15 მაისი 2008, *Orr v. Norway*, No. 31283/04, პარაგრაფები 50–55.

192 ECtHR 15 სექტემბერი 2011, *Pavlenko v. Ukraine*, No. 24562/04, პარაგრაფი 69.

193 ECtHR 21 თებერვალი 1983, *Minelli v. Switzerland*, No. 8660/79, პარაგრაფი 30.

194 ECtHR 5 ივლისი 2001, *Phillips v. United Kingdom*, No. 41087/98, პარაგრაფები 28–36.

განცხადება სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირზე მანამ მიუთითებს, რომ იგი დამნაშავეა, სანამ ეს დამტკიცდება კანონის შესაბამისად.<sup>195</sup> ამასთან დაკავშირებით სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საჯარო პირების მიერ მათ განცხადებებში სიტყვების შერჩევის მნიშვნელობაზე, სანამ პირი არ იქნება გასამართლებული და არ დასდებენ ბრალს დანაშაულის ჩადენაში.<sup>196</sup>

მეორე, უდანაშაულობის პრეზუმფცია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მტკიცებულებებთან დაკავშირებით მოქმედ წესებზე – მტკიცების ტვირთი პროკურორზეა და ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (*in dubio pro reo*).<sup>197</sup> მეტიც, ის გულისხმობს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს მტკიცებულებას, რომელიც წარდგენილ იქნა მის წინაშე და არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ბრალდებებს ან ვარაუდს.<sup>198</sup> *Telfner*–ის საქმეში საკითხი ეხებოდა იმას, თუ რამდენად შეეძლოთ ეროვნულ სასამართლოებს მსჯავრდების დაფუძნება ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს გაუფრთხილებლობით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით მხოლოდ ადგილობრივი პოლიციის ანგარიშზე, რომლის თანახმადაც განმცხადებელი იყო პირი, რომელიც ძირითადად სარგებლობდა ამ მანქანით და ინციდენტის ღამეს ის სახლში არ იმყოფებოდა. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცებულების ელემენტები, რომლებიც სასამართლო პროცესზე შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ იქნა გამყარებული, არ იყო საკმარისი ბრალდებულის წინააღმდეგ საქმის აღსაძრავად და მტკიცების ტვირთმა გაუმართლებლად გადაინაცვლა პროკურორიდან დაცვის მხარეზე.<sup>199</sup> თუმცა, უდანაშაულობის პრეზუმფცია არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ხელისუფლების ორგანოები დაიცავენ სამართლიან ბალანსს განსახილველ საქმესა და დაცვის უფლებებს შორის.<sup>200</sup> შესაბამისად, ფაქტებისა და სამართლის პრეზუმფცია, პრინციპის დონეზე კონვენციით არ არის აკრძალული იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც გარანტირებულია დაცვის უფლება და უზრუნველყოფილია ბრალდებულის შესაძლებლობა გააქარწყლოს პრეზუმფცია.<sup>201</sup> აქედან გამომდინარე, ბრალდებულს შესაძლოა დაეკისროს მტკიცების გარკვეული ტვირთი.

მესამე, პრეზუმფცია მოითხოვს, რომ ბრალდების მხარემ მოახდინოს ბრალდებულის ინფორმირება ბრალდებასთან დაკავშირებით ისეთი ფორმით, რომ მან შეძლოს მისი დაცვის პოზიციის ჯეროვანი მომზადება და წარმოდგენა.<sup>202</sup> ეს წარმოაჩენს კავშირს უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ეფექტური და პრაქტიკული დაცვის უფლებების საჭიროებას შორის.<sup>203</sup>

## 6.1.2 საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისაგან დაცვისა და დუმილის უფლება

უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებისგან განსხვავებით, დუმილის უფლება პირდაპირ არ არის ნახსენები ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლში, თუმცა ეს ორი უფლება მჭიდროდ

195 ECtHR 10 ოქტომბერი 2000, *Daktaras v. Lithuania*, No. 42095/98, პარაგრაფი 41, და ECtHR 26 მარტი 2002, *Butkevicius v. Lithuania*, No. 48297/99, პარაგრაფები 46–54. შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი შეიძლება დარღვეულ იქნეს არა მარტო მოსამართლის ან სასამართლოს მიერ, არამედ სხვა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის, მათ შორის პროკურორების მიერ.

196 ECtHR 10 თებერვალი 1995, *Allenet de Ribemont v. France*, No. 15175/89, პარაგრაფი 35.

197 ECtHR 6 დეკემბერი 1988, *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, No. 10590/83, პარაგრაფი 77.

198 ECtHR 20 მარტი 2001, *Telfner v. Austria*, No. 33501/96, პარაგრაფი 19.

199 ECtHR 20 მარტი 2001, *Telfner v. Austria*, No. 33501/96, პარაგრაფები 15–20.

200 ECtHR 19 ოქტომბერი 2004, *Falk v. Netherlands*, No. 66273/01.

201 ECtHR 7 ოქტომბერი 1988, *Salabiaku v. France*, No. 10519/83, პარაგრაფი 28.

202 ECtHR 6 დეკემბერი 1988, *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, No. 10590/83, პარაგრაფი 77.

203 იხილეთ, მაგალითად ინფორმაციის მიღების უფლება, 4.2. ნაწილში ზემოთ.

უკავშირდება ერთმანეთს.<sup>204</sup> ევროპის სასამართლოს მყარად დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, დუმილის უფლება და საკუთარი თავის ინკრინინაციისაგან დაცვის უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს კონცეფციის შემადგენელ ნაწილს და მიჩნეულია „ზოგადად აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებად, რომელთაც ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად ეფუძნება სამართლიანი სამართალწარმოება“.<sup>205</sup> *inter alia*, ეს გულისხმობს, რომ ბრალდებული დაცული იყოს ხელისუფლების ორგანოების უკანონო ზეწოლისაგან და ამით თავიდან იქნეს აცილებული მართლმსაჯულების შეცდომები მე-6 მუხლით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისას.<sup>206</sup> საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან დაცვის უფლება გულისხმობს იმას, რომ ბრალდება სისხლის სამართლის საქმეში ეცადოს ამტკიცოს პირის ბრალეულობის წინააღმდეგ იმ მტკიცებულებების გამოყენების გარეშე, რომლებიც მოპოვებულია უკანონო მეთოდებით ან ბრალდებულის ნების უგულებელყოფით.<sup>207</sup>

მიუხედავად მისი ფუნდამენტური ხასიათისა, დუმილის უფლება შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების ორგანოებს შეეძლებენ დაასახელონ ჯეროვანი მიზეზები.<sup>208</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ირჩევს მკაცრ მიდგომას და უფლება დარღვეულად ჩაითვლება, თუ მისი ძირითადი არსი უგულებელყოფილი იქნება.<sup>209</sup> ამასთან ერთად, შეიძლება გაიმიჯნოს ბრალდებულის მიერ გარკვეული მტკიცებულების წარმოდგენის დაძალების მცდელობა<sup>210</sup> და პირის დუმილის შედეგად დასკვნების გამოტანა.<sup>211</sup> ორივე სიტუაციაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის ყველა გარემოება, რათა დადგინდეს, თუ რამდენად იქნა დუმილის უფლება დარღვეული.<sup>212</sup> იმის დასადგენად, თუ რამდენად ჰქონდა ადგილი დარღვევას, სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს: ზეწოლის ხასიათსა და ხარისხს, დაცვის შესაბამისი საშუალებების არსებობას და მოპოვებული მასალების გამოყენებას შემდგომ პროცესში.<sup>213</sup>

რაც შეეხება დუმილის უფლებისა და საკუთარი თავის ინკრინინაციისგან დაცვის უფლების გამოყენებას, დარღვევის დადგენა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის და მნიშვნელობის მტკიცებულებები იქნა მოპოვებული ზეწოლის, ან დუმილის და საკუთარი თავის ინკრინინაციისაგან დაცვის უფლების

204 ECtHR 17 დეკემბერი 1996, *Saunders v. UK*, No. 19187/91, პარაგრაფი 68; ECtHR 21 დეკემბერი 2000, *Heaney and McGuinness v. Ireland*, No. 34720/97, პარაგრაფი 40; და ECtHR 21 აპრილი 2009, *Martinen v. Finland*, No. 19235/03, პარაგრაფი 60.

205 ფუნქციონირების სასამართლომ პირველად, დაადგინა რომ დუმილის უფლება და *nemo tenetur* პრინციპი არის სამართლიანი სასამართლოს კონცეფციის ნაწილი, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (1) მუხლით: ECtHR 25 თებერვალი 1993, *Funke v. France*, No. 10828/84, პარაგრაფები 41–44. იხილეთ აგრეთვე ECtHR 17 დეკემბერი 1996, *Saunders v. UK*, Reports 1996-VI, პარაგრაფი 68; ECtHR 8 თებერვალი 1996, *John Murray v. UK*, No. 18731/91, პარაგრაფი 45; ECtHR 21 დეკემბერი 2000, *Heaney and McGuinness v. Ireland*, No. 34720/97, პარაგრაფი 40; და ECtHR 22 ივლისი 2008, *Getiren v. Turkey*, No. 10301/03, პარაგრაფი 123.

206 ECtHR, დიდი პალატა, 27 ნოემბერი 2008, *Salduz v. Turkey*, No. 36391/02, პარაგრაფები 54–55.

207 იხილეთ, *inter alia*, ECtHR 17 დეკემბერი 1996, *Saunders v. UK*, No. 19187/91, პარაგრაფი 68; ECtHR 21 დეკემბერი 2000, *Heaney and McGuinness v. Ireland*, No. 34720/97, პარაგრაფი 40; ECtHR 3 მაისი 2001, *J.B. v. Switzerland*, No. 31827/96, პარაგრაფი 64; და ECtHR 5 ნოემბერი 2002, *Allan v. UK*, No. 48539/99, პარაგრაფი 44.

208 ECtHR 8 თებერვალი 1996, *John Murray v. UK*, No. 18731/91, პარაგრაფი 47, და ECtHR 21 დეკემბერი 2000, *Heaney and McGuinness v. Ireland*, No. 34720/97, პარაგრაფი 47.

209 ECtHR 21 დეკემბერი 2000, *Heaney and McGuinness v. Ireland*, No. 34720/97, პარაგრაფები 57–58; ECtHR 10 მარტი 2009, *Bykov v. Russia*, No. 4378/02, პარაგრაფი 93; და ECtHR 4 ოქტომბერი 2010, *Pavlenko v. Russia*, No. 42371/02, პარაგრაფი 100.

210 ECtHR 25 თებერვალი 1993, *Funke v. France*, No. 10828/84, პარაგრაფები 41–44.

211 ECtHR 8 თებერვალი 1996, *John Murray v. UK*, No. 18731/91, პარაგრაფი 45. აგრეთვე იხილეთ ECtHR 29 ივნისი 2007, *O'Halloran and Francis v. UK*, Nos. 15809/02 და 25624/02, პარაგრაფები 45–46.

212 ECtHR 29 ივნისი 2007, *O'Halloran and Francis v. the United Kingdom*, Nos. 15809/02 და 25624/02, პარაგრაფი 53, და ECtHR 2 მაისი 2000, *Condron v. the United Kingdom*, No. 35718/97, პარაგრაფები 59–63.

213 ECtHR 5 ნოემბერი 2002, *Allan v. UK*, No. 48539/99, პარაგრაფი 44. იხილეთ აგრეთვე ECtHR 21 დეკემბერი 2000, *Heaney and McGuinness v. Ireland*, No. 34720/97, პარაგრაფი 55, და ECtHR 11 ივლისი 2006, *Jalloh v. Germany*, No. 54810/00, პარაგრაფები 112–123.

დარღვევის შედეგად. შესაბამისად, დარღვევა შეიძლება დადგინდეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამართალწარმოება აღარ გაგრძელდა ან პირი გამართლებულ იქნა.<sup>214</sup>

მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რომელიც გააჩნია საკუთარი თავის ინკრიმინაციისგან დაცვისა და დუმილის უფლებას, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა ძალზე მწირია იმ საკითხზე, თუ რამდენად უნდა იყოს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირი ინფორმირებული ამ უფლების შესახებ.<sup>215</sup> მეტიც, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივა არ ითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან ამ საკითხის მოხსენიებას უფლებებთან დაკავშირებულ ინფორმაციაში, რომელიც უნდა მიეწოდოს შესაბამის პირს წარმოდგენილი დირექტივის მე-3 და მე-4 მუხლების მიხედვით.<sup>216</sup> ამავე დროს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ რამდენიმე საქმეში მიუთითა, რომ ინფორმაცია ამ უფლების შესახებ უნდა იქნეს წარმოდგენილი მაშინ, როდესაც ეს უფლება წარმოიშობა.<sup>217</sup> უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი თავის ინკრიმინირებისგან დაცვის პრივილეგია და დუმილის უფლება გამოიყენება იმ მომენტიდან, როდესაც პირი „ბრალდებულია“ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და როგორც ზემოთ – მე-3 ნაწილში აღინიშნა, ეს განმარტებულ იქნა იმგვარად, რომ გულისხმობს „პირის მდგომარეობაზე არსებითი ზეგავლენის მოხდენას.“<sup>218</sup>

*Zaichenko* -ს საქმეში სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმის ფაქტებზე დაყრდნობით, პოლიციის მხრიდან ეჭვი ქურდობის ჩადენის თაობაზე წარმოიშვა იმ მომენტში, როდესაც განმცხადებელი გააჩერეს საგზაო შემოწმების მიზნით და მას არ შეეძლო იმის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა, რომ მან შეისყიდა დიზელი, რომელიც მანქანაში იქნა აღმოჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მომენტში პირისათვის არ წაუყენებიათ ბრალდება, სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიცია ვალდებული იყო ეცნობებინა ბრალდებულისათვის საკუთარი თავის ინკრიმინირებისგან დაცვისა და დუმილის უფლებების შესახებ მანამ, სანამ მას დამატებით ჩამოართმევდნენ „ახსნა-განმარტებებს.“<sup>219</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მჭიდროდ დააკავშირა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან დაცვის გარანტია და დუმილის უფლება სამართლებრივი დახმარების უფლებასთან. სასამართლომ მრავალჯერ აღნიშნა, რომ „ადრეულ ეტაპზე იურისტზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს პროცესუალური გარანტიების განუყოფელ ელემენტს, რომელსაც სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმის შემოწმებისას, თუ რამდენად იქნა ხელყოფილი სამართალწარმოებისას საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან დაცვის გარანტია.“<sup>220</sup> საგამოძიებო ეტაპზე ეჭვმიტანილი განსაკუთრებულად მონყვლად სიტუაციაშია და „ამ მონყვლადი მდგომარეობის ჯეროვანი კომპენსირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იურისტის დახმარებით, რომლის მოვალეობასაც, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ დაცულ იქნეს ბრალდებულის უფლება არ განახორციელოს საკუთარი თავის ინკრიმინირება.“<sup>221</sup>

214 ECtHR 21 აპრილი 2009, *Marttinen v. Finland*, No. 19235/03, პარაგრაფი 64.

215 იხილეთ ტრეჩსელი, 2006, გვერდი 352.

216 უნდა აღინიშნოს რომ წარმოდგენილი დირექტივა, როგორც ის დამტკიცებულია ევროპის პარლამენტის მიერ (იხილეთ პირველი თავი, 79-ე სქოლიო), არ ითხოვს ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირის ინფორმირებას მათი დუმილის უფლების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებული ეროვნული კანონით (მე-3 (1) მუხლი).

217 ECtHR 18 თებერვალი 2010, *Zaichenko v. Russia*, No. 39660/02, პარაგრაფი 52.

218 ECtHR 17 დეკემბერი 1996, *Saunders v. the United Kingdom*, No. 19187/91, პარაგრაფები 67 და 74, და ECtHR 19 თებერვალი 2009, *Shabelnik v. Ukraine*, No. 16404/03, პარაგრაფი 57.

219 ECtHR 18 თებერვალი 2010, *Zaichenko v. Russia*, No. 39660/02, პარაგრაფები 42 და 52–60.

220 იხილეთ, ასე მაგალითად, ECtHR 24 სექტემბერი 2009, *Pishchalnikov v. Russia*, No. 7025/04, პარაგრაფი 69.

221 ECtHR, დიდი პალატა, 27 ნოემბერი 2008, *Salduz v. Turkey*, No. 36391/02, პარაგრაფი 54.



## 6.2 სასამართლო განხილვამდე პატიმრობიდან გათავისუფლების უფლება

უდანაშაულობის პრეზუმფცია და დუმილის უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული სასამართლო განხილვამდე პირის პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხთან. სანამ ბრალეულობა დადასტურდება, კანონის თანახმად, ბრალდებული პირი უნდა ითვლებოდეს უდანაშაულოდ და სასამართლო პროცესამდე მისი საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსება *prima facie* ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრეზუმფციას. მეტიც, პირის დატოვებამ საპატიმროში, განსაკუთრებით თუ ეს ხდება განგრძობადი პერიოდით, შეიძლება ხელყოს პირის დუმილის უფლება პატიმრობის შეფარდებით განხორციელებული ზეწოლის გამო.

წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული უფლებები გათვალისწინებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5(3) მუხლით, რომელიც ადგენს:

ამ მუხლის 1-ლი (c) პუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, რომ მისი საქმე სასამართლომ გონივრულ ვადაში განიხილოს ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

დაკავებული, მე-5 (1)(c) მუხლის შესაბამისად არის პირი, რომელიც *inter alia*, დაპატიმრებული ან დაკავებულია კომპეტენტური სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით და მის მიმართ არსებობს საფუძველიანი ეჭვი, რომ ჩაიდინა დანაშაული. მე-5(3) მუხლი ეხება ორ განსხვავებულ ეტაპს და ასპექტს. პირველია დაპატიმრების შემდგომი პერიოდი, როდესაც პირი ექცევა ხელისუფლების ორგანოების კონტროლის ქვეშ და მომდევნო – სასამართლო განხილვის დაწყებამდე არსებული პერიოდი.<sup>222</sup>

რაც შეეხება პირველ ეტაპს, კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე დროული წარდგენის ვალდებულება მიმართულია თვითნებური დაკავების თავიდან აცილებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებისაკენ. ეს აგრეთვე არაადამიანური მოპყრობისა და წამების თავიდან აცილების მნიშვნელოვანი გარანტიაა პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ დაკავებული ეჭვმიტანილების პირებისათვის.<sup>223</sup> თუ ეჭვმიტანილი წარდგენილია კანონით გათვალისწინებული სასამართლო უფლებამოსილების მქონე პირის წინაშე, მე-5(3) მუხლით განსაზღვრული დებულებების დასაცავად, მოსამართლის ნაცვლად მოქმედ თანამდებობის პირს “უნდა ქონდეს გარკვეული უფლებამოსილებები... მან უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული პირობები, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს გარანტიას დაპატიმრებული პირისთვის.”<sup>224</sup> ხსენებული თანამდებობის პირები დამოუკიდებელი უნდა იყვნენ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეებისგან და უნდა მოუსმინონ დაპატიმრებულ პირებს და დადგენილი სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილება იმაზე, თუ საქმის გარემოებებით რამდენად დასაბუთებულია დაკავება ან გათავისუფლება.<sup>225</sup> იმის დასადგენად, თუ რამდენად დროულად წარედგინა პირი მოსამართლეს ან სასამართლოს ხელისუფლების განხორციელებაზე უფლებამოსილ საჯარო მოხელეს, მე-5(1) (c) თანახმად, დროის ათვლა იწყება თავისუფლების პირველად აღკვეთის მომენტიდან. რაიმე კონკრეტული დრო სასამართლოს არ დაუდგენია. ის უნდა განისაზღვროს

222 ECtHR 21 დეკემბერი 2010, Michalko v. Slovakia, No. 35377/05, პარაგრაფი 143.

223 იხილეთ, მაგალითად, ECtHR 29 აპრილი 1999, Aquilina v. Malta, No. 25642/94; ECtHR 18 დეკემბერი 1996, Aksoy v. Turkey, No. 21987/93; და ECtHR 29 ნოემბერი 1988, Brogan and Others v. UK, No. 11209/84.

224 ECtHR 4 დეკემბერი 1979, Schiesser v. Switzerland, No. 7710/76, პარაგრაფი 32.

225 ECtHR 24 ოქტომბერი 1979, Winterwerp v. Netherlands, No. 6301/73, პარაგრაფი 60, და ECtHR 18 იანვარი 1978, Ireland v. UK, No. 5310/71, პარაგრაფი 99.



თითოეული საქმის კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე.<sup>226</sup> *Brogan* –ის საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ზოგადი წესის სახით დაადგინა რომ, ოთხი დღე მიჩნეულ უნდა ყოფილიყო მაქსიმალურ პერიოდად და აღნიშნულზე მეტი დრო თვით ტერორიზმის საქმეებშიც კი შეფასებულ იქნა როგორც “დროულობის“ მოთხოვნის სანინალმდეგო.<sup>227</sup> იმის გათვალისწინებით, რომ მე-5(3) მუხლის მიზნებისთვის „დროულად წარდგენა“ კონკრეტულია, შეიძლება იმის მტკიცება, რომ პირის წარდგენა ხუთი დღის ვადაში, შეიძლება ჩაითვალოს დაარღვევად.<sup>228</sup> პრეცედენტულ სამართალში გარკვეული მითითება კეთდება იმაზე, თუ როგორ მოხდეს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დროის შეფასება.

რაც შეეხება მე-5(3) მუხლის მეორე ეტაპს, მითითება “გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვაზე ან სასამართლო განხილვის პროცესში გათავისუფლებაზე“ არ ანიჭებს ხელისუფლების ორგანოებს იმის არჩევანს, რომ მათ ან წარადგინონ პირი სასამართლოს წინაშე გონივრულ ვადაში ან გარკვეული წინაპირობით გაათავისუფლონ იგი სასამართლო განხილვამდე. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო განხილვამდე გათავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება, იმ მომენტამდე სანამ მოხდება ბრალდებული პირის მსჯავრდება, იგი უნდა ითვლებოდეს უდანაშაულოდ და “პრეზუმფცია უნდა მოქმედებდეს თავისუფლების სასარგებლოდ”.<sup>229</sup> იმის განსაზღვრის დროს, უნდა იქნეს ბრალდებული პირი დატოვებული წინასწარ პატიმრობაში თუ არა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ითხოვს, რომ შესაბამისმა სასამართლო ორგანოებმა განიხილონ ყველა ის ფაქტი, რომელიც მეტყველებს თავისუფლების შეზღუდვის სასარგებლოდ ან მის წინააღმდეგ და გამომდინარეობს საჯარო ინტერესიდან, ამასთანავე სასამართლო ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ “განსაკუთრებული სიფრთხილე“ ასეთი ტიპის სამართალწარმოების წარმართვის დროს.<sup>230</sup> პირის თავისუფლების პატივისცემის ნორმიდან გადახვევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დასაბუთდეს, თუკი დაცული იქნება უდანაშაულობის პრეზუმფცია და სასამართლოები ჯეროვნად დაასაბუთებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს, რომლითაც უარყოფენ პირის განცხადებას გათავისუფლებასთან დაკავშირებით.<sup>231</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დაკავებისათვის საჭირო დამაჯერებელი და თანმიმდევრული დასაბუთების აუცილებლობაზე<sup>232</sup> და შეფასებების *in concreto* განხორციელების აუცილებლობაზე.<sup>233</sup> გონივრული ეჭვის არსებობა იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებულმა პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული არის *sine qua non* პირობა განგრძობადი დაკავების კანონიერებისათვის, მაგრამ დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ, იგი უკვე აღარ არის საკმარისი პატიმრობის გასამართლებლად.<sup>234</sup> თავისუფლების განგრძობადი შეზღუდვა დასაბუთებული უნდა იყოს სხვა საფუძვლებით, რაც შეიძლება მოიცავდეს გაქცევის ან დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის საფრთხეს, მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხეს ან მტკიცებულებათა განადგურების შიშს.<sup>235</sup> ბრალდების სიმძიმემ თავისთავად შეუძლებელია დასაბუთოს დაკავების ხანგრძლივი პერიოდი.<sup>236</sup> ნებისმიერი გადაწყვეტილება პირის წინასწარ პატიმრობაში დატოვების

226 ECtHR 29 ნოემბერი 1988, *Brogan and Others v. UK*, No. 11209/84, პარაგრაფი 59.

227 იხილეთ, მაგალითად, ECtHR 18 დეკემბერი 1996, *Aksoy v. Turkey*, No. 21987/93, პარაგრაფი 78; ECtHR 29 ნოემბერი 1988, *Brogan and Others v. UK*, No. 11209/84, პარაგრაფი 62; და ECtHR 16 ოქტომბერი 2001, *O'Hara v. UK*, No. 37555/97, პარაგრაფი 46.

228 იხილეთ ტრეჩსელი 2006, გვერდი 513 იმ არგუმენტისთვის რომ „ნორმალურ“ საქმეებში ის უნდა იყოს არსებითად მოკლე ვიდრე ოთხი დღე.

229 ECtHR 16 დეკემბერი 2011, *Borotyuk v. Ukraine*, No. 33579/04, პარაგრაფი 62.

230 ECtHR 23 სექტემბერი 1998, *I.A. v. France*, No. 28213/95, პარაგრაფი 102.

231 ECtHR 26 ოქტომბერი 2000, *Kudla v. Poland*, No. 30210/96, პარაგრაფები 110–117; ECtHR 12 მარტი 2009, *Aleksandr Makarov v. Russia*, No. 15217/07, პარაგრაფები 117–118; და ECtHR 12 ივნისი 2008, *Vlasov v. Russia*, No. 78146/01, პარაგრაფი 104.

232 ECtHR 23 სექტემბერი 1998, *I.A. v. France*, No. 28213/95, პარაგრაფები 108, 110 და 111.

233 ECtHR 12 მარტი 2009, *Aleksandr Makarov v. Russia*, No. 15217/07, პარაგრაფი 116, და ECtHR 12 ივნისი 2008, *Vlasov v. Russia*, No. 78146/01, პარაგრაფი 103.

234 ECtHR 5 აპრილი 2005, *Nevmerzhitsky v. Ukraine*, No. 54825/00, პარაგრაფი 135.

235 ECtHR 24 აპრილი 2003, *Smirnova v. Russia*, Nos. 46133/99 და 48183/99, პარაგრაფი 59.

236 ECtHR 23 სექტემბერი 1998, *I.A. v. France*, No. 28213/95, პარაგრაფი 104.

შესახებ, პერიოდულად უნდა გადაისინჯოს და შეფასდეს, თუ რამდენად არსებობს კვლავაც დაკავების საფუძვლები.<sup>237</sup> მაგალითად, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საშიშროება, როგორც პატიმრობის შეფარდების საფუძველი, აღარ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მას შემდეგ, რაც მოხდება მტკიცებულებების შეკრება. სასამართლო ორგანოები ვალდებული არიან, ყოველთვის განიხილონ წინასწარი პატიმრობის ალტერნატივები.<sup>238</sup> მაგალითად, გიროს გადახდა შეიძლება იყოს შესაბამისი ალტერნატივა პირის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფის ან მისი მხრიდან მტკიცებულებებზე ზეგავლენის პრევენციისათვის და მოცემული ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა განხილულ უნდა იქნეს იმ ორგანოს მიერ, რომელსაც კანონის თანახმად შეუძლია მისი შეფარდება.<sup>239</sup> როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ *Borotyuk* საქმეში განაცხადა, „როდესაც მიმალვის საფრთხე შეიძლება განეიტრალებინოს გიროთი ან სხვა გარანტიებით, ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს“,<sup>240</sup> და ეს მიდგომა ანალოგიურად უნდა გავრცელდეს სხვა ლეგიტიმურ ეჭვებზე, როგორცაა დამატებითი დანაშაულის ჩადენის საფრთხე ან მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებისათვის ხელის შეშლა თუ ამ საფრთხეების განეიტრალება შესაძლებელია შესაბამისი ღონისძიებებით.

ევროპის კომისიამ პროცესუალური უფლებების “გზამკვლევის” ღონისძიების ვალდებულებების შესრულების მიზნით, 2011 წლის ივნისს გამოსცა მწვანე დოკუმენტი წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით. ხოლო კონსულტაცია დასრულდა 2011 წლის ნოემბერში.<sup>241</sup> ჯერ-ჯერობით ძალზედ ნაადრევია იმის თქმა, თუ რამდენად გარდაიქმნება ეს დოკუმენტი თავისუფლების აღკვეთის შესახებ დირექტივად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ზედამხედველობის ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს ზედამხედველობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების, როგორც პატიმრობის შეფარდების ალტერნატივის აღიარებას, უნდა განხორციელდეს წევრი სახელმწიფოების მიერ 2012 წლის 1 დეკემბრიდან.<sup>242</sup> ეს საშუალებას იძლევა, რომ არასაპატიმრო საზედამხედველო ღონისძიებების “გავრცელება” ერთი სახელმწიფოდან, სადაც არარეზიდენტი პირი არის ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში, მოხდეს იმ სახელმწიფოებში, სადაც ეს პირები ზოგადად ცხოვრობენ.

### 6.3 სასამართლო განხილვაზე დასწრებისა და მონაწილეობის უფლება

პრინციპის დონეზე ბრალდებულს უფლება აქვს დაესწროს სასამართლო განხილვას და აქტიურად მიიღოს მონაწილეობა პროცესში,<sup>243</sup> რაც გულისხმობს, რომ ბრალდებულს სრულყოფილი ინფორმაცია აქვს როგორც სამართალწარმოების ხასიათზე, ასევე მის მოსალოდნელ შედეგებსა და მის წინააღმდეგ გამოსაყენებელ სასჯელზე. ბრალდებულს უნდა შეეძლოს *inter alia*, განმარტოს საკუთარი ხედვა მოვლენების შესახებ და მიუთითოს ნებისმიერ განცხადებაზე, რომელსაც ის არ ეთანხმება. ეს შეიძლება მოხდეს მისი ადვოკატის მეშვეობით, თუ ბრალდებულის სამართლებრივ ინტერესებს წარმოადგენს დამცველი, რომელთანაც უნდა ჰქონდეს მისი დაცვისთვის წარდგენილი ფაქტების განხილვის საშუალება,<sup>244</sup> მაგრამ ადვოკატის

237 Well established case law since ECtHR 27 June 1968, *Neumeister v. Austria*, A 8, p. 37, para. 4.

238 ECtHR 23 სექტემბერი 2008, *Vrencev v. Serbia*, No. 2361/05, პარაგრაფი 76.

239 ECtHR 21 დეკემბერი 2000, *Jablonski v. Poland*, No. 33492/96, პარაგრაფი 83; ECtHR 5 აპრილი 2005, *Nevmerzhitsky v. Ukraine*, No. 54825/00, პარაგრაფი 137; და ECtHR 28 ივლისი 2005, *Czarnecki v. Poland*, No. 75112/01, პარაგრაფები 37–44.

240 ECtHR 16 დეკემბერი 2011, *Borotyuk v. Ukraine*, No. 33579/04, პარაგრაფი 62.

241 იხილეთ თავი 1, ნაწილი 4.3.2.

242 საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება 2009/829/JHA 23 ოქტომბერი 2009.

243 ECtHR 12 თებერვალი 1985, *Colozza v. Italy*, No. 9024/80, პარაგრაფები 27–33; ECtHR 16 დეკემბერი 1999, *T. v. United Kingdom*, პარაგრაფები 88–89; და ECtHR 18 ოქტომბერი 2006, *Hermi v. Italy*, No. 18114/02, პარაგრაფები 58–67.

244 პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოძიებულ იქნას ECtHR 14 ოქტომბერი 2008, *Timergaliyev v. Russia*, No. 40631/02, პარაგრაფები 51–56.

დასწრებას არ შეუძლია მოახდინოს ბრალდებულის დაუსწრებლობის ფაქტის კომპენსირება.<sup>245</sup> ამასთან ერთად, ბრალდებული პირი ვალდებულია აქტიურად ითანამშრომლოს სასამართლო ორგანოებთან.<sup>246</sup> დაუსწრებელი გასამართლება თავისთავად არ ეწინააღმდეგება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლს იმ შემთხვევაში, თუკი ბრალდებულ პირს შემდგომში მიეცემა მისი თანდასწრებით საქმის განხილვის შესაძლებლობა. ამავე დროს არ უნდა იყოს დადგენილი, რომ ბრალდებულმა უარი განაცხადა გასაჩივრების უფლებასა და საკუთარი თავის დაცვის უფლებაზე და სწორედ ამის გამო წარიმართა დაუსწრებელი სამართალწარმოება მისი მონაწილეობის გარეშე.<sup>247</sup> თუ ბრალდებულმა მიიღო სასამართლო უწყება და განზრახ არ დაესწრო სასამართლო განხილვას, ხელახალ სასამართლო განხილვაზე მას შეიძლება უარი ეთქვას.<sup>248</sup> მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ მიუთითა ბრალდებულის სასამართლო განხილვაზე დასწრების დიდ მნიშვნელობაზე, ბრალდებულს გამოუცხადებლობისათვის არ შეიძლება ჩამოერთვას იურიდიული დახმარების უფლება.<sup>249</sup> ადვოკატს, რომელიც ესწრება სასამართლო განხილვას პროცესზე არ მყოფი ბრალდებულის ინტერესების დაცვის მიზნით, უნდა მიეცეს ამის განხორციელების საშუალება.<sup>250</sup>

სააპელაციო ან საკასაციო სამართალწარმოებისას დასწრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ სამართალწარმოება ეხება მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს და არ განიხილება ფაქტები.<sup>251</sup> ამის შესაფასებლად მნიშვნელოვანია სასამართლო განხილვისათვის რამდენად სასარგებლო იქნება ეჭვმიტანილის დასწრება. ამგვარად, ეჭვმიტანილის თანდასწრებით საჯარო განხილვის საჭიროება განისაზღვრება გასაჩივრების სისტემის ხასიათით, სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებით და განმცხადებლის ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის ფორმით.<sup>252</sup>

## 6.4 უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე

გადანყვეტილებების დასაბუთების მოთხოვნის გონივრული მიზეზები მრავალმხრივია. დასაბუთებული გადაწყვეტილება – მხარეებისათვის ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ მათ მოუსმინეს სამართლიანად და ჯეროვნად; ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ გადაწყვეტილება იქნეს განხილული სააპელაციო ორგანოს მიერ და საშუალებას აძლევს მსჯავრდებულ პირს მოეზადოს გასაჩივრებისთვის.<sup>253</sup> მეტიც, ის უზრუნველყოფს მართლმსაჯულებაზე საზოგადოებრივი კონტროლის საშუალებას და, შესაბამისად, სასამართლო პროცესს უფრო გამჭვირვალე და უფრო ანგარიშვალდებულ ხასიათს სძენს.<sup>254</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოებმა სათანადო სიცხადით მიუთითონ ის საფუძვლები, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>255</sup> სტრასბურგის სასამართლომ განიხილა შემთხვევები, როდესაც საქმის მასალებში დოკუმენტების

245 ECtHR 16 დეკემბერი 1999, T. v. United Kingdom, პარაგრაფი 88, და ECtHR 25 ნოემბერი 1997, Zana v. Turkey, No. 18954/91, პარაგრაფები 67–72.

246 ECtHR 10 December 1982, Corigliano v. Italy, No. 8304/78, para. 42, and ECtHR 15 July 1982, Eckle v. Germany, No. 8130/78, para. 82.

247 ECtHR 12 February 1985, Colozza v. Italy, No. 9024/80, paras. 27–33, and ECtHR 1 March 2006, Sejdic v. Italy, No. 56581/00, paras. 82–84

248 ECtHR 14 ივნისი 2001, Medenica v. Switzerland, No. 20491/92, პარაგრაფი 59.

249 ECtHR 23 ნოემბერი 1993, Poitrimol v. France, No. 14032/88, პარაგრაფი 35.

250 ECtHR 22 სექტემბერი 1994, Lala v. the Netherlands, No. 14861/89 პარაგრაფები 30–34, და ECtHR 21 იანვარი 1999, Van Geysseghem v. Belgium, No. 26103/95, პარაგრაფები 33–34.

251 ECtHR 10 თებერვალი 1996, Botten v. Norway, No. 16206/90, პარაგრაფი 39.

252 ECtHR 29 ოქტომბერი 1991, Fejde v. Sweden, No. 12631/87, პარაგრაფი 27.

253 ECtHR 1 ივლისი 2003, Suominen v. Finland, No. 37801/97, პარაგრაფი 37, და ECtHR 11 იანვარი 2007, Kuznetsov and Others v. Russia, No. 184/02, პარაგრაფი 85.

254 ECtHR 27 სექტემბერი 2001, Hirvisaari v. Finland, No. 49684/99, პარაგრაფი 30.

255 ECtHR 16 დეკემბერი 1992, Hadjianastassiou v. Greece, No. 12945/87, პარაგრაფი 33.

დამატების ან მტკიცებულებების უარყოფის დროს ეროვნული სასამართლოები არ უთითებდნენ დაცვის არგუმენტის უარყოფის მიზეზებს. ადეკვატური დასაბუთების წარმოდგენის ვალდებულება არ გულისხმობს იმას, რომ სასამართლოებმა წარმოადგინონ დეტალური პასუხები თითოეულ არგუმენტზე.<sup>256</sup> ვალდებულების ფარგლები განხვავდება გადანყვეტილების ხასიათისა და შესაძლო დარღვევის მიხედვით და, შესაბამისად, ყოველთვის უნდა იქნეს განხილული საქმის კონკრეტული გარემოებების ქრილში.<sup>257</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული თავისუფლებით, კონკრეტულ საქმეში არგუმენტების შერჩევის და მტკიცებულებების დაშვების დროს, ხელისუფლების ორგანოები ვადებულნი არიან, დაასაბუთონ თავიანთი გადანყვეტილებები შესაბამისი არგუმენტების წარმოდგენის გზით.<sup>258</sup> სამართლიანი სასამართლოს ცნება მოითხოვს, რომ სასამართლოებმა მოიცვან, როგორც მინიმუმ, მათ წინაშე წარდგენილი ძირითადი საკითხები, ამასთან ქვემდგომი სასამართლოს დადგენილებები არ შეიძლება უბრალოდ ძალაში დარჩეს დამატებითი განმარტებების გარეშე.<sup>259</sup> როდესაც სააპელაციო საჩივრის უარყოფა ხდება ქვემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადანყვეტილებაში მოცემული მიზეზების საფუძველზე, უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად მისცა ქვემდგომი სასამართლოს გადანყვეტილებაში მოცემულმა არგუმენტაციამ მხარეებს იმის საშუალება, რომ მათ ეფექტიანად გამოეყენებინათ გასაჩივრების უფლება.<sup>260</sup> ეროვნულმა სასამართლოებმა არ უნდა აარიდონ თავი საჩივრის არსებითი ნაწილის განხილვას და ყოველთვის უნდა შეისწავლონ საჩივრებში მოცემული ძირითადი მხარე.<sup>261</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გადანყვეტილებების დასაბუთებასთან დაკავშირებით გარკვეულწილად ბუნდოვანია და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებულად კონკრეტული საქმის გარემოებებზე, *Gradinar* –ის საქმის მაგალითი შეიძლება დაგვეხმაროს იმ გზის ზუსტად განსაზღვრაში, რომელსაც სასამართლო იყენებს იმის დასადგენად, რამდენად საკმარისია წარმოდგენილი დასაბუთება:<sup>262</sup>

111. სასამართლო უთითებს, რომ კიშინოვის რაიონული სასამართლოს რამდენიმე დადგენილება არ იყო წინააღმდეგობაში ზემდგომი სასამართლოების დადგენილებებთან და, შესაბამისად, ისინი უნდა იქნეს განხილული როგორც დადგენილი ფაქტები.... აღნიშნული მოცავდა ფაქტს რომ [*Gradinar*] და სხვა ბრალდებულები, დაკავებულ და დაპატიმრებულ იქნენ შეთითხნილი ადმინისტრაციული გადაცდომის საფუძველზე და დაკავების დროს ისინი დაკითხულ იქნენ და მისცეს აღიარებითი ჩვენებები მათთვის რაიმე სახის პროცედურული გარანტიების უზრუნველყოფის გარეშე... არ ყოფილა რაიმე ჯეროვანი პასუხი წარმოდგენილი იმაზე, რომ [*Gradinar*-ს] უკანონოდ აჩვენეს დანაშაულის ადგილას დ.ს. მიერ მიცემული ჩვენების ვიდეო ჩანაწერი... ყოველივე ეს კი განხორციელებულ იქნა იმ მიზნით, ყველა ბრალდებულის მხრიდან მიღებულიყო შესაბამისი განცხადებები.

112. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ზემდგომმა სასამართლოებმა არ განიხილეს ქვემდგომი სასამართლოს დადგენილება იმის თაობაზე, რომ [*Gradinar*] და სხვა ბრალდებულებს გააჩნდათ ალიბი დანაშაულის ჩადენის სავარაუდო დროისთვის... ხოლო დაშვებულმა რამდენიმე სერიოზულმა პროცედურულმა დარღვევამ ეჭვქვეშ დააყენა საექსპერტო დასკვნების უმეტესობა...

256 ECtHR 19 აპრილი 1994, Van de Hurk v. Netherlands, No. 16034/90, არაგრაფი 61, და ECtHR 8 აპრილ 2008, Gradinar v. Moldova, No. 7170/02, არაგრაფი 107.

257 ECtHR 9 დეკემბერი 1994, Ruiz Torija v. Spain, No. 18390/91, პარაგრაფი 29; ECtHR 9 დეკემბერი 1994, Hiro Balani v. Spain, No. 18064/91, პარაგრაფი 27; და ECtHR 21 მაისი 2002, Jokela v. Finland, No. 28856/95, პარაგრაფი 72.

258 ECtHR 1 ივლისი 2003, Suominen v. Finland, No. 37801/97, პარაგრაფი 36.

259 ECtHR 21 მაისი 2002, Jokela v. Finland, No. 28856/95, პარაგრაფი 73.

260 ECtHR 21 მაისი 2002, Jokela v. Finland, No. 28856/95, პარაგრაფი 73.

261 ECtHR 11 იანვარი 2007, Kuznetsov and Others v. Russia, No. 184/02, პარაგრაფი 84.

262 ECtHR 8 აპრილი 2008, Gradinar v. Moldova, No. 7170/02, პარაგრაფები 111–116.



113. ზემდგომი სასამართლოები აგრეთვე დაეყრდნენ [Gradinar's] საქმეში არსებულ მოწმეთა ჩვენებებს. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს რომ არანაირი კომენტარი არ იქნა გაკეთებული ქვემდგომი სასამართლოს იმ დადგენილებაზე, რომ ზოგიერთი ეს განცხადება შეითხზნელი იყო პოლიციის მიერ...

114. სასამართლო ადგენს, რომ ბრალდებულის მიერ გაკეთებული აღიარებითი ჩვენებების როგორც “გადამწყვეტი მტკიცებულების” მიღებით... ადგილობრივმა სასამართლოებმა არჩიეს ყურადღება არ გაემახვილებინათ კანონის რამდენიმე სერიოზული დარღვევაზე, რომლებიც ქვემდგომმა სასამართლომ აღნიშნა და რამდენიმე ფუნდამენტურ საკითზე, მაგალითად იმაზე, რომ ბრალდებულს გააჩნდა ალიბი დანაშაული ჩადენის სავარაუდო დროისათვის. სასამართლოს არ შეუძლია გაამართლოს სასამართლოების გადანყვეტილებებში მსგავსი ლაფსუსები და არც მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე სახის განმარტება ხსენებულთან დაკავშირებით.

115. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და პროცესის ერთიანობაში შეფასებით, სასამართლო მიიჩნევს რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს წარედგინათ შესაბამისი მიზეზები [Gradinar] მსჯავრდებისათვის და, შესაბამისად, ვერ დააკმაყოფილეს სამართლიანობის მოთხოვნები როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლით.

## 6.5 გასაჩივრების უფლება

ნათელია კავშირი დასაბუთებულ გადანყვეტილებაზე უფლებასა და გასაჩივრების უფლებას შორის. ზემდგომი ტრიბუნალის მიერ მსჯავრდების ან სასჯელის განხილვის უფლება არ არის წარმოდგენილი ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის ძირითად ტექსტში, იგი მოცემულია მეშვიდე დამატებითი ოქმის მე-2 მუხლში,<sup>263</sup> რომლის თანახმადაც:

1. ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან სასჯელი გადაასინჯინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლების განხორციელება, იმ საფუძვლების ჩათვლით, რომლებზე დაყრდნობითაც ის შეიძლება განხორციელდეს, მონესრიგებულია კანონით.

2. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა მიმართ, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით, ან როდესაც მსჯავრდებული პირველი ინსტანციის წესით გაასამართლა უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ, ან მსჯავრი დაედო მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვის შედეგად.

ევროპის საბჭოს ყველა ქვეყანამ მოახდინა აღნიშნული ოქმის რატიფიცირება გარდა ბელგიისა, გერმანიისა, ნიდერლანდებისა, თურქეთისა და გაერთიანებული სამეფოსი. აღნიშნული ნორმების იმპლემენტაციის თვალსაზრისით მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ იურისდიქციებში სარგებლობენ შეფასების მნიშვნელოვანი თავისუფლებით. ოქმის მე-2 (2) მუხლი მოიცავს რამდენიმე შესაძლო შეზღუდვას და დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას წარმოადგენს ის, რომ ზემდგომი სასამართლოს მიერ განხილვა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სამართლებრივი საკითხებით.<sup>264</sup> ამავე დროს, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემსახუროდეს კანონიერ მიზანს და არ უნდა დააზარალოს აღნიშნული უფლების ძირითადი არსი.<sup>265</sup>

<sup>263</sup> დამატებითი ოქმი 7 ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენციაზე, მიღებული 1984 წლის 22 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1988 წლის 1 ნოემბერს.

<sup>264</sup> ECtHR 28 მაისი 1985, ECtHR, Ashingdane v. UK, No. 8225/78, პარაგრაფი 57.

<sup>265</sup> ECtHR 13 თებერვალი 2001, Krombach v. France, No. 29731/96, პარაგრაფი 96, და ECtHR 25 ივლისი 2002, Papon v. France, No. 54210/00, პარაგრაფი 90.



იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ გასაჩივრების პროცედურას, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილ სტანდარტებს.<sup>266</sup> სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სწორი ბალანსი უნდა იქნეს დაცული, ერთი მხრივ, სასამართლოს გადანყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებულ ლეგიტიმურ მიზანსა და, მეორე მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვისა და დაცვის უფლებებს შორის.<sup>267</sup> საფრანგეთის წინააღმდეგ რამდენიმე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ გარანტიებს ეწინააღმდეგებოდა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული საჩივრის (საკასაციო საჩივარი) დაუშვებლად გამოცხადება მხოლოდ იმის გამო, რომ ბრალდებული უარს აცხადებდა ხელისუფლების ორგანოების წინაშე გამოცხადებასა და ჩაბარებაზე. მსგავსი გადანყვეტილება ვალდებულს გახდიდა განმცხადებელს დათანხმებოდა წინასწარ პატიმრობაზე, რასაც იგი ასაჩივრებდა. მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილება არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ მანამ, სანამ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით არ იქნება გადანყვეტილება გამოტანილი ან საჩივრის შეტანის ვადა არ ამოიწურება. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამით დაირღვა გასაჩივრების უფლების ძირითადი არსი განმცხადებელზე არაპროპორციული ტვირთის დაკისრებით. ამით ირღვევა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლოს გადანყვეტილებების აღსრულების ლეგიტიმურ მიზანსა და, მეორე მხრივ, საკასაციო სასამართლოსადმი მიმართვისა და დაცვის უფლებებს შორის.<sup>268</sup>

მეორე მაგალითია სასამართლოს დადგენილება პოლონეთის წინააღმდეგ რამდენიმე საქმეში საკასაციო საჩივრებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება შეიტანონ მხოლოდ ადვოკატებმა და არა მსჯავრდებულმა პირებმა პირადად. Wersel –ის საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გაიმეორა, რომ „კონვენცია არ ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს შექმნან სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოები. თუმცა, იქ, სადაც მსგავსი სასამართლოები არსებობს, მე-6 მუხლის გარანტიები უნდა იქნეს დაცული, მათ შორის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უფასო იურიდიულ დახმარებაზე უფლება.“<sup>269</sup> შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლომ უნდა განიხილოს განმცხადებლის მიმართვა იურიდიულ დახმარებაზე „იმდაგვარად, რომ მან შეძლოს მოამზადოს მისი საკასაციო საჩივარი შესაბამისად და წარადგინოს საჩივარი უზენაესი სასამართლოს წინაშე.“<sup>270</sup>

## 7. ეფექტური დაცვის ხელშეწყობი უფლებები

### 7.1 სამის გამოძიების უფლება

ჩვენი ხედვის არგუმენტი შემდეგია: იმისთვის რომ ეჭვიმტანილ და ბრალდებულ პირს ხელი მიუწვდებოდეს ეფექტიან სისხლისსამართლებრივ დაცვაზე, მას უნდა გააჩნდეს უფლება, საშუალება და რესურსი, გამოიძიოს მის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობასთან დაკავშირებული ფაქტები. თუ ეს შესაძლებელია მხოლოდ სხვების – ძირითადად პოლიციის – მეშვეობით, შეიძლება ითქვას, რომ ბრალდებულს ამის საშუალება არ აქვს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეჭვიმტანილსა და ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვონ

266 ECtHR 14 დეკემბერი 1999, *Khalfaoui v. France*, No. 34791/97, პარაგრაფი 37.

267 ECtHR 29 ივლისი 1998, *Omar and Guerin v. France*, No. 43/1997/827/1033, პარაგრაფი 40.

268 ECtHR 23 ნოემბერი 1993, *Poitrimol v. France*, No. 14032/88, პარაგრაფი 38; ECtHR 29 ივლისი 1998, *Omar and Guérin v. France*, No. 43/1997/827/1033, პარაგრაფი 40; ECtHR 25 ივლისი 2002, *Papon v. France*, No. 54210/00, para. 90; და ECtHR 14 დეკემბერი 1999, *Khalfaoui v. France*, No. 34791/97, პარაგრაფი 37.

269 ECtHR 13 სექტემბერი 2011, *Wersel v. Poland*, No. 30358/04, პარაგრაფი 42.

270 ECtHR 13 სექტემბერი 2011, *Wersel v. Poland*, No. 30358/04, პარაგრაფი 52. იხილეთ აგრეთვე, მაგალითად, ECtHR 18 დეკემბერი 2001, *R.D. v. Poland*, Nos. 29692/96 და 34612/97, და ECtHR 14 სექტემბერი 2010, *Subicka v. Poland*, No. 29342/06.

აღნიშნული გამოძიების ჩატარება – მოკვლევის კონკრეტული ქმედებების განხორციელება ან კონკრეტულ მოწმეთა დაკითხვა, რაც პრაქტიკაში ძალზედ იშვიათია, ისინი ვერ იქნებიან დარწმუნებულნი, რომ მათი მოთხოვნა შესაბამისი ფორმით იქნება უზრუნველყოფილი. ამავე დროს, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლი არ ითვალისწინებს პირდაპირ დებულებას, რომელიც ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირს აძლევს მტკიცებულების მოპოვების, ფაქტების გამოძიების, პოტენციური მოწმეების დაკითხვის ან საექსპერტო მტკიცებულების მოპოვების უფლებას.<sup>271</sup> ეს შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს როგორც იმ პრობლემების *de facto* აღიარება, რომლებიც უკავშირდება შესაბამისი უფლებების ჩამოყალიბებას და რომლებიც გამოიყენება როგორც ინკვიზიციური, ისე შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სასამართლო სისტემებში. როცა შეჯიბრებითობა, როგორც მინიმუმ, თეორიულად მაინც განიხილავს ბრალდებულს პროცესის მხარედ, რომელიც ვალდებულია წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულება, ინკვიზიციურობა განიხილავს ბრალდებულს როგორც სუბიექტს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მოკვლევის პროცესში, რომელიც ეხება ამ პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის დამტკიცებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ან/და პოლიციის ვალდებულებაა გამოძიება და მტკიცებულებათა რელევანტურობის დადგენა.

არსებული კვლევა აჩვენებს, რომ იმ იურისდიქციებში, სადაც მოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სამართალწარმოება და ბრალდებულს აქვს უფლება დაკითხოს პოტენციური მოწმეები, ინსტრუქციები მისცეს ექსპერტებს და დაარწმუნოს მოწმეები, წარმოადგინონ მტკიცებულებები სასამართლო განხილვაზე, პრაქტიკაში ფაქტების გამოძიების შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდულია უფლებამოსილებისა და რესურსების სიმცირის გამო. ინკვიზიციური ტრადიციის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში კი აქტიური დაცვა წინასასამართლო ეტაპზე ხშირად აკრძალულია და დაშვებულია მხოლოდ რეაქტიული დაცვა არსებითი განხილვის დროს ანუ, ბრალდებულისთვის მხოლოდ ოფიციალური (წინასწარი) გამოძიების შედეგების გაცნობის შემდეგ ეძლევა მას შანსი, მოითხოვოს დამატებითი გამოძიება – (დამატებითი) მოწმეების დაკითხვა ან ექსპერტის მიერ ალტერნატიული კვლევის განხორციელება. თუ ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირს სურს გამოძიება, მან უნდა სთხოვოს ნებართვა და დახმარება პოლიციას, პროკურორს ან მოსამართლეს, შესაბამისად, ბრალდებული დამოკიდებულია მათ სურვილზე. ზოგიერთ იურისდიქციაში, ბრალდებულის ან მისი ადვოკატის მიერ გამოძიების წარმოება შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალური გამოძიებისთვის ხელის შეშლად.<sup>272</sup>

დამცველზე ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივა უფლებას აძლევს ადვოკატს, რომელიც მოქმედებს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირის სახელით, დაესწროს რიგ საგამოძიებო ქმედებებს, მაგრამ არ ანიჭებს მას გამოძიების პოზიტიურ უფლებას. არსებობს გარკვეული მინიშნება, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო აღიარებს საგამოძიებო უფლებების მნიშვნელობას. *Dayanan* – ის საქმეში სასამართლომ დაადგინა, პირის დაკავების მომენტიდან „პროცესის სამართლიანობა მოითხოვს, რომ პირს მიეცეს საშუალება მოითხოვოს იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებული ფართო სპექტრის მომსახურება. ამასთან დაკავშირებით ადვოკატს უნდა შეეძლოს შეზღუდვის გარეშე უზრუნველყოს პირის დაცვის ფუნდამენტური ასპექტები: საქმის განხილვა, დაცვის ორგანიზება, ბრალდებულისთვის სასარგებლო მტკიცებულებების შეგროვება, დაკითხვისთვის მომზადება, ბრალდებულის მხარდაჭერა და დაკავების პირობების შემოწმება.“<sup>273</sup> თუმცა, ამ გადაწყვეტილებაში, ხელმისაწვდომობის უფლებასთან დაკავშირებით, ყურადღება ძირითადად გამახვილდა დამცველზე და კვლავაც ღიად რჩება საკითხი, თუ რამდენად შედის დაცვის ადვოკატის ფუნქციებში კლიენტის საქმის გამოძიება. ხსენებული დადასტურებულ ან უარყოფილ იქნება სასამართლოს შემდგომ გადაწყვეტილებებში და განისაზღვრება, თუ რამდენად ხვდება აღნიშნული ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირის სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში.

271 რაც აქ მითითებულია, არის უფლება საშუალებებზე და რესურსებზე, რათა მოიძიონ პოტენციური მოწმეები, დაეკონტაქტონ მათ და გამოკითხონ. მოწმეთა მოწვევისა და დაკითხვის უფლება თავად გათვალისწინებულია ევროპის კონვენციის მე-6 (3)(d) მუხლით.

272 იხილეთ ზოგადად, კეიპი et al. 2007, სპონკენი et al. 2009, და კეიპი et al. 2010.

273 ECtHR 13 ოქტომბერი 2009, *Dayanan v. Turkey*, No. 7377/03, პარაგრაფი 32.

## 7.2 დაცვის მომზადებისთვის ადეკვატური დრო და საშუალება

დაცვის მომზადებლად ადეკვატური დროისა და საშუალებების უფლება გარანტირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(b) მუხლით. ის შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ზოგადი დებულება, რომელიც „უზრუნველყოფს არა მხოლოდ თეორიაში არსებულ ან ილუზორულ უფლებებს, არამედ პრაქტიკულ და ეფექტურ უფლებებს“<sup>274</sup> და წარმოადგენს ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირის მიერ სისხლის სამართლის პროცესში ეფექტური მონაწილეობის გარანტიას (იხილეთ მე-6.3 ნაწილი ზემოთ)<sup>275</sup>. ეს მჭიდროდ უკავშირდება მე-6(3) მუხლში მოცემულ დაცვის კონკრეტულ უფლებებს, კერძოდ, ინფორმაციის მიღების უფლებას (იხილეთ მე-4 ნაწილი ზემოთ). უნინარესი მოთხოვნაა, რომ ბრალდებული პირი დროულად და სათანადოდ იყოს ინფორმირებული ბრალდების თაობაზე, მას უნდა მიეცეს მასალებთან ხელმისაწვდომობის საშუალება და გააჩნდეს საკმარისი დრო, გაანალიზოს ინფორმაცია და, შესაბამისად, მოამზადოს სათანადო დაცვა.<sup>276</sup>

ბრალდების მასალების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაფერის დროს, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ბრალდებულს ვალდებულებისგან, ბრალდებულს დროულად და დეტალურად შეატყობინოს ბრალდების სრული არსი. ეს ვალდებულება სრულად აკისრია საგამოძიებო ორგანოს და მარტივად, მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით კი არ უნდა შესრულდეს, არამედ დეტალურად უნდა ეცნობოს ბრალდებულს.<sup>277</sup> მომზადებისთვის აუცილებელი დრო დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე: „დრო, რომელიც უნდა მიეცეს დაცვას .... შეუძლებელია განისაზღვროს *in abstracto*. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ყველა გარემოების გათვალისწინებით...“<sup>278</sup> გასათვალისწინებელი ფაქტორებია: საქმის სირთულე, პოტენციური სანქციის სიმძიმე, ადვოკატის არსებობა.<sup>279</sup> თუ ბრალდების პროცესის დროს მოხდება ბრალდების არსის შეცვლა, ბრალდებულს უნდა მიეცეს შესაბამისი დრო რეაგირებისთვის. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის სირთულეები, რომლებიც დაცვას მოვლენების ახლებურად განვითარებისას შეექმნება.<sup>280</sup> ადეკვატური დროისა და საშუალებების მოთხოვნა გულისხმობს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების ეფექტიანი ფორმით გამოყენების უზრუნველყოფას. ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა აქტიური ქმედებები უნდა განახორციელონ და მისცენ ეჭვმიტანილს შესაძლებლობა ისარგებლოს იურიდიული დახმარებით,<sup>281</sup> მისცენ ადვოკატს საშუალება პოლიციის დაწესებულებაში ეჭვმიტანილს დაკითხვამდე შეხვდეს<sup>282</sup> და მისცენ ეჭვმიტანილს მონაწილეობის მოწვევისა და დაკითხვის საშუალება.<sup>283</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიდგომა წარმოდგენილია Luchaninova-ს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში.<sup>284</sup> განსახილველი საქმე არც სამართლებრივად და არც ფაქტობრივად არ იყო რთული და ეხებოდა პირის ქონების ქურდობას, რომელმაც განმცხადებელი დაიქირავა სამუშაოდ. განმცხადებლისთვის მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების შესახებ ცნობილი გახდა, როდესაც მისმა დამსაქმებელმა საჩივარი

274 ECtHR 21 აპრილი 1998, Daud v. Portugal, No. 22600/93, პარაგრაფები 36–43, და ECtHR 7 ოქტომბერი 2008, Bogumil v. Portugal, No. 35228/03, პარაგრაფები 46–49.

275 ECtHR 9 ივნისი 2011, Luchaninova v. Ukraine, No. 16347/02, პარაგრაფი 61.

276 ECtHR 21 დეკემბერი 2006, Borisova v. Bulgaria, No. 56891/00, პარაგრაფები 41–45.

277 ECtHR 25 ივლისი 2000, Mattoccia v. Italy, No. 23969/94, პარაგრაფი 6., და იხილეთ საქმეები მითითებული მე-4.3. ნაწილში ზემოთ.

278 ECtHR 28 ივნისი 2011, Miminoshvili v. Russia, No. 20197/03, პარაგრაფი 142.

279 ECtHR 7 ოქტომბერი 2008, Bogumil v. Portugal, No. 35228/03, პარაგრაფები 48–49.

280 ECtHR 25 ივლისი 2000, Mattoccia v. Italy, No. 23969/94, პარაგრაფი 67.

281 ECtHR 10 აგვისტო 2006, Padalov v. Bulgaria, No. 54784/00, პარაგრაფები 53–55, და ECtHR 27 მარტი 2007, Talat Tunc v. Turkey, No. 32432/96, პარაგრაფები 61–62.

282 ECtHR 24 სექტემბერი 2009, Pishchalnikov v. Russia, No. 7025/04, პარაგრაფი 79, და ECtHR 11 დეკემბერი 2008, Panovits v. Cyprus, No. 4268/04, პარაგრაფები 70–71.

283 ECtHR 17 ივლისი 2001, Sadak and Others v. Turkey, Nos. 29900/96; 29901/96; 29902/96; 29903/96, პარაგრაფი 67.

284 ECtHR 9 ივნისი 2011, Luchaninova v. Ukraine, No. 16347/02, პარაგრაფები 64–66.

შეიტანა სასამართლოში, დაახლოებით ორი თვით ადრე შესაბამის სასამართლო განხილვამდე. მაგრამ ის არ ყოფილა ინფორმირებული განხილვის თაობაზე განხილვის რეალურად დაწყების დღემდე. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა განმცხადებლის ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(b) და (c) მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა, რადგანაც განმცხადებელმა ვერ მიიღო ინფორმაცია საქმის განხილვის შესახებ დროულად, რათა მომზადებულიყო მისთვის. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოთხოვნა უფასო იურიდიული დახმარების შესახებ დაკმაყოფილდა და ადვოკატი დაენიშნა, ის არ იყო ინფორმირებული ამ გადაწყვეტილების შესახებ სასამართლო განხილვამდე და, შესაბამისად, იურიდიულ დახმარებას ეფექტურად ვერ გამოიყენებდა.

### 7.3 მხარეთა თანასწორობა მოწმეთა მოწვევისა და დაკითხვის დროს

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის ტექსტი პირდაპირ არ მოითხოვს მხარეთა თანასწორობას დაცვასა და ბრალდებას შორის, აღნიშნული გარანტია მიჩნეულია სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტურ შემადგენელ ნაწილად. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა წარადგინოს მისი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც არ ჩააყენებს ოპონენტზე უფრო არახელსაყრელ მდგომარეობაში.<sup>285</sup> ნებისმიერი სირთულე, რასაც დაცვა ამ უფლების შეზღუდვით აწყდება, უნდა იყოს შესაბამისად დაბალანსებული სასამართლო განხილვის ჯეროვანი პროცედურებით. მხარეთა თანასწორობის პრინციპის ერთ-ერთი ასპექტი მოცემულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(d) მუხლში, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს უფლება აქვს „დააკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში.“ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ეს გულისხმობს არა მარტო ბრალდებისა და დაცვის მხარეების თანაბარ მოპყრობას, „არამედ აგრეთვე... მოწმის განხილვა ზოგადად უნდა იყოს შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული.“<sup>286</sup> შესაბამისად, ყველა მტკიცებულება, როგორც წესი, უნდა „იქნეს წარმოდგენილი საჯარო განხილვაზე ბრალდებულის თანდასწრებით, ეფუძნებოდეს შეჯიბრებითობის პრინციპს, რათა დაცვას მიეცეს სანინააღმდეგო არგუმენტის წარმოდგენის საშუალება“,<sup>287</sup> ხოლო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მიიღონ „ყველა გონივრული ღონისძიება“ პროცესზე პირდაპირი დაკითხვის მიზნით მოწმეთა დასწრების უზრუნველსაყოფად.<sup>288</sup> ბრალდებულ პირს უნდა გააჩნდეს ბრალდების მხარის თანაბარი შესაძლებლობა გამოიძახოს და დააკითხოს მოწმეები. ამავე დროს, მოწმეთა მოწვევის უფლება აბსოლუტური არ არის და შეიძლება შეიზღუდოს მართლმსაჯულების ჯეროვანად განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე.<sup>289</sup> ბრალდებული პირი უფლებამოსილი უნდა იყოს, მოითხოვოს მოწმის მოსმენა, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რამდენად აუცილებელი ან შესაფერისი შეიძლება იქნეს მოწმის მოწვევა.<sup>290</sup> ბრალდებულმა, რომელიც ითხოვს მოწმის მოსმენას, უნდა დაასაბუთოს სიმართლის დადგენისათვის მოწმის დაკითხვის აუცილებლობა.<sup>291</sup> მნიშვნელოვანია, რომ პროცესი მთლიანობაში, იმ ფორმის ჩათვლით, რომლითაც ხდება მტკიცებულებების განხილვა, იყოს სამართლიანი<sup>292</sup> და თუ სასამართლო უარს ამბობს მოწმეების

285 ECtHR 15 მაისი 2005, *Öcalan v. Turkey*, No. 46221/99, პარაგრაფი 140.

286 ECtHR 6 დეკემბერი 1988, *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, No. 10590/83, პარაგრაფი 78.

287 ECtHR 15 ივნისი 1992, *Lüdi v. Switzerland*, No. 12433/86, პარაგრაფი 47; ECtHR 28 თებერვალი 2006, *Krasniki v. Czech Republic*, No. 51277/99, პარაგრაფი 75; და ECtHR 20 იანვარი 2009, *Al-Khawaja and Tahery v. UK*, Nos. 26766/05 და 22228/06, პარაგრაფი 34.

288 ECtHR 17 თებერვალი 2011, *Kononenko v. Russia*, No. 33780/04, პარაგრაფი 64.

289 ECtHR 29 აპრილი 2009, *Polyakov v. Russia*, No. 77018/01, პარაგრაფი 31.

290 ECtHR 6 მაისი 2004, *Perna v. Italy*, No. 48898/99, პარაგრაფი 29.

291 ECtHR 6 მაისი 2004, *Perna v. Italy*, No. 48898/99, პარაგრაფი 29, და ECtHR 29 აპრილი 2009, *Polyakov v. Russia*, No. 77018/01, პარაგრაფი 31.

292 ECtHR 6 მაისი 2004, *Perna v. Italy*, No. 48898/99, პარაგრაფი 29; ECtHR 23 აპრილი 1997, *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, Nos. 21363/93; 21364/93; 21427/93; 22056/93, პარაგრაფი 50; ECtHR 15 ივნისი 1992, *Lüdi v. Switzerland*, No. 12433/86, მაისი 43; ECtHR 26 მარტი 1996, *Doorson v. Netherlands*, No. 20524/92, მაისი 67; და ECtHR 14 დეკემბერი 1999, *A.M. v. Italy*, No. 37019/97, პარაგრაფი 24.



მოსმენაზე, მან ადეკვატურად უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილება.<sup>293</sup> სასამართლო განხილვის დროს პოლიციის ან სასამართლო გამოძიების დროს გაკეთებული განცხადებების გამოყენება, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6(1) და მე-6(3)(d) მუხლებს, იმ შემთხვევაში თუ დაცვის უფლებები დაცულია.<sup>294</sup> მყარად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, ბრალდებულს უნდა მიეცეს ადეკვატური და შესაბამისი შესაძლებლობა დაკითხოს ბრალდების მოწმე (რომელიც უთითებს ეჭვმიტანილზე ან ბრალდებულზე ამოცნობისას/დაპირისპირებისას ან შესაბამისი პროცედურის დროს)<sup>295</sup> ჩვენების მიცემისას ან შემდგომ ეტაპზე.<sup>296</sup> ბრალდებულისთვის მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის შეზღუდვა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო იხილავს აღნიშნულ საქმეებს იმის მითითებით, თუ რამდენად ჯეროვანი მიზეზები არსებობდა მოწმის დაუსწრებლობისათვის.<sup>297</sup> სასამართლო დიდ ყურადღებას აქცევს იმ შედეგს, რაც ბრალდებული პირის მიერ მოწმის დაკითხვის შეუძლებლობამ იქონია სასამართლო პროცესის სამართლიანობაზე. სასამართლო მხედველობაში იღებს შეუსწავლელი მტკიცებულების მნიშვნელობას, რათა დაადგინოს, რამდენად არასამართლიანად შეიზღუდა ბრალდებულ პირთა უფლებები.<sup>298</sup> სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებით განამტკიცა „ერთადერთი ან გადამწყვეტი“ წესი – მსჯავრდება არ შეიძლება დაეფუძნოს ან მსჯავრდებისათვის არ შეიძლება გადამწყვეტი იყოს მხოლოდ მოწმის ჩვენებები, რომლის გაპროტესტების საშუალება ბრალდებულს არ ჰქონდა.<sup>299</sup>

თუმცა, დიდი პალატის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Al-Khawaja and Tahery*<sup>300</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ხსენებული წესი არ უნდა გამოიყენებოდეს ცალსახად, გარკვეული მოქნილობის გარეშე. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდება მხოლოდ იმ მოწმის მტკიცებულებებს ეფუძნება, რომლის დაკითხვის საშუალებაც ბრალდებულს არ მიეცა, ეს ავტომატურად არ გახდება სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფუძველი. “თითოეულ საქმეში მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ჯეროვანად არის დაბალანსებული ის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მტკიცებულებათა სამართლიან და შესაბამის ანალიზს. მსჯავრდების დაფუძნება შესაბამის მტკიცებულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ ის ჯეროვანად სანდოა და შესაბამისია კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში.”<sup>301</sup> კონკრეტული ფაქტების მიმართ აღნიშნული პრინციპების გამოყენებისას, სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის განხილვის დროს მოწმის მიერ პოლიციისადმი მიცემული განცხადებების გამოყენებას (მოწმე გარდაიცვალა სასამართლო პროცესამდე) გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნდა განმცხადებელ *Al-Khawaja*-ს მსჯავრდებისთვის, მაგრამ არ გამხდარა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფუძველი. ამ საქმეში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი: შესაბამისი მოვლენებიდან მცირე დროში მოწმემ პრეტენზია გამოთქვა განმცხადებლის საქციელთან დაკავშირებით ორ მეგობართან. საქმეში ადგილი ჰქონდა მხოლოდ მცირე შეუსაბამობებს იმ ინფორმაციას შორის, რომელიც მოწმემ განუცხადა მეგობრებს და იმ განცხადებას შორის, რომლითაც შემდგომში მიმართა პოლიციას. სასამართლოს აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დიდი მსგავსება მის მიერ თავდასხმასთან დაკავშირებით მიცემულ ჩვენებასა და მეორე მომჩივანის მიერ მიცემულ

293 ECtHR 22 აპრილი 2000, *Vidal v. Belgium*, No. 12351/86, პარაგრაფი 34.

294 ECtHR 24 ნოემბერი 1986, *Unterperinger v. Austria*, No. 9120/80, პარაგრაფი 31.

295 ECtHR 10 ივნისი 2010, *Shakunov and Mezentnev v. Russia*, No. 75330/01, პარაგრაფი 111.

296 ECtHR 15 ივნისი 1992, *Lüdi v. Switzerland*, No. 12433/86, პარაგრაფი 49; ECtHR 20 სექტემბერი 1993, *Saïdi v. France*, No. 14647/89, პარაგრაფი 43; ECtHR 23 აპრილი 1997, *Van Mechelen and Others v. Netherlands*, Nos. 21363/93; 21364/93; 21427/93; 22056/93, პარაგრაფი 51; და ECtHR 14 დეკემბერი 1999, *A.M. v. Italy*, No. 37019/97, პარაგრაფი 25.

297 ECtHR 15 ივნისი 1992, *Ludi v. Switzerland*, Series A, No. 238; ECtHR 26 ივლისი 2005, *Mild and Virtanen v. Finland*, Nos. 39481/98 და 40227/98; ECtHR 8 ივნისი 2006, *Boney v. Bulgaria*, No. 60018/00; და ECtHR 12 აპრილი 2007, *Pello v. Estonia*, No. 11423/03.

298 ECtHR 21 ოქტომბერი 2010, *Kornev and Karpenko v. Ukraine*, No. 17444/04, paras. 54–57; ECtHR 8 დეკემბერი 2009, *Caka v. Albania*, No. 44023/02, პარაგრაფები 112–116; და ECtHR 22 ივნისი 2006, *Guilloury v. France*, No. 62236/00, paras. 57–62.

299 ECtHR 27 თებერვალი 2001, *Luca v. Italy*, No. 33354/96, პარაგრაფი 40.

300 ECtHR, დიდი პალატა, 15 დეკემბერი 2011, *Al-Khawaja and Tahery v. UK*, Nos. 26766/05 და 22228/06.

301 პარაგრაფი 147.



ჩვენებას შორის იმ ფონზე, როცა მოწმეებს შორის არ მომხდარა წინასწარი მოლაპარაკება/შეთანხმება.<sup>302</sup> ამის საწინააღმდეგოდ, განმცხადებელ *Tahery*-ის საქმეში, სასამართლო განხილვაზე, სადაც მოწმემ არ მისცა ჩვენება შიშის გამო, ბალანსის დამდგენი ფაქტორები მიჩნეულ იქნა არასათანადოდ სამართლიანი პროცესისათვის. ერთადერთმა მოწმემ, რომელიც პირის დანით დაჭრის შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა, შემთხვევიდან ორი დღის შემდგომ ამოიციო განმცხადებელი. ეს მტკიცებულება არ იქნა გამყარებული სხვა მტკიცებულებით და, შესაბამისად, ამ მტკიცებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა *Tahery*-ის მსჯავრდებისათვის. არც ის ფაქტი, რომ განმცხადებელს შეეძლო მიეცა მტკიცებულება ან/და გამოეძახა სხვა პირი, რომელიც ამ ფაქტს ესწრებოდა, არც ის ფაქტი, რომ მოსამართლემ გააფრთხილა ნაფიცი მსაჯულები, რომ ისინი სიფრთხილით უნდა მოკიდებოდნენ იმ მოწმის ჩვენებას, რომელიც არ ესწრებოდა პროცესს, არ იყო საკმარისი დაცვისათვის მოწმის ჩვენებით გამოწვეული სირთულეების კომპენსირებისთვის.<sup>303</sup>

განსაკუთრებული სირთულეები წარმოიშვება ანონიმური მოწმის შემთხვევაში. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოწმის ვინაობის საიდუმლოდ დატოვებასთან დაკავშირებულ საშიშროებაზე და დაადგინა მკაცრი მიდგომა.<sup>304</sup> ანონიმურ ინფორმაციაზე დაყრდნობა სასამართლოსწინა ეტაპზე თავისთავად არ არის წინააღმდეგობაში ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლთან, მაგრამ აღნიშნული პირების გამჟღავნება მტკიცებულებებში შეიძლება ასეთად ჩაითვალოს. *Doorson*-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა სასამართლოში ანონიმური მტკიცებულებების გამოყენებისთვის სამი კრიტერიუმი: პირველი, რამდენად არსებობს მოწმის ანონიმურობის მიზეზები; მეორე, რამდენად დაბალანსებულია სირთულეები, რომელიც შეექმნა დაცვის მხარეს სასამართლო ორგანოების მიერ განხორციელებული პროცედურებით; მესამე, არის თუ არა ანონიმური მტკიცებულება ერთადერთი და გადამწყვეტი საფუძველი მსჯავრდებისთვის.<sup>305</sup> ეს საკითხი განხილულ უნდა იქნას *Al-Khawaja*-ს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებასთან ერთობლიობაში.

სასამართლოს მიერ დანიშნულ ექსპერტებთან მიმართებით, ბრალდებულ პირს უნდა მიეცეს საშუალება დაესწროს ექსპერტების მიერ ჩატარებულ ნებისმიერ ინტერვიუს ან გაეცნოს მათ მიერ მხედველობაში მიღებულ დოკუმენტებს. მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა შეძლონ ჯეროვანი მონაწილეობა სასამართლო სამართალწარმოებაში.<sup>306</sup> ბრალდებულის მიერ მოწვეული ექსპერტის მიმართ ისეთივე მოპყრობა უნდა იყოს გარანტირებული, როგორც სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის მიმართა.<sup>307</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6(3) (d) მუხლით გათვალისწინებული მოწმის დაკითხვის უფლება თანაბრად ვრცელდება ექსპერტებზე და მათი დაკითხვის დროს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო იყენებს იგივე პრინციპებს, როგორც სხვა მოწმეების შემთხვევაში. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ბრალდებულ პირს არ მიეცა შესაძლებლობა დაეკითხა ექსპერტი სასამართლოსწინა ან სასამართლო ეტაპზე, სანდოობის ან მოსაზრების თვალსაზრისით.<sup>308</sup>

#### 7.4 უზასო თარჯიმნის მომსახურებისა და დოკუმენტების თარჯიმნის უზლება

თუ ეჭვიმტანილი და ბრალდებული ვერ საუბრობს პროცესის ენაზე ან არ ესმის ეს ენა, ვერ შეძლებს სრულად და ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა პროცესში და აშკარად არახელსაყრელ მდგომარეობაში

302 პარაგრაფი 157.

303 პარაგრაფები 159–165.

304 ECtHR 20 ნოემბერი 1989, Kostovski, No. 11454/85, პარაგრაფი 42.

305 ECtHR 26 მარტი 1996, Doorson v. Netherlands, No. 20524/92, პარაგრაფები 70–76.

306 ECtHR 18 მარტი 1997, Mantovanelli v. France, No. 21497/93, პარაგრაფი 33, and ECtHR 2 June 2005, Cottin v. Belgium, No. 48386/99, პარაგრაფი 32.

307 ECtHR 6 მაისი 1985, Bönisch v. Austria, No. 8658/79, პარაგრაფები 32–33.

308 ECtHR 4 ნოემბერი 2008, Balsyte-Lideikiene v. Lithuania, No. 72596/01, პარაგრაფები 63–66.

აღმოჩნდება.<sup>309</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6(3) (ე) მუხლი ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს უფლება აქვს “თარჯიმნის უფასო მომსახურებაზე თუ მას არ ესმის სამართალწარმოების ენა.”<sup>310</sup> ამასთან ერთად, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 (2) და მე-6(3) (ა) მუხლები ითვალისწინებენ, რომ ყველა ვინც დაპატიმრებულია ან წაყენებული აქვს ბრალდება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, დაუყოვნებლივ უნდა იყოს ინფორმირებული დაპატიმრების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ხასიათისა და მიზეზების შესახებ „იმ ენაზე, რომელიც მას ესმის“.<sup>311</sup> თარგმანის დახმარებით ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა უნდა გაიგოს მის წინააღმდეგ არსებული ბრალდების არსი და დაიცვას საკუთარი თავი, კერძოდ, მას უნდა მიეცეს საშუალება სასამართლოს წინაშე წარადგინოს საკუთარი ხედვა ფაქტებთან დაკავშირებით.<sup>312</sup> შესაბამისად, აღნიშნული უფლების არსი ევროპის კონვენციის მიხედვით არ არის შეზღუდული სასამართლო განხილვის დროს ზეპირი განცხადებების თარგმანით, არამედ ის ასევე ეხება სასამართლოსწინა პროცედურას და შესაბამისი დოკუმენტური მასალის თარგმანსაც.<sup>313</sup> თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის უფლება ასევე უზრუნველყოფილია ევროპის კავშირის “პროცედურულ უფლებათა შესახებ გზამკვლევის” დირექტივით, თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის უფლების შესახებ<sup>314</sup> დირექტივის საფუძველზე. ეს აქტები, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციასა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკასთან შედარებით, უფრო დეტალურად და ამომწურავად აცალიბებს უფლებებს. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული უფლებები ეხება არა მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ისაუბრონ სამართალწარმოების ენაზე, ან გაიგონ ის, რადგან მათი სალაპარაკო (ერთადერთი) ენა განსხვავდება სამართალწარმოების ენისგან, არამედ პოტენციურად იმ პირებსაც მოიცავს, რომლებსაც მეტყველების ან სმენის პრობლემები აქვთ .

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო ორგანოები ვალდებული არიან უფრო აქტიურად იმოქმედონ იმის განსაზღვრად, თუ რამდენად არსებობს თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის საჭიროება.<sup>315</sup> ამ მიმართულებით, ევროპის კავშირის თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის შესახებ დირექტივა კიდევ უფრო წინ მიდის და არა მარტო ითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის უზრუნველყოფას, არამედ (მე-2(1) და მე-3(2) მუხლები), როგორც მინიმუმ თარჯიმნის მომსახურებასთან მიმართებაში, მოითხოვს სახელმწიფოებისგან, რომ მათ უზრუნველყონ პროცედურის ან მექანიზმის არსებობა იმის გასარკვევად, რამდენად საუბრობს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირი სამართალწარმოების ენაზე, ან ესმის ეს ენა და რამდენად სჭირდება მას თარჯიმნის მომსახურება (მე-2(4) მუხლი). მეტიც, ეჭვმიტანილი ან ბრალდებულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს თარჯიმნის მომსახურების და თარგმნის საჭიროებაზე უარის დადგენილება (მე-2(5) და მე-3(5) მუხლები). ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5(2) და მე-6(3)(ა) მუხლები ნათლად ითხოვენ, რომ დაპატიმრების მიზეზებისა და ბრალდების ხასიათისა და მიზეზების თაობაზე ინფორმაციის თარგმანი უზრუნველყოფილი იყოს სისხლის სამართალწარმოების ადრეულ ეტაპებზე, მათ შორის საგამოძიებო ეტაპზე. ეს აგრეთვე მომდინარეობს ბრალდების არსის ზოგადი მიდგომიდან, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6(3) (ე) მუხლი ვრცელდება იმ მომენტიდან, როცა ხდება

309 ECtHR 19 დეკემბერი 1989, Kamasinski v. Austria, No. 9783/82, პარაგრაფი 79, და ECtHR 18 ოქტომბერი 2006, Hermi v. Italy, No. 18114/02, პარაგრაფი 68

310 ეს აგრეთვე გამოხატულია ICCPR-ის მე-14 (3)(ა) და (ფ) მუხლებში, და რომის სტატუტის 55-ე (1)(ც) და 67-ე (1)(ფ) მუხლებში.

311 იხილეთ აგრეთვე რომის სტატუტის 67-ე (1)(ა) მუხლი.

312 ECtHR 18 ოქტომბერი 2006, Hermi v. Italy, No. 18114/02, პარაგრაფი 70.

313 ECtHR 28 ნოემბერი 1978, Luedicke, Belkacem and Koç v. Germany, Nos. 6210/73; 6877/75; 7132/75, პარაგრაფი 48; ECtHR 19 დეკემბერი 1989, Kamasinski v. Austria, No. 9783/82, პარაგრაფი 74; და ECtHR 18 ოქტომბერი 2006, Hermi v. Italy, No. 18114/02, პარაგრაფი 69.

314 ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2010 წლის 20 ოქტომბერის 2010/64/EU დირექტივა სისხლის სამართლის პროცესში თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის უფლების შესახებ. იხილეთ თავი 1, 4.3.2 ნაწილი

315 ECtHR 24 სექტემბერი 2002, Cuscani v. UK, No. 32771, პარაგრაფები 38 და 39. მოცემულ საქმეში ბრალდებულს ქონდა სმენის პრობლემები.

„კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების მიერ პირის ოფიციალური ინფორმირება ბრალდების შესახებ, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული“ (იხილეთ მე-3 ნაწილი ზემოთ). ეს მიდგომა წარმოდგენილია თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმანის შესახებ ევროპის კავშირის დირექტივის პირველ (2) მუხლში, მაგრამ უფრო მეტად დაზუსტებულია თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებული დირექტივის მე-2(1) მუხლში, რომელშიც აღნიშნულია, რომ როცა ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირი ვერ საუბრობს სამართალწარმოების ენაზე ან არ ესმის ეს ენა, იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარჯიმნის მომსახურებით “სისხლის სამართლის პროცესის სამართალწარმოების საგამოძიებო ან სასამართლო ეტაპებზე, მათ შორის პოლიციის მიერ დაკითხვის დროს, ყველა სასამართლო განხილვაზე და ნებისმიერი შესაბამისი შუალედური განხილვისას.“ მეტიც, თარჯიმნის მომსახურება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირისა და მისი ადვოკატის კომუნიკაციის დროს სადაც „ეს აუცილებელია პროცესის სამართლიანობის დაცვისათვის (მე-2(2) მუხლი).“

რაც შეეხება თარგმანს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ Kamasinski-ის საქმეში დადგენილ იქნა,<sup>316</sup> რომ ყველა დოკუმენტი არ უნდა ითარგმნოს წერილობითი ფორმით. თარჯიმნის ან ადვოკატის მიერ განხორციელებული ზეპირი თარგმანი საკმარისია, თუკი ბრალდებულისათვის გასაგებია შესაბამისი დოკუმენტი და მისი შედეგები. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ვერდიქტი არ ითარგმნა, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლს, თუკი ბრალდებულს შეუძლია ჯეროვნად გაიაზროს ვერდიქტი და შესაბამისი არგუმენტაცია. ევროპის კავშირის დირექტივა თარჯიმნით მომსახურებისა და თარგმანის შესახებ აგრეთვე განსაზღვრავს დოკუმენტებს, რომლებიც უნდა ითარგმნოს და “მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ [ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა პირმა] შეძლოს მისი დაცვის უფლების გამოყენება და დაცულ იქნეს პროცესის სამართლიანობა“ (მე-3(1) მუხლი). ეს დოკუმენტები უნდა მოიცავდეს „ნებისმიერ გადანყვეტილებას პირის თავისუფლების აღკვეთის შესახებ და ასევე ნებისმიერ ბრალდებას...“, ასევე *Kamasinski* ის გადანყვეტილების საპირისპიროდ „...ნებისმიერ გადანყვეტილებას“ (მე-3(2) მუხლი). ძირითადი დოკუმენტების ზეპირი თარგმანი, ან ზეპირი შეჯამება დაშვებულია, თუ ეს არ უქმნის საფრთხეს პროცესის სამართლიანობას (მე-3(7) მუხლი). იმის გათვალისწინებით, რომ დირექტივაში არ არსებობს დებულება ამ უფლებაზე უარის თქმის შესახებ, ის ითვალისწინებს, რომ თარგმანის უფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირი მიიღებს წინასწარ იურიდიულ რჩევას, ან სხვაგვარად „იქნება სრულად ინფორმირებული უარის თქმის შედეგების შესახებ“ და აღნიშნული უარი ნათლად და ნებაყოფლობით იქნება გამოხატული (მე-3(8) მუხლი). ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6(3) (e) მუხლი ადგენს: როდესაც თარგმანი საჭიროა, ის უნდა იქნეს უზრუნველყოფილი „უფასოდ“. *Luedicke, Belkacem and Koc* -ის საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განმარტა ტერმინი „უფასო“ და ის გულისხმობს „სრულად გათავისუფლებას ყოველგვარი გადასახადისაგან.“<sup>317</sup> შესაბამისად, ბრალდებულ პირს არ შეიძლება დაეკისროს თარჯიმნის ხარჯების გადახდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება მისი მსჯავრდება.<sup>318</sup> ეს აგრეთვე პირდაპირ არის გათვალისწინებული თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმანის შესახებ ევროპის კავშირის დირექტივაში: „წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაფარონ მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად განხორციელებული თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმანის ხარჯები, პროცესის შედეგების მიუხედავად“ (მე-4 მუხლი).

რაც შეეხება თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმანის ხარისხს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ თარჯიმნის მხოლოდ დანიშვნა ან თარგმანის განხორციელება არ ათავისუფლებს ხელისუფლების ორგანოებს დამატებითი ვალდებულებებისგან. სახელმწიფოები ვალდებული არიან განახორციელონ გარკვეული ზედამხედველობა თარჯიმნით მომსახურებისა და

316 ECtHR 19 დეკემბერი 1989, Kamasinski v. Austria, No. 9783/82, პარაგრაფი 85.

317 ECtHR 28 ნოემბერი 1978, Luedicke, Belkacem and Koc v. Germany, Nos. 6210/73; 6877/75; 7132/75, პარაგრაფი 40

318 ECtHR 28 ნოემბერი 1978, Luedicke, Belkacem and Koc v. Germany, Nos. 6210/73; 6877/75; 7132/75, პარაგრაფი 46.

თარგმანის ადექვატურობის ხარისხზე,<sup>319</sup> ხოლო სასამართლო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რადგან, საბოლოო ჯამში, სწორედ მათ უნდა უზრუნველყონ სამართლანარმოების სამართლიანობა.<sup>320</sup> ევროპის კავშირის დირექტივა „თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის შესახებ“, ხარისხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას ძირითად წევრ ქვეყნებს აკისრებს და მათგან კონკრეტული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს იმის უზრუნველსაყოფად, რომ თარჯიმნის მომსახურება და თარგმანი „იყოს ისეთი ხარისხის, რომ დაცულ იქნეს პროცესის სამართლიანობა, კერძოდ იმის უზრუნველყოფით, რომ ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირებს მიეწოდოთ ინფორმაცია საქმის შესახებ და შეეძლოთ დაცვის უფლებით ეფექტიანი სარგებლობა“ (მე-5 (1) მუხლი). ეს ვალდებულება დამატებით გამტკიცებულია იმ მოთხოვნით, რომ სახელმწიფოებმა შექმნან ჯეროვნად კვალიფიციური თარჯიმნების საინფორმაციო ბანკი (მე-5(2) მუხლი) და უზრუნველყონ პროცედურები, რომელთა თანახმადაც, ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირს შესაძლებლობა მიეცემა გაასაჩივროს თარჯიმნით მომსახურებისა და თარგმანის ხარისხი (მე-2(5) და მე-3(5) მუხლები). სახელმწიფოებს აგრეთვე მოეთხოვებათ იმის უზრუნველყოფა, რომ თარჯიმნებს დაეკისროთ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება განხორციელებულ თარგმანთან დაკავშირებით (მე-5(3) მუხლი).

## 8. დასკვნა

ამ თავში ჩვენ მიზნად დავისახეთ განგვესაზღვრა ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დაცვის სტანდარტები, რომლებიც დადგენილია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლითა და ევროპის კავშირის დირექტივით, პროცედურული უფლებების გზამკვლევის“ შესახებ. ეს არ იყო მარტივი დავალება. წინამდებარე კვლევის განხორციელების დროს მხოლოდ ერთი – ევროპის კავშირის დირექტივის გამოცემა მოხდა, ხოლო წარდგენილი დირექტივის გარშემო წევრ სახელმწიფოებსა და ევროპის კავშირის სხვადასხვა ორგანოებს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა (იხილეთ თავი 1, სქოლიო 79). რა თქმა უნდა, ჯერ ნაადრევია ECJ პრეცედენტული სამართლის სრულყოფილად მიჩნევა. ევროპის ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართლით დადგენილი მიდგომების სტანდარტებად აღიარებას კი რამდენიმე სირთულე ახლავს თან. კერძოდ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიდგომა იმის დადგენაა, თუ რამდენად იქნა დაცული მთლიანობაში კონვენციის მე-6 მუხლში განსაზღვრული პროცესუალური უფლებები სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში. გარკვეული და კონკრეტული პროცესუალური უფლებების შელახვის ფაქტი, თავისთავად არ ნიშნავს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, როდესაც კონკრეტულ საქმეში მოხდა ან შეიძლება მოხდეს დარღვევის კომპენსირება სხვა პროცესით ან პროცედურებით. სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ელემენტები ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმსაზღვრელია და კონკრეტულ პროცესუალურ უფლებაზე (მაგალითად, იურიდიული დახმარების უფლება) მსჯელობისას ის განხილულია სამართლიანი პროცესის ისეთ ასპექტებთან ერთად, როგორიცაა დუმილის უფლება, მონაწილეობის უფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამ ქრილში, კონკრეტული პროცესუალური უფლებები არ განიხილება როგორც აბსოლუტური, რადგან ისინი შეიძლება შეფასდეს სხვა ლეგიტიმურ ინტერესების კონტექსტში, როგორიცაა მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება ან დაზარალებულთა და მონმეთა ინტერესები. სტანდარტების დადგენის დროს რამდენიმე პროცესუალურ საკითხს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებაზე. პრეცედენტული სამართალი, თავისი არსით, არის “საჩივრიდან გამომდინარე” და დამოკიდებულია სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების ამონურვაზე. ზოგიერთი უფლება, რომლებსაც ჩვენ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვან

319 ECtHR 19 დეკემბერი 1989, Kamasinski v. Austria, No. 9783/82, პარაგრაფი 74, და ECtHR 18 ოქტომბერი 2006, Hermi v. Italy, No. 18114/02, პარაგრაფი 70.

320 ECtHR 18 ოქტომბერი 2006, Hermi v. Italy, No. 18114/02, პარაგრაფი 72, და ECtHR 24 სექტემბერი 2002, Cuscani v. UK, No. 32771, პარაგრაფი 39.



ელემენტად მივიჩნევთ, მხოლოდ პრინციპების დონეზეა წარმოდგენილი ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში. როგორც ჩანს, ამ უფლებებზე სასამართლოსაც არ უმსჯელია, რადგან ეს საკითხი იშვიათად ან საერთოდ არ დამდგარა სასამართლოში. ვინაიდან ევროპის სასამართლოში საქმის განხილვამდე ჯერ სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებები უნდა იქნეს ამონურული, როგორც წესი, სასამართლო ფაქტებს და საკითხებს მოცემული მოვლენებიდან კარგა ხნის შემდეგ იხილავს. შესაბამისად, მხოლოდ ეროვნული სასამართლოს საბოლოო ვერდიქტის შემდეგ დგება საკითხი, რომ მსჯავრდება ზოგადად არ უნდა ეფუძნებოდეს ცალსახად ან უმეტესწილად მოწმის ჩვენებებს, რომელთაც დაცვა ვერ ამოწმებს ან ასაჩივრებს. მაქსიმუმი, რაც პრეცედენტული სამართლიდან იკვეთება, არის მტკიცებულებითი ნორმა, რომელიც სასამართლოებმა უნდა დაიცვან საქმეზე გადანყვეტილების გამოტანის დროს. ბევრი დებულება ნევრ სახელმწიფოებს აძლევს შეფასების თავისუფლების ფარგლებს იმის განსასაზღვრად, თუ როგორ უნდა მოხდეს სამართლიანი სასამართლო მოთხოვნების განხორციელება, ეს ფაქტორი კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტკიცებულებების დასაშვებობისა და განხილვის დროს. შესაბამისად, ყოველთვის არ არის შესაძლებელი, ეს თემები განმარტებულ ან წარმოდგენილ იქნას როგორც ამომწურავი და დეტალური სტანდარტები, რომელთა გამოყენება შეიძლება ყველა სისხლისსამართლებრივ სისტემაში ან სისხლის სამართლის პროცესის კონკრეტულ სტადიაზე. ჩვენი ამოცანისთვის მნიშვნელოვანია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადანყვეტილებების ფორმა, როცა სასამართლო კონკრეტულ გადანყვეტილებაში ასახავს განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ ზოგად შეხედულებას. მაგალითად, Salduz-ის საქმეში, სასამართლომ თავისი მიდგომა საკმაოდ დეტალურად გადმოსცა.<sup>321</sup> ამის მიუხედავად, ყველა გარემოებებისთვის გამოსაყენებელი სტანდარტების გამოვლენა რთულია.

შეიძლება გამოიყოს ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის რამდენიმე ელემენტი, რომლებთან დაკავშირებით არც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა და არც ევროპის კავშირის გზამკვლევი აქტები არ ადგენს ნათელ და კონკრეტულ სტანდარტებს. მაგალითად: როგორ გამოიყენება იურიდიული დახმარების უფლება იმ პირების მიმართ, რომლებიც თავიანთი სტატუსით არიან მოწმეები, მაგრამ ფაქტობრივად მათ ეპყრობიან როგორც ეჭვმიტანილებს;<sup>322</sup> სისხლის სამართლის დაცვის ადვოკატის როლის პარამეტრები; ეჭვმიტანილის, ბრალეულის ან მათი ადვოკატის უფლება გამოიძიონ ფაქტები.<sup>323</sup> იურიდიული დახმარების მიღების უფლებას კონკრეტული პრობლემები უკავშირდება, ბევრი ბუნდოვანებაა პირის შესაძლებლობასთან დაკავშირებითაც, მაგალითად: როგორ უნდა განისაზღვროს, შეუძლია თუ არა პირს დაფაროს იურიდიული დახმარების ხარჯები; რა მეთოდით უნდა იქნას საშუალებები გაანალიზებული; როგორ უნდა მოხდეს მართლმსაჯულების ინტერესების ტესტის გამოყენება და ეფექტური დაცვის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უფასო იურიდიული დახმარების საქმეებში რა მინიმალური სამუშაო უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ.<sup>324</sup> ასევე ბუნდოვანია, თუ როგორ უნდა მოხდეს ეჭვმიტანილი პირისათვის დუმის უფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება,<sup>325</sup> კონკრეტულად რა მოთხოვნები არსებობს საქმის მასალებზე უფასო ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით,<sup>326</sup> რამდენად დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დაპატიმრებული პირის „დაუყოვნებლივ წარდგენა“ სასამართლოს წინაშე<sup>327</sup> და რა რაოდენობის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს დასაბუთებული გადანყვეტილებით. მეორე მხრივ, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია ან ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ ნათელია გარკვეულ უფლებათა ძირითად ელემენტებთან დაკავშირებით. მაგალითად, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5(2) და მე-6(3)(a) მუხლებში ნათლად არის მოცემული ინფორმაცია, რომელიც

321 იხილეთ 5.3. ნაწილი ზემოთ.

322 იხილეთ 5.3. ნაწილი ზემოთ.

323 იხილეთ 7.1. ნაწილი ზემოთ.

324 იხილეთ 5.6. ნაწილი ზემოთ.

325 იხილეთ 6.1.2 ნაწილი ზემოთ.

326 იხილეთ 4.3. ნაწილი ზემოთ.

327 იხილეთ 6.2. ნაწილი ზემოთ.



პირს უნდა მიენოდოს ბრალდების შესახებ დაპატიმრებასა და დაკავებასთან დაკავშირებით.<sup>328</sup> ეს საკითხი დამატებით იქნა დაზუსტებული ევროპის კავშირის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ დირექტივით.<sup>329</sup> საკუთარი თავის პირადად დაცვისა და იურიდიული დახმარების უფლების მნიშვნელოვანი ელემენტები საკმარისი სიცხადით არის წარმოდგენილი იმისათვის, რომ დადგენილ სტანდარტებად მივიჩნიოთ. იურიდიული დახმარების უფლების წარმოშობის მომენტზე სასამართლო პრაქტიკა მხოლოდ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, შესაბამისად, შეიძლება ნათლად ითქვას, რომ ის ვრცელდება პირის თავისუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვისა ან/და დაკითხვის ეტაპზე.<sup>330</sup>

ცხადია, რომ ბრალდებულ პირს აქვს *prima facie* უფლება სასამართლო განხილვამდე გათავისუფლებაზე, ასევე ნათელია *prima facie* გათავისუფლების კრიტერიუმები (თუმცა არა მათი შესაბამისი ნონა) და მათი გამოყენება *in concreto*.<sup>331</sup> მსგავსი დასკვნების გაკეთება შესაძლებელია დასაბუთებული გადანყვეტილების გამოტანის ვალდებულებასთან<sup>332</sup> და გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებით.<sup>333</sup> მაშინ როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ბუნდოვანი ან ნაკლებად კონკრეტულია ცალკეულ უფლებებზე, ევროკავშირის „საგზაო რუკის“ ინსტრუმენტებმა (იმ დაშვებით, რომ შეთავაზებული დირექტივები არის მიღებული) გარკვეული სიცხადე შესძინეს ამ სტანდარტებს. ეს ეხება უფლებების შესახებ ინფორმირების უფლებას, რელევანტურ მასალებსა და საქმის მასალებზე წვდომის უფლებას, თუმცა ბუნდოვანებზე ჯერ კიდევ არის.<sup>334</sup> ევროპის კავშირის დირექტივა ინტერპრეტაციასა და თარგმანზე გარკვეული სიზუსტით განსაზღვრავს რა უნდა იყოს ინტერპრეტირებული და თარგმნილი, როდის და როგორ უნდა იქნეს დადგენილი ამის საჭიროება.<sup>335</sup> თუკი ევროპის კავშირი ადვოკატის ყოლის უფლებაზე პროექტის სახით შემოთავაზებულ დირექტივას მიიღებს, ეჭვმიტანილი უფლებამოსილი იქნება დაკითხვისას იყოლიოს ადვოკატი, რომელსაც შეეძლება აქტიურობა. უფრო მეტიც, უფლების უარყოფის, ამ უფლებიდან გადახვევის პირობები და შემთხვევები მნიშვნელოვანწილად ცხადი გახდება.<sup>336</sup>

თავის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ ნებისმიერ იურისდიქციაში ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის არსებითი წინაპირობა არის კონსტიტუციური და საკანონმდებლო სტრუქტურა, რომელიც, როგორც მინიმუმ, თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციასთან, და კიდევ ევროპის კავშირის პროგრამაზე დაფუძნებულ სტანდარტებთან სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების პროცედურული გარანტიების კანონმდებლობის შესახებ. თუმცა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნებისმიერ იურისდიქციაში ხშირად მნიშვნელოვანი განსხვავებაა კონსტიტუციებში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებსა და სხვა საკანონმდებლო ფორმებში მოცემულ წესებსა და პრაქტიკაში ეჭვმიტანილებისა და მსჯავრდებულების მიმართ გამოყენებულ კანონებს შორის.

იმისათვის, რომ სისხლისსამართლებრივ დაცვაზე ხელმისაწვდომობა ეფექტური იყოს, სამართლებრივი სტრუქტურა უნდა მოიცავდეს რეგულაციებსა და პრაქტიკას, რომლებიც ამ უფლებებს წაახალისებს და ხელს შეუწყობს. შესაბამისად, ამ თავში განხილული ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დაცვასთან

328 იხილეთ 6.4. ნაწილი ზემოთ.

329 იხილეთ 4.2. ნაწილი ზემოთ.

330 იხილეთ 5.3. ნაწილი ზემოთ.

331 იხილეთ 6.2. ნაწილი ზემოთ.

332 იხილეთ 6.4. ნაწილი ზემოთ.

333 იხილეთ 6.5. ნაწილი ზემოთ.

334 იხილეთ 4.3. ნაწილი ზემოთ.

335 იხილეთ 7.4. ნაწილი ზემოთ.

336 იხილეთ 5.2. და 5.3 ნაწილები ზემოთ.

დაკავშირებული სტანდარტები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კვლევაში განხილული ხუთი ქვეყნის კანონის შეფასებისათვის, არამედ ასევე აღნიშნული კანონების პრაქტიკაში განხორციელებისათვის.

## 9. ბიბლიოგრაფია

### ნიგნები და კვლევითი ანგარიშები

#### **ბოულს და პერი 2009**

ბოულს, რ. და პერი, ა. საჯაროდ დაფინანსებული უფასო იურიდიული დახმარების სისტემებისა და მართლმსაჯულების სისტემების საერთაშორისო შედარება, კვლევითი სერია 14/09, ლონდონი: იუსტიციის სამინისტრო, 2009.

#### **კეიპი et al. 2010**

კეიპი, ე. et al., ეფექტური სისხლისამართლებრივი დაცვა ევროპაში, ანტვერპენი: ინტერსენტია, 2010

#### **ოსფ 2012**

ღია საზოგადოების ფონდები, სასამართლოსნა მართლმსაჯულების გაუმჯობესება: იურისტთა და პარალეგალთა როლი, ნიუ ორკი: ღია საზოგადოების ფონდები, 2012

#### **სპრონკენი et al. 2009**

სპრონკენი, ტ., ვერმეულენ, გ., დე ვორტ, დ. და ვან პუნენბროეკი, ლ., ევროპის კავშირის პროცედურული უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ანტვერპ: მაკლუ, 2009

#### **ტრეჩსელი 2006**

ტრეჩსელი, ს., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2006.

#### **ჟურნალების სტატიები**

##### **სპრონკენ და ფერმონ 2008**

სპრონკენ, ტ. და ფერმონ, ჯ., “ადვოკატ – კლიენტის ურთიერთობის პრივილეგიის დაცვა“, პენ სტიტ საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა, 2008, გვერდები 439–463.

## თავი 3. საქართველო<sup>337</sup>

### 1. ზოგადი სურათი სისხლის სამართლის საქმეებში

საქართველო კონტინენტური სამართლის ქვეყანაა, სადაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში 2004 წლიდან მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეფორმები ტარდება. რეფორმების ძირითადი მიზანი იყო თითქმის ყველა სფეროში გამეფებულ მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლა და, ამასთანავე, ორგანიზებული დანაშაულის დამარცხება. რეფორმებამდე, მაღალი დონის კორუფციის, საზოგადოების ნიჰილიზმისა და სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი უნდობლობის გამო, ბევრი დანაშაული დაურეგისტრირებელი რჩებოდა. შესაბამისად, ზოგადად არსებული მონაცემები ბუნდოვანი და არასრული იყო. მეტიც, დანაშაულის მიმართ ღრმად გამჯდარ ტოლერანტობას, კანონიერი ქურდების მიმართ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გარკვეულ “პატივისცემას”, დუმის “ვალდებულებასა” (იტალიაში არსებული “ომერტას” პრინციპის მსგავსად) და საბჭოთა მემკვიდრეობას უმნიშვნელოვანესი გავლენა ჰქონდა დანაშაულის მიმართ საზოგადოების აღქმაზე.

2004 წლიდან ხელისუფლებამ გაატარა დანაშაულისა და “კანონიერი ქურდების” მიმართ “ნულოვანი ტოლერანტობის” პოლიტიკა. კანონიერი ქურდების ნაწილი დააკავეს და მსჯავრი დადეს, ნაწილი კი ქვეყნიდან გაიქცა. საქართველოს პარლამენტმა შესაბამისი ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში და კანონიერი ქურდობა, დანაშაულებრივ სამყაროსთან ასოცირება დანაშაულად გამოაცხადა. სასჯელის სახედ კი მაქსიმუმ 10 და 8 წლიანი (შესაბამისად) თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა.

სამართალდამცავ სტრუქტურებში (ძირითადად პოლიციასა და პროკურატურაში) გატარებულმა რეფორმებმა, კორუფციის ეფექტურმა დამარცხებამ და სამართალდამცავი ორგანიზაციების მიმართ მზარდმა საზოგადოებრივმა ნდობამ<sup>338</sup> გამოიწვია საზოგადოების მიერ დანაშაულის აღქმის ტრანსფორმაცია. შედეგად, ერთ-ერთი უახლესი კრიმინოლოგიური კვლევის<sup>339</sup> თანახმად, გამოკითხულთა 58 პროცენტმა გამოხატა მზადყოფნა, დაეხმაროს სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და გამოძიებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოებული ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, სისხლის სამართლის სასამართლოებმა 2010 წელს მსჯავრდებულად სცნეს 19,940 და გაამართლეს 8 პირი; 2009


337 აღნიშნული ეროვნული ანგარიში შეისწავლა იურისტმა გიორგი ჩხეიძემ, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის“, ხელმძღვანელის მოადგილეა. ოთხწლიანი პროგრამა ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების საერთაშორისო სააგენტოს დაფინანსებით.

338 [http://www.police.ge/uploads/sakanonmdeblobaza/bcg\\_kvleva.pdf](http://www.police.ge/uploads/sakanonmdeblobaza/bcg_kvleva.pdf).

339 ჩატარებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და კომპანია „გორბის“ მიერ, 2011.


წელს მსჯავრდებულად ცნეს 18,354 და გამართლეს 18 პირი, ხოლო 2008 წელს მსჯავრდებული გახლდათ 20,804 და გამართლებული 30 პირი. ქართულ საპატიმრო დაწესებულებებში კატასტროფულად გაიზარდა პატიმრების რაოდენობა, თუ კი 2005 წელს საქართველოში იყო 9,688 პატიმარი, ამ რიცხვმა 2009 წელს 21,075 შეადგინა, ხოლო 2010 წელს 23,684-ს მიაღწია. „მსოფლიო პატიმართა მოსახლეობის“ ბოლოს გამოცემული ანგარიშით, საქართველოს მეექვსე ადგილზეა 505 პატიმრით ყოველ 100,000 მოსახლეზე.<sup>340</sup>

ცხრილი 1,  
პატიმრები საქართველოში 2007 – 2010



მკაცრი ღონისძიებების და პოლიტიკის შედეგად არსებითად შემცირდა დანაშაულობა, რასაც ადასტურებს უკანასკნელი პერიოდის ოფიციალური მონაცემები. ამის მიზეზად მიჩნეულია სამართალდამცავი ორგანოების ეფექტური მუშაობა, პოლიციისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება და დანაშაულის დროულად გაცხადება. 2006 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაარეგისტრირა 62 283 დანაშაული, ხოლო 2010 წელს კი 34 739. შესაბამისი წლების სტატისტიკით, აშკარაა კლების ტენდენცია – (2007 წელს – 54 746, 2008 წელს – 44 644, 2009 წელს – 35 949).<sup>341</sup>

ცხრილი 2,  
დანაშაულობა საქართველოში, 2006 – 2010



340 <http://chartsbin.com/view/eqq>, published on 2 February 2011.

341 [http://www.police.ge/uploads/statistika/shss\\_statistika/BIULETENI.saqartvelo.ianvari.14.02.10.pdf](http://www.police.ge/uploads/statistika/shss_statistika/BIULETENI.saqartvelo.ianvari.14.02.10.pdf).



იუსტიციის სამინისტროს ადავეროპის კავშირის (EU) მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 98 პროცენტი დანაშაულისგან თავს დაცულად მიიჩნევდა დღის განმავლობაში და 96 პროცენტი – ღამით. გამოკითხულთა 87 პროცენტმა დადებითად შეაფასა პოლიციის საქმიანობა და ყურადღება გაამახვილა მის მიმართ გაზრდილ ნდობაზე. ამავე დროს, გამოკითხულთა 49 პროცენტი დადებითად აფასებდა პროკურატურის საქმიანობას, ხოლო 26 პროცენტი - ნეიტრალურად. გამოკითხულებმა ყველაზე ნაკლები ნდობა სასამართლო ორგანოების მიმართ დააფიქსირეს.

## 1.1. სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი რეფორმა

ახალი, 2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსკ)<sup>342</sup> მიღებას წინ უძღოდა დაინტერესებულ მხარეებს შორის დისკუსიები და პოლემიკა, ასევე ასობით ცვლილება-დამატებება ადრე მოქმედ სსკ-ში, რაც ხშირად ქმნიდა წინა სსკ-ს დებულებების ბუნდოვანებისა და არარეგულარურობის განცდას. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოხდა ინკვიზიციური სისტემიდან შეჯიბრობითობის პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემაზე გადასვლა და ისეთი ნოვაციების შემოტანა, როგორცაა: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო<sup>343</sup>; მხარეთა თანასწორობის ფარგლების არსებითი ზრდა მტკიცებულებების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენის თვალსაზრისით; მოსამართლის, როგორც არბიტრის როლი, საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებების მოპოვებისა და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების არარსებული უფლებამოსილებით; მტკიცების ტვირთის გადაცემა პროკურატურაზე; მათი თანხმობის გარეშე მონშეთა დაკითხვის აკრძალვა; მოსამართლის მონაწილეობა წინასასამართლო ეტაპზე; წინასასამართლო გამოძიების დროს დაკავების/პატიმრობის ვადის შემცირება; 12 თვიანი შეზღუდვა პირის ბრალდებულად ცნობიდან მსჯავრდებამდე. ამ სიახლეების გარდა, 2004 წელს ქართულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში შემოვიდა შეთანხმება ბრალზე (საპროცესო შეთანხმება). ამ პროცედურით ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა საქმის არსებითი განხილვის გარეშე. საპროცესო შეთანხმება შეიძლება გახლდეთ შეთანხმება ბრალზე ან შეთანხმება სასჯელზე. სტატისტიკის თანახმად, 2010 წელს სისხლის სამართლის საქმეთა თითქმის 80 პროცენტში იქნა გამოყენებული საპროცესო შეთანხმება – სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ გამოტანილ 19,956 გადაწყვეტილებიდან 15,867 დამთავრდა საპროცესო შეთანხმებით.<sup>344</sup>

## 1.2. სისხლის სამართლის სასამართლოები

ზოგადად, სისხლის სამართლის სფეროში მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოების საქალაქო (რაიონული)<sup>345</sup>, სააპელაციო სასამართლოები<sup>346</sup> და საქართველოს უზენაესი სასამართლო<sup>347</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნა სისხლის სამართლის საქმეების განხილვის ან

342 მიღებულ იქნა 2009 წლის 1 ოქტომბერს.

343 როგორც პილოტური პროექტი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გამოყენებულ იქნება დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობების საქმეებში თბილისში 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, ხოლო შემდეგ ის მოიცავს ქუთაისს და 2014 წლიდან მთელს საქართველოს.

344 <http://www.supremecourt.ge/fi les/upload-fi le/pdf/sisxli2010.pdf>.

345 თუ სისხლის სამართლის საქმე არ განიხილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, როგორც პირველ ინსტანციაში საქმე უნდა განიხილოს რაიონის (საქალაქო) სასამართლომ (20 მუხლი, სსკ).

346 „...სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო პალატა იხილავს საჩივრებს მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებების თაობაზე...სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა იხილავს საჩივრებს რაიონული (საქალაქო) ან მაგისტრატი მოსამართლის მიერ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და სხვა საბოლოო გადაწყვეტილებებზე...სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა იხილავს საჩივრებს, რომლებიც ითხოვენ ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო გადაიხედოს საერთო სასამართლოების მიერ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ან სხვა საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებსა და დადგენილი წესების შესაბამისად“ (20 მუხლი, სსკ).

347 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია იხილავს საკასაციო საჩივრებს, შეტანილს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმესთან დაკავშირებით გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და სხვა საბოლოო გადაწყვეტილებებზე.

რომელიმე საერთო სასამართლოების სისტემის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის კომპეტენცია.<sup>348</sup> სისხლის სამართლის საქმეებს იხილავენ პროფესიონალი მოსამართლეები ან მსაჯულები, როგორც ეს კანონმდებლობით არის დადგენილი.<sup>349</sup>

ადგილობრივი მართლმსაჯულების ორგანოების მიერ წარმართული სასამართლო პროცესები არაერთხელ გახდა ადამიანის უფლებების დაცვაზე საზედამხედველო ინსტიტუტების კრიტიკის საგანი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიშში საქართველოს შესახებ ვკითხულობთ: „ჭარბობდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება აგრძელებდა ზენოლას მართლმსაჯულების ორგანოებზე.“ მსგავს განცხადებებს ვხვდებით სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) უკანასკნელ ანგარიშებშიც: „სისხლის სამართლის საქმეებში სასამართლოები ადეკვატურად არ უზრუნველყოფენ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, როგორც ეს გარანტირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით“. სასამართლოების მიმართ ზოგადი დამოკიდებულების, პროკურატურის მიერ მართლმსაჯულებაზე სავარაუდო ზემოქმედების, სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების არასათანადო დასაბუთების (როგორც ამას ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ითხოვს) და ზემოაღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთა მიხედვითაც გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა საგანგაშოდ მცირეა, არასამთავრობო ორგანიზაციები შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ სასამართლო ორგანოები აგრძელებდნენ პროკურატურის გადაწყვეტილებების ბეჭდის დამრტყმელების როლის შესრულებას და რომ აღმასრულებელი ხელისუფლება აგრძელებს უკანონო ზემოქმედების განხორციელებას მართლმსაჯულებაზე.

### 1.3. ადვოკატურა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აერთიანებს ყველა ადვოკატს, მათ შორის სისხლის სამართლის ადვოკატებს.<sup>350</sup> საქართველოში იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად დაწესებული მოთხოვნები ძალზედ ლიბერალურია. კანონის შესაბამისად, იურისტს (ადვოკატს) უფლება აქვს განახორციელოს პრაქტიკა მარტომ, სხვა იურისტებთან ან სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან ერთად იურიდიული ბიუროს ან იურიდიული პირის დაფუძნების საფუძველზე, სამენარმეო საქმიანობის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.<sup>351</sup>

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალური მონაცემებით, ასოციაციაში რეგისტრირებულია 3,691 ადვოკატი, მაგრამ ყველა მათგანს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, რადგან ეს უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ იმ ადვოკატებს, რომლებმაც ჩააბარეს ადვოკატურის ზოგადი გამოცდა (რომელიც მოიცავს სამართლის ყველა სფეროს – სისხლის, სამოქალაქოს და ადმინისტრაციულ სამართალს) ან სისხლის სამართლის გამოცდა (2,971 ადვოკატი).<sup>352</sup>

348 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კომპეტენტურია განიხილოს ინდივიდუალური საჩივრები, მხოლოდ მაშინ, როდესაც მიიჩნევა, რომ ნორმატიული აქტის ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მოცემულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებებში ხშირად იყენებს ECHR-ს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

349 დღესდღეობით მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის საქმეებს.

350 უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში იურისტები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ მხოლოდ ერთი ასოციაციის არსებობას და რამდენიმე ასოციაციის საქმიანობის დაუშვებლობას.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი, მიღებული 20 ივნისს 2001 წელს.

351 ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი, მიღებული 20 ივნისს 2001 წელს

352 <http://www.4barristers.weebly.com>.

ბევრი სისხლის სამართლის ადვოკატი პესიმისტურად უყურებს სისხლის სამართლის საქმეებში წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. არაოფიციალურ საუბრებში ბევრი მათგანი აცხადებს, რომ სამოქალაქო საქმეებზე მუშაობა ურჩევნიათ.

ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის უკანასკნელი ანგარიშის მიხედვით:

(ა) პროკურორი რეგულარულად ერევა ადვოკატის/კლიენტის ურთიერთობაში, მოუწოდებს რა კლიენტს შეცვალოს ადვოკატი, თუ იგი გამოძიებისთვის არ წარმოადგენს ხელსაყრელ პიროვნებას (გაცხადებულ იქნა ბრალდება იმის თაობაზე, რომ პროკურორებს ურჩევნიათ საქმე იქონიონ ადვოკატთა გარკვეულ ჯგუფთან, რომლებთანაც შეუძლიათ მიაღწიონ საპროცესო შეთანხმებას და ამიტომაც სთავაზობენ ბრალდებულებს, რომ მათ აარჩიონ ერთ-ერთი იურისტი ამ ჯგუფიდან);<sup>353</sup>

(ბ) სისხლის სამართლის საქმეებში ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების გამოყენებას პრაქტიკული წინააღმდეგობები გააჩნია;

(გ) არსებობს ინფორმაცია პროკურატურის მხრიდან ადვოკატებზე ზენოლის შესახებ (დაშინებები, დაპატიმრებები, ჩხრეკა);

(დ) მოსამართლეები უარს ამბობენ დააკმაყოფილონ დაცვის ადვოკატის მიერ დაყენებული შუამდგომლობების უმრავლესობა და, ამავე დროს, აკმაყოფილებენ პროკურორის მიერ წარმოდგენილ ყველა მოთხოვნას;

(ე) დაკავებულებთან შეხვედრისას დაცვის ადვოკატები აწყდებიან სირთულეებს, უწევთ საათობით ლოდინი და აქვთ მკაცრი შეზღუდვები მსგავს შეხვედრაზე;

(ვ) დაკავების ადგილას კლიენტსა და მის ადვოკატს შორის კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა არ ხდება;

(ზ) დაუცველია ადვოკატის ჩანაწერებისა და საქმის სხვა დოკუმენტების კონფიდენციალურობის პრინციპი.

#### 1.4. პოლიცია <sup>354</sup>

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების სისტემა შედგება სპეციალური და შეიარაღებული ნაწილებისგან, რომლებიც ახორციელებენ აღმასრულებელ ფუნქციას, იცავენ საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და წესრიგს, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს უკანონო შეზღუდვისაგან, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. პოლიცია გახლავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილი და მასში დასაქმებული არიან სპეციალური პოლიციისა და სამხედრო რანგის, ასევე სამოქალაქო სტატუსის მოხელეები.<sup>355</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მისი დანაყოფები (კრიმინალური პოლიცია, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი) ახორციელებენ ყველა დანაშაულის გამოძიებას გარდა იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული დანაშაულებისა.<sup>356</sup>

<sup>353</sup> ადვოკატ ჯ.ბ. განცხადების შესაბამისად.

<sup>354</sup> იხ. კანონი „პოლიციის შესახებ“ (27 ივლისი 1993).

<sup>355</sup> 2009 წლის 18 დეკემბერის ცვლილებები, #2390, ძალაში შევიდა 2010 წლის 1 თებერვალს.

<sup>356</sup> მიღებულია 2010 წლის 29 სექტემბერს.

პროკურატურა პასუხიმგებელია მაღალი რანგის თანამდებობის პირების (საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრების, მოსამართლეების, ელჩებისა და კონსულების, სახალხო დამცველის, პროკურორების, მაღალი რანგის სამხედრო მოხელეებისა და კონტროლის პალატის ხელმძღვანელის) მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე. ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილია გამოიძიოს ფინანსური დანაშაულები, ხოლო თავდაცვის სამინისტრო – სამხედრო პერსონალის მიერ ჩადენილი დანაშაულები.

## 1.5. პროკურატურა<sup>357</sup>

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით პროკურატურა ახდენს საპროცესო ზედამხედველობას გამოძიებაზე. 2004 წლამდე საქართველოს კონსტიტუცია პროკურატურას მოიხსენიებდა, როგორც მართლმსაჯულების ორგანოს, სასამართლოს დაწესებულებას. თუმცა, 2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ პროკურატურა მოექცა აღმასრულებელ ხელისუფლებაში და გახდა იუსტიციის სამინისტროს შემადგენელი ნაწილი. იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში პროკურატურა ახდენს დანაშაულის სრულ გამოძიებას. პროკურორი ახორციელებს მის უფლებამოსილებას და გამოდის როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი სასამართლოში. პროკურორი უფლებამოსილია *inter alia*: გამოიძიოს დროს მისცეს სავალდებულოდ შესასრულებელი მითითებები სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს და/ან ქვემდგომ პროკურორს; მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნით, აგრეთვე ადამიანის უფლებების შემზღუდავი საგამოძიებო ან/და ოპერატიული მოქმედების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნით; გააუქმოს გამოძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება; გააუქმოს ან შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება; შეცვალოს ბრალდება; გააფორმოს საპროცესო შეთანხმება და მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით, რათა გამოტანილ იქნეს განაჩენი სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

პროკურატურა საკმაოდ გაძლიერდა “ვარდების რევოლუციის” შემდეგ. როგორც ზემოთაღნიშნა, არასამთავრობო ორგანიზაციების, დაცვის ადვოკატების და საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებით, პროკურატურას აქვს დიდი გავლენა მართლმსაჯულების ორგანოებზე და ეს უკანასკნელნი ასრულებენ ბეჭდის დამრტყმელის როლს პროკურატურის ყველა მოთხოვნასა თუ შუამდგომლობაზე. თითქმის ყველა საქმეზე, რომელზეც პროკურატურა ითხოვს წინასწარი პატიმრობის გამოყენებას, სასამართლო ორგანოები აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას. 2009 წელს პროკურატურამ მოითხოვა წინასწარი პატიმრობის გამოყენება 8,713 საქმეზე, რომელთაგანაც 94.1 პროცენტი დაკმაყოფილებულ იქნა; 2010 წელს კი ეს მაჩვენებელი გახლდათ – 92.6 პროცენტი 8,761 საქმიდან.

საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დროს პროკურატურას წამყვანი როლი აქვს. ეჭვი გამოითქმის იმაზეც, რომ კანონმდებლობით მინიჭებულ ძალაუფლებას პროკურორები/გამომძიებლები ხშირად ბოროტად გამოიყენებენ – აიძულებენ ბრალდებულებს აირჩიონ კონკრეტული ადვოკატები, რომლებიც საპროცესო შეთანხმების დადებაში მიიღებენ მონაწილეობას.

## 2. უფასო იურიდიული დახმარების სამსახური

2005-2007 წლებში იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით მომზადდა სპეციალური კანონი უფასო იურიდიული დახმარების შესახებ.<sup>358</sup>

357 საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 32-ე მუხლი.

358 ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად იყვნენ ჩართულნი აღნიშნულ პროცესში.

სპეციალური კანონის მიღება გამონვეული იყო დამოუკიდებელი და სტაბილური სამსახურის შექმნის საჭიროებით. 2007 წლის 19 ივნისს მიღებულ იქნა კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, რომლის საფუძველზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი<sup>359</sup> იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში<sup>360</sup>. მას შემდეგ კანონში ორჯერ შევიდა ცვლილებები – ერთხელ 2008 წელს, როცა გადატანილ იქნა იურიდიული დახმარების ამოქმედება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე და მეორედ იმავე წლის მეორე ნახევარში, როდესაც განხორციელებულ სხვა სისტემურ ცვლილებებთან ერთად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი იუსტიციის სამინისტროდან ახლად შექმნილ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა.

ზოგადად, კანონის საფუძველი შემდეგი პრინციპებია:

- ყველასთვის აღიარებული უფლება იურიდიულ კონსულტაციასა და სასამართლოში წარმომადგენლობაზე;<sup>361</sup>

- იურიდიული კონსულტაციის განწევანების მიერ სამართლებრივ საკითხზე; სასამართლოს წარმომადგენლობა კონკრეტულ საქმეებზე სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესში (რაც შეეხება კონკრეტულ სასამართლო პროცესებს, ეს ხორციელდება მხოლოდ სისხლის სამართლისა და ზოგიერთ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში);<sup>362</sup>

- სამსახურისადმი მიმართვის აღიარებული უფლება მხოლოდ ფიზიკური (და არა იურიდიული) პირებისთვის;<sup>363</sup>

- სისხლის სამართლის პროცესის დროს იურიდიული დახმარების განწევა ხდება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში ან, როდესაც ეჭვმიტანილს/ბრალდებულს არ აქვს შესაძლებლობა გადაიხადოს ადვოკატის მომსახურების საფასური. აღნიშნული ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა სოციალური სტატუსი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეფასებულ იქნა როგორც 70,000 ქულის კატეგორიაში მყოფის, იმ პირებზე, რომელთა სოციალური სტატუსი შეფასებულ იქნა როგორც 100,000 ქულის კატეგორიაში მყოფისა და რომელთაც სამი ან მეტი შვილი ჰყავთ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ომისა და საომარი კონფლიქტის ვეტერანებსა და არასრულწლოვნებზე;<sup>364</sup>

- უფასო იურიდიული დახმარების სამსახური გახლავთ საჯარო სამართლის იურიდიული პირი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შემადგენლობაში, რომელსაც ხელმძღვანელობს მინისტრის მიერ დანიშნული სამსახურის დირექტორი;<sup>365</sup>

- უფასო იურიდიული სამსახურის ეფექტური საქმიანობისა და გამჭვირვალედ საქმიანობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის სამსახურის ადვოკატების დამოუკიდებლობის გარანტირებისათვის,

359 საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახლავთ ნაწილობრივ დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც კონტროლდება სამინისტროს ან სხვა აღმასრულებელი ორგანოს მიერ; აღნიშნული დანესებულება არსებითად დამოუკიდებელია მის ყოველდღიურ საქმიანობაში (მათ შორის მეტად თავისუფალი შესაძლებლობებით არასაბიუჯეტო შემოსავლების თვალსაზრისით), მაგრამ ფორმალურად და ინსტიტუციურად ექვემდებარება ზედამხვედველ ორგანოს. სოციალური რეგულირება აღნიშნული ორგანოებისთვის მოცემულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონში, რომელიც მიღებულია 1999 წლის 28 მაისს (განხილურია დამატებით ქვემოთ).

360 აღნიშნული სამსახურის სტატუსი აღმასრულებელი ხელისუფლებაში დამატებით განხილულ იქნება ქვემოთ.

361 უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონის 1-ლი მუხლი.

362 უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონის 1-ლი მუხლი.

363 უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მე-4 მუხლი.

364 უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მე-5 მუხლი.

365 უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მე-8 მუხლი.



მინისტრის მიერ შექმნილია მონიტორინგის საბჭო, რომლის წევრები გახლავთ სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები.<sup>366</sup>

უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი, სხვა საჯარო დაწესებულებებთან (მაგალითად, სამინისტროსთან ან მის დეპარტამენტებთან) შედარებით, აძლევს მას შესაძლებლობას იყოს მეტად მოქნილი დაფინანსების კუთხით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის თანახმად, საბიუჯეტო დაფინანსებასთან ერთად (სადაც აღნიშნულ პირს უნდა ქონდეს ცალკე საბიუჯეტო მუხლი), აღნიშნული ორგანოები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დაფინანსება შემდეგი წყაროებიდან: საწევრო შენატანები (თუ აღნიშნული ორგანიზაციები წევრობაზე დაფუძნებულნი არიან); მიზნობრივი საბიუჯეტო დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან; სახელმწიფო შესყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი; შემოსავალი მიღებული კონტრაქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების შედეგად; სხვა კანონიერი დაფინანსების წყარო (მათ შორის გრანტები).<sup>367</sup> შესაძლო დაფინანსების წყაროები მითითებულია უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონში.<sup>368</sup>

სამსახურის საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობა წლების მიხედვით ასეთია:<sup>369</sup>

- 2005 წელი – დაახლოებით 13,000 ევრო;
- 2006 წელი – დაახლოებით 52,000 ევრო;
- 2007 წელი – დაახლოებით 652,000 ევრო;
- 2008 წელი – დაახლოებით 1,248,269 ევრო
- 2009 წელი – დაახლოებით 1,256,950 ევრო;
- 2010 წელი – დაახლოებით 1,113,500 ევრო.

უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მიხედვით, დაწესებულების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაში გარკვეული როლი აქვს სამსახურის მონიტორინგის საბჭოს. კანონის 22-ე მუხლის მიხედვით (რომელიც შეტანილ იქნა კანონში 2008 წლის ცვლილებებით) სამსახურის ბიუჯეტის შემცირება წინა საბიუჯეტო წელთან შედარებით დასაშვებია მხოლოდ უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს თანხმობით.

2008 წელს უფასო იურიდიული დახმარების სამსახურმა სამართლებრივი წარმომადგენლობა გასწია 9,008 საქმეზე, 2009 წელს - 8,906 საქმეზე, ხოლო 2010 წელს - 9,596 საქმეზე.

რაც შეეხება სამსახურის იურისტების სახელფასო პოლიტიკას, შიდა სისტემის თანახმად, იურისტების ანაზღაურება ეფუძნება ყოველთვიურ, წინასწარ დადგენილი ხელფასის გაცემას (სამსახურის დირექტორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დღესდღეობით ადვოკატების ყოველთვიური ხელფასი თბილისში არის დაახლოებით 420 ევრო, რეგიონებში მოღვაწე ადვოკატებისთვის - 350 ევრო, ხოლო სამართლებრივი კონსულტანტებისთვის - 310 ევრო). რაც შეეხება მოწვეულ საჯარო რეესტრის იურისტებს, ისინი იღებენ ანაზღაურებას გაწეული საქმიანობისთვის წინასწარ დადგენილი სპეციალური დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც მოიცავს საქმიანობის ჩამონათვალს (ასე მაგალითად, რამდენი შუამდგომლობა იქნა მომზადებული და წარდგენილი სასამართლოში/საგამოძიებო ორგანოებში და რამდენი ვიზიტი განხორციელდა საპატიმრო დაწესებულებაში).

366 მონიტორინგის საბჭო შექმნილია უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე.

367 გრანტების შესახებ კანონის მე-4 მუხლის თანახმად (მიღებულია 1996 წლის 28 ივნისს) საჯარო სამართლის იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან მიიღონ პირდაპირი გრანტები.

368 უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონის 22-ე მუხლი.

369 იხ. უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის 2009 წლის წლიური ანგარიში, აგრეთვე 2010 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონი შემდეგ მისამართზე - <http://www.mof.gov.ge/4069>

## 2. სამართლებრივი უფლებები და მათი განხორციელება

### 2.1. ინფორმაციის მიღების უფლება

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დაკავების მომენტში, ან თუ პირი არ დაუკავებიათ – დაუყოვნებლივ მისი ბრალდებულად ცნობისთანავე, აგრეთვე ნებისმიერი დაკითხვის წინ, ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს ადვოკატის მოწვევის უფლება, დუმის უფლება და უფლება უარი თქვას საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ ჩვენების მიცემაზე, რომ ყველაფერი რასაც იტყვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ. დაკავებისა და დაპატიმრების შემთხვევაში ბრალდებულს უფლება აქვს გაიაროს უფასო სამედიცინო შემოწმება, შესაბამის დაწესებულებაში წარდგენისთანავე – დაუყოვნებლივ.<sup>370</sup>

ბრალდებულისთვის მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება აქვთ:

- დაკავების შემთხვევაში – დამკავებელი თანამდებობის პირს;<sup>371</sup>
- პირის ბრალდებულად ცნობის დროს – პროკურორს ან გამომძიებელს.<sup>372</sup>

თუ არსებობს დაკავების საფუძვლები, დამკავებელმა თანამდებობის პირმა უნდა განუმარტოს ბრალდებულს აღნიშნული უფლებები. ნებისმიერი განცხადება, რომელიც დაკავებულმა პირმა გააკეთა მისთვის აღნიშნული უფლებების განმარტებამდე, ითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად.<sup>373</sup> ბრალდებულის უფლებათა ჩამონათვალი მოცემულია დაკავების ოქმში<sup>374</sup> და, კანონმდებლობის თანახმად, ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან დაკავებულ პირს გადასცენ დაკავების ოქმის ასლი. თუ პირის დაკავება არ ხდება და პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი ბრალს წარუდგენს ბრალდებულს დაკავების გარეშე, ბრალდების დოკუმენტის ასლი, რომელშიც მოცემულია პირის უფლებები და ვალდებულებები, უნდა გადაეცეს ბრალდებულს ან მის დამცველს.<sup>375</sup>

დაკავების შემთხვევაში, დამკავებელი თანამდებობის პირი ვალდებულია განუმარტოს ბრალდებულს მისი უფლებები დაკავების მომენტში.<sup>376</sup> პირის დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ, დამკავებელი თანამდებობის პირი ვალდებულია შეადგინოს დაკავების ოქმი. თუ ობიექტური მიზეზების გამო დაკავების ოქმის შედგენა შეუძლებელია დაკავების ადგილას, იგი უნდა შედგეს პირის პოლიციის განყოფილებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში წარდგენისთანავე. დაკავების ოქმი უნდა მოიცავდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ბრალდებულის უფლებების ჩამონათვალს. სადაც ეს რელევანტურია, დაკავების ოქმში უნდა დაფიქსირდეს ის ობიექტური მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა დაკავების ოქმის შედგენა პირის დაკავებისთანავე. დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს დაკავების ოქმის ასლი.<sup>377</sup>

პირის ბრალდებულად ცნობის დროს, როდესაც არ ხდება მისი დაკავება, თუ შესაბამისი საფუძვლები არსებობს ბრალდებისთვის, პროკურორი გამოსცემს გადანყვეტილებას პირის სისხლისსამართლებრივ

370 სსკ-ს 38-ე მუხლი.

371 სსკ-ს 174-ე მუხლი.

372 სსკ-ს 169-ე მუხლი.

373 სსკ-ს 174-ე მუხლი.

374 სსკ-ს 175-ე მუხლი.

375 სსკ-ს 169-ე მუხლი.

376 სსკ-ს 174-ე მუხლი.

377 სსკ-ს 175-ე მუხლი.

პასუხისმგებლობაში ბრალდებულის სახით მიცემის შესახებ. ბრალდება პირს უნდა წარედგინოს საბრალდებო დასკვნის გამოცემიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

პროკურორი ან – პროკურორის დავალებით – გამომძიებელი ბრალდებას წარუდგენს ბრალდებულს ან მის დამცველს. ბრალდების ასლი, რომელიც ასევე მოიცავს ბრალდებული პირის უფლებებსა და ვალდებულებებს, უნდა წარედგინოს ბრალდებულს ან მის დამცველს.<sup>378</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირდაპირ არ წერია, რომ ბრალდებულს უნდა გადაეცეს მისი უფლებების ჩამონათვალი მისთვის გასაგებ ენაზე, შესაბამისი ნორმების არსიდან გამომდინარე აღნიშნული ვალდებულების შესრულების საკმარისი საფუძვლები არსებობს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ უთითებს, რომ პროცესის მონაწილე, რომელმაც არ იცის ან შეზღუდულად იცის სამართალწარმოების ენა, თარჯიმნით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.<sup>379</sup>

საქართველოს კანონმდებლობა ნათლად განსაზღვრავს სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებას, მოახდინონ ბრალდებულის ინფორმირება ნაყენებული ბრალდების შესახებ. კანონი მოითხოვს, რომ დაკავების მომენტში, ან როდესაც დაკავება არ ხდება – პირის ბრალდებულად ცნობისთანავე და ნებისმიერი დაკითხვის წინ, ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულის შესახებ, რომლის მიმართაც არსებობს ჩადენილი ქმედების შეფარდების მაღალი ალბათობა. ბრალდებულს უნდა მიეცეს დაკავების ოქმის ასლი ან როდესაც პირი დაკავებული არ არის – მისი ბრალდებულად ცნობის შესახებ გადანყვეტილების ასლი.<sup>380</sup>

ბრალდებულს უფლება აქვს, მიიღოს თარჯიმნის მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე დაკითხვის თუ სხვა საგამოძიებო მოქმედების დროს, თუ მან არ იცის ან არასაკმარისად იცის სამართალწარმოების ენა.<sup>381</sup>

ფორმალურად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს, რომ ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, თუ მას არ განემარტა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები დაკავებისთანავე და არ გადაეცა დაკავების ოქმი, ან დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევებით, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსზე.

პრაქტიკაში დაკავების (თუ ასეთს აქვს ადგილი) ადგილას ინფორმაციის ვერბალურად წარდგენის ვალდებულება შესაბამისი ორგანოების მხრიდან ნაკლებად სრულდება. დაცვის ზოგიერთი ადვოკატი<sup>382</sup> აცხადებს, რომ მხოლოდ გახმაურებულ საქმეებში, სადაც ტელევიზია არის ჩართული და სადაც დაკავების პროცესის ჩანერა ხდება, ბრალდებულს ვერბალურად განემარტება მისი უფლებები. ზოგადად, ხელისუფლების ორგანოები ცდილობენ გამოიყენონ მოულოდნელი დაკავების უპირატესობა და მიიღონ რაც შეიძლება მეტი მტკიცებულება/ჩვენება დაკავებული პირისგან მისთვის საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გარეშე. ამასთან ერთად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაკავების ოქმი (სადაც მოცემულია უფლებების ჩამონათვალი) წარდგენილი აქვს ბრალდებულს, ხელისუფლების ორგანოებს მიაჩნიათ, რომ არ არსებობს ნათელი ვალდებულება გადამოწმდეს რამდენად გასაგებია დაკავებული პირისთვის მისი უფლებები. გამოკითხვის დროს დაცვის ადვოკატები არ გამოხატავენ უკმაყოფილებას ბრალდებულის უფლებების შესახებ დაკავების ოქმში (დაკავების შემთხვევაში) ან ბრალდების დოკუმენტში

378 სსკ-ს 169-ე მუხლი.

379 სსკ-ს მე-11 მუხლი.

380 სსკ-ს 38-ე მუხლი.

381 ibid.

382 ადვოკატების ჯ.ბ და გ.მ-ს განცხადებით.

მოცემული ტექსტის ბუნდოვანებთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობა აგრეთვე ნათლად განსაზღვრავს სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებას ინფორმაცია მიაწოდონ ბრალდებულს არსებული ბრალდებისა და წარდგენილი ბრალის შესახებ.

## 2.2. საკუთარი თავის დაცვის უფლება

### 2.2.1. საკუთარი თავის პირადად დაცვის უფლება

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალდებულის გარანტიას დაიცვას საკუთარი თავი პირადად ან ადვოკატის მეშვეობით. ეს უფლება წარმოიშობა დაკავების მომენტში ან თუ დაკავება არ მომხდარა, დაუყოვნებლივ პირის ბრალდებულად ცნობისთანავე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით,<sup>383</sup> ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე და დამოუკიდებლად დაიცვას თავი, რისთვისაც მას უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება. თუმცა, საკუთარი თავის დაცვის უფლება აბსოლუტური არ არის და საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც დაცვა გახლავთ სავალდებულო, მიუხედავად ბრალდებულის ნებისა, სასამართლოსწინა თუ სასამართლოს განხილვის ეტაპზე. ამას ადგილი აქვს, მაგალითად, როდესაც: ბრალდებული არასრულწლოვანია; ბრალდებული არ ფლობს სამართალწარმოების ენას; ბრალდებული არის ფიზიკურად თუ ფსიქიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რაც ხელს უშლის მას განახორციელოს საკუთარი თავის დაცვა; სასამართლოს გადაწყვეტილებით (ბრძანებით) უნდა მოხდეს ბრალდებულის ფსიქიკური შემოწმება; წარდგენილი ბრალდებისთვის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელის სახით უვადო პატიმრობას; ბრალდებული ახორციელებს მოლაპარაკებას საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით; პირი ბრალდებულია იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს; ბრალდებული არ ცხადდება საგამოძიებო ორგანოების წინაშე; ბრალდებული გაძევებულ იქნა სასამართლოს დარბაზიდან ან ბრალდებული არაიდენტიფიცირებული პირია.<sup>384</sup>

საქართველოს კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს ბრალდებულს დამოუკიდებლად განახორციელოს კერძო გამოძიება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები, მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და მოითხოვოს იმ მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც აბათილებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მონაწილეობა მიიღოს მისი ან მისი ადვოკატის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში.<sup>385</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას მონაწილეობა მიიღოს ბრალდებასთან დაკავშირებით გამოძიებაში და სასამართლო პროცესში; წარადგინოს შუამდგომლობა და აცილება; მოითხოვოს დაცვის მტკიცებულებების იმავე პირობებში და მსგავსი პროცედურების დაცვით განხილვა, როგორც ეს ხდება პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შემთხვევაში; იყოს ინფორმირებული მონაწილეობა მხარის მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით და წარადგინოს მისი მოსაზრებები მასზე; გაეცნოს სასამართლო განხილვის ოქმს და გააკეთოს კომენტარები მასზე.<sup>386</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად, ბრალდებულს უფლება აქვს

383 სსკ-ს 38-ე მუხლი, მე-6 პუნქტი.

384 სსკ-ს 45-ე მუხლი.

385 სსკ-ს 38-ე მუხლი, მე-7 პუნქტი.

386 ibid.

შეიტანოს საჩივარი პროკურორთან გამომძიებლის მოქმედებაზე, ან საჩივარი პროკურორის მოქმედებასა და გადანყვეტილებაზე ზემდგომ პროკურორთან ან, დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოში. ბრალდებულს/ მსჯავრდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოს გადანყვეტილება, მათ შორის მოითხოვოს გასასაჩივრებელი გადანყვეტილების ასლი.<sup>387</sup>

პრაქტიკაში ძალზედ იშვიათია ეჭვმიტანილი/ბრალდებულის უარი ადვოკატის მომსახურების უფლებაზე ან საკუთარი თავის დაცვის მოთხოვნა. საპროცესო შეთანხმება მიიღწევა სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობაში (დაახლოებით საქმეების 80 პროცენტში).<sup>388</sup> საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცესში დაცვის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა და ბრალდებულს არა აქვს უფლება შეთანხმდეს საპროცესო შეთანხმებაზე ადვოკატის (დაქირავებული ან უფასო იურიდიული დახმარების ადვოკატის) მონაწილეობის გარეშე.

## 2.2.2. ადვოკატის მეშვეობით დაცვის უფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკუთარი თავის თავად დაცვის უფლების გარდა, საქართველოს კანონმდებლობა ბრალდებულს უფლებას ანიჭებს ისარგებლოს მის მიერ არჩეული<sup>389</sup> ადვოკატის დახმარებით, აგრეთვე უფლებით, ნებისმიერ დროს შეცვალოს ადვოკატი თავისი ნების შესაბამისად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირი ბრალდებულად ცნობის მომენტიდანვე სარგებლობს იურიდიული დახმარების უფლებით, იმის გათვალისწინებით, რომ პირი ბრალდებულად ითვლება დაკავების ან მისი ბრალდებულად ცნობის მომენტიდან.<sup>390</sup>

ბრალდებულს უფლება აქვს ჰყავდეს ადვოკატი ნებისმიერ დროს და არ არსებობს შემთხვევა, რომლის დროსაც აკრძალულია დამცველის მონაწილეობა პროცესის რომელიმე სტადიაზე.<sup>391</sup> საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებულმა ან მისმა ახლო ნათესავმა ან სხვა პირმა, რომელიც მოქმედებს ბრალდებულის ნების შესაბამისად, უნდა შეარჩიოს და დანიშნოს ადვოკატი.<sup>392</sup> გამომძიებლებს, პროკურორებს და მოსამართლეებს უფლება არა აქვთ რეკომენდაცია გაუწიონ ადვოკატს. ამავე დროს, ადვოკატის შერჩევის უფლება აბსოლუტური არ არის. ასე მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძველი ვერსია ითვალისწინებდა უცხოელი მოქალაქის სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატად მონაწილეობას მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში. მოქმედი კოდექსი მსგავს დებულებას არ ითვალისწინებს. როდესაც პირს აქვს შესაძლებლობა დაფაროს იურიდიული მომსახურების ხარჯები, მას თავისუფლად შეუძლია ადვოკატის არჩევა ადვოკატთა ასოციაციის წევრთა სიიდან. როდესაც პირს გაენევა უფასო იურიდიული დახმარება, ადვოკატს შეარჩევს უფასო იურიდიული დახმარების სამსახური.

როდესაც ბრალდებული უქონელია, კანონმდებლობა ითვალისწინებს მისთვის ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის უფლებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდებულს ანიჭებს დაცვისთვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და საშუალების ქონის უფლებას, აგრეთვე ბრალდებულისა და ადვოკატის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის გარანტიას. კოდექსი ასევე კრძალავს ნებისმიერი შეზღუდვას კომუნიკაციაზე, რომელიც ხელს შეუშლის დაცვის ეფექტურ განხორციელებას.<sup>393</sup>

387 ibid.

388 [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=1171&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=1171&lang=1).

389 სსკ-ს 38-ე მუხლი.

390 სსკ-ს 169-ე და 170-ე მუხლები.

391 სსკ-ს 38-ე მუხლი.

392 სსკ-ს 41-ე მუხლი.

393 ibid.



სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას განახორციელოს კერძო გამოძიება, დამცველის დახმარებით, რათა კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების სავალდებულოდ ჩატარება და ბრალდების გამაბათილებელი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებების წარმოდგენა; მონაწილეობა მიიღოს მისი ან მისი დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში. ბრალდებულს აგრეთვე უფლება აქვს მოითხოვოს მის დამცველს დაესწროს იმ საგამოძიებო მოქმედებას, რომელშიც ბრალდებულის მონაწილეობა სავალდებულოა.<sup>394</sup> პრაქტიკა ადასტურებს,<sup>395</sup> რომ ბრალდებულებს ექმნებათ პრობლემები დამცველის ადეკვატურად და დროულად ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. 2010 წლის ნოემბერში საერთაშორისო ადვოკატთა ობსერვატორიამ (IOL) განახორციელა ფაქტების შემსწავლელი მისია, რათა შეესწავლა იურიდიული პროფესიის მდგომარეობა საქართველოში. IOL-ის ანგარიშის მიხედვით, ადვოკატები წინააღმდეგობას აწყდებიან პროფესიის თავისუფლად განხორციელებაში. აღსანიშნავია სირთულეები პენიტენციარულ დაწესებულებებში შესვლის და მათ კლიენტებთან შეხვედრების დროს: კლიენტსა და ადვოკატს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის გარანტიის დარღვევები, სირთულეები დაკავებულთა სამედიცინო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის კუთხით და მათ მიმართ განხორციელებული დამამცირებელი ჩხრეკების კუთხით, პენიტენციარულ დაწესებულებებში შესვლის დროს.

არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს წარსულში სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებული პირების ტრანსპორტირება ხდებოდა მათი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილებიდან შორსმდებარე დროებითი მოთავსების დაწესებულებებში. ამდენად, დაკავებულთა მიერ შერჩეული ადვოკატებისთვის სირთულეს წარმოადგენდა მათი მონახულება და აღნიშნულის განხორციელებაზე ხშირად უარს ამბობდნენ.<sup>396</sup> ზოგიერთ საქმეზე საგამოძიებო ორგანოები ამას გამამართლებელ საფუძვლად იყენებდნენ დაკავებული პირისთვის უფასო იურიდიული დახმარების იურისტის შეთავაზების დროს (რაც საწყის ეტაპზე არ იყო მოთხოვნილი დაკავებული პირის მიერ).<sup>397</sup>

ბოლო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ადვოკატებს ექმნებათ კლიენტებთან ხელმისაწვდომობის სირთულეები, შესაბამისი დაწესებულებების არაადეკვატური ინფრასტრუქტურისა თუ ორგანიზაციის გამო.<sup>398</sup> ამასთან ერთად, 2010 წლის 10 ივნისს სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ გამოსცა სადავო ბრძანება, რომლის მიხედვითაც ადვოკატებს განესაზღვრათ ერთდროულად მხოლოდ ერთ ბრალდებულთან შეხვედრის შესაძლებლობა დაწესებულებაში ერთი ვიზიტის დროს. თუმცა, აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდა იმ ადვოკატებზე, რომლებიც ხვდებიან წინასწარ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს. ადვოკატებმა, იურიდიული დახმარების გამწვანება არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველმა გააკრიტიკეს აღნიშნული ბრძანება, რომელიც, მათი აზრით, ზღუდავს როგორც ბრალდებულთა უფლებებს, აგრეთვე ხელს უშლის ადვოკატებს ეფექტურად განახორციელონ მათი პროფესიული მოვალეობები. დაცვის უფლების ეფექტური სარგებლობისთვის პრობლემას ქმნის პოლიციაში პირის დაკავების პირველად ეტაპებზე ადვოკატების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ქმედითი სისტემის არარსებობა, განსაკუთრებით იმ საქმეებზე, რომელთა დროსაც ხდება უფასო იურიდიული დახმარების განწვევა. შესაძლებელია 24 საათზე მეტი გავიდეს ბრალდებულისთვის ადვოკატთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფამდე. ამ პერიოდში ბრალდებულებს გახლავთ ყველაზე მოწყვლად მდგომარეობაში და ეს მდგომარეობა ხშირად გამოიყენება დაკითხვის ჩასატარებლად და პირის მხრიდან გარკვეული

394 სსკ-ს 38-ე მუხლი.მე-7 პუნქტი;

395 ადვოკატების ჯ.ბ-ს და გ.ს. მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

396 ადვოკატების ჯ.ბ-ს და გ.ს. მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

397 გ.ს. ადვოკატთა ინტერვიუ.

398 <http://ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=1&id=1330>.

პირობებით საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობის მისაღებად. ასეთ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები აცხადებენ, რომ საწყის ეტაპზე ბრალდებულმა არ ითხოვა იურისტის დახმარება. არის ინფორმაცია, რომ გამომძიებლები და პროკურორები რეგულარულად ერევიან ადვოკატსა და მის კლიენტს შორის ურთიერთობაში, მოუწოდებენ რა კლიენტებს შეცვალონ ადვოკატები (ინფორმაციის მიხედვით, პროკურორებს ურჩევენიათ საქმე იქონიონ ადვოკატთა გარკვეულ ჯგუფთან, რომლებთანაც მათ შეუძლიათ მიაღწიონ საპროცესო შეთანხმებას და სთავაზობენ ბრალდებულებს – ზენოლასაც კი ახორციელებენ მათზე, რომ შეარჩიონ ერთ-ერთი ამ ადვოკატთაგანი).<sup>399</sup> ბრალდებულები აწყდებიან პრაქტიკულ წინააღმდეგობას სისხლის სამართლის საქმეებში დაცვის უფლების ეფექტური გამოყენების დროს; არის ინფორმაცია იურისტებზე პროკურატურის ორგანოების მხრიდან ზენოლის (მუქარები, დაპატიმრებები, ჩხრეკები) შესახებაც. ადვოკატებს სირთულეები ექმნებათ დაკავებულებთან შეხვედრის დროს, საათობით ლოდინისა და მკაცრად შეზღუდული შეხვედრების, ასევე ადვოკატთა და დაკავების ადგილას მყოფ კლიენტებს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევის გამო.<sup>400</sup> ბოლოს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2011 წლიდან ბრალდებულებთან შეხვედრისა და კონფიდენციალობის დაცვის პრობლემები გარკვეულწილად მოგვარდა.<sup>401</sup>

### 2.2.3. დაცვის უფლება უფასო იურიდიული დახმარების განწვევის გზით

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს უფასო იურიდიული დახმარების განწვევის გარანტიას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უფასო იურიდიული დახმარება და გასწიოს ხარჯები დაცვის უზრუნველყოფისთვის თუ:

(ა) უქონლობის გამო ბრალდებული ითხოვს ადვოკატის დანიშვნას;

(ბ) საქმე ექვემდებარება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სავალდებულო დაცვას და ბრალდებული არ არის წარმოდგენილი ადვოკატით.

აღნიშნულ საქმეებში პროკურორი ან მოსამართლე შუამდგომლობით მიმართავს უფასო იურიდიული დახმარების გამწვევ შესაბამის სამსახურს, რათა დანიშნულ იქნეს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. შესაბამისი სამსახური მიმართავს უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილობრივ ოფისს, რომელიც ნიშნავს საქმეზე შესაბამის ადვოკატს. სამწუხაროდ, ჯერ არ ჩამოყალიბებულა სრულყოფილი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა უფასო იურიდიული დახმარების ადვოკატის ხელმისაწვდომობას დაუყოვნებლივ, დაკავების/დაპატიმრებისთანავე. ბრალდებულს უფლება აქვს პირდაპირ მიმართოს შესაბამის სამსახურს უფასო იურიდიულ დახმარებას ადვოკატის დანიშვნის თხოვნით.

სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის ადვოკატის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები დადგენილია უფასო იურიდიული დახმარების კანონით და მოიცავს:

(ა) სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;

(ბ) ეჭვიმტანილის, ბრალდებულის და მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას სისხლის სამართლის პროცესის დროს;

399 ადვოკატების ჯ.ბ.-ს და გ.ს. მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

400 <http://www.observatoire-avocats.org/wp-content/uploads/Mission-report-Legal-profession-in-Georgia1.pdf>.

401 ადვოკატ ჯ.ბ.-ს განცხადების თანახმად.

(c) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფოს ხარჯზე ექვმიტანილის ინტერესების დაცვას სისხლის სამართლის პროცესის დროს;

(d) ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე წარმომადგენლობას სასამართლოს წინაშე;

(e) წარმომადგენლობას ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე.<sup>402</sup>

ფიზიკური პირი უფლებამოსილია ისარგებლოს სახელმწიფოს ხარჯზე სისხლის სამართლის საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარებით და აღნიშნული დახმარება განეუღუნდა იქნეს თუ პირი უქონელია. პირის უქონლად გამოცხადების შესახებ წესები დადგენილია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.<sup>403</sup>

უფასო იურიდიული დახმარების ბიურო უზრუნველყოფს უფასო იურიდიული დახმარების ადვოკატის მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმეში:

(a) ექვმიტანილის, ბრალდებულის, მისი წარმომადგენლის ან ახლო ნათესავის სუბიექტების შუამდგომლობის საფუძველზე;

(b) შესაბამისი საპროცესო ორგანოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ბრალდებულს უფლება აქვს დაუკავშირდეს და მოინვიოს ადვოკატი. შესაბამისი საპროცესო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე ნებისმიერი შეზღუდვის გარეშე იყოს ჩართული და მას საშუალება ჰქონდეს განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები. ნებისმიერი უარი იურიდიული დახმარების განევის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული. საჩივარი უარის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს ზემდგომ თანამდებობის პირთან და ორგანოში. თუ აღნიშნული საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

გარკვეული სკეპტიციზმია უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზაციულ მოწყობასთან და უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ადვოკატების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შემადგენლობაში გადასვლასთან. არსებობს საფუძვლიანი შიში უფასო იურიდიული სამსახურის ადვოკატების აბსოლუტური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კონკრეტულ პრობლემებად სახელდება სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მიერ, ასევე საქმეთა უმრავლესობაში სამსახურის იურისტების თანხმობა საპროცესო შეთანხმებაზე.

## 2.3. პროცესუალური უფლებები

### 2.3.1. სასამართლოს განხილვის დროს გათავისუფლების უფლება

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას გათავისუფლდეს პატიმრობიდან სასამართლო განხილვის პერიოდში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი ითვალისწინებს ალკვეთი ღონისძიების მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოყენებას, როცა ეს საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად,

402 უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მე-3 მუხლი.

403 უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მე-4 მუხლი.

რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღკვეთილ იქნას მისი მხრიდან ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა ან აღსრულებულ იქნას სასამართლოს გადაწყვეტილება. კოდექსის მიხედვით დაპატიმრება ან აღკვეთის სხვა ღონისძიება არ უნდა იქნეს გამოყენებული ბრალდებულის მიმართ, თუ სხვა ნაკლებად შემზღვევადი ღონისძიება აღწევს სასურველ შედეგს. კოდექსი მტკიცების ტვირთს აკისრებს პროკურორსა და სასამართლო ორგანოებს, რათა აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეფარდებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მიზნები ვერ მიიღწევა უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენებით (მაგალითად, გირაოთი თუ თავდებობით). საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს: თუ დამტკიცდება, რომ პირი (1) მაღალი ალბათობით გაიქცევა ან არ გამოცხადდება სასამართლოში; (2) გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას; ან (3) ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

კოდექსის მიხედვით, პროკურორმა აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის შუამდგომლობის წარდგენისას უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ აირჩია შესაბამისი აღმკვეთი ღონისძიება და რატომ არის უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენება შეუფერებელი. აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ადგილობრივმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ბრალდებულის ქმედების არსი, მისი ხასიათი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური და ფინანსური სტატუსი; დაზიანებული ქონების გამო ბრალდებულის მიერ განეული ანაზღაურება; ადგილი ხომ არ აქვს ბრალდებულის მიერ ადრე შეფარდებული აღკვეთი ღონისძიების დარღვევას და სხვა შესაბამისი ინფორმაცია.

საქართველოს კანონმდებლობა ნათლად ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას გირაოზე. გირაო შედგება ფულადი თანხისა და უძრავი ქონებისგან. ფულადი თანხის შეტანა ხდება ბრალდებულის ან მისი სახელით სხვა პირის მიერ საქმის განმხილველი სასამართლოს ან იუსტიციის სამინისტროს ქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ოფისის ანგარიშზე, რომელიც მდებარეობს საგამოძიებო ორგანოს მახლობლად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბრალდებულის წერილობითი ვალდებულება სათანადო ქცევისა და სასამართლოს, გამომძიებლისა და პროკურორის წინაშე დროული გამოცხადების შესახებ. როდესაც ხდება ბრალდებულის წინააღმდეგ გირაოს გამოყენებაზე სასამართლო შუამდგომლობის შეტანა, პროკურორმა უნდა მიუთითოს მოთხოვნილი გირაოს თანხა და მისი შეტანის ბოლო ვადა. როდესაც გირაო დადგინდება, ბრალდებულს, ან მისი სახელით სხვა პირს, შეუძლია შეიტანოს შესაბამისი ფასის მქონე უძრავი ქონება ფულადი შენატანის ნაცვლად. გირაოს თანხა დგინდება ბრალდებულის მიმართ შეფარდებული დანაშაულისა და მისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. გირაოს მინიმალური ოდენობაა 1000 ლარი (დაახლოებით 550 აშშ დოლარი). თუ ბრალდებული არ შეიტანს გირაოს თანხას ან ეკვივალენტ უძრავ ქონებას სასამართლოს ან საგამოძიებო ორგანოს ანგარიშზე, პროკურორმა უნდა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს უფრო მკაცრი აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება ბრალდებულის მიმართ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის თანახმად, პირველი წარდგენის სამართლო სხდომაზე მოსამართლემ უნდა:

(ა) ... განიხილოს შუამდგომლობა აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების, შეცვლის, ან გაუქმების შესახებ.

საქართველოში არ მომხდარა „თავისუფლების სასარგებლოდ პრეზუმციის“ პრინციპის ეფექტური იმპლემენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდებლობა ნათლად მოითხოვს წინასწარი პატიმრობის გამოყენებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ადგილობრივი სასამართლოები ყველაზე ხშირად იყენებენ მას. როგორც ზემოთ აღინიშნა, როდესაც პროკურატურა ითხოვს წინასწარი პატიმრობის გამოყენებას, ადგილობრივი სასამართლოები თითქმის ყველა საქმეში აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნას. ყველა სახის აღმკვეთი ღონისძიების თანაფარდობის კუთხით (მათ შორის გირავნობა, გირავნობა პატიმრობის უზრუნველყოფით, პირადი თავდებობა), წინასწარი პატიმრობა 2010 წელს გამოყენებულ იქნა საქმეთა 49 პროცენტში და 2009 წელს – 51 პროცენტში.

სტატისტიკის მიხედვით, 2010 და 2009 წლებში, შესაბამისად, 21,626 და 20,619 პირი იქნა დაპატიმრებული

და მოთავსებული შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში (პოლიციის განყოფილებები). აქედან 8,109 საქმეში (2010 წელს) და 8,198 საქმეში (2009 წელს) პირები მოთავსებულ იქნენ წინასწარ პატიმრობაში ადგილობრივი სასამართლოების მიერ.

ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ „თავისუფლების სასარგებლოდ პრეზუმცია“ ზოგადად არ მოქმედებს საქართველოში და ხელისუფლების ორგანოები ვერ აკმაყოფილებენ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გააკრიტიკა საქართველოს მთავრობა იმის გამო, რომ მან ვერ უზრუნველყო ევროპის კონვენციის მე-5 (3) მუხლით გარანტირებული თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის სტანდარტების უზრუნველყოფა. ცნობილი საქმეში *Giorgi Nikolaishvili v. Georgia* და *Patsuria v. Georgia*, ევროპის სასამართლომ გამოავლინა არაჯეროვანი პრაქტიკა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ, და:

- გააკრიტიკა ადგილობრივი სასამართლოების მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდების დროს სტანდარტული, წინასწარ ჩაბეჭდილი ფორმების გამოყენება, სადაც მხოლოდ სახელი, განხილვის თარიღი და ბრალდების შესახებ ინფორმაცია იცვლება. აგრეთვე ის, რომ სასამართლოები არ ახდენენ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლიანობის დასაბუთებისა და მიზნების, პიროვნების, შესაბამისი გარემოებებისა და არგუმენტაციის ინდივიდუალურ შეფასებას;<sup>404</sup>
- დაადგინა, რომ ადგილობრივი სასამართლოები დაკისრებული ვალდებულების შესრულებისა და პატიმრობის გამოყენების საფუძვლიანი მიზეზების დადგენის ნაცვლად, ეყრდნობიან წინასწარ მომზადებული და ჩაბეჭდილი ფორმის აბსტრაქტულ დებულებებს. მოცემული პრაქტიკა მიუთითებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან „ჯეროვანი განხილვის“ არარსებობაზე და ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5(3) მუხლს;
- დაგმო დაპატიმრების საფუძვლების *in abstractio* მითითების პრაქტიკა, რომლის დროსაც ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან შესაბამისი დებულებების კოპირება და არ ხდება რელევანტურ პრაქტიკულ ინფორმაციაზე მითითება, რომელიც დაასაბუთებდა იმ საფრთხის არსებობას, რომელზე დაყრდნობითაც ხდება წინასწარი პატიმრობის გამართლება.<sup>405</sup>

ევროპის სასამართლოს ორივე გადაწყვეტილებამ გამოაშკარავა საქართველოში არსებული სისტემური პრობლემები. წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მკაფიო და პირდაპირი დებულებების მიუხედავად, აღნიშნულ სფეროში პრაქტიკა, სამწუხაროდ, უცვლელია და მოსამართლეები პროკურატურის მიერ წინასწარი პატიმრობის მოთხოვნის შესახებ თითქმის ყველა შუამდგომლობას აკმაყოფილებენ, ხშირად არ ახდენენ რა საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებას და გამყარებას შესაბამის ფაქტობრივ ინფორმაციაზე მითითებით.

### 2.3.2. ბრალდებულის უფლება განსჯილ იქნას მისი თანდასწრებით

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას განსჯილ იქნას მისი თანდასწრებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს მის ბრალდებასთან დაკავშირებულ გამოძიებასა და სასამართლოს განხილვაში; შეიტანოს შუამდგომლობა და აცილება; მოითხოვოს დაცვის მტკიცებულებების განხილვა იმავე პირობებითა და პროცედურით, რომლითაც ხდება ბრალდების მტკიცებულების განხილვა; იცნობდეს მონაწილედ მხარის მიერ წარდგენილ საჩივარს და გამოხატოს აზრი მასთან დაკავშირებით; გაეცნოს განხილვის ოქმს, აგრეთვე გააკეთოს კომენტარი მასთან დაკავშირებით.<sup>406</sup>

404 ECtHR, 2009 წლის 13 აპრილი, *Giorgi Nikolaishvili v. Georgia*, No. 37048/04, 73-ე პარაგრაფი

405 Ibid; ასევე იხილეთ, ECtHR 2007 წლის 6 ნოემბერი, *Patsuria v. Georgia*, No. 30779/04, 74-75-ე პარაგრაფები.

406 სსკ-ს 38-ე მუხლი.



ამასთან ერთად, ბრალდებულის უფლება დაესწროს საქმის განხილვას არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს გარკვეულ შემთხვევებში, კერძოდ:

(a) როდესაც ხდება მოწმის დაკითხვა და გამოყენებულია დაცვის სპეციალური საშუალების ერთ-ერთი სახე;<sup>407</sup>

(b) როდესაც საქმის განმხილველი მოსამართლე ადგილზე თათბირით იღებს ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან გაძევების გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა სასამართლო წესრიგის დარღვევას, განმხილველი მოსამართლის გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვას. თუ ბრალდებულს გაძევებულ იქნა სასამართლო დარბაზიდან, სასამართლოს გადაწყვეტილება მაინც მისი თანდასწრებით უნდა გამოცხადდეს. ამავე დროს, თუ ბრალდებული მაინც აგრძელებს სასამართლოს პროცესის ხელის შეშლას, საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება გამოცხადდეს მისი დასწრების გარეშე და მას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების წერილობითი ასლი, რომლის მიღებასაც ბრალდებული ადასტურებს ხელმოწერით;<sup>408</sup>

(c) თუ საქმე იხილება პირის მონაწილეობის გარეშე (*trial in absentia*).<sup>409</sup>

ამ უკანასკნელი შემთხვევის დროს, საქმის არსებითი განხილვა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე დასაშვებია, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. აღნიშნულ შემთხვევაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.

რაც შეეხება სამართლებრივ გარანტიებს, როდესაც საქმე იხილება *in absentia*, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის თანახმად, მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ თვლის, რომ ის გამოტანილია უკანონოდ ან დაუსაბუთებლად. საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ პროკურორის, ზემდგომი პროკურორის ან მსჯავრდებულის მიერ. დაცვის ადვოკატს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია, ან არის შეზღუდული ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობის მქონე, რაც ხელს უშლის მისგან თანხმობის მიღებას. როდესაც მსჯავრდების გადაწყვეტილება გამოტანილია *in absentia*, მსჯავრდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს იგი დაპატიმრებიდან, ან შესაბამის ორგანოებში გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში, ან იმავე ვადაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან, თუ მსჯავრდებული პირი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე. როდესაც მსჯავრდების გადაწყვეტილება დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ *in absentia*, მსჯავრდებულს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი დაპატიმრებიდან ან შესაბამის დანესებულებაში გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, ან იმავე ვადაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს საკასაციო სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.

თუ დაკავებული ბრალდებული ციხის საბადრაგო სამსახურის მიერ წარმოდგენლობის გამო არ გამოცხადდება სასამართლო განხილვაზე, სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 10 დღისა და შეატყობინოს პენიტენციარული დეპარტამენტის ხელმძღვანელს. ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის შესაბამისად წარმოდგენა სასამართლო განხილვაზე და სასამართლოს ინფორმირება ბრალდებულის თავდაპირველი წარმოდგენლობის მიზეზების შესახებ.

407 სსკ-ს მე-40 მუხლი.

408 სსკ-ს 85-ე მუხლი.

409 სსკ-ს 189-ე მუხლი.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს რიგ გარანტიებს იმათთვის, ვინც არ გამოცხადდნენ საგამოძიებო ორგანოების წინაშე. ამ შემთხვევებში პირს ან მის ახლო ნათესავს უნდა მიეცეს გონივრული დრო ადვოკატის დასანიშნად. თუ ეს განსაზღვრულ დროში არ განხორციელდა, ბრალდებულს უნდა დაენიშნოს დამცველი. პროკურორმა ან, პროკურორის დაავალებით, გამომძიებელმა უნდა გამოიძახოს დამცველი ბრალდების წარსადგენად და ბრალდების დეტალების გასაცნობად. დამცველმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს მის მიერ ბრალდების დოკუმენტის გაცნობის ფაქტი.<sup>410</sup>

პრაქტიკაში ძალზედ იშვიათია შემთხვევა, როდესაც პირს სურს მის სასამართლო განხილვაზე დასწრება და ამის საშუალება არ ეძლევა. ამის მიუხედავად, კანონმდებლობა უშვებს საქმის განხილვას *in absentia* ნებისმიერი პირის მიმართ ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით, მიუხედავად მისი ხასიათისა და სიმძიმისა.

საქმის განხილვა *in absentia* უნდა იყოს დასაბუთებული, მისი გამოყენება არ უნდა ხდებოდეს ნებისმიერ საქმეში, რომელიც ეხება მიმალვაში მყოფ პირს და ნაკლებად მძიმე დანაშაულს.

### 2.3.3. უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი გარანტირებულია კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. კონსტიტუციის თანახმად: პირი ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა; მტკიცების ტვირთი აკისრია პროკურორს და ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.<sup>411</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, პირი ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით და სანამ ეს გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში.<sup>412</sup> კანონმდებლობის მიხედვით, არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა და მტკიცების ტვირთი აკისრია პროკურორს. ამასთან ერთად, ნებისმიერი ეჭვი, რომელიც წარმოიშობება მტკიცებულებების გამოკვლევის თანახმად და ვერ გაქარწყლება კანონით დადგენილი პროცედურით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია გარანტირებულია კონსტიტუციითა და საკანონმდებლო დონეზე, პრაქტიკაში მის დარღვევას ყოველდღიური ხასიათი აქვს. ფაქტობრივად ყოველდღე, ტელევიზიის ახალ ამბებში აჩვენებენ სიუჟეტებს (მათ შორის შესაბამისი ლოგოთი, რომლითაც დასტურდება, რომ მასალები მოწოდებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა თუ საგადასახადო ორგანოების მიერ), რომლებიც ეხება დანაშაულის (ბრალდების) საქმეებს, სადაც ნაჩვენებია დაკავებულ ეჭვმიტანილთა სახეები და იდენტიფიცირებულია მათი სახელები. მეტიც, დაკავებულ პირთა „აღიარებითი ჩვენებები“, აგრეთვე სატელეფონო მიყურადებისა თუ საიდუმლო თვალთვალის ამსახველი მასალა ხშირად გადაიციემა მედიასაშუალებების მიერ. პოლიციის საჯარო წარმომადგენლები (სპიკერები) ხშირად უთითებენ ეჭვმიტანილებზე, როგორც პირებზე, რომლებიც „დაპატიმრებულ“ იქნენ დანაშაულთან დაკავშირებით. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის საფრთხეს ასევე ქმნის საქართველოში წინასწარი პატიმრობის შეფარდების ძალზედ დიდი რაოდენობა. 2010 წელს, პროკურატურის მიერ ადგილობრივი სასამართლოების წინაშე დაყენებული აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობების 92.6 პროცენტზე მეტი დაკმაყოფილდა. (2009 წელს – 94 პროცენტამდე; 2008 წელს 95 – პროცენტამდე). ამასთან ერთად, არ არსებობს ნორმა, რომელიც

410 სსკ-ს 169-ე მუხლი.

411 საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი.

412 სსკ-ს მე-5 მუხლი.

უკრძალავს მოსამართლეს, რომელმაც შეუფარდა პირს წინასწარი პატიმრობა, განიხილოს აღნიშნული საქმე არსებითად.

### 2.3.4. დუმილის უფლება

დუმილის უფლება, ისევე როგორც საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების გარანტია დაცულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის მიხედვითაც არავინ შეიძლება აიძულონ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან გარკვეული კატეგორიის პირების წინააღმდეგ.<sup>413</sup> ბრალდებულს უფლება აქვს გამოიყენოს დუმილის უფლება ნებისმიერ დროს და ეს არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.<sup>414</sup>

დაკავების პროცედურა სამართალდამცავ ორგანოებს აკისრებს ვალდებულებას აცნობონ დაკავებულებს მათი უფლებების შესახებ, მათ შორის დუმილის უფლების შესახებ. თუ დაკავების საფუძვლები არსებობს, დამკავებელი თანამდებობის პირი ვალდებულია ნათლად და გასაგებად აცნობოს დაკავებულ პირს ამ საფუძვლების შესახებ. მან უნდა აუხსნას ბრალდებულს დანაშაული, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება, განუმარტოს დამცველის მონგვეის უფლება, დუმილის უფლება და დასმულ კითხვებზე პასუხისგან თავის შეკავების უფლება, აგრეთვე უფლება – არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ და აუხსნას, რომ ყველაფერს, რასაც ის იტყვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში. ზემოაღნიშნული უფლებების განმარტებამდე დაკავებული პირის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად. ამავე დროს, იურისტები ხშირად იტყობინებიან, რომ პროკურატურა იყენებს ინფორმაციის „ამოღების“ სტრატეგიას, რომელიც პოტენციურად შეიძლება პირის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. მონმის სახით განცხადებების წარმოდგენის შემდეგ, გამომძიებლები ხშირად აცხადებენ პირებს ბრალდებულებად და ყველა მასალა, რომელიც პირმა მონმის სახით წარმოადგინა, გამოიყენება მის წინააღმდეგ.<sup>415</sup>

### 2.3.5. უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამდენიმე მუხლი ითვალისწინებს ადგილობრივი სასამართლოს ორგანოების ვალდებულებას გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითხოვს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რათა ბრალდება დადასტურდეს საფუძვლიან ეჭვსმილმა.<sup>416</sup> გადაწყვეტილებათა ლეგალურობა და სამართლიანობა დამატებით მოთხოვნილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის მიხედვით „სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს ლეგიტიმური (კანონიერი), დასაბუთებული და სამართლიანი“. სასამართლოს გადაწყვეტილება ლეგიტიმურია, თუ ის გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების შესაბამისად. ის დასაბუთებულია, თუ ეფუძნება მყარი მტკიცებულებების ერთობლიობას, რომლებიც გამოკვლეულია სასამართლო პროცესზე. სასამართლოს განაჩენში არსებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება უნდა იყოს სამართლიანი და სასჯელი უნდა იყოს პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის.<sup>417</sup>

413 სსკ-ს მე-15 მუხლი, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან დაცვის გარანტია.

414 სსკ-ს 38-ე მუხლი.

415 აღნიშნული დადასტურებულ იქნა ბევრი იურისტის მიერ, მათ შორის ჯ.ბ., გ.მ. და გ.მ.-ს მიერ.

416 სსკ-ს 82-ე მუხლი.

417 როგორც ეს მოთხოვნილია სსკ-ს 259-ე მუხლით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გადაწყვეტილებაში მოცემული დასაბუთება უნდა მოიცავდეს იმ მტკიცებულებებს, რომლებსაც ეფუძნება სასამართლოს მოსაზრება და მიზეზებს, რის გამოც სასამართლომ დაუშვა მოცემული მტკიცებულებები და უარყო სხვა, აგრეთვე საქმეში არსებული შემამსუბუქებელი ან/და დამამძიმებელი გარემოებები. თუ ბრალდება ცნობილ იქნა უსაფუძვლოდ ან დანაშაულის კვალიფიკაცია – არასწორად, გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ბრალდებულის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის საფუძვლებსა და მოტივს. ადგილობრივი კანონმდებლობა აგრეთვე ავალდებულებს ეროვნულ სასამართლოებს დაასაბუთონ სასჯელის ხასიათი და ხანგრძლივობა, პირობითი სასჯელის გამოყენება (მაგალითად, პრობაცია), კონკრეტული დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულზე დადგენილი სასჯელის მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლების გამოყენება, გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გაუქმების ან მისი გამოყენების გაგრძელების შესახებ და გადაწყვეტილება პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ.<sup>418</sup>

სამწუხაროდ, მოცემული საკანონმდებლო მოთხოვნები პრაქტიკაში ეფექტურად არ გამოიყენება. სასამართლოს შუალედური და საბოლოო გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათ ხშირად აკლია ადეკვატური დასაბუთება.<sup>419</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს მთავრობა გააკრიტიკა წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების გამო. წინასწარი პატიმრობის შეფარდების პრაქტიკა მოწმობს, რომ სასამართლოს ორგანოები თავს ივალდებულებენ მხოლოდ კანონმდებლობაში გადაწყვეტილებისთვის ნაყენებული საფუძვლების ხსენებით, მაგრამ არ ახდენენ მოცემული გადაწყვეტილების გამყარებას რელევანტური ფაქტებით, რომლებიც დაასაბუთებდნენ მიმალვის, მართლმსაჯულებისადმი ხელის შეშლისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობას.

დაცვის ადვოკატები აგრეთვე აკრიტიკებენ საბოლოო მსჯავრდების გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ადეკვატურობას. საქართველოს ომბუდსმენმა აღნიშნულ თემას სპეციალური თავი მიუძღვნა მის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში, რომელშიც მიუთითებს სისხლის სამართლის სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებების არსებით პრობლემებზე.<sup>420</sup> პრაქტიკა მოწმობს, რომ ადგილობრივი სასამართლოები ძირითადად ეყრდნობიან დაზარალებულთა ჩვენებებსა და მტკიცებულებებს, იყენებენ ზოგად განცხადებას, რათა დაადგინონ პირის ბრალდებისთვის აუცილებელი მტკიცებულებების არსებობა და ვერ ახდენენ ამ „მტკიცებულების“ უფრო საფუძვლიანად და დეტალურად წარმოდგენას. ამის შედეგია გამამტყუნებელი განაჩენების შემამშოთებლად მაღალი წილი (2009 და 2010 წლებში გამამართლებელი გადაწყვეტილებების წილმა მხოლოდ 0.01 პროცენტი შეადგინა).

### 2.3.6. გასაჩივრების უფლება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, „მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ მას მიიჩნევს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად.“<sup>421</sup> საჩივარი შეიძლება შეიტანოს მხოლოდ პროკურორმა, ზემდგომმა პროკურორმა ან მსჯავრდებულმა პირმა. დაცვის ადვოკატს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული პირი არასრულწლოვანია ან აქვს შეზღუდული ფსიქიკური ან ფსიქოლოგიური შესაძლებლობა, რაც ხელს

418 სსკ-ს 273-ე მუხლი.

419 იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი წლიური ანგარიში (2010).

420 <http://ombudsman.ge/index.php?page=21&lang=0>.

421 სსკ-ს 292-ე მუხლი.

უშლის მისგან თანხმობის მიღებას. როდესაც მსჯავრდება ხდება *in absentia*, მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს, შეიტანოს საჩივარი გადაწყვეტილებაზე დაპატიმრებიდან, შესაბამის ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან ერთი თვის ვადაში და იმავე ვადაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის გამოცხადების მომენტიდან, თუ მსჯავრდებული პირი ითხოვს საჩივრის განხილვას სააპელაციო სასამართლოში მისი მონაწილეობის გარეშე. ამავე დროს, საქართველოს კანონმდებლობა, ისევე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია, არ ითვალისწინებს გასაჩივრების უფლებას (ფაქტებზე) თუ ვერდიქტი გამოტანილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ.

## 2.4. ეფექტურ დაცვასთან დაკავშირებული უფლებები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით „მტკიცებულება“ შედგება: ინფორმაციისგან, რომელიც წარდგენილია სასამართლოში კანონით დადგენილი წესით და საგნის, დოკუმენტის, ნივთიებისა ან სხვა ობიექტისგან, რომელიც მოიცავს ინფორმაციას და რომელთან დაკავშირებითაც მხარეები ამტკიცებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ახორციელებენ ვალდებულებებს და იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამასთან ერთად, სასამართლო ადგენს: იმ ფაქტის ან ქმედების არსებობას, რომელიც განაპირობებს სისხლის სამართლებრივი პროცედურების დაწყებას; რამდენად არის ეს ქმედება ჩადენილი კონკრეტული პირის მიერ და რამდენად მიუძღვის ან არ მიუძღვის მას ბრალი; აგრეთვე, ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათზე და ხარისხზე და მის პერსონალურ მახასიათებლებზე. დოკუმენტი ითვლება მტკიცებულებად, თუ ის შეიცავს ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი ან სამართლებრივი ინფორმაციის დასადგენად. დოკუმენტად ითვლება ინფორმაციის ნებისმიერი წყარო, რომელიც წარმოდგენილია ტექსტური ფორმით, სურათის, ფილმის, ვიდეო-, ხმის ან სხვაგვარი ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით წარმოდგენილი ინფორმაცია. მონმის ჩვენება მოიცავს მონმის მიერ სასამართლოში წარმოდგენილ ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ. მატერიალური მტკიცებულებები მოიცავს ნივთებს, დოკუმენტებს, სუბსტანციას ან სხვა ობიექტს, რომლებიც საკუთარი წარმომავლობით, აღმოჩენის ადგილისა და დროის, აგრეთვე სხვა მახასიათებლების მიხედვით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციასთან და რომლებმაც შეიძლება შეასრულოს დანაშაულის გამოვლენის, ბოროტმოქმედის გამოვლენისა და ბრალდების დამამტკიცებელი ან უარყოფი როლი.

### 2.4.1. საქმის გამოძიების უფლება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებულს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით, პირადად ან დამცველის მეშვეობით, მოიპოვოს მტკიცებულებები. მოცემულ მტკიცებულებებს აქვთ პროკურორის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების თანაბარი იურიდიული ძალა. რაც შეეხება მტკიცებულებებთან დაკავშირებულ წესებს, არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი იურიდიული ძალა მანამ, სანამ ის წარდგენილი არ იქნება წინასასამართლო ეტაპზე სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილის მიერ და სასამართლოს მიერ დასაშვებად არ იქნება ცნობილი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით,

წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე: იხილავს მხარეთა შუამდგომლობას მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ...<sup>422</sup>

422 სსკ-ს 119-ე მუხლი.



თუ მტკიცებულებების მოპოვება მოითხოვს საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებას, რომელიც ვერ განხორციელდება ბრალდებულის ან მისი დამცველის მიერ, დაცვას უფლება აქვს მიმართოს შუამდგომლობით მოსამართლეს, რომლის იურისდიქცია ვრცელდება აღნიშნულ გამოძიებაზე, შესაბამისი ბრძანების გამოცემის მოთხოვნით. მოსამართლე ვალდებულია ყველაფერი იღონოს, რომ ბრალდებისთვის არ გახდეს ცნობილი დაცვის მიერ მტკიცებულებების მოპოვების ფაქტი.

დაცვის ადვოკატს აგრეთვე უფლება აქვს გაეცნოს ბრალდების მტკიცებულებებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ფარგლებში და პროცედურით. მას უფლება აქვს მოიპოვოს მტკიცებულებათა და სისხლის სამართლის საქმის ასლები, აგრეთვე გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გარანტირებული ყველა სხვა უფლება. თუმცა დაცვის ადვოკატს ეკრძალება გამოიყენოს ის უფლებები, რომლითაც, მათი ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება ექსკლუზიურად მხოლოდ ბრალდებულმა ისარგებლოს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ბრალდებასა და დაცვას შორის აბსოლუტურ თანასწორობას, არ მიაკუთვნებს რა დაცვის უფლებას, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ჩხრეკისა და ამოღების ბრძანების გაცემის მოთხოვნით. მხოლოდ რელევანტური სამართალდამცავი ორგანოები არიან უფლებამოსილი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მოიპოვონ და განახორციელონ ოპერატიული სამძებრო საქმიანობები.

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს მხარეთა (ბრალდებისა და დაცვის) თანასწორობაზე არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დროებითი ნორმა – 95-ე მუხლი, რომელიც უფლებას აძლევს პროკურატურას 2012 წლის 1 ოქტომბრამდე (გადავადების შედეგად კი 2013 წლის 1 დეკემბრამდე)<sup>423</sup> გამოიძახოს მონმეები და დააკისროს მათ ვალდებულება მისცენ ჩვენება ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით. წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მონმეები ექვემდებარებოდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას პროკურორისათვის ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ყალბი ჩვენების მიცემის გამო. ამის საპირისპიროდ, დაცვას არ გააჩნია მსგავსი საშუალებები და არ შეუძლია მონმის დავალდებულება მისცეს ჩვენება/წარმოადგინოს მტკიცებულება და ხელი შეუწყოს დაცვის პოზიციას.

პრაქტიკაში ადვოკატები აწყდებიან დამატებით სირთულეებს, რომელთაც ორი პრობლემა განაპირობებს:

- **ეფექტური გამოძიების ჩატარება:** მიუხედავად იმისა, რომ ახალი კოდექსი ითვალისწინებს ადვოკატების უფლებას გამოიძიონ ფაქტები, მოიპოვონ მტკიცებულებები და ჩვენებები, აგრეთვე დაარწმუნონ პოტენციური მონმეები რომ მისცენ ჩვენება, რეალურად სახელმწიფოს შესაძლებლობების გაძლიერების არანაირი ღონისძიებები არ გაუტარებია შესაბამის საკითხებში ადვოკატების მოსამზადებლად. ფორმალურად იურისტებს აქვთ თანაბარი უფლებამოსილებები, თუმცა, პრაქტიკაში პროკურატურა, რომელმაც არაერთი რეფორმა და შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიება გაიარა, საგრძნობლად უკეთეს პირობებშია მტკიცებულებების მოპოვებისა თუ მონმეთა მიერ ჩვენების მიცემაზე დაყოლიების თვალსაზრისით.<sup>424</sup> იურისტებს (ადვოკატებს) შორის აუცილებელი უნარ-ჩვევების ნაკლებობა, წარსულში მსგავსი საქმიანობის გამოცდილების არარსებობა და რელევანტურ საგამოძიებო უნარ-ჩვევებში ადეკვატური განგრძობადი განათლების არქონა ხელს უწყობს უთანასწორობის გაღრმავებას.

- **მტკიცებულებების მოპოვება, რომლებიც არ გამოიყენება სამართალდამცავი ორგანოების მიერ ბრალდებულის საწინააღმდეგოდ, მაგრამ არის მათ ხელში და შეიძლება დაეხმაროს დაცვის პოზიციას:** ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ,

423 ხსენებული ვადა 2011 წელს გადავადდა 2013 წლის 1 დეკემბრამდე

424 ადვოკატების ი.კ.-ს, ს.ბ.-ს, გ.ს.-ს და გ.მ.-ს ინტერვიუების შესაბამისად.

ადვოკატებს მიეცათ საშუალება მოიპოვონ ბრალდების ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს ბრალდებულის საწინააღმდეგოდ. თუმცა, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ნათელია, რომ ბრალდების ხელშია მტკიცებულება, რომელიც დაეხმარება დაცვის პოზიციას და რომელიც შეიძლება ტელევიზიითაც კი იყოს გამოქვეყნებული, პროკურატურა ხშირად აცხადებს, რომ მოცემული მტკიცებულება არ იქნება გამოყენებული ბრალდებულის საწინააღმდეგოდ და შესაბამისად არ არსებობს ვალდებულება, რომ მოახდინონ მოცემული მტკიცებულებების გადაცემა დაცვისათვის, მიუხედავად გადაცემის შესახებ ამ უკანასკნელის მოთხოვნისა.

#### 2.4.2. დაცვის მომზადებისთვის ადეკვატური დროისა და საშუალებების უფლება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაცვის მხარეს უნდა ქონდეს გონივრული დრო და საშუალებები მისი პოზიციის მომზადებისთვის.<sup>425</sup> კოდექსის 93-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო განხილვის დროს, სასამართლომ უნდა განსაზღვროს გონივრული ვადა მხარისათვის შუამდგომლობის წარმოსადგენად და დაყენებული შუამდგომლობის შესახებ საკუთარი პოზიციის წარმოსაჩენად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო დამატებითი მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის შემდეგ, მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, უფლებამოსილია გადადოს საქმის განხილვა გონივრული ვადით, თუ მხარეებს სჭირდებათ დამატებითი დრო საკუთარი პოზიციის მოსამზადებლად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე მხარეებმა უნდა გადასცენ ერთმანეთს და სასამართლოს იმ მომენტში მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებებთან დაკავშირებით.

#### 2.4.3. მონმეთა დაკითხვის დროს მხარეთა თანახმობის უფლება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის უფლებას ჯვარედინად დაკითხოს ის მონმე, რომელიც მის მიერ არ იქნა გამოძახებული. მითითებითი შეკითხვები დასაშვებია ჯვარედინი დაკითხვის დროს. მოსამართლემ უნდა დაადგინოს დროის გონივრული ლიმიტი როგორც კითხვების, ისე პასუხებისათვის.<sup>426</sup> მხარეს უფლება აქვს განახორციელოს ხელახალი პირდაპირი და ხელახალი ჯვარედინი დაკითხვა მისი ფარგლების შეზღუდვების გათვალისწინებით. ნორმების შესაბამისად, ჯერ ხდება ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა, ხოლო შემდეგ დაცვის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა. დაცვას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში და ბრალდებას უფლება აქვს, შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს დაცვის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში.<sup>427</sup> საქართველოს კანონმდებლობა არ უშვებს იმ მტკიცებულებების გამოყენებას, რომელიც არ ექვემდებარება მეორე მხარის მიერ შესწავლასა და შეფასებას.

425 სსკ-ს 38-ე მუხლი.

426 სსკ-ს 245-ე მუხლი.

427 სსკ-ს 242-ე მუხლი.

#### 2.4.4. თარჯიმნის უფასო მომსახურებისა და დოკუმენტების თარჯიმნის უფლება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლებრივი პროცესი უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში პროცესი აგრეთვე ხორციელდება აფხაზურ ენაზე. პროცესის მონაწილე, რომელიც არ ფლობს ან არასრულყოფილად ფლობს პროცესის ენას თარჯიმნით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მიხედვით, დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ მომხდარა პირის ბრალდებულად ცნობისთანავე, აგრეთვე ნებისმიერი დაკითხვის წინ, ბრალდებულს, მისთვის გასაგებ ენაზე, უნდა ეცნობოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულის შესახებ, რომლის ჩადენაც მას ბრალდება. ბრალდებულს უნდა გადაეცეს დაკავების ოქმი ან, როდესაც ის დაკავებული არ არის, მისი ბრალდებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების ასლი.

ბრალდებულს უფლება აქვს სახელმწიფოს ხარჯზე ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით დაკითხვისა თუ საგამოძიებო მოქმედების დროს, თუ ის არ ფლობს ან არასათანადოდ ფლობს პროცესის ენას, ან მას აქვს შეზღუდული ფსიქიკური შესაძლებლობა, რაც გამოორიცხავს ნებისმიერ კომუნიკაციას თარჯიმნის დახმარების გარეშე.<sup>428</sup>

ამასთან ერთად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით თარჯიმანი გამოძახებულ უნდა იქნეს თუ:

- (a) სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე არ ფლობს ან არასრულყოფილად ფლობს საპროცესო ენას;
- (b) დოკუმენტი უნდა ითარჯიმნოს საპროცესო ენაზე.

არ არსებობს განსაზღვრული სანქცია თუ შედეგი თარჯიმნით მომსახურების უფლების დარღვევაზე. თუმცა, სავარაუდოდ, იგივე შედეგი უნდა დადგეს, რაც პირისათვის ბრალდების თუ მის წინააღმდეგ მტკიცებულებებზე ნათელი ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

### 3. დაცვის ადვოკატების პროფესიული კულტურა

საქართველოში პრაქტიკოსი ადვოკატები, მათ შორის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები, არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები. ადვოკატთა ასოციაცია შეიქმნა 2006 წელს და დღესდღეობით ჰყავს 3,691 წევრი. ასოციაცია მოქმედებს როგორც ოფიციალური ლიცენზირებული ორგანო იურიდიული პროფესიისათვის. ასოციაციას მიღებული აქვს ადვოკატთა ეთიკის კოდექსი, რომელიც მოიცავს დისციპლინარულ მექანიზმს. საადვოკატო საქმიანობისთვის წაყენებული ფორმალური მოთხოვნები ძალზედ ლიბერალურია. ადვოკატს უფლება აქვს განახორციელოს პრაქტიკა მარტო, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან ერთად იურიდიული ბიუროს ან კერძო სამართლის სხვა ორგანიზაციის შექმნის გზით, როგორც ეს დადგენილია სამეწარმეო საქმიანობის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობით.<sup>429</sup> თუმცა, ასოციაციის ყველა წევრს არ შეუძლია სისხლის სამართლის პროცესში პრაქტიკული საქმიანობა. სისხლის სამართლის საქმეებში პრაქტიკის შესაბამისი ლიცენზია ენიჭებათ მხოლოდ იმ ადვოკატებს, რომლებმაც ჩააბარეს ადვოკატურის ზოგადი გამოცდა (რომელიც მოიცავს სამართლის ყველა სფეროს – სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულს) ან ექსკლუზიურად

428 სსკ-ს 38-ე მუხლი.

429 ადვოკატთა შესახებ კანონის მე-18 მუხლი; 2001 წლის 20 ივნისი.

ადვოკატურის სისხლის სამართლის გამოცდა. ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად 2.971 ადვოკატს აქვს უფლებამოსილება განახორციელოს დაცვის ადვოკატის ფუნქციები, მიღებული აქვთ რა შესაბამისი ლიცენზია სისხლის სამართლის პროცესში პრაქტიკის განხორციელებაზე.<sup>430</sup>

სისხლის სამართლის ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის ურთიერთობა რეგულირდება ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსით. კოდექსის თანახმად, ყველა ადვოკატი ვალდებულია თავისი საქმიანობა განახორციელოს შემდეგ ექვს პრინციპზე დაყრდნობით:

(a) დამოუკიდებლობა – მისი პროფესიული ფუნქციების განხორციელების დროს ადვოკატი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი გარე გავლენისაგან თუ ზეწოლისაგან და დაექვემდებაროს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობასა და წესებს, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სამართლის და ეთიკის კოდექსით;

(b) ნდობა – ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, რათა ემსახუროს კლიენტის ინტერესებს და არ უნდა დააყენოს ეჭვის ქვეშ მის მიმართ კლიენტის ნდობა. ეთიკის კოდექსის მიხედვით ეს არის ადვოკატის პროფესიული ვალდებულება;

(c) კონფიდენციალურობა – ადვოკატის მიერ მისი პროფესიული ფუნქციების განხორციელების დროს მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა დარჩეს კონფიდენციალურად განუსაზღვრელი ვადით. ადვოკატი უფლებამოსილია გაამჟღავნოს აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებისაგან თავის დასაცავად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებს კლიენტის მიერ ნათლად გამოხატულ თანხმობას;

(d) კლიენტის საუკეთესო ინტერესებისადმი მსახურება – ადვოკატი ყოველთვის უნდა ემსახურობოდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და დააყენოს ისინი მის პერსონალურ თუ სხვა ინტერესებზე მაღლა;

(e) ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება – ადვოკატი არ არის უფლებამოსილი წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი, თუ ეს იწვევს ინტერესთა კონფლიქტს;

(f) კოლეგიურობა – ყველა ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს ერთმანეთს.

ეთიკის კოდექსი აკისრებს ვალდებულებას ადვოკატს ემსახუროს კლიენტის საუკეთესო ინტერესებს. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის გამოცდილება ადასტურებს, რომ სისხლის სამართლის ადვოკატებს პრაქტიკული პრობლემები ექმნებათ ძირითადი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში, კონკრეტულად კი პროკურატურისა და სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკისა თუ პრაქტიკის თვალსაზრისით. კვლევის<sup>431</sup> ფარგლებში გამოკითხული თითქმის ყველა სისხლის სამართლის ადვოკატი ამტკიცებს, რომ მათი როლი სისხლის სამართლის პროცესში ფაქტობრივად ნომინალურია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არსებული ვითარება კი – შემაშფოთებელი.

თუ სამოქალაქო სამართლის საქმეებში ადვოკატები ამტკიცებენ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა სრულყოფილად შეასრულონ თავიანთი როლი, მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულია სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებით. ეროვნული სასამართლო ორგანოების მიერ გამამართლებელ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, აგრეთვე გავრცელებული ინფორმაცია პროკურატურის მიერ მართლმსაჯულებაზე ზეწოლის შესახებ ნათელს ფენს სისხლის სამართლის ადვოკატების საკმაოდ პესიმისტურ დამოკიდებულებას სისხლის სამართლის საქმეებში წარმატების მიღწევის მოლოდინისადმი. არაოფიციალურ საუბრებში ბევრი ადვოკატი აცხადებს, რომ

430 <http://www.4barristers.weebly.com>.

431 ადვოკატების გ.ს.-ს, ჯ.ბ.-ს და გ.მ.-ს და ა.შ.

შემქნილი მდგომარეობის გამო ურჩევნიათ სამოქალაქო საქმეებზე იმუშაონ.<sup>432</sup> სისხლის სამართლის ადვოკატები ამტკიცებენ, რომ ისინი არ არიან თანაბარ პირობებში პროკურორებთან მიმართებით. კერძოდ, მოსამართლეები ხშირად ადეკვატური დასაბუთების გარეშე უარყოფენ ადვოკატების შუამდგომლობებს. ადვოკატები ამტკიცებენ, რომ სისხლის სამართლის პროცესის დროს მათ არ შეუძლიათ ყველა სამართლებრივი საშუალების გამოყენება. მაშინ, როდესაც მოსამართლეები აკმაყოფილებენ პროკურორების ყველა მოთხოვნას, შესაბამისი დასაბუთების გარეშე ხდება დაცვის ადვოკატის შუამდგომლობათა და მოთხოვნათა უმრავლესობის უარყოფა.<sup>433</sup>

ამასთან ერთად, მოსამართლეები ხშირად არ აანალიზებენ ან არც კი ახსენებენ საკუთარ გადაწყვეტილებებში დაცვის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, ხელს უწყობენ რა ამით ადვოკატებში ფრუსტრაციის გრძობის გამყარებას. ადვოკატები ამტკიცებენ, რომ ყველა მათი მცდელობის, მოქმედების და ბრალდებულის სასარგებლოდ მოპოვებული მტკიცებულებების მიუხედავად, ადგილობრივი სასამართლოები არ აანალიზებენ მათ და არც კი მოიხსენიებენ საბოლოო გადაწყვეტილებებში. შესაბამისად, ადვოკატთა როლი სისხლის სამართლის პროცესში ნომინალურია.

სისხლის სამართლის ადვოკატები ნეგატიურ ფაქტორად ასევე ასახელებენ შედარებით ახალი ინსტრუმენტს, საპროცესო შეთანხმებას, რომელიც საქართველოში 2004 წელს იქნა შემოღებული. საპროცესო შეთანხმება უშვებს სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმის არსებითი განხილვის გარეშე და გამოიყენება ბრალზე შეთანხმების ან სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში. უკანასკნელი სტატისტიკის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეების თითქმის 80 პროცენტში ხდება საპროცესო შეთანხმების გამოყენება (2010 წელს, საქართველოს სასამართლოებმა გამოიტანეს 19,956 გადაწყვეტილება, რომელთაგან 15,867 მიღებული იყო საპროცესო შეთანხმების შედეგად). დაცვის ადვოკატის მონაწილეობა საპროცესო შეთანხმების პროცესში სავალდებულოა, თუმცა ადვოკატების როლი აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვნად მცირეა მაშინ, როდესაც პროკურორი სარგებლობს ფართო კომპეტენციით. ბოლო ანგარიშში ადამიანის უფლებათა კომისარმა გაიმეორა სისხლის სამართლის ადვოკატების ბრალდებები, რომლის მიხედვით:

...ბრალდებულთა უმრავლესობა დარწმუნებულია რომ ისინი გასამართლდებიან და ნაცვლად იმისა, რომ იბრუნონ თავის გამართლებაზე, ადვოკატებს სთხოვენ საპროცესო შეთანხმებას, რათა მოხდეს სასჯელის მინიმუმამდე შემცირება. მოცემული განწყობა განსაკუთრებით გავრცელებულია იმ დარღვევებზე, რომლებზეც თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებულია.<sup>434</sup>

იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ადვოკატები თავგამოდებით ურჩევენ კლიენტებს, რომ ბოლომდე იბრძოლონ, უმრავლეს საქმეებში ბრალდებულები, არა აქვთ რა სასამართლოში წარმატების იმედი, ამჯობინებენ დაეთანხმონ პროკურორებს საპროცესო შეთანხმებაზე და შესაბამისი ჯარიმის გადახდაზე, რათა შეიმცირონ ან თავიდან აიცილონ საპატიმრო სასჯელი. ამ შემთხვევებში დაცვის ადვოკატები მხოლოდ ფორმალურად წარმოადგენენ კლიენტებს, ვინაიდან მათ არა აქვს არც საქმის სასამართლოში გაგრძელების და არც საპროცესო შეთანხმების შედეგზე გავლენის მოხდენის ეფექტური საშუალებები. ამასთან, რა თქმა უნდა, ადვოკატები შეზღუდულნი არიან ბრალდებულის გადაწყვეტილებით.

სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატთა როლზე ნეგატიურად მოქმედებს სახელმწიფოს მხრივ ადვოკატთა შესაძლებლობების გაძლიერებასა და განათლებაზე მიმართული ქმედებების განუხორციელებლობა. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებამ, მთელი სისტემის ტრანსფორმირებამ ინკვიზიციურიდან შეჯიბრებითზე და კოდექსით შემოტანილმა სხვადასხვა

432 ადვოკატების გ.ს.-ს, ჯ.ბ.-ს და გ.მ.-ს მიხედვით.

433 Ibid; იხილეთ აგრეთვე ადამიანის უფლებათა კომისიის, თომას ჰამერბერგის, უკანასკნელი ანგარიში, <https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?id=1809789>.

434 [https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?id=1809789#P361\\_77428](https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?id=1809789#P361_77428).



ინოვაციებმა, მათ შორის, ახალმა უფლებებმა და ვალდებულებებმა, განაპირობა ადვოკატებისთვის ეფექტური განგრძობადი განათლების აუცილებლობა, მათი მხრივ ადეკვატური და კვალიფიციური იურიდიული დახმარების უზრუნველსაყოფად. თუმცა, ამ დრომდე სახელმწიფო ორგანოებისა და საერთაშორისო სუბიექტების მიერ განხორციელებული ტრენინგის პროექტები ფოკუსირებული იყო ძირითადად პროკურორებსა და მოსამართლეებზე და შესაბამისად, ნეგატიურად მოქმედებდა ადვოკატების როლზე სისხლის სამართლის პროცესში.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ადვოკატები აგრეთვე აღიარებენ, რომ თავად მათ ვერ შესძლეს შეენარჩუნებინათ ძლიერი და ეფექტური ადვოკატურა 2006-2009 წლებში. ამავე პერიოდში, ადვოკატებმა საერთო კრების მონაწილე და ასოციაციის პრეზიდენტის არჩევა კი ვერ შეძლეს, რადგან კანონის პირველადი ტექსტის შესაბამისად, ორგანიზაციის ყველა მმართველი ორგანოს არჩევისთვის საჭირო იყო ასოციაციის წევრების უმრავლესობის კვორუმი. სამწუხაროდ, ადვოკატთა ასოციაციას არ მიეცა განვითარების საშუალება. მეტიც, ხელისუფლება მდუმარედ გამოხატავდა ამ სიტუაციით კმაყოფილებას, რადგან მისთვის უფრო მარტივი იყო სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება (თავისი პოზიტიური და ნეგატიური ასპექტებით) ადვოკატთა ასოციაციის ერთიანი და ძლიერი ჩართულობის გარეშე. 2009 წლიდან, ასოციაციამ ნელ-ნელა დაიწყო მისი რეალური ფუნქციის გააზრება და განხორციელება. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ბოლოს, 2009 წლის ნოემბერში კანონში შეიცვალა კვორუმის ზემოაღნიშნული მოთხოვნა. შეიკრიბა უმაღლესი მმართველო ორგანო – საერთო კრება, რომელმაც, თავის მხრივ, აირჩია აღმასრულებელი საბჭო და თავმჯდომარე, ეთიკის კომისია და სარევიზიო კომისია. ეთიკის კომისია საკმაოდ აქტიური იყო. მან ბოლო ორი წლის განმავლობაში ადვოკატების წინააღმდეგ 1088 საჩივარი მიიღო და დისციპლინური წარმოება დაიწყო 10 ადვოკატის წინააღმდეგ, მათგან ექვსს დაეკისრა სანქცია. ასოციაციამ დაიწყო ადვოკატთა განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის დანერგვა.

კანონი არ ავალდებულებს ადვოკატებს პრობონო და უფასო იურიდიული დახმარების განწევას. უფასო იურიდიულ დახმარების განმახორციელებელი ძირითადი ორგანო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უფასო იურიდიული დახმარების სამსახური, რომელიც სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შემადგენლობაში შედის. სამსახური უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციასა და დახმარებაზე ხელმისაწვდომობას და ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ ფუნქციებს. იურიდიული დახმარება ხორციელდება ბიუროების და საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლების მიერ. დირექტორის მიერ მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე, იურიდიული დახმარების სამსახურს ამ დროისთვის ყავს 97 თანამშრომელი. უფასო იურიდიული დახმარების სამსახურთან ერთად, იურიდიულ დახმარებას აგრეთვე ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორი. ყველაზე ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაცია ამ სფეროში არის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია). უფასო იურიდიული დახმარების სამსახურისგან განსხვავებით, რომელიც იურიდიულ წარმომადგენლობას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე ახორციელებს, საია უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებას სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში საზოგადოების ყველაზე მონყვლადი ნაწილისათვის.

#### 4. პოლიტიკური ვალდებულება ეფექტური სისხლის სამართლის დაცვისათვის

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ახალი საპროცესო კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით არაერთი დებატი და დისკუსია მოეწყო. კოდექსი ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ოქტომბერს და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში ეფექტურ სისხლის სამართლის დაცვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოიტანა. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძირითადი მიზანია მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა და სამართლებრივ სისტემაში მხარეთა თანასწორობის პრინციპის სრული იმპლემენტაცია, მაშინ როდესაც წინა სისტემა ინკვიზიციურ ხასიათს ატარებდა.

ახალი სისტემა ითვალისწინებს პროკურორის როლის შეზღუდვას, რომელიც ვალდებულია ცალმხრივად გაასაჯაროს მტკიცებულებები (რომელიც გამოყენებულ იქნება ბრალდებულის წინააღმდეგ) ხუთი დღით ადრე სასამართლო განხილვამდე, ან დაუყოვნებლივ, თუ მოცემულ მოთხოვნას ბრალდებულისგან მიიღებს. კოდექსი აუმჯობესებს დაცვის უფლებებს წინასასამართლო ეტაპზე, საქმის მტკიცებულებებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. მოსამართლემ უნდა მოიხრდოს უფრო ნეიტრალური, „ზედამხედველის“ როლი, რათა უზრუნველყოს სასამართლოს პროცედურის სამართლიანობა. ახალმა კოდექსმა შემოგვთავაზა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის საქმეებზე, თუმცა ამ სიახლის განხორციელება პირველ ეტაპზე მხოლოდ თბილისში იქნება შესაძლებელი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირს უფლება აქვს ხელი მიუწვდებოდეს და ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით, თუ მას არა აქვს საშუალება დაფაროს სისხლის სამართლის პროცესში მისი სამართლებრივი ინტერესების წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხარჯები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები ითვალისწინებს იურიდიული დახმარების განევის კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვით სახელმწიფო ვალდებულია გასწიოს ბრალდებულისთვის იურიდიული დახმარების ხარჯები თუ: (ა) უქონლობის გამო ბრალდებული ითხოვს დაცვის ადვოკატის დანიშვნას; (ბ) ადგილი აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო დაცვას და ბრალდებული არ არის წარმოდგენილი დაცვის ადვოკატის მიერ.

კანონმდებლობის თანახმად, ბრალდებული უფლებამოსილია მიმართოს იურიდიული დახმარების გამწევ შესაბამის სამსახურს და მოითხოვოს დაცვის ადვოკატის დანიშვნა.

კვლავ შეინიშნება სკეპტიკური დამოკიდებულება უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზაციულ მოწყობასა და სამსახურის ადვოკატების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში იურიდიული დახმარების სამსახური ექვემდებარება სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების სამსახური საჯარო სამართლის იურიდიული პირია და აქვს სისტემის დამოუკიდებლად მართვის მექანიზმები, მინისტრს ფართო ფუნქციები (მათ შორის, სამსახურის უფროსის დანიშვნის ფუნქცია) აქვს და შესაბამისად, კონტროლის და ზეგავლენის მნიშვნელოვანი ბერკეტები გააჩნია.

სასჯელალსრულების სამინისტრო ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობას გარკვეული კატეგორიის და ასევე სასჯელალსრულებით დაწესებულებებში მომხდარ დანაშაულებზე. შესაბამისად, დაუშვებელია ერთი და იმავე ორგანომ შეითავსოს გამოძიებისა და დაცვის ფუნქციები.

ინტერესთა კონფლიქტის საფუძველს ქმნის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული დახმარების სამსახურის მონაწილეობა იმ საქმეებში, სადაც პატიმარი სამართლებრივად უპირისპირდება სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას.

მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა რათა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გარანტირებული ყოფილიყო ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა, მრავალი ნაბიჯია გადასადგმელი პრაქტიკაში ამ უფლების უზრუნველსაყოფად. ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების მიერ პრაქტიკაში გატარებულ პოლიტიკა ნეგატიურ გავლენას ახდენს უფლების ძირითად არსზე:

- სახელმწიფო ფაქტიურად არ ახორციელებს პოლიტიკას ადვოკატთა ასოციაციის გასაძლიერებლად და ადვოკატების შესაძლებლობისა და განათლების გასავითარებლად, მაშინ როდესაც ყველა საშუალებით ხდება სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო ორგანოების გაძლიერება და შესაძლებლობების ამაღლება;

- მიუხედავად არაეფექტურობის შესახებ მრავალი ბრალდებისა და საერთაშორისო სუბიექტების მონოდებისა, სასამართლო ორგანოები არ ცვლიან დაუსაბუთებელი შუალედური და საბოლოო გადაწყვეტილებების პრაქტიკას.<sup>435</sup> იგივე შეიძლება ითქვას დაცვის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ანალიზსა და მითითებასთან მიმართებით;

- საპროცესო შეთანხმებების რადიკალური გაზრდა და პოპულარობა (გამოიყენება საქმეების 80 პროცენტში), სადაც ძირითადი როლი პროკურორს ენიჭება, ხოლო დაცვის ადვოკატის მონაწილეობა მინიმალური და ფორმალურია, სასამართლოს უფლებამოსილება „დააბალანსოს“ აღნიშნული შეთანხმების ნორმები არაეფექტურია (სასამართლოს როლი საპროცესო შეთანხმების პროცესში საკმაოდ შეზღუდულია). ყველაფერი ეს ხელს უწყობს სისხლის სამართლის ადვოკატების როლის კიდევ უფრო მეტად გაუფასურებას.

---

435 Ibid; იხილეთ აგრეთვე ადამიანის უფლებათა კომისარის, თომას ჰამერბერგის უკანასკნელი ანგარიში, <https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?id=1809789>.

## 5. დასკვნა და რეკომენდაციები

### 5.1. ძირითადი საკითხები

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველომ სერიოზული ნაბიჯები გადადგა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მიმართულებით. ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებულმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმამ მრავალი პოზიტიური შედეგი მოიტანა, მათ შორის დანაშაულის დონისა და კორუფციის რადიკალური შემცირება და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდა. ამასთან ერთად, აღნიშნულ პროცესს ჰქონდა ნეგატიური შედეგები ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკისა და 2006 წელს ინიცირებული წვრილმანი დანაშაულების მიმართ „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგია ციხეში პატიმრების რაოდენობის სამჯერ გაზრდა. საქართველო პატიმართა რაოდენობით ერთ სულ მოსახლეზე ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გამოცხადებამ, რაც საზოგადოების ფართო ნაწილის მიერ დადებითად იქნა აღქმული, სისხლის სამართლის პოლიტიკა უფრო მეტად დამსჯელობითი გახდა. ამის დასტურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა, რომლის მიხედვით ძალზედ მცირეა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა.

როგორც აღინიშნა, ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა მკაცრმა ღონისძიებებმა და პოლიტიკამ განაპირობა ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობის არსებითი შემცირება, რაც, თავის მხრივ, სამართალდამცავი ორგანოების უფრო ეფექტური მუშაობის, პოლიციის მიმართ საზოგადოების მხრიდან გაზრდილი ნდობისა და დანაშაულის დროული გაცხადების შედეგია. 2006 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაარეგისტრირა 62,283 დანაშაული, 2010 წელს ეს ციფრი შემცირდა 34,739-მდე (2007 წელს იყო 54,746, 2008 წელს – 44,644, ხოლო 2009 წელს – 35,949).<sup>436</sup> გორბის, იუსტიციის სამინისტროს და ევროპის კავშირის მიერ განხორციელებული უკანასკნელი კვლევის თანახმად,<sup>437</sup> მოსახლეობის 98 პროცენტი დაცულად გრძნობს თავს დღის განმავლობაში და 96 პროცენტი – ღამის პერიოდში. გამოკითხულთა 87 პროცენტმა ეფექტურად შეაფასა პოლიციის საქმიანობა და ყურადღება გაამახვილა მათი მხრივ პოლიციის მიმართ ნდობის გაზრდაზე.

ზემოაღნიშნულ პოზიტიურ ასპექტებთან ერთად, სხვადასხვა ფაქტორი, როგორცაა სამართალდამცავი ორგანოების გაზრდილი გავლენა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სასამართლოს კონტროლი, უარყოფით გავლენას ახდენს სისხლის სამართლის ადვოკატების როლზე სისხლის სამართლის პროცესში. ადვოკატების როლი, მეტწილად ნომინალურია და ისინი ხშირად აცხადებენ, რომ ვერ ახერხებენ კლიენტთა ინტერესების ეფექტურად დაცვას.

დაცვის უფლების ეფექტური გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ბრალდებულის დაკავების ადრეულ სტადიაზე, განსაკუთრებით უფასო იურიდიული დახმარების საქმეებში, ადვოკატთა ჩართვის ადეკვატური სისტემის არარსებობა. დაკავების ადრეულ სტადიაზე ბრალდებული გახლავთ ყველაზე მოწყვლად მდგომარეობაში. სამართალდამცავი ორგანოები კი ხშირად იყენებენ ამ პერიოდს დაკითხვისთვის, აცხადებენ, რომ ბრალდებულს არ სურს ადვოკატის დახმარება, იღებენ მისგან თანხმობას შესაბამისი პირობებით საპროცესო შეთანხმებაზე და სხვა. დაკავების მომენტში ბრალდებულისათვის უფლებების განმარტების ვალდებულებას სამართალდამცავი ორგანოები ხშირად არ ასრულებენ.

436 [http://www.police.ge/uploads/statistika/shss\\_statistika/BIULETENI.saqartvelo.ianvari.14.02.10.pdf](http://www.police.ge/uploads/statistika/shss_statistika/BIULETENI.saqartvelo.ianvari.14.02.10.pdf).

437 [http://www.justice.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=130](http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=130).

ზოგადად, სამართალდამცავი ორგანოები ცდილობენ არ დაკარგონ მოულოდნელი დაკავების დროს მიღებული უპირატესობა და დაპატიმრებული პირისგან მიიღონ მტკიცებულებები/ჩვენება, მისთვის საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გარეშე.

ქვეყანაში არ მომხდარა „თავისუფლების სასარგებლოდ პრეზუმფციის“ ეფექტურად იმპლემენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა მოითხოვს წინასწარი პატიმრობის გამოყენებას, მხოლოდ როგორც უკანასკნელ საშუალებას, ადგილობრივი სასამართლოები, თითქმის ყველა შემთხვევაში, აკმაყოფილებენ პროკურატურის მოთხოვნას წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე, ისე რომ არ ხდება სასამართლოს შუალედური და საბოლოო გადაწყვეტილებების ადეკვატური დასაბუთება.

მხარეთა შეჯიბრებითობა სრულად არ არის გარანტირებული მტკიცებულებების მოპოვების პროცესში. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ ადვოკატებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოიპოვონ პროკურატურის ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც გამოყენებულ იქნება ბრალდებულის წინააღმდეგ. თუმცა, დაცვას არა აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს (მესამე პირის მფლობელობაში არსებული) მტკიცებულება, რომელიც შეიძლება მოპოვებულ იქნას ჩხრეკის და ამოღების შედეგად, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა ის შეიძლება დაეხმაროს ბრალდებულს, ან გაამართლოს იგი. როდესაც პროკურორი ვალდებულია გაუმხილოს ბრალდებულს ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც გამოყენებულ იქნება მის წინააღმდეგ, არ არსებობს პროკურორის ვალდებულება, რომ გაამხილოს ან მიაწოდოს ბრალდებულს ის მტკიცებულება, რომელიც მის ხელთაა და რომელსაც ის არ გეგმავს გამოიყენოს ბრალდებულის წინააღმდეგ, მაგრამ რომელსაც შეუძლია პოტენციურად დაეხმაროს დაცვის პოზიციას. ხშირად, როდესაც პროკურორის ხელშია ის მტკიცებულება, რომელიც შეიძლება დაეხმაროს დაცვის პოზიციას, პროკურორი აცხადებს, რომ ის არ გამოიყენებს მას დაცვის წინააღმდეგ და შესაბამისად, მას არ აქვს მტკიცებულების გასაჯაროების ვალდებულება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს მხარეთა თანასწორობაზე გახლავთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დროებითი ნორმა, რომელიც ანიჭებს პროკურატურას უფლებას 2012 წლის 1 ოქტომბრამდე (გადავადების შემდგომ 2013 წლის 1 დეკემბრამდე) დაიბაროს მონმე და დააკისროს მას ჩვენების მიცემის ვალდებულება. მონმეზე ვრცელდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ყალბი ჩვენების მიცემის გამო. ამის საპირისპიროდ, დაცვას არ აქვს ხელთ არანაირი საშუალება და არ ძალუძს რაიმე სახით დაავალდებულოს მონმე, რომ მან მისცეს ჩვენება/მტკიცებულება და დაეხმაროს დაცვის პოზიციას.

პროკურორთან შედარებით, დაცვის პოზიციის უთანაბრობა ხშირად განპირობებულია იმით, რომ მოსამართლეები ხშირად ადეკვატური დასაბუთების გარეშე უარყოფენ დაცვის ადვოკატების შუამდგომლობებსა და დაცვის მტკიცებულებებს. მეტიც, მოსამართლეების მხრიდან დაცვის მტკიცებულებების სრული იგნორირება და შესაბამისი ანალიზის, აგრეთვე მსჯავრდებისა და გადაწყვეტილებების ადეკვატური დასაბუთების არარსებობა ნეგატიურ გავლენას ახდენს დაცვის უფლებების ეფექტურ იმპლემენტაციაზე.

## 5.2. რეკომენდაციები

1. შეიქმნას ეფექტური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატების მონაწილეობას პოლიციაში დაკავების ადრეულ ეტაპზე, განსაკუთრებით უფასო იურიდიული დახმარების საქმეებში და ადვოკატებს მიეცეს ხელმისაწვდომობა დაკავებაში მყოფ მათ კლიენტებთან.



2. შეიქმნას ეფექტური მექანიზმი იმისა, რომ უზრუნველყოფილი და გადამონმებადი იყოს ბრალდებულებისათვის მისი უფლებების შესახებ დაუყოვნებლივ ინფორმირება პოლიციის მიერ დაკავების ადგილას მოთავსებისთანავე.
3. მართლმსაჯულების ორგანოებს მოეთხოვოთ დაასაბუთონ გადანყვეტილებებში, რატომ არის შეუძლებელი ალტერნატიული აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება და რატომ არის აუცილებელი წინასწარი პატიმრობის გამოყენება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბრალდებული არ მიიმალოს, ჩაერიოს მართლმსაჯულების ეფექტურ განხორციელებაში, ჩაიდინოს ახალი დანაშაული ან დარჩეს საზოგადოების უსაფრთხოებისთვის საფრთხედ.
4. სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულნი უნდა იყვნენ შეწყვიტონ ტელევიზიებისთვის საგამოძიებო მასალების, ვიდეო ჩანაწერების, დაკითხვის მასალების, სატელეფონო მიყურადების მასალების ან აღიარების ჩანაწერების გადაცემა. სატელევიზიო კომპანიებმა პატივი უნდა სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციას.
5. მხარეთა სრული თანასწორობისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ნათლად უნდა გაითვალისწინოს დაცვის უფლება – მოითხოვოს სასამართლოს ბრძანების გზით მტკიცებულებები, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების ან მესამე პირების მფლობელობაშია. უფასო იურიდიული დახმარების ადვოკატების მიერ საქმეთა გამოძიების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნას ადეკვატური დაფინანსება.
6. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცესში, არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკაშიც უნდა გაიზარდოს ეროვნული სასამართლო ორგანოების როლი მხარეთა ინტერესებს შორის ბალანსის უზრუნველსაყოფად. მოსამართლეებს უნდა შეეძლოთ საპროცესო შეთანხმების დეტალების ეფექტიანად შესწავლა, რათა გაანალიზონ მათი მიზანშეწონილობა და სადაც ეს საჭირო იქნება, შეცვალონ ისინი.
7. სასამართლო ორგანოები მხედველობაში უნდა იღებდნენ დაცვის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, ახდენდნენ აღნიშნული მტკიცებულებების რელევანტურ და შესაბამის ანალიზსა და გადანყვეტილებების დასაბუთებას.

## 6. პიზლიომგრაფია

### Chartsbin.com 2011

მსოფლიოში ციხის მოსახლეობა 100,000 ეროვნულ მოსახლეზე  
<http://chartsbin.com/view/eqq>, published on 2 February 2011

### ევროპის საბჭო n.d.

ევროპის საბჭოს ოფიციალური ვებ გვერდი, ადამიანის უფლებათა კომისრის, თომას ჰამემბერგის ანგარიში, 2011 წლის ივლისი,

<https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?id=1809789>

[https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?id=1809789#P361\\_77428](https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?id=1809789#P361_77428)

<https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?id=1809789>

### საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი n.d.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური ვებ გვერდი. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=472&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo)

### ადოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია n.d.

ადოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის ოფიციალური ვებ გვერდი

<http://www.observatoire-avocats.org/wp-content/uploads/Mission-report-Legalprofession-in-Georgia1.pdf>

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო n.d.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ გვერდი

[http://www.police.ge/uploads/sakanonmdeblobaza/bcg\\_kvleva.pdf](http://www.police.ge/uploads/sakanonmdeblobaza/bcg_kvleva.pdf)

[http://www.police.ge/uploads/statistika/shss\\_statistika/BIULETENI.saqartvelo.ianvari.14.02.10.pdf](http://www.police.ge/uploads/statistika/shss_statistika/BIULETENI.saqartvelo.ianvari.14.02.10.pdf)

### საქართველოს იუსტიციის სამინისტრო n.d.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ გვერდი [http://www.justice.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=130](http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=130)

### საქართველოს ომბუდსმენი n.d.

საქართველოს ომბუდსმენის ოფიციალური ვებ გვერდი

<http://ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=1&id=1330>

### საქართველოს უზენაესი სასამართლო n.d.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებ გვერდი

[www.supremecourt.ge/files/upload-files/pdf/sisxli2010.pdf](http://www.supremecourt.ge/files/upload-files/pdf/sisxli2010.pdf)

### აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი 2009

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიურო, 2009 წლის ანგარიში ადამიანის უფლებების შესახებ, საქართველო

<http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2009/eur/136032.htm>

### მსოფლიო ბანკი n.d.

მსოფლიო ბანკი, საქართველოს ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგიის შესრულების ანგარიში **2010–2013**, <http://siteresources.worldbank.org/GEORGIAEXTN/Resources/annual-eng.pdf>

### კანონმდებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღებული 2010 წლის 1 ოქტომბერს;  
საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, 2001 წლის 20 ივნისი;  
საქართველოს კანონი უფასო იურიდიული დახმარების შესახებ, 2007 წლის 19 ივნისი;  
საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, 1993 წლის 27 ივლისი;  
საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ, 2008 წლის 21 ოქტომბერი;  
იუსტიციის მინისტრის ბრძანება საგამოძიებო ორგანოთა კომპეტენციის შესახებ, 2010 წლის 29  
სექტემბერი.

## თავი 4

# ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა

### 1. შესავალი

ამ თავში ჩვენ გავანალიზებთ ინფორმაციას კვლევაში ჩართული ხუთი ქვეყნიდან ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ევროპულ სტანდარტებზე მითითებით. როგორც ეს განიმარტა, ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის შეფასებისას ჩვენი მიდგომა მოიცავს არა მარტო პროცედურულ უფლებათა შესახებ კანონმდებლობის ანალიზს, არამედ, აგრეთვე იმ რეგულაციების, ინსტიტუტებისა და პროცედურების განხილვას, რომლებიც უზრუნველყოფენ ან პირიქით, ხელს უშლიან მოცემული სამართლებრივი დებულებების მოქმედებას. კვლევა ადასტურებს, რომ მხოლოდ კანონის ანალიზმა შეიძლება მიკერძოებულ და ხშირად არასწორ დასკვნებამდე მიგვიყვანოს. რა თქმა უნდა, ყველა კანონი და უფლება ითხოვს განმარტებას, მაგრამ მოცემული კანონებისა და უფლებების განმარტებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. პირველ ყოვლისა, შესაბამისი კანონები შეიძლება განმტკიცებულ იქნას დეტალური რეგულაციებით ეროვნულ, ზოგჯერ ადგილობრივ დონეზე და მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლებების რეალიზებისთვის. რეგულაციები შეიძლება არსებობდეს ზოგადი პოლიტიკური მიზნებისათვის ან საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის დემონსტრირებისთვის იმ უფლებებთან მიმართებით, რომელთა გაგება და გამოყენება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებში ხდება. მეორე მხრივ, პროცედურული უფლებები წარმოიშობა სისხლის სამართლის პროცესში. თავისთავად სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არაერთი ინსტიტუტი და ინდივიდია ჩართული, მათი პოლიტიკა და პროცედურები განსხვავებულია და პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეიძლება წარმოიშვას წინააღმდეგობა ან კონფლიქტი. ინსტიტუტებში მომუშავე პირებმა შეიძლება დაიცვან ან არ დაიცვან ინსტიტუტის ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები, რაც დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ღირებულებები, მოთხოვნები, მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით იურიდიულ დახმარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენი კვლევა ასევე ეხებოდა ადვოკატებსა და იურიდიულ პროფესიას. შესაბამისად, ჩვენ მიმოვიხილავთ პროფესიულ კულტურას; ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირის სახელით მოქმედების კომპეტენციას; დაცვის ადვოკატების, განსაკუთრებით კი უფასო იურიდიული დახმარების სქემაში მონაწილე ადვოკატების რაოდენობას; უქონელი ეჭვმიტანილი თუ ბრალდებული პირებისთვის იურიდიული დახმარების ფარგლებსა და ხელმისაწვდომობას.

პროცედურულ უფლებებთან დაკავშირებით კონკრეტული საქმის განხილვისას, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ამონებს იყო თუ არა დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება.<sup>438</sup>

438 იხილეთ მეორე თავი, მერვე ნაწილი.

სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება დაცულ იქნა იმ შემთხვევაშიც კი, როცა დაირღვა კონკრეტული პროცედურული უფლებები, თუ კი მოხდა ამ დარღვევების კომპენსირება სხვა გარემოებებით. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის შეფასების სტანდარტების დასადგენად ჩვენ პროცედურულ უფლებებს განვიხილავთ როგორც განცალკევებულ უფლებებს. ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას, რომ პროცედურული უფლებები არ განიხილება იზოლირებულად. ისევე როგორც კონკრეტული უფლების დარღვევამ შეიძლება არ გამოიწვიოს პროცესის მთლიანი უსამართლობა, გარკვეულ შემთხვევებში პროცედურული უფლების სრული დაცვაც შეიძლება არ იყოს საკმარისი ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, იურიდიული დახმარების უფლება, რომელიც მოქმედებს მხოლოდ პირის დაპატიმრების შემთხვევაში, არაეფექტური პროცედურული გარანტიაა, თუ კი პოლიციას აქვს საშუალება დააკავოს პირი (ფორმალური) დაპატიმრების გარეშე. ესე იგი, დაპატიმრება იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ გამოიცილებდეს პოლიციის მიერ პირის სხვა ფორმით დაკავებას და დე ფაქტო ეჭვმიტანილის მოწმის სახით დაკითხვას.

ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით პროცედურული უფლებების შეფასება გადმოცემულია კვლევის მეორე თავის სტრუქტურის შესაბამისად.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენი მიზანი არ იყო ხუთ ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებისა და პროცესების შესწავლა, ამიტომ ძალიან ზედაპირულად შევეხეთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო, სასჯელის დაკისრება, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პროცედურები და გარანტიები.<sup>439</sup>

კვლევისთვის გამოყოფილი დროისა და რესურსების გათვალისწინებით, ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვისადმი ხელმისაწვდომობის შესწავლა.

## 2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება

არსებობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სამი განზომილება: პროცედურულ უფლებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების უფლება; დაპატიმრებისა და ბრალდების ხასიათისა და მიზეზების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება და მატერიალური მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.<sup>440</sup>

### 2.1. ინფორმაცია უფლებების შესახებ

უფლებებს ნაკლები ფასი აქვს პირისთვის, როდესაც მან არ იცის მათ შესახებ. როგორც ეს მოცემულია მეორე თავის, 4.1. ნაწილში, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია პირდაპირ არ მოითხოვს, რომ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირი ინფორმირებულ იქნეს მათი პროცედურული უფლებების შესახებ, მაგრამ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოითხოვს სასამართლო ორგანოებისგან, გადადგან პოზიტიური ნაბიჯები ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის დაცვის უზრუნველსაყოფად. სასამართლომ რამდენიმე საქმეში დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ეჭვმიტანილები იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების უფლების შესახებ ინფორმაციით. ამ ინფორმაციის წერილობით წარდგენა საკმარისი არ არის და აქტიური

439იხილეთ პირველი თავი, მესამე ნაწილი.

440იხილეთ მეორე თავი, მეოთხე ნაწილი.



ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ექვმიტანილი სრულად იყოს ინფორმირებული მისი უფლებების შესახებ და აცნობიერებდეს დაკითხვის დროს მისი მოქმედების შედეგებს. ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ<sup>441</sup> უფრო პირდაპირია და ადგენს, რომ დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი ან ბრალდებული პირი უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ინფორმაციით მისი უფლებების შესახებ: ადვოკატთან ხელმისაწვდომობის შესახებ, თუ ეს აუცილებელია - უფასოდ; ბრალდებაზე ინფორმაციის შესახებ; თარჯიმნით უზრუნველყოფისა და თარგმანის უფლების შესახებ; დაპატიმრებული პირის სასამართლოს წინაშე დაყოვნების გარეშე წარდგენის უფლების შესახებ. ინფორმაცია უნდა იქნეს წარდგენილი დაუყოვნებლივ, ნათელ და ხელმისაწვდომ ენაზე და თუ პირი დაპატიმრებულია, ის უნდა იქნეს ინფორმირებული წერილობით და მას უნდა გადაეცეს ასლი.

კვლევის ყველა ქვეყანაში არსებობს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც მოითხოვს პროცედურულ უფლებების შესახებ ექვმიტანილი ან ბრალდებული პირის ინფორმირებულობას (თუნდაც ნაწილობრივ) და ამ ინფორმაციის წერილობითი სახით წარდგენას (ზოგიერთ სახელმწიფოში ზეპირადაც, მაგალითად, მოლდოვასა და უკრაინაში). რაც შეეხება უფლებების ჩამონათვალს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო და ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, ითვალისწინებს შედარებით შეზღუდულ სიას, მაგრამ ორივე აქტი ითვალისწინებს იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების უფლებაზე ინფორმაციის მიღების უფლებას. როგორც ჩანს, კვლევის ყველა ქვეყანაში კანონი მოითხოვს, რომ უფლებების შესახებ შეტყობინება მოიცავდეს უფლებას იურიდიულ დახმარებაზე, მაგრამ ყველა არ მოითხოვს პირის ინფორმირებას უფასო იურიდიული დახმარების უფლების შესახებ. მაგალითად, ბულგარეთში ბრალდებული პირის ინფორმირება ხდება, მაგრამ არა დაპატიმრების ადრეულ ეტაპზე. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ ინფორმაცია დუმილის უფლების შესახებ უნდა იქნეს მიწოდებული ამ უფლების წარმოშობისთანავე, ხოლო უფლების წარმოშობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირი „ბრალდებულია“ (როდესაც პირის მდგომარეობა არსებითად იცვლება).<sup>442</sup> სავარაუდოდ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპის კავშირის წარმოდგენილ დირექტივის საბოლოო ვერსიაში უფლებათა ჩამონათვალში ეს უფლება მოხვდება.<sup>443</sup> ყველა ქვეყანაში, რომელშიც კვლევა ჩატარდა, კანონი მოითხოვს, რომ შეტყობინება უფლებების შესახებ მოიცავდეს მითითებას დუმილის უფლებაზე.

საკანონმდებლო დებულებები, ძირითადად, შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მოთხოვნებთან. ზოგადად, ხუთივე ქვეყანაში კანონი მოითხოვს ინფორმაციის მიწოდებას, როდესაც პირი გახდება ექვმიტანილი ან მას დააკავებენ ან ფორმალურად წაუყენებენ ბრალს და, როგორც ჩანს, ყველა ქვეყანაში არსებობს ექვმიტანილის ინფორმირების ვალდებულება დაკითხვის დაწყებამდე. ამავე დროს, მოიპოვება იმის მტკიცებულებები, რომ ლიტვის პოლიცია ხშირად არ ასრულებს ამ ვალდებულებას, ხოლო უკრაინაში ჩვეულებრივ, ოფიციალურ დაპატიმრებებს წინ უსწრებს არაფორმალური დაკავების პერიოდი, შესაბამისად, დე ფაქტო დაპატიმრებული პირები არ არიან წესისამებრ ინფორმირებულნი პროცედურული უფლებების შესახებ. უფლებების (და, შესაბამისად, უფლებების შეტყობინების) ნიველირების სხვა მექანიზმები, კონკრეტულად, დე ფაქტო ექვმიტანილების მოწმის სტატუსით დაკითხვა გარკვეულ ფარგლებში, ყველა იურისდიქციაში გამოიყენება.<sup>444</sup>

მაშინ როცა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და ევროპის კავშირის დირექტივა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყურადღებას ამახვილებს იმ ნაბიჯების მნიშვნელობაზე, რომლებიც უფლებების შესახებ ინფორმაციის გასაგებად მიწოდების უზრუნველყოფისთვის

441 იხილეთ თავი 1, ნაწილი 4.3.2.

442 იხილეთ მეორე თავი, ნაწილი 6.1.2.

443 იხილეთ მეორე თავი, ნაწილი 6.1.2.

444 იხილეთ თავი 9, ნაწილი 2.

უნდა გადაიდგას, პრაქტიკაში უფლებებზე (უფლებების შეტყობინების შესახებ, უფლებებზე უარის თქმის შესახებ და რამდენად ესმით ეჭვმიტანილებს მათი უფლებები) ინფორმაციის მიწოდების ფორმალური გადამოწმების პროცედურები ნაკლებად ეფექტურია. ლიტვისა და უკრაინის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მაშინ როდესაც ფორმალური ჩანაწერით დასტურდება უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ბრალდებულების 50 პროცენტი ან მეტი აცხადებს, რომ ისინი არ იყვნენ ინფორმირებულნი.<sup>445</sup> მსგავსი სურათია კვლევის სხვა ქვეყნებშიც. თუმცა არც ერთი ქვეყანა არ იყენებს „უფლებების წერილის“ სტანდარტს და ბულგარეთში, მოლდოვასა და უკრაინაში აღნიშნული უფლებები მოცემულია ფორმალურ და ტექნიკურ ენაზე, შესაბამისად, რთულია მათი გაგება. მეტიც, არც ერთ ქვეყანაში არ არის მოთხოვნა, რომ შესაბამისმა თანამდებობის პირმა შეამოწმოს, რამდენად გასაგებია ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირისთვის უფლებების განმარტება.

## 2.2 ინფორმაცია დაპატიმრების, ბრალდების ხასიათისა და მიზეზის შესახებ

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5(2) მუხლი საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრავს დაპატიმრებული პირის უფლებას, რომ დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგებ ენაზე იყოს ინფორმირებული დაპატიმრების მიზეზების შესახებ. თუმცა, ამ სფეროში ეფექტური რეგულირება რთულია. ყველა იურისდიქციაში შესაძლებელია გარკვეულ გარემოებებში, შესაბამისი ბრძანებისა და სხვა გადაწყვეტილების გარეშე დაპატიმრება (*in flagrante delicto* დაპატიმრება). როგორც წესი, ამგვარი დაპატიმრებები ხორციელდება ზედამხედველობის გარეშე ან საზოგადოებრივი თვალთახედვის მიღმა. რადგან ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას ყველა ქვეყანაში აქვს პირდაპირ მოქმედების ძალა, როგორც ჩანს, კანონი შესაბამისობაშია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მოთხოვნებთან. თუმცა, ამავე ქვეყნების უმრავლესობაში ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება პრაქტიკაში ირღვევა. უკრაინაში ვალდებულება სრულდება მხოლოდ ფორმალურად დაპატიმრების დროს, მაგრამ ფორმალურ პროცესს წინ უსწრებს არაოფიციალური პროცედურები და ამ დროს, მაღალი ალბათობით, დე ფაქტო დაკავებულ პირს საჭირო ინფორმაცია არ მიეწოდება. ბულგარეთში სახეზეა ვალდებულების ხშირად დარღვევის მტკიცებულებები, ხოლო საქართველოში ამ ინფორმაციის მიწოდება, როგორც წესი, ხდება არა „დაკავების ადგილას“, არამედ მოგვიანებით.

პირისათვის ბრალდების, ან ბრალდების ხასიათისა და მიზეზის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მომდინარეობს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5(2) და მე-6(3)(a) მუხლებიდან. ინფორმაცია პირს უნდა მიეწოდოს დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგებ ენაზე. ინფორმაციის შინაარსი კი დამოკიდებულია კონკრეტულ ფაქტებზე. ამ უფლების მთავარი არსი ისაა, რომ პირმა გაიგოს ბრალდების ყველა ასპექტი, რათა შეძლოს დაკავების გასაჩივრება ან დაცვის პოზიციის მომზადება. არც ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია და არც ევროპის კავშირის დირექტივა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არ აკონკრეტებს ინფორმაციის მიწოდების ფორმას, თუმცა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მიუთითებს წერილობით ფორმაზე. ევროპის კავშირის დირექტივა ითვალისწინებს დაპატიმრებული პირისა ან მის ადვოკატის ხელმისაწვდომობას საქმის მასალებზე, რომლებიც მისი დაპატიმრების ან დაკავების კანონიერებას ეხება.<sup>446</sup>

დაპატიმრების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ფორმალურად დაცულია ხუთივე ქვეყანაში, თუმცა, ძირითადი პრობლემები მოცემული ვალდებულებების პრაქტიკული იმპლემენტაციის დროს იქმნება. პოლიცია და საგამოძიებო ორგანოები სამართლებრივი ვალდებულების მინიმუმს ასრულებენ, მაგრამ ხშირად უგულვებელყოფენ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს

445 ლიტვაში 2008 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პოლიციელთა 50%-ზე ნაკლები ყოველთვის ახდენს ეჭვმიტანილების ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ. იხილეთ თავი 5, ნაწილი 3.1.1.

446 იხილეთ თავი 2, ნაწილი 4.2.

ინფორმაცია უნდა მიენოდოს იმ ფორმით, რომ პირმა ნათლად აღიქვას თავისი უფლებები. შედეგად, ისედაც მცირე შესაძლებლობის მქონე ეჭვმიტანილს/ბრალდებულს, ამ ეტაპზე ეზღუდება ადვოკატთან ხელმისაწვდომობა (იხილეთ 5.2. ნაწილი) და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, რომელიც საშუალებას მისცემდა მას გაესაჩივრებინა დაკავების კანონიერება ან მომზადებულიყო დაცვისთვის, ეფექტურად დაეცვა საკუთარი თავი ან მონაწილეობა მიეღო პროცესში.

### 2.3 ინფორმაცია მატერიალურ მტკიცებულებაზე

თუ კანონის საფუძველზე არა, პრაქტიკაში მაინც, პოლიციას და პროკურატურას სავარაუდო დანაშაულის გამოძიებასა და მტკიცებულებათა შეგროვებაზე ძალაუფლება და რესურსებიც თითქმის მონოპოლიზებული აქვთ (იხილეთ ნაწილი 7.1. ზევით). პოლიციისა ან პროკურატურის ხელთ არსებულ მატერიალურ მტკიცებულებაზე ხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანესია ბრალდებულთათვის, რომ პირადად ან ადვოკატის მეშვეობით დაიცვას თავი და ადეკვატურად მოემზადოს წინასასამართლო განხილვებისა და ძირითადი პროცესისათვის. დაცვის მიერ მატერიალურ მტკიცებულებებზე ხელმისაწვდომობის კუთხით ორი ძირითადი საკითხია აღსანიშნავი: (1) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ეტაპი; და (2) ხელმისაწვდომობის ფარგლები.

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(b) მუხლის თანახმად, ბრალდებულ პირს უნდა მიეცეს ადეკვატური დრო და საშუალება საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. ეს იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ უფლება მოიცავს ადეკვატურ დროში შესაბამის მასალებზე ხელმისაწვდომობასაც. ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ ითვალისწინებს საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობას დანაშაულის გამოძიების დასრულებისთანავე და, ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, გარკვეული დროით ადრე, რომ შესაძლებელი იქნეს დაცვის მომზადება. იმის გათვალისწინებით, რომ წინასასამართლო სხდომები ხშირად გამოძიების პროცესში ტარდება, ევროპის კავშირის დირექტივა შეიძლება არ იყოს საკმარისი ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირისთვის საქმის არსებითი განხილვისთვის საჭირო მასალებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, პირს რომლის მიმართაც ხდება წინასწარი პატიმრობის შეფარდება, ხელი უნდა მიუწვდებოდეს საგამოძიებო მასალების იმ დოკუმენტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული შუამდგომლობის ეფექტურად გასაჩივრებისთვის (რაც აგრეთვე მოცემულია ევროპის კავშირის დირექტივაში ინფორმაციის უზრუნველყოფის უფლების შესახებ).

კვლევაში განხილულ ყველა ქვეყანაში მოქმედებს ინკვიზიციური მართლმსაჯულების ტრადიციების მქონე იურისდიქციებისთვის დამახასიათებელი „საქმის მასალების“ სისტემა. ყველა ქვეყნის კანონმდებლობა უზრუნველყოფს ბრალდებულ პირს უფლებას ჰქონდეს საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა გამოძიების დასრულების შემდეგ. როგორც კანონმდებლობა, ისე პრაქტიკაც შესაბამისობაშია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციასა და ევროპის კავშირის სტანდარტებთან. ბულგარეთსა და მოლდოვაში კანონი ეჭვმიტანილ პირს ანიჭებს მისი მონაწილეობით ჩატარებული პროცედურული მოქმედებების მასალებზე ხელმისაწვდომობის უფლებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა გამოძიება ჯერ არ არის დასრულებული. თუმცა, მოლდოველი ადვოკატები ყურადღებას ამახვილებენ პრაქტიკაში არსებულ ისეთ სირთულეებზე, როგორიცაა დროისა და ასლის გადამღები საშუალების უქონლობა.<sup>447</sup> საქმის წინასწარ განხილვამდე პროკურორის ხელთ არსებული მასალების ხელმისაწვდომობა ხშირად არ არის უზრუნველყოფილი. უკრაინის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა ცალსახა წინააღმდეგობა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5(4) მუხლის მოთხოვნებთან, ვინაიდან კანონი არ აძლევს ბრალდებულს საქმის მასალების შესწავლის უფლებას საქმის წინასწარ განხილვამდე, ამასთან მოსამართლემ უნდა შეისწავლოს მტკიცებულება *in camera*. 1990-

447 იხილეთ კეიპი, et al, 2010, გვერდი 557.

იან წლებში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ რამდენიმე უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლო განხილვამდე დოკუმენტების ხელმოწვევად დაკავშირებით, მაგრამ მიუხედავად იურიდიული რეფორმებისა, დაცვის ადვოკატები მაინც მიუთითებენ მანკიერ პრაქტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვის კანონი ითვალისწინებს ბრალდებულისა და მისი ადვოკატის უფლებას წინდაწინ „გაეცნონ“ წინასწარი პატიმრობის დამასაბუთებელ მასალებს, პრაქტიკაში სასამართლო განხილვამდე ბრალდებულისთვის მასალების წარდგენა არ ხდება.

რაც შეეხება პოლიციისა და პროკურატურის მიერ სასამართლოს წინაეტაპზე შეკრებილ მტკიცებულებებს, თუ ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ პირდაპირ აცხადებს, რომ ბრალდებულს უნდა მიეცეს საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა პროკურატურის ორგანოებისგან ითხოვს ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული ყველა მატერიალური მტკიცებულების გასაჯაროებას. ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს ლეგიტიმური მიზნით იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია და შეიძლება დაბალანსდეს სხვა მექანიზმებით.<sup>448</sup> ხუთივე ქვეყნის კანონით გარანტირებულია ბრალდებულის ხელმისაწვდომობის უფლება გამოძიების დასრულების შემდეგ საქმის ყველა მასალაზე. თუმცა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოთხოვნა ეხება არა მხოლოდ საქმის მასალებს, არამედ ვრცელდება ბრალდებულის საწინააღმდეგოდ ან სასარგებლოდ არსებულ ყველა მტკიცებულებაზე. თეორიულად, საქმის მასალები უნდა შეიცავდნენ გამოძიების შედეგად მოპოვებულ ყველა მატერიალურ მტკიცებულებას, პრაქტიკაში კი პროკურატურა იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული მტკიცებულების საქმეში მოთავსების შესახებ. მოლდოვაში ბრალდებულს არ აქვს ხელმისაწვდომობა მტკიცებულებაზე, რომელიც საქმის მასალებში არ არის, პროკურორი კი ვალდებულია აცნობოს ბრალდებულს ნებისმიერი მტკიცებულების შესახებ.<sup>449</sup> უკრაინაში საქმის მასალები მოიცავს მხოლოდ გამოძიების ფორმალურად დაწყების შემდეგ მოპოვებულ მტკიცებულებებს. გამოძიების დაწყებამდე მოპოვებული მტკიცებულება არ შეიძლება იქნეს გამოყენებული სასამართლოში. პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ ეს შეიძლება გახდეს საქმის მასალებიდან გამამართლებელი მტკიცებულების გამორიცხვის საფუძველი. როგორც ჩანს, ამ ორ ქვეყანაში პოლიციას და/ან პროკურორს მიკერძოებული მოქმედების შესაძლებლობა აქვთ, რაც წინააღმდეგობაში მოდის შეჯიბრებითი ფორმით მხარეთა თანასწორობის პრინციპსა და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. ბულგარეთსა და ლიტვაში არ არის გასაჯაროების სისტემა, რაც ბრალდებულს მტკიცებულებათა გაცნობის საშუალებას მისცემდა. პროკურორის ხელში არსებული მტკიცებულების გასაჯაროების პროცედურების დადგენა სათანადო ყურადღებას მოითხოვს. 2010 წელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა დაცვას მიანიჭა პროკურორის ხელში არსებული მტკიცებულებათა მოპოვების უფლება, რაც პროგრესულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს.<sup>450</sup>

### 3. დაცვისა და უფასო იურიდიული დახმარების უფლება

როგორც უკვე აღინიშნა, დაცვის უფლება შედგება ორი სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული უფლებისგან: ექვმიტანილი ან ბრალდებული პირის უფლება დაიცვას საკუთარი თავი და იურიდიული დახმარების უფლება. უფლების ორივე ასპექტი გარანტირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(C) მუხლით და იურიდიული დახმარების უფლება

448 იხილეთ მეორე თავი, ნაწილი 4.3.

449 თუმცა რეალურად შეუძლებელია სრული გასაჯაროების უზრუნველყოფის შემოწმება. მაშინაც კი, როდესაც დაცვის ადვოკატს შეუძლია მოითხოვოს მტკიცებულების ნახვა, პრაქტიკაში ადვოკატის მოთხოვნა იშვიათად კმაყოფილდება. იხილეთ მე-6 თავი, ნაწილი 3.1.

450 იხილეთ მე-4 თავი, ნაწილი 3.4.1.



რეგულირდება ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივით იურისტთან ხელმისაწვდომობის შესახებ. პრინციპის დონეზე, პირის უფლება დაიცვას საკუთარი თავი გარანტირებულია კვლევის ხუთივე ქვეყნის კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. თუმცა, ეს უფლება მრავალნაზნაგოვანია, ვინაიდან არის სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანესი ელემენტი და მჭიდრო კავშირშია ისეთ უფლებებთან როგორცაა, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან დაცვის გარანტია და მონაწილეობის უფლება. ის არ არის აბსოლუტური უფლება, რადგან ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო აღიარებს გარკვეულ გარემოებებში პირადი მონაწილეობის შეზღუდვის შესაძლებლობას (მაგალითად, გარკვეული კატეგორიის მონაცვლადი მოწმეების დაკითხვის დროს) და გარკვეულ შემთხვევებში ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირი შეიძლება გახდეს იურისტის მხრიდან სავალდებულო დაცვის ობიექტი. იურისდიქციების უმეტესობაში სავალდებულო დაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული იურიდიულ დახმარებასთან, რაც ქვევით დამატებით არის განხილული.

სავალდებულო დაცვასთან ერთად ამ ანალიზში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ დაცვის უფლების მეორე ასპექტზე - პირის უფლებაზე მიიღოს ადვოკატის დახმარება. ამ საკითხზე მსჯელობისას, ჩვენ განვიხილავთ უფლების წარმოშობისა და პირველი დაკითხვის დროს ადვოკატის მონაწილეობის საკითხს. ასევე ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის გარანტიებს.

ამ საკითხებზე უკანასკნელ წლებში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა და ადვოკატთან ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივა არაერთხელ გახდა კრიტიკის საგანი.<sup>451</sup>

იურიდიული დახმარების - განსაკუთრებით საგამოძიებო ეტაპზე - მიღების პრაქტიკული საკითხების ანალიზის დროს მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ადვოკატთან ხელმისაწვდომობის უფლება „თეორიული და ილუზორულია“, თუ „პრაქტიკული და ეფექტური“.<sup>452</sup> დასასრულ, ჩვენ ვიმსჯელებთ ეჭვმიტანილების და ბრალდებულებისთვის იურიდიული დახმარების გამწვევი ადვოკატების როლზე, დამოუკიდებლობასა და სტანდარტებზე.

### 3.1 სავალდებულო იურიდიული დახმარება

სავალდებულო დაცვა, ერთი მხრივ, უკავშირდება პრინციპულ საკითხებს რომლებიც ინდივიდის უფლებების ცნებასა და თვითჩამოყალიბებას ეხება და, მეორე მხრივ, ისეთ პრაქტიკულ საკითხებს, როგორცაა უფლებაზე უარის თქმა ან ადვოკატის მოქმედების ფარგლები, როცა კლიენტს არა აქვს სურვილი წარმოადგენდეს ადვოკატი.<sup>453</sup> უფლებაზე უარის თქმისა და არჩევანის საკითხის განხილვისას, ყურადღებას გავამახვილებთ ხუთ ქვეყანაში სავალდებულო დაცვისა და იურიდიული დახმარების დებულებებზე, რადგან ისინი ხშირად ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. სავალდებულო დაცვა დამახასიათებელია ინკვიზიციური ტრადიციების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებისთვის<sup>454</sup> და ხუთივე ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები ითვალისწინებს სავალდებულო დაცვას.

451 იხილეთ თავი 2, ნაწილები 5.3. და 5.4.

452 Artico v. Italy (1981) 3 EHRR 1, Airey v. Ireland (1979) 2 EHRR 305; ECtHR, 9 ოქტომბერი 2008, Moiseyev v. Russia, No. 62936/00, პარაგრაფი 209; და ECtHR 24 სექტემბერი 2009, Pishchalnikov v. Russia, No. 7025/04, პარაგრაფი 66, და იხილეთ თავი პირველი, ნაწილი 4.2

453 იხილეთ მეორე თავი, 5.1.

454 მაგრამ არა იქ, სადაც შეჯიბრებითი ტრადიციებია. ინგლისსა და უელსში, მაგალითად, არ არის ტრადიცია სავალდებულო დაცვის, თუმცა უკანასკნელ პერიოდში მიღებულ იქნა დებულებები ადვოკატის სავალდებულო დანიშვნის შესახებ გარკვეულ შეზღუდულ შემთხვევებში. იხილეთ კეიპი et al. 2010, გვერდი 126.



ყველა ქვეყანაში სავალდებულო დაცვა ინიშნება ექვმიტანილისა და ბრალდებულის მახასიათებლების გათვალისწინებით - კერძოდ, არასრულწლოვნების, შეზღუდული ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობების, პროცესის ენის არ ცოდნის ან არასრულყოფილად ცოდნის შემთხვევაში. ბულგარეთში, ლიტვასა და უკრაინაში სავალდებულო დაცვა ასევე ვრცელდება არასმქონე ბრალდებულის შემთხვევაში. ქვეყნების უმრავლესობაში სავალდებულო დაცვა ინიშნება თუ-კი ბრალდებული არ იმყოფება სასამართლო პროცესზე.

სავალდებულო დაცვა შეიძლება უკავშირდებოდეს სავარაუდო დანაშაულის სიმძიმეს და/ან პროცესის სირთულეს. მაგალითად, საქართველოში, უკრაინაში, მოლდოვასა და ლიტვაში სავალდებულო დაცვის დებულებები გამოიყენება თუ სავარაუდო დანაშაულის მაქსიმალური სასჯელი უვადო პატიმრობაა, ბულგარეთში კი - როდესაც მაქსიმალური სასჯელი შეიძლება იყოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. უკრაინაში ჩატარებული კვლევა, ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადასტურებს, რომ პოლიცია, სავალდებულო დაცვის თავიდან აცილების მიზნით, ხშირად სავარაუდო დანაშაულის კვალიფიკაციას ცვლის იმ დეფინიციით, რომელიც არ ითვალისწინებს სავალდებულო დაცვას, ხოლო შემდგომ ეტაპზე ამძიმებს დანაშაულის კვალიფიკაციას. ზოგიერთ იურისდიქციაში სავალდებულო დაცვა ინიშნება პროცესის ეტაპიდან და ხასიათიდან გამომდინარეც. მაგალითად, ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს შემთხვევაში საქართველოში და საკასაციო საჩივრის განხილვისას - ბულგარეთში. ლიტვასა და მოლდოვაში სავალდებულო დაცვა გამოიყენება დაპატიმრებული პირის მიმართ.

ქვეყნებში, სადაც მოქმედებს ისეთი პროცედურული მექანიზმები, როგორცაა დაჩქარებული პროცესი და საპროცესო შეთანხმება, ადვოკატის მონაწილეობა საქმეში აუცილებელია. მაგალითად, საქართველოში საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებულს უნდა ყავდეს სამართლებრივი წარმომადგენელი. ლიტვაში დაჩქარებული სამართალწარმოება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ პირი წარმოდგენილია ადვოკატით. სავალდებულო დაცვის შემთხვევაში რეალური იურიდიული დახმარების განხორციელებისთვის აუცილებელია ბრალდებულისთვის და მისი ადვოკატისთვის საჭირო ინფორმაციის, დროისა და რესურსის მიცემა. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ხშირად სამართლიანი პროცესის მხოლოდ იმიტაცია ხდება. ეფექტური იურიდიული დახმარება აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროცედურულმა მექანიზმებმა არ გააუფასურონ სამართლიანი სასამართლოს უფლებები.

### 3.2 როდის გამოიყენება იურიდიული კონსულტაციის უფლება

არცერთ ქვეყანაში საკამათო არ არის ბრალდებული პირის უფლება იურიდიულ დახმარებაზე. თუმცა უფრო რთულია ვითარება, როდესაც საქმე ეხება იურიდიული დახმარების/კონსულტაციის უფლების წარმოშობის საკითხსა და დროს, ისევე როგორც საგამოძიებო ეტაპზე ადვოკატის მონაწილეობას და გადახდის უუნაროთათვის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფას. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს *Salduz* დოქტრინის მიხედვით, გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, იურიდიული კონსულტაციის უფლება წარმოიშვება არა უგვიანეს პოლიციის მიერ ბრალდებულის პირველი დაკითხვის მომენტისა. ევროპის კავშირის წარმოდგენილი დირექტივა იურისტთან ხელმისაწვდომობის შესახებ ზოგადად განსაზღვრავს, რომ უფლება გამოიყენება იმ მომენტიდან, როდესაც კომპეტენტური ორგანოები პირს აცნობებენ, რომ ის ექვმიტანილია ან ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და განსაკუთრებით პირის თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან პოლიციის მიერ მისი დაკითხვის დაწყებამდე.<sup>455</sup>

ხუთივე ქვეყნის კონსტიტუციები და/ან სისხლის სამართლის კოდექსები ითვალისწინებენ იურიდიული კონსულტაციის უფლებას არა უგვიანეს პოლიციის მიერ ექვმიტანილის/ბრალდებულის პირველი

455 იხილეთ მეორე თავი, ნაწილი 5.3.

დაკითხვისა და ადრეულ ეტაპზეც, პირის ეჭვმიტანილად ცნობის ან მისი დაპატიმრების მომენტიდან. ითვლება, რომ ყველა ქვეყანა აკმაყოფილებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტანდარტებს და მათი უმეტესობა კი აკმაყოფილებს ევროპის კავშირის სტანდარტებს. თუმცა, პრაქტიკაში დაპატიმრებულთა, დაკავებულთა თუ დაკითხულთა ძალიან მცირე ნაწილს მიუხედავად ხელი იურიდიულ კონსულტაციაზე, რაც, ტექნიკური ხასიათის პრობლემებთან ერთად, სისტემური პრობლემების შედეგია.

მაგალითად, მოლდოვაში იურიდიული კონსულტაციის უფლება წარმოიშვება ეჭვის ან ბრალდების შესახებ პირის ინფორმირების ან მისი დაპატიმრება/დაკავების შემდეგ. პირს უფლება აქვს პირველ დაკითხვამდე გაესაუბროს იურისტს. ამიტომ პოლიცია აფერხებს ფორმალური გამოძიების დაწყებას, რაც მას საშუალებას აძლევს მიიღოს ჩვენება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. შესაძლოა არ მოხდეს ამ ჩვენებების საქმის მასალებში ასახვა, თუმცა ისინი თავისთავად საინტერესოა გამოძიებისთვის. ბულგარეთში მოწმეს აქვს ადვოკატთან კონსულტაციის უფლება, თუმცა ადვოკატს არა აქვს ჩვენების მიცემაზე დასწრების უფლება. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბევრ იურისდიქციაში პოლიცია ზენოლას ახდენს დაკავებულზე იმ მიზნით, რომ მან უარი თქვას იურიდიული კონსულტაციის უფლებაზე, რაც, დადასტურების შემთხვევაში, ცალსახად იქნება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის დარღვევა. დე ფაქტო ეჭვმიტანილების, როგორც მოწმეების, განხილვა დაგმოიხილ იქნა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ.<sup>456</sup> უკრაინაში იურიდიული კონსულტაციის უფლების აცილება და შესაბამისად, ევროპული სტანდარტების დარღვევა, უფრო მეტად ენდემურ ხასიათს ატარებს. კანონით გარანტირებული უფლების იგნორირება ხდება ჩვეულებრივი არაფორმალური ან ოფიციალური დაკავებისას (რამდენიმე საათიდან - რამდენიმე დღემდე). ეს პრაქტიკა რამდენჯერმე დაგმო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ.<sup>457</sup>

უფრო საკამათოა დაკითხვის დროს ადვოკატის დასწრების თემა. დაკითხვის დროს დასწრების უფლება. როგორც მეორე თავში აღინიშნა, დაკითხვის დროს იურისტის დასწრების უფლებას, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, აღიარებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, თუმცა ეს უფლება მაინც ნაკლებად გამოიყენება და ისიც რამდენიმე ევროპულ იურისდიქციაში.<sup>458</sup>

როგორც ჩანს, ხუთივე ქვეყანაში ადვოკატის დასწრების უფლება ფორმალურად აღიარებულია და ზოგიერთ მათგანში (მაგალითად მოლდოვა), დაკითხვის დროს ადვოკატის დასწრება სავალდებულოა. თუმცა, ქვეყნების უმეტესობაში საკმაოდ იშვიათია ადვოკატების დასწრება დაკითხვის დროს. არსებობს მტკიცებულება, რომ ზოგიერთი ადვოკატი შეთანხმებულია პოლიციასთან და ოქმს ხელს აწერს დაკითხვის პროცესზე დასწრების გარეშე.

იურიდიული კონსულტაციის უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლება პირდაპირ არ წერია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადასტურა მისი მნიშვნელობა და განმარტა ადვოკატ/კლიენტის კომუნიკაციის, როგორც „სამართლიანი პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნის“ მნიშვნელობა.<sup>459</sup>

ევროპის კავშირის იურისტთან ხელმისაწვდომობის წარმოდგენილი დირექტივა ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ადვოკატ/კლიენტის შეხვედრებისა და კომუნიკაციის კონფიდენციალობა

456 იხილეთ ECtHR 14 ოქტომბერი 2010, Brusco v. France, No. 1466/07, და იხილეთ ზოგადად მეორე თავი, ნაწილი 5.3. იმის მსგავსი პრობლემები, როგორცაა ბულგარეთსა და მოლდოვაში, აღმოჩენილ იქნა სხვა ევროპულ იურისდიქციებში. იხილეთ კეიპი et al. 2010, გვერდი 584 (უნგრეთი, იტალია და პოლონეთი), და კეიპი et al. 2007, გვერდი 113 (საბერძნეთი).

457 იხილეთ მე-7 თავი, ნაწილი 1.3.2.

458 იხილეთ მაგალითად, ნიდერლანდებში.

459 ECtHR 12 მაისი 2005, Öcalan v. Turkey, No. 46221/99.

(მე-7 მუხლი). ზოგადად, ხუთივე ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, მაგრამ, როგორც ჩანს, პრაქტიკაში ეს სტანდარტები პერიოდულად მაინც ირღვევა. ზოგჯერ ეს გამოწვეულია დაწესებულების ინფრასტრუქტურით, მაგალითად, ბულგარეთისა და მოლდოვის პოლიციის განყოფილებებში კერძო კონსულტაციის ოთახების არარსებობით. ტექნიკური პრობლემების მოგვარება შესაძლებელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით ან შესაბამისი პროცედურების დადგენით. როგორც ჩანს, ადვოკატებიც პასიურობენ და არ ითხოვენ კერძო ოთახებს (მაგალითად მოლდოვაში) ან არ მიდიან კლიენტების მოსანახულებლად დროებითი დაკავების (უმეტესობა ქვეყნებში) და წინასწარი პატიმრობის (მაგალითად, ბულგარეთსა და მოლდოვაში) ადგილებში. რამდენიმე იურისდიქციაში კონფიდენციალობის დარღვევა განპირობებულია ხელისუფლების ორგანოების თანამდებობის პირების მხრიდან განზრახ ჩარევით. ასე მაგალითად, პატიმრების მიმონერა კონტროლდება ლიტვასა და უკრაინაში, საქართველოში კი დარღვეულია ადვოკატის მასალების ხელშეუხებლობა. კონფიდენციალობის დარღვევის მანკიერი პრაქტიკის შეცვლა შეუძლებელია პოლიტიკური ნების, ხელისუფლების და სასამართლო ორგანოების შეთანხმებული მოქმედების გარეშე.

### 3.3 ადვოკატთან ხელმისაწვდომობის პრაქტიკული პირობები

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანონით გარანტირებულია იურიდიული კონსულტაციის უფლება და არც პოლიცია ქმნის სირთულეებს, ამ უფლების „პრაქტიკულობა და ეფექტურობა“ დამოკიდებულია პროცედურებზე და გადაწყვეტილების მიღების სქემაზე. დროის შეზღუდვების გათვალისწინებით საგამოძიებო ეტაპზე იურისტის სწრაფი მონაწილეობის სპეციალური პროცედურა უნდა არსებობდეს (ამასთან, იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები სწრაფად უნდა მიიღებოდეს). ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ვერ დაადგენს დეტალურ სტანდარტებს. სასამართლო დაინტერესებულია რომ უფლება იყოს პრაქტიკული და ეფექტური, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯები ამისთვის სახელმწიფოებმა უნდა გადადგან. ევროპის კავშირის დირექტივა იურისტის ხელმისაწვდომობის შესახებ მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა ხელმისაწვდომობას ადვოკატთან, მაგრამ ის ვერ განსაზღვრავს კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს.

იურიდიული კონსულტაციის უფლება არ ჩაითვლება რეალურად, თუ შესაბამისი პირობები არ იქნება უზრუნველყოფილი, კერძოდ: ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებს არ ეცოდინებათ მათი უფლებები, ვერ დაუკავშირდებიან ადვოკატს, ადვოკატები ვერ შეძლებენ დროულად და მოკლე ვადაში მონახულონ დაცვის ობიექტები. შესაბამისად, კვლევის დროს ჩვენ შევისწავლეთ არსებული პროცედურები და ამ მიმართულებით არსებული პრობლემები.

მოლდოვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს ადვოკატთან ხელმისაწვდომობისა და იურიდიული დახმარების საკითხს. სწრაფი იურიდიული დახმარებისა და მორიგე ადვოკატის სისტემის შემოღებამ, როგორც ჩანს, პრაქტიკაში ხელმისაწვდომობა გააუმჯობესა. ლიტვაში იურიდიული დახმარების კოორდინატორი ორგანიზებას უწევს მორიგე ადვოკატებს და სავალდებულო დაცვის შემთხვევებში ნიშნავს ადვოკატს, თუმცა, ამ სისტემის ძირითადი პრობლემას წარმოადგენს განგრძობადობა, რამდენადაც სისხლის სამართლის პროცესის ყოველ ეტაპზე თავიდან ხდება ადვოკატის დანიშვნა. ბულგარეთში, საქართველოსა და უკრაინაში სწრაფი იურიდიული დახმარების სისტემები არ არსებობს ან არაეფექტურია. ბულგარეთში იურიდიული დახმარების საქმეებში ადვოკატის დანიშვნა ხდება ადგილობრივ ადვოკატთა ასოციაციის მიერ საგამოძიებო ან სასამართლო ორგანოების შეტყობინების საფუძველზე. ეს სისტემა 2005 წელს ამოქმედდა, ე.წ. „ჯიბის ადვოკატების“ მანკიერი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. ადვოკატთა ასოციაცია პოლიციას აწვდის იმ ადვოკატთა სიას, რომლებიც მზად არიან მიიღონ სასწრაფო იურიდიული დახმარების მოთხოვნა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ჯიბის ადვოკატების“ პრობლემა მოგვარებულია. იურიდიული დახმარების საქმეებში, დაკავების ადრეულ ეტაპზე ადვოკატის დანიშვნის ეფექტური სისტემა არც საქართველოში მოქმედებს. სავალდებულო დაცვის დროს

და ბრალდებულის გადახდისუუნარობის დროს იურიდიული დახმარების ადვოკატის დანიშვნის სისტემა, როგორც ჩანს, საკმაოდ ბიუროკრატიულია, ვინაიდან პროკურორი ან სასამართლო ორგანო ჯერ „შესაბამის სამსახურს“ უგზავნის მოთხოვნას, რომელიც, თავის მხრივ, აგზავნის მოთხოვნას უფასო იურიდიული დახმარების სამსახურში და ეს უკანასკნელი კი ნიშნავს ადვოკატს საქმეზე. უკრაინაში არ არსებობს პოლიციის განყოფილებებში იურიდიული დახმარების სისტემა და „ჯიბის ადვოკატების“ პრობლემა კვლავაც აქტუალურია.

### 3.4 არჩევანი და იურიდიული დახმარება

კვლევაში განხილული ხუთივე ქვეყნისათვის საერთოა ის, რომ მათ უახლოეს წარსულში (ბოლო 10 წელი) მიიღეს ან აპირებენ რომ მიიღონ უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონები და გაატარეს რეფორმა. ბულგარეთში, საქართველოსა და მოლდოვაში შეიქმნა დამოუკიდებელი ან ნაწილობრივ დამოუკიდებელი იურიდიული დახმარების მართვის დანესებულებები (იურიდიული დახმარების საბჭოები). ლიტვაში არსებობს ტერიტორიული მართვის სტრუქტურები, ხოლო უკრაინაში რეფორმა განხორციელების პროცესშია. საქართველოსა და მოლდოვის იურიდიული დახმარების სისტემა მოიცავს საზოგადოებრივი დამცველის მოდელს, სადაც საქმეების უმეტესობას საზოგადოებრივი ადვოკატები ახორციელებენ.

იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის სტრუქტურები და მექანიზმები არ ექცევა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს კომპეტენციაში. უფასო იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(C) მუხლი ადგენს, რომ იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უფასოდ, თუ ბრალდებულ პირს არა აქვს საშუალება გადაიხადოს (საშუალებათა ელემენტი) და ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები (არსობრივი ელემენტი). მართალია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი საშუალებათა ელემენტზე შეზღუდულია, მაგრამ დადგენილია, რომ როცა გადახდისუუნარობის მტკიცების ტვირთი აკისრია ეჭვმიტანილს/ბრალდებულს, მათ არ ჭირდებათ ამის მტკიცება ყოველგვარი ეჭვის მიღმა. პრეცედენტული სამართალი შეზღუდულია არსობრივ ელემენტზეც, მაგრამ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, იურიდიული დახმარების აუცილებლობის დადგენისას, შესაბამისმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს სავარაუდო დარღვევის სერიოზულობა და პოტენციური სასჯელი, საქმის კომპლექსურობა და ბრალდებულის სოციალური და პერსონალური მდგომარეობა. არსობრივი მდგომარეობა უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, როდესაც თავისუფლების შეზღუდვას აქვს ადგილი. იურიდიული დახმარების ადვოკატების ანაზღაურების საკითხი არ განხილულა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ<sup>460</sup> (რასაც შეიძლება ქონდეს გავლენა როგორც იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობაზე, ისევე ხარისხზე).

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(C) მუხლი ადასტურებს ბრალდებულის პირის უფლებას აირჩიოს ადვოკატი, თუ ის საკუთარი ხარჯით ქირაობს ადვოკატს. მართალია, უფასო იურიდიული დახმარების დროს არ მოქმედებს არჩევის უფლება, თუმცა ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ეჭვმიტანილის და ბრალდებულის მოსაზრებები.<sup>461</sup>

უფასო იურიდიული დახმარების უფლების წინაპირობაა იურიდიული კონსულტაციის უფლება. საინტერესოა ქვეყნების გამოცდილება იმაზე, თუ როგორ ცდილობენ სამართალდამცავი ორგანოები თავი აარიდონ პროცედურული უფლებებისა და იურიდიული კონსულტაციის უფლების ეფექტურ რეალიზებას. (იხილეთ 5.2 ნაწილი). ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ კვლევის ყველა ქვეყანაში მცირეა იმ ეჭვმიტანილთა რაოდენობა, რომელთაც გამოძიების ეტაპზევე აქვთ იურიდიულ კონსულტაციაზე ხელმისაწვდომობა და ამის ერთ-ერთი მიზეზი არის უფასო იურიდიული დახმარების სირთულეები. იმ შემთხვევაშიც კი

460 იხილეთ მეორე თავი, ნაწილი 5.6.

461 იხილეთ მეორე თავი, ნაწილი 5.6.



თუ უფასო იურიდიული დახმარება, პრინციპის დონეზე, ხელმისაწვდომია, ის შეიძლება არ მოქმედებდეს პრაქტიკაში. ამის ნათელი მაგალითია მოლდოვა, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს დაპატიმრებული პირის უფლებას უფასო იურიდიულ დახმარებაზე მისი ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად, ვიქტიმიზაციის კვლევა (დაპატიმრებულის სტატისტიკის შედარება სწრაფი იურიდიული დახმარების მონაცემებთან) ადასტურებს, რომ პოლიციაში დაბარებულ ან დაპატიმრებულ პირთა მხოლოდ 10%-ს ჰქონდა ადვოკატის გამოძახების საშუალება.

კვლევის ქვეყნებში სავალდებულო დაცვის ობიექტები ავტომატურად აკმაყოფილებენ არსობრივ ტესტს, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში მათ შეიძლება დაეკისროთ იურიდიული დახმარების ხარჯების ანაზღაურება მსჯავრდების შემთხვევაში, მაგალითად, ბულგარეთსა და უკრაინაში (თუმცა ბულგარეთში ანაზღაურების რაოდენობა დაბალია). არსობრივი ტესტის გამოყენებისას, ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად ლიტვა) ეროვნული რეგულაციით განისაზღვრება ფინანსური შესაძლებლობების დადგენის პროცედურა და შემოსავალი, რომელზეც არის დამოკიდებული ეკუთვნის თუ არა პირს უფასო იურიდიული დახმარება. ბულგარეთში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული შემოსავლის ოდენობა უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად. ქვეყნების მიხედვით განსხვავდება სავალდებულო დაცვის დროს ფინანსური მდგომარეობის ტესტის გამოყენების პრაქტიკა და ასევე პროცესის ეტაპები, რომლებზეც გამოიყენება იურიდიული დახმარება. მეტიც, დასაშვებობის წესები ხშირად მკაფიოდ არ არის განსაზღვრული იმისთვის, რომ ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა იცოდნენ, არიან თუ არა უფლებამოსილი უფასო იურიდიულ დახმარებაზე. ლიტვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მეტნაკლებად იმეორებს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(c) მუხლის დებულებებს, რომლებიც, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მიუთითებენ მხოლოდ იურიდიული კონსულტაციის აუცილებლობაზე. ბულგარეთში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას განსაზღვრავენ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები.

იმის გათვალისწინებით რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცხადად არ არეგულირებს ამ საკითხს, რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად აკმაყოფილებენ კვლევის ქვეყნები ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მოთხოვნებს უფასო იურიდიულ კონსულტაციასთან დაკავშირებით.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს მონვეული ადვოკატის არჩევანის თავისუფლებას. თუმცა, გარკვეული უკმაყოფილება არსებობს, მაგალითად საქართველოში, რომ პროკურორები ზოგიერთ შემთხვევაში ზენოლას ახდენენ ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებზე და მოუწოდებენ აირჩიონ კონკრეტული ადვოკატი. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია იურიდიული დახმარების საქმეებში ითვალისწინებს არჩევანის შეზღუდვის შესაძლებლობას და როგორც ჩანს, ყველა ქვეყანაში არჩევანი შეზღუდულია. მართალია ლიტვის კანონი ითვალისწინებს იურიდიული დახმარების სამსახურის ვალდებულებას, მხედველობაში მიიღოს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირის სურვილი, მაგრამ პრაქტიკაში ეს ნორმა არ გამოიყენება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უფასო იურიდიული დახმარების ადვოკატების ანაზღაურების საკითხზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს არ უმსჯელია, ამიტომ რთულია ანაზღაურების ადეკვატურობის შეფასება სხვადასხვა ქვეყანაში - ცხოვრების განსხვავებული სტანდარტის, იურიდიული დახმარების ანაზღაურების რეჟიმის სირთულისა და კერძო ადვოკატების ანაზღაურების გაუმჭვირვალობის გამო. მოლდოვაში უფასო იურიდიული დახმარების სქემაში არსებული ანაზღაურება მცირეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიმზიდველია იურიდიული პროფესიის მქონეთა გარკვეული ნაწილისთვის სტაბილური და რეგულარული შემოსავლის თვალსაზრისით. ბულგარეთში იურიდიული დახმარების საქმეებში საშუალო ანაზღაურება 93 ევროა, თუმცა საკმაო რაოდენობის ადვოკატებს აქვთ სურვილი მონაწილეობდნენ უფასო იურიდიული დახმარების საქმეებში. თუმცა, დაბალი ანაზღაურება არ იძლევა გამოცდილი და კომპეტენტური ადვოკატების მოზიდვის საშუალებას და ამით აიხსნება ადვოკატთა უარი შეტყობინებიდან მცირე დროში პოლიციის განყოფილებაში გამოცხადებაზე.



## 5.5 ადვოკატების როლი, დამოუკიდებლობა და სტანდარტები

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში არ არის პირდაპირი დებულება ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირების ადვოკატების დამოუკიდებლობასა და როლზე, თუმცა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს ეროვნულ მთავრობებს ადვოკატების დამოუკიდებლობის თვალსაზრისით და, ამავე დროს, პრეცედენტული სამართალი ადვოკატების როლის დაზუსტების კუთხითაც ვითარდება.<sup>462</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიდგომა დაცვის ადვოკატების სტანდარტებზე მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებებთან მიმართებით “მსუბუქია”, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ხუთი ქვეყნიდან, ადვოკატის დამოუკიდებლობის გარანტირების კუთხით ლიტვის კანონი, როგორც ჩანს, უნიკალურია. ამის საპირისპიროდ, უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დაცვის ადვოკატის ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს სიმართლის დადგენას გამოძიებისა და სასამართლო განხილვისთვის ხელის შეშლით და არსებობს ეჭვი, რომ ეს დებულება გამოიყენება დაცვის ადვოკატის თავიდან მოსაცილებლად, როდესაც, მაგალითად, ისინი რჩევას აძლევენ თავიანთ კლიენტებს გამოიყენონ დუმილის უფლება. უკრაინიდან ეს მაგალითი და „ჯიბის ადვოკატის“ ფენომენი ხაზს უსვამს ადვოკატების, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი ადვოკატების, დამოუკიდებლობის მნიშვნელობას.<sup>463</sup> საზოგადოებრივი დამცველის სისტემა მნიშვნელოვანია იურიდიული კონსულტაციისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და დაცვის სტანდარტების ასამაღლებლად. ამავე სისტემას შეუძლია წამოწიოს დაქირავებული ადვოკატების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხები. ადვოკატთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები არსებობს საქართველოში და ადვოკატთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად სათანადო მექანიზმები უნდა ამოქმედდეს.

კვლევის ქვეყნებში ადვოკატების როლი და სტანდარტები რეგულირდება ადვოკატთა ასოციაციების მიერ, თუმცა უკრაინაში დგას არალიცენზირებული სპეციალისტების პრობლემა, რომლებიც არ ექვემდებარებიან პროფესიულ წესებსა და დისციპლინას. როგორც ჩანს, ადვოკატთა ასოციაციებს არ აქვს სპეციალიზებული სისხლის სამართლის სექცია და, მიუხედავად იმისა, რომ ლიტვაში ადვოკატთა ასოციაციას აქვს განგრძობადი პროფესიული განვითარების მოთხოვნა, ხოლო ბულგარეთის ადვოკატთა ასოციაციას აქვს სპეციალური სასწავლო პროგრამა, პროფესიული ასოციაციები მინიმალურ როლს ასრულებენ იმ ადვოკატების ხარისხის უზრუნველყოფაში, რომლებიც წარმოადგენენ ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულ პირებს. მოლდოვაში იყო პარალელური განხილვის, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შემოღების მცდელობა, თუმცა არცერთი ქვეყნის იურიდიული დახმარების სამსახური აქტიურ როლს არ ასრულებს ხარისხის უზრუნველსაყოფად ან გასაუმჯობესებლად. ხარისხსა და სტანდარტებზე ადვოკატთა ასოციაციების და იურიდიული დახმარების ორგანოების არაკოორდინირებული და არასათანადო ზრუნვა ხელს უწყობს სისხლის სამართლის დაცვის ადვოკატებისადმი, განსაკუთრებით იურიდიული დახმარების ადვოკატებისადმი, ნდობის დაბალ დონეს.

ამ დროისთვის ეს საკითხი მოქცეულია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს „ქოლგის ქვეშ“, და ხარისხის პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვანია ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის.

ხარისხის პრობლემის მოგვარების გარეშე წარუმატებელი იქნება *Salduz* დოქტრინით და იურისტთან ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპის კავშირის დირექტივით გათვალისწინებული იურიდიული დახმარების

462 იხილეთ მეორე თავი, ნაწილი 5.7.

463 იურიდიული დახმარების სერვისებისთვის ანაზღაურების არაადეკვატურობა პოტენციურად არღვევს ადვოკატების დამოუკიდებლობას, რადგან შეზღუდულია ადვოკატების შესაძლებლობა დამოუკიდებლად მიიღონ გადანყვებილება კონკრეტულ საქმეში განსახორციელებელი ქმედებების შესახებ.

ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მცდელობა და, შესაძლებელია პირიქით, ზიანის მომტანიც კი აღმოჩნდეს ეჭვიმტანილი ან ბრალდებული პირების პროცედურულ უფლებებთან მიმართებაში.

დაბალი ხარისხის იურიდიული მომსახურება, ცუდი კონსულტაცია და საკუთარი თავის დაცვის შეუძლებლობა, უფრო მონყვლადს გახდის ეჭვიმტანილსა და ბრალდებულს, ხოლო პოლიციასა და პროკურატურას (შესაბამისად, მთავრობებს) საშუალებას მისცემს განაცხადონ, რომ პროცედურული უფლებები დაცულ იქნა და სასამართლო პროცესი იყო სამართლიანი.

## 4. პროცედურული უფლებები

### 4.1 უდანაშაულობის პრეზუმფცია და დუმილის უფლება

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6(2) მუხლით გათვალისწინებული უდანაშაულობის პრეზუმფცია გამყარებულია ხუთივე ქვეყნის კონსტიტუციითა და/ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით.

როგორც კვლევის მე-2 თავში, 6.1. ნაწილში განვიხილეთ, უდანაშაულობის პრეზუმფციას რამდენიმე ასპექტი აქვს და მისი არსი და პარამეტრები მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, სადაოა ზოგიერთ იურისდიქციაში არსებული წესი, მაგალითად სასამართლოში ბრალდებულის მოთავსება გისოსებში (მოლდოვა და უკრაინა) ან ხელბორკილების დადება (მოლდოვა), რამდენად ქმნის საზოგადოების აზრს, რომ პირი დამნაშავეა.

ამ თავში ოფიციალურ განცხადებებსა და სასამართლო პრაქტიკას მიმოვიხილავთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე, რომლებიც შესაძლოა არღვევდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას. ხოლო პრეზუმფციასა და წინასწარ პატიმრობას შორის კავშირი განხილულია 6.2. ნაწილში.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ სანამ ბრალეულობა არ დადასტურდება კანონის შესაბამისად, სასამართლომ ან სხვა საჯარო მოხელეებმა არ უნდა გააკეთონ განცხადებები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ეჭვიმტანილი ან ბრალდებული დამნაშავეა.<sup>464</sup> შეშფოთებას იწვევს, რომ ბულგარეთში, საქართველოში, ლიტვასა და მოლდოვაში ხდება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა სასამართლოს, პროკურორების და სხვა საჯარო მოხელეების მიერ მედიაში გაკეთებული საჯარო განცხადებებით.

როგორც ჩანს, საქართველოში პოლიცია და პროკურატურა სასამართლო პროცესამდე რეგულარულად აწვდის მედიას ინფორმაციას გამამტყუნებელი მტკიცებულებების შესახებ, მათ შორის აღიარებით მტკიცებულებებს. მსგავსი ქმედების გამო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ბულგარეთის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება. საქმე ეხებოდა პროკურორს, რომელმაც სასამართლო პროცესამდე, საჯაროდ გამოხატა მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ ბრალდებული იყო დამნაშავე.<sup>465</sup> რამდენიმე ქვეყანაში გამოითქმის შეშფოთება ბრალდების სასარგებლოს სასამართლოს მიკერძოებაზე და გამამტყუნებელი გადაწყვეტილების გამოსატანად მოსამართლეებზე ზეწოლის სისტემატურ ან ინსტიტუციურ მექანიზმებზე (მაგალითად, ბულგარეთში<sup>466</sup>, საქართველოსა და უკრაინაში). რამდენიმე იურისდიქციაში ამ მოსაზრებებს

464 იხილეთ მეორე თავი, 6.1.1. ნაწილი

465 ECtHR 7 იანვარი 2010, Petyo Petkov v. Bulgaria, No. 32130/03, და იხილეთ მე-3 თავი, ნაწილი 3.3.3.

466 ასეთი შეშფოთება გამოხატულ იქნა არა მარტო იმ ადვოკატების მხრიდან, რომლებმაც მისცეს ინტერვიუ ამ კვლევისათვის, არამედ, აგრეთვე სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. იხილეთ მესამე თავი, ნაწილი 3.3.3

ამყარებს გამამტყუნებელი განაჩენების ძალიან მაღალი სტატისტიკა. საქართველოში გამამართლებელი გადაწყვეტილებების წილი 0.01 პროცენტია, ხოლო უკრაინაში თუ გამამტყუნებელი განაჩენისთვის არასაკმარისი მტკიცებულებებია, სასამართლოები უკან, დამატებითი გამოძიებისათვის აბრუნებენ საქმეებს, ნაცვლად იმისა, რომ გამამართლებელი გადაწყვეტილება მიიღონ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირ არ წერია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში, დუმილის უფლება და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არმიცემის უფლება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიჩნეულია, როგორც “ზოგადად აღიარებული საერთაშორისო სტანდარტი, სამართლიანი სასამართლოს პროცედურების არსის განუყოფელი ნაწილი”.<sup>467</sup> მართალია დუმილის უფლება არ არის აბსოლუტური, მაგრამ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო მკაცრ შეზღუდვებს აწესებს ნებისმიერ გამონაკლისზე.

ხუთივე ქვეყანაში დუმილის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით და/ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, თუმცა ECDE კვლევამ დაადასტურა, რომ ხუთივე ქვეყნის პრაქტიკაში ხშირია დუმილის უფლების დარღვევა. როგორც 5.2 თავში აღინიშნა ბულგარეთის, მოლდოვის და უკრაინის პოლიცია იყენებს სტრატეგიას პროცედურული უფლებების თავიდან არიდების მიზნით, რის შედეგადაც პირები არ არიან ინფორმირებულნი დუმილის უფლების შესახებ. უკრაინაში, სადაც დასტურდება, რომ დაკავებული ეჭვმიტანილების 90 პროცენტზე მეტს არა აქვს ადვოკატთან ხელმისაწვდომობა, არსებობს მტკიცებულებები პოლიციის მხრიდან ეჭვმიტანილებზე ზეწოლისა, რომა მათ დანაშაული აღიარონ. ევროპის სხვა იურისდიქციების მსგავსად,<sup>468</sup> დუმილის უფლების გამოყენება უარყოფით გავლენას ახდენს ბრალდებულის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოლდოვის წინააღმდეგ და გააკრიტიკა წინასწარი პატიმრობის დასაბუთება იმ ფაქტით, რომ ბრალდებული უარს ამბობდა მოწმეების დასახელებაზე, რითაც დაირღვა დუმილის უფლება.<sup>469</sup> მოლდოვაში ადგილი აქვს მოსამართლეების მიერ ბრალდებულის მტკიცებულების სანდოობის ნეგატიურ შეფასებას, საგამოძიებო ეტაპზე დუმილის უფლების გამოყენების შემთხვევებში. მაღალია ალბათობა, რომ „დუმილის“ მიმართ მსგავსი მიდგომა სხვა იურისდიქციებშიც არსებობს, თუმცა მტკიცებულების მოპოვება რთულია.

## 4.2 სასამართლო პროცესამდე გათავისუფლების უფლება

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5(3) მუხლის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების წინაშე წარდგენის უფლება და სასამართლო განხილვამდე გათავისუფლების უფლება ეხება ორ განსხვავებულ ეტაპს: დაპატიმრების შემდგომ პერიოდს, როდესაც პირი არის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ და რეალურ სისხლის სამართლის სასამართლო პროცესამდე პერიოდს.<sup>470</sup> ჩვენი განხილვის საგანი სწორედ ეს უკანასკნელი გახდა. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვა და სასამართლო განხილვამდე დროებითი გათავისუფლება ერთმანეთის ალტერნატივას არ წარმოადგენს. უდანაშაულობის პრეზუმფციას მიყვავართ გათავისუფლების პრეზუმფციისკენ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ინდივიდუალური საქმის ფაქტების შესწავლისა და ადეკვატური დასაბუთების შემთხვევაში. გონივრული ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული არის წინასწარი პატიმრობის წინაპირობა და სავარაუდო დარღვევის სერიოზულობით არ შეიძლება დასაბუთდეს განგრძობითი თავისუფლების აღკვეთა. თავისუფლების აღკვეთა შეიძლება გამართლდეს დანაშაულის

467 იხილეთ მეორე თავი, ნაწილი 6.1.2.

468 იხილეთ კეიპი, et al. 2010, გვერდი 183 (ფინეთი), გვერდი 349 (უნგრეთი), გვერდი 405 (იტალია) და გვერდი 459 (პოლონეთი).

469 ECtHR 23 ოქტომბერი 2007, Turcan and Turcan v. Moldova, No. 39835/05, და იხილეთ მე-6 თავი, ნაწილი 3.3.4

470 იხილეთ მე-2 თავი, ნაწილი 6.2.

ხელახალი ჩადენის, გაქცევის, გამოძიებაში ან პროცესში ჩარევის კარგად დასაბუთებული რისკით, მაგრამ სასამართლო ორგანოები ვალდებულნი არიან განიხილონ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული საშუალებები.

ზოგადად, ხუთივე ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს წინასწარ პატიმრობას, შესაბამისობაშია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკასთან, მაგრამ ყველა მათგანში, გარდა ბულგარეთისა, არსებობს მტკიცებულებები, რომ პრაქტიკა მანკიერი გზით ვითარდება. საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის წინააღმდეგ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ რამდენიმე უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს უარყოფითი გადაწყვეტილებების საპასუხოდ ბულგარეთმა გაატარა რეფორმები როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. თუმცა, 2009 წლიდან, პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეების - იუსტიციის მინისტრის ჩათვლით - მხრიდან ისმოდა საჯარო კრიტიკა წინასწარი გამოძიების დროს მოსამართლეების მიერ ეჭვმიტანილთა გათავისუფლებასთან დაკავშირებით. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ ევროპის მოსამართლეთა ასოციაცია და მოსამართლეთა და იურისტთა დამოუკიდებლობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი რამდენჯერმე ოფიციალური ვიზიტით ეწვივნენ ქვეყანას და სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით.

ევროპის ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შეუსაბამობა მოიცავს რამდენიმე განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორს: სავარაუდო დარღვევის მნიშვნელობის, როგორც განმსაზღვრელი ფაქტორის, განხილვა; ინდივიდუალური ფაქტების განხილვის ნაკლებობა; სტანდარტული ფორმის გამოყენება; გადაწყვეტილებათა ადეკვატური დასაბუთების არარსებობა. აღნიშნული პრობლემებს ვხვდებით ყველა ქვეყანაში, გარდა ბულგარეთისა. როგორც ჩანს, ბევრ ქვეყანაში ალტერნატიული ღონისძიებების განხილვას არ ეთმობა სათანადო ყურადღება, თუმცა, ლიტვა ერთგვარი გამონაკლისია, ვინაიდან აქ ალტერნატიული ღონისძიებები უფრო ხშირად გამოიყენება ვიდრე თავისუფლების აღკვეთა. მოლდოვასა და უკრაინაში ბრალდებული და მისი ადვოკატი სირთულეებს აწყდებიან ბრალდების მასალებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს წინასწარი პატიმრობის გამოყენების დასაბუთებლად (იხილეთ 4.3. ნაწილი ზემოთ). აღნიშნული ფაქტორების შედეგად, წინასწარი პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი მაღალია და დაპატიმრების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობები ძირითადად კმაყოფილდება. მაგალითად, უკრაინაში წინასწარ პატიმრობაზე პროკურორის შუამდგომლობების თითქმის 90 პროცენტი კმაყოფილდება, ხოლო საქართველოში ეს ციფრი 95 პროცენტზე მეტია.

საქართველოს მაგალითზე კარგად ჩანს ევროპული კონვენციის სტანდარტების პრაქტიკაში გატარების სირთულეები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს, რომ ბრალდებული მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს წინასწარ პატიმრობაში, თუ ერთი ან მეტი წინაპირობა (რომლებიც არსებითად აკმაყოფილებენ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტებს) დაკმაყოფილებულია. დაპატიმრების საჭიროების დამტკიცების ტვირთი აკისრია ბრალდებას და კოდექსი ითვალისწინებს, რომ დაპატიმრება არ შეიძლება დამტკიცდეს, თუ ალტერნატიული ღონისძიებებით შესაძლებელია შესაბამისი მიზნების მიღწევა. აღკვეთი ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის შეტანისას პროკურორმა უნდა ჩამოაყალიბოს და დაასაბუთოს მოთხოვნილი ღონისძიების აუცილებლობა და ნაკლებად შემზღვევადი ღონისძიებების გამოყენების მიზანშეუწონლობა. გადაწყვეტილების მიღების დროს, სასამართლო ვალდებულია მხედველობაში მიიღოს საქმის ინდივიდუალური გარემოებები, ბრალდებულის პირადი თვისებები და სოციალური პირობები. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ბრალდების შუამდგომლობები პატიმრობასთან დაკავშირებით თითქმის ყოველთვის კმაყოფილდება. დაპატიმრებულთა და დაკავებულთა დაახლოებით 40 პროცენტს შეეფარდება წინასწარი პატიმრობა, ხოლო გამოყენებული აღკვეთი ღონისძიებების 50 პროცენტი წინასწარ პატიმრობაზე მოდის. ამის საპირისპიროა ბულგარეთის პრაქტიკა და მაჩვენებლები, რაც, დიდი ალბათობით, წარმატებული რეფორმის შედეგია. (თუმცა, როგორც აღინიშნა, ამას მწვავე პოლიტიკური რეაქცია მოყვა). სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით, აღნიშნული



კვლევის ფარგლებში დეტალურად შეგვესწავლა ამ ორ იურისდიქციაში არსებული განსხვავების ძირითადი მიზეზები. წინასწარი პატიმრობის მაღალი მაჩვენებელი პრობლემურია ევროპის რამდენიმე ქვეყნისთვის<sup>471</sup> და ევროპის კავშირი დღესდღეობით განიხილავს წინასწარ პატიმრობის საკანონმდებლო დონეზე რეგულირების შესაძლებლობას. კვლევა კი ადასტურებს, რომ სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვისთვის აუცილებელია ეფექტური მექანიზმები.<sup>472</sup>

### 4.3 უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე და გასაჩივრების უფლება

როგორც ეს 6.2. ნაწილში გამოიკვეთა, წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით დასაბუთებული გადაწყვეტილებების არარსებობა მნიშვნელოვანი პრობლემაა კვლევაში განხილული ქვეყნების უმრავლესობაში. ამ ნაწილში ჩვენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებებზე უფლებას გასაჩივრების უფლებასთან ერთად განვიხილავთ, რადგან გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, როგორც წესი, განპირობებულია გადაწყვეტილებაში მოცემული შესაბამისი განმარტებებით. ხუთივე ქვეყანამ მოახდინა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მეშვიდე ოქმის რატიფიცირება, რომელიც ითვალისწინებს, რომ გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, ყველას, ვინც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაშია მსჯავრდებული, უნდა ჰქონდეს უფლება, მისი მსჯავრდება ან სასჯელი განიხილოს ზემდგომმა ტრიბუნალმა. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოითხოვს, რომ გასაჩივრების პროცედურები აკმაყოფილებდნენ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის გარანტიებს.<sup>473</sup> თითოეულ ქვეყნის კანონი ითვალისწინებს სისხლის სამართლის დანაშაულში მსჯავრდებულთა გასაჩივრების უფლებას, თუმცა საქართველოში ფაქტობრივი მდგომარეობის გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლებელია.<sup>474</sup> ამავე დროს, საქართველოდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან მოპოვებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ ამ ქვეყნებში აპელაციის მნიშვნელობა დაკნინებულია ადეკვატურად დასაბუთებული გადაწყვეტილებების სიმცირის გამო.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლოებმა შესაფერისი სიცხადით უნდა მიუთითონ თავიანთი გადაწყვეტილებების საფუძვლები. სასამართლოები არ არიან ვალდებული გადაწყვეტილებაში ასახონ პროცესში წარმოშობილი ნებისმიერი საკითხი, მაგრამ მათ უნდა განიხილონ ძირითადი საკითხები და ადეკვატურად უნდა ახსნან, თუ რატომ მოხდა მტკიცებულების მიღება, გათვალისწინება ან მისი უარყოფა.<sup>475</sup>

ხუთივე ქვეყნის კონსტიტუცია და/ან სისხლის სამართლის კოდექსი მოითხოვს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, იურისდიქციების მიხედვით განსხვავებულია მხოლოდ მოთხოვნის ფარგლები. ზოგიერთ ქვეყანაში საკმაოდ დეტალური დებულებები გვხვდება. მაგალითად, ბულგარეთის კანონი ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილებაში უნდა იყოს მითითებული მიზეზები იმისა, თუ რატომ მივიდა სასამართლო კონკრეტულ დასკვნამდე, ასევე უნდა მიეთითოს მტკიცებულებები და სამართლებრივი ანალიზი, რომელსაც ეფუძნება გადაწყვეტილება. ლიტვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც დეტალურია დასაბუთების ნაწილში, საკონსტიტუციო სასამართლომ კი განამტკიცა სამართლებრივი სიცხადის მოთხოვნა და განმარტა, რომ გადაწყვეტილებაში მიჩქმალული არ უნდა იყოს არგუმენტები და სასამართლომ არ უნდა გაუკეთოს იგნორირება რელევანტურ ფაქტებსა თუ არგუმენტებს. ლიტვაში

471 იხილეთ კეიპი, et al. 2010. გვერდი 552.

472 იხილეთ პირველი თავი, 4.3.2 ნაწილი.

473 იხილეთ მეორე თავი, 6.5. ნაწილი

474 ECtHR დაადგინა რომ ნაფიც მსაჯულთა პროცესის შემთხვევაში საკმარისი დამცავი გარანტიები უნდა არსებობდეს რომლებიც საშუალებას მისცემს ბრალდებულს გაიაზროს თუ რატომ მოხდა მისი მსჯავრდება. იხილეთ ECtHR 16 ნოემბერი 2010, Taxquet v. Belgium, No. 926/05.

475 იხილეთ მეორე თავი, ნაწილი 6.4.



დასაბუთებული გადანყვეტილებების დეტალებზე ფოკუსირების შედეგად, მართალია, იურიდიული მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა, თუმცა არსებობს ეჭვი სამართლებრივი ენის ყველა ბრალდებულის მიერ აღქმადობასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, დასაბუთებული გადანყვეტილების მოთხოვნებს ბულგარეთიც პასუხობს. მაგრამ საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში დასაბუთება ხშირად „მწირია“ ან საერთოდ არ არსებობს. მოლდოვაში ეს პრობლემა გამოავლინა სასამართლოს მონიტორინგის პროგრამამ, ხოლო საქართველოში საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებმა. მეტიც, სამივე ქვეყანაში მოიპოვება იმის მტკიცებულებები, რომ დასაბუთებული გადანყვეტილებები ძირითადად ამყარებენ ბრალდების პოზიციას, იგნორირებას უკეთებენ ბრალდებულის სასარგებლო მტკიცებულებებსა და არგუმენტებს და გაურკვეველია, თუ რატომ არ ეყრდნობა სასამართლო მათ. საქართველოდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან მიღებული ინფორმაცია მიუთითებს რომ ამ ქვეყნების პრაქტიკა ჩვეულებრივ შეუსაბამოა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მოთხოვნების არსთან მაინც, თუ არა დოკუმენტის ტექსტთან.

## 5. ეჭვითურ სისხლისსამართლებრივ დაცვის დამხმარე უფლებები

### 5.1. საქმის გამოძიების უფლება

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია არ შეიცავს პირდაპირ დებულებას, რომელიც ეჭვითანილ ან ბრალდებულ პირს საეჭვო ან სავარაუდო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ფაქტების გამოძიების უფლებას მისცემდა.<sup>476</sup> ინკვიზიციურ და შეჯიბრებით სისტემებში სამართალდამცავ ორგანოებს და ბრალდებას მონოპოლია აქვთ საგამოძიებო უფლებამოსილებაზე და ასევე სავარაუდო დანაშაულის გამოძიების რესურსებზე. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ჩვენეული მიდგომა გულისხმობს, რომ ეჭვითანილ ან ბრალდებულ პირს უნდა ჰქონდეს გარკვეული შესაძლებლობა, თვითონ განახორციელოს გამოძიება ან მოითხოვოს მისი ჩატარება. ამ მიდგომას გარკვეულწილად მხარს უჭერს ევროპის კავშირის დირექტივა იურისტთან ხელმისაწვდომობის შესახებ, რომლის დებულებებიც უფლებას აძლევს ეჭვითანილის ან/და ბრალდებულის ადვოკატებს დაესწრონ გარკვეულ პროცესულურ მოქმედებებს. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე *Dayanan v. Turkey* ასევე მიუთითებს „ბრალდებულის სასარგებლოდ მტკიცებულებების შეგროვებაზე“, როგორც დაცვის ადვოკატის ფუნქციაზე საგამოძიებო ეტაპზე.<sup>477</sup>

შესაბამისად, გამოძიების უფლება შეიძლება მოიცავდეს: პროცესულურ მოქმედებაში დასწრების ან მონაწილეობის უფლებას;<sup>478</sup> პოტენციური მონმის დაკითხვის და მტკიცებულების შეგროვების უფლებას; პოლიციისგან ან პროკურორისგან კონკრეტული მოკვლევის ჩატარების მოთხოვნის უფლებას; საქმეში მასალების დამატების უფლებას. რა თქმა უნდა, ეს უფლებები ურთიერთდაკავშირებულია. მაგალითად, ეჭვითანილის ან ბრალდებულის პროცესულურ მოქმედებაზე დასწრების უფლება შეზღუდული იქნება, თუ მათ არა აქვთ ეფექტური უფლება მოითხოვონ პროცესულური მოქმედების ჩატარება. მნიშვნელოვანია ასევე იმის შესწავლა, თუ რამდენად არის უფასო იურიდიული დახმარების საქმეებში მოცემული უფლებების განხორციელება უზრუნველყოფილი ან შეზღუდული უფასო იურიდიული დახმარების ანაზღაურების შესახებ დებულებებით.

476 იხილეთ მეორე თავი, ნაწილი 7.1.

477 ECtHR 13 ოქტომბერი 2009, *Dayanan v. Turkey*, No. 7377/03, პარაგრაფი 32, და იხილეთ ზოგადად მეორე თავი, ნაწილი 7.1.

478 წარმოდგენილი ევროპის კავშირის დირექტივა იურისტთან ხელმისაწვდომობის შესახებ ითვალისწინებს, რომ დაცვის ადვოკატს აქვს უფლება ესწრებოდეს ნებისმიერ დაკითხვასა თუ განხილვას და აგრეთვე ესწრებოდეს ნებისმიერ საგამოძიებო ან მტკიცებულებების შეგროვების აქტს, სადაც ეჭვითანილი ან ბრალდებულის დასწრება მოთხოვნილია ან ნებადართულია, როგორც უფლება. შესაბამისად, ეს მისცემდა საგამოძიებო ორგანოებს საშუალებას უარი ეთქვათ ნებართვის გაცემაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დასწრების უფლება გათვალისწინებული იქნებოდა ადგილობრივი კანონით.

ამ უფლებების მოქმედება და მათი კავშირი კარგად ჩანს მოლდოვის მაგალითზე. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირის მიერ მტკიცებულების მოპოვების უფლებას, არსებობს რამდენიმე დებულება, რომლებიც მათ მტკიცებულებათა შეკრების საშუალებას აძლევენ. ეს ინფორმაცია შეიძლება წარედგინოს საგამოძიებო ორგანოს წინასასამართლო ეტაპზე და სასამართლოს და ბრალდებულს აქვს მოცემული მასალების საქმეში დამატების უფლება.<sup>479</sup> ამავე დროს, ინფორმაციის შეკრების უფლება შეზღუდულია იმით, რომ პოტენციური მონმეები არ არიან ვალდებული გაესაუბრონ ბრალდებულს ან მის ადვოკატს (ეს თავისებურება დამახასიათებელია იურისდიქციების უმრავლესობისთვის) და მოცემული საქმიანობა არ არის უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარების ბიუჯეტით. საჯარო ორგანოებში დაცული დოკუმენტური მტკიცებულებებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, რადგან ხელისუფლების ორგანოები, როგორც წესი, უარს ამბობენ მათ გასაჯაროებაზე საიდუმლო მონაცემების დაცვის მოტივით. კანონმდებლობით არ არის გამყარებული ბრალდებულის ან ადვოკატის საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის უფლება. გამოძიებაში მონაწილეობის მიღება მათ შეუძლიათ მხოლოდ საგამოძიებო ორგანოების მოწვევით ან მოთხოვნით, მაგრამ არა აქვთ უფლება მოითხოვონ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების (მაგალითად, მონმის დაკითხვა) ჩატარება და ადვოკატები აცხადებენ, რომ პრაქტიკაში, როგორც წესი, ამ მოთხოვნის უგულვებელყოფა ხდება. ფაქტობრივად, მონმის დაკითხვის მოთხოვნამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბრალდებულს, რადგან მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხშირად საგამოძიებო ორგანოები მითითებულ მონმეს დაკითხავენ ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობის გარეშე. ადვოკატები აცხადებენ, რომ ხშირ შემთხვევაში ეს განაპირობებს მონმის მიერ ბრალდების სასარგებლო ინფორმაციის წარდგენას. ამიტომ, ადვოკატები, ჩვეულებრივ, თავს იკავებენ წინასასამართლო ეტაპზე მონმის დაკითხვის მოთხოვნისგან. დაცვის ადვოკატები აცხადებენ, რომ ბრალდება რუტინულად ურთავს უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებას საქმეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ მოიცავს მკაფიო დებულებებს უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების გამორიცხვის თაობაზე. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის მიერ პროცესულური გარანტიების არარსებობის დროს წარმოდგენილი „განმარტებები“ ან უკანონოდ მოპოვებული აუდიო ან ვიდეო ჩანაწერები ფორმალურად შეიძლება არ ჩაითვალოს მტკიცებულებად, მოსამართლე მაინც ეცნობა მათ. დაცვის ადვოკატები აცხადებენ, რომ მოცემული მტკიცებულებების გამორიცხვის შესახებ შუამდგომლობები, როგორც წესი, არ კმაყოფილდება.

მიუხედავად განსხვავებული კანონებისა და პრაქტიკისა გამოძიების უფლებასთან დაკავშირებით, მოლდოვის გამოცდილება იძლევა გარკვეულ ზოგად სურათს სხვა ქვეყნებში, მათ შორის ინკვიზიციურ ტრადიციების მქონე ევროპის იურისდიქციებში არსებულ მდგომარეობაზე.<sup>480</sup> შეჯიბრებითი ტრადიციის მქონე იურისდიქციებში, როგორცაა ინგლისი და უელსი, ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს აქვს გამოძიებისა და სასამართლოში მტკიცებულებათა წარდგენის აბსოლუტური უფლება იმ პირობით, რომ ისინი რელევანტური იქნება. გარდა ამისა, ამქვეყნებში მოქმედებს უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების გამორიცხვის წესები (თუმცა, არ არსებობს აბსოლუტური უფლება უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების სასამართლოდან გამორიცხვის შესახებ). ამასთან, ეჭვმიტანილს არა აქვს უფლება მოითხოვოს პოლიციისგან საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, პოტენციური მონმისაგან მოითხოვოს თანამშრომლობა; აგრეთვე შეზღუდულია მესამე პირისგან მასალების მოპოვების უფლებამოსილება და მოქმედებს უფასო იურიდიული დახმარების სისტემიდან გამომდინარე შეზღუდვებიც. შედეგად, ბრალდებულის მიერ გამოძიების შესაძლებლობა (სასამართლოზე მტკიცებულების წარდგენისგან განსხვავებით) ემსგავსება ინკვიზიციური იურისდიქციებისთვის დამახასიათებელ პრაქტიკას.

479 თუ საგამოძიებო ორგანო უარს ამბობს დაურთოს ისინი საქმეს, ბრალდებულს შეუძლია იჩივლოს საგამოძიებო მოსამართლესთან. პრაქტიკაში, ადვოკატები წარმოადგენენ მასალებს საგამოძიებო ეტაპზე (ასე მაგალითად, წინასასამართლო გათავისუფლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია), მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მასალები დატოვებულია სასამართლო ეტაპისათვის. ამ ეტაპზე მოსამართლემ უნდა წარმოადგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილება დაცვის მიერ წარმოდგენილი მასალების დაშვებაზე უარის თქმისათვის.

480 იხილეთ კეიპი, 2010, გვერდი 567.

ზოგადი მიდგომა ემყარება მოლოდინს, რომ საგამოძიებო ორგანოები და პროკურორები იმოქმედებენ ნეიტრალურად, ხოლო მოსამართლეები სიფრთხილეს გამოიჩინენ საქმის მასალებში არსებულ მტკიცებულებებისა და ბრალდებულის მიერ მტკიცებულებებთან დაკავშირებული შუამდგომლობების განხილვის დროს. მაშინ როდესაც, გამოძიების უფლებასთან დაკავშირებით ევროპული სტანდარტები კვლავაც შეზღუდულია, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო გარკვეულ მითითებებს იძლევა დაცვის ადვოკატების როლზე. ამ სფეროში პროგრესი შესაძლებელია დაცვის ადვოკატებისა და ადვოკატთა ასოციაციების გააქტიურების შემთხვევაში, ისევე როგორც საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მხრიდან მხარეთა თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპებთან მიმართებით მათი ვალდებულების გაცნობიერების შემთხვევაში.

## 5.2. ადეკვატური დროისა და საშუალებების უფლება

დაცვის მომზადებისთვის ადეკვატური დროისა და საშუალებების შესახებ უფლება გარანტირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(b) მუხლით. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა, მე-6(3) მუხლში მოცემულ, უფრო კონკრეტულ უფლებებთან და მნიშვნელოვანია ექვმიტანილი და ბრალდებული პირების მიერ სისხლის სამართლის პროცესში ეფექტური მონაწილეობისთვის და ამ უფლებების ეფექტურად და რეალურად უზრუნველყოფისათვის.<sup>481</sup> უფლების ფართო ხასიათიდან გამომდინარე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო აფასებს მას ფაქტებზე დაყრდნობით და შესაბამისად, შეუძლებელია შესაბამისობის გაანალიზებისთვის მკაფიო სტანდარტების დადგენა. აღნიშნული უფლება პირდაპირ არის მოცემული საქართველოს, ლიტვის და უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში და სადაც პირდაპირ არ არის მოცემული (მაგალითად, ბულგარეთის კოდექსში), იგი წარმოადგენს კანონმდებლობით და სასამართლო პრაქტიკით განმტკიცებულ პრინციპს. ხუთ ქვეყანაში ჩატარებული კვლევა, დაცვის ადვოკატების გამოკითხვა არ გამოკვეთს ადეკვატურ დროსა და საშუალებებთან დაკავშირებულ სისტემატურ პრობლემებს, თუმცა, შესაძლებელია რამდენიმე პრაქტიკული პრობლემის იდენტიფიცირება. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ბულგარეთის პოლიციის განყოფილებებში კერძო კონსულტაციისთვის შესაბამისი პირობების არარსებობაზე (იხილეთ 5.2. ნაწილი) და იმ სირთულეებზე, რომლებსაც ქართველი ადვოკატები აწყდებიან დაკავებულ კლიენტებთან ვიზიტის დროს.<sup>482</sup>

მოლდოვის კანონის თანახმად, პირს, რომელიც გამოძახებულია საგამოძიებო ორგანოს ან პროკურორის წინაშე, შეტყობინება უნდა გადაეცეს ხუთი დღით ადრე, თუმცა ეს არ ვრცელდება გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედების შემთხვევებზე. ქვეყანაში ჩატარებული კვლევები მიუთითებს, რომ საგამოძიებო ეტაპზე ამ მოთხოვნის შესრულება რუტინულად არ ხდება, მაგრამ ადვოკატები ასრულებენ ამ მოთხოვნას იმის შიშით, რომ სხვა ადვოკატი არ დაინიშნოს საქმეზე. უკრაინაში დაცვის მიერ მასალების გაცნობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მოსამართლის მიერ და მასალებთან ხელმისაწვდომობა შეიძლება შეიზღუდოს როცა ბრალდებული დაკავებულია (იხილეთ 4.3. ნაწილი ზემოთ), მაგრამ სხვა პრაქტიკული სირთულეები არ გამოვლენილა.

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის მოლდოვასა და უკრაინაში, ECDE კვლევის შედეგად ასევე დაფიქსირდა საქმის მასალების გადაღებასთან დაკავშირებული პრობლემები<sup>483</sup>.

ECDE კვლევამ ასევე გამოავლინა საქმის მომზადებისთვის ადეკვატური დროის არქონა და დაჩქარებული ან/და საპროცესო შეთანხმების განხილვის პროცედურებთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა, განხილულ ხუთ ქვეყანაში მნიშვნელოვანი პრობლემები არ დაფიქსირებულა, რაც, შესაძლოა, ნაწილობრივ განპირობებულ იყო განუვითარებელი პრაქტიკით და ადვოკატთა პასიური როლით.

481 იხილეთ, კონკრეტულად, საქმის მასალებთან ხელმისაწვდომობა 4.3. ნაწილში ზემოთ.

482 იხილეთ მე-4 თავი, 3.22 ნაწილი.

483 ასე მაგალითად, ბელგიაში. იხილეთ კეიპი, 2010, გვერდი 91.

### 5.3. მოწვეთა მოწვევისა და დაკითხვის დროს მხარეთა თანასწორობის უზღუდა

მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირ არ არის მოცემული ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში, მხარეთა თანასწორობის უფლება განიხილება, როგორც სამართლიანი სასამართლოს არსის ფუნდამენტური მახასიათებელი, *inter alia*, ბრალდებულს უნდა მიეცეს საშუალება წარმოადგინოს მისი საქმე ისეთ გარემოებაში, რომელიც მას ბრალდებასთან შედარებით უარეს მდგომარეობაში არ ჩააყენებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(d) მუხლი ბრალდებულს არ ანიჭებს მოწვეთა მოწვევის აბსოლუტურ უფლებას, კონვენცია ითვალისწინებს ბრალდებულის სასარგებლო მოწვევის მონვევისა და დაკითხვის უფლებას იგივე პირობებით, როგორც მოიწვევა ბრალდების საწინააღმდეგო მოწვევები. აღნიშნული მოთხოვნა მოცემულია კვლევის ყველა ქვეყნის კანონში,<sup>484</sup> მაგრამ პრაქტიკაში ბრალდებული მისი უფლებების ეფექტური განხორციელებაში მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს აწყდება პროცედურული სირთულეების, სასამართლო პრაქტიკისა და შეხედულებების გამო.<sup>485</sup>

ზოგადად, ხუთივე ქვეყანაში ბრალდებულის უფლება - მოიწვიოს მოწმე, დამოკიდებულია მოსამართლის თანხმობაზე. რადგან ბრალდების მოწმეებთან დაკავშირებითაც იგივე რეგულაცია არსებობს, ეს პრაქტიკა შეესაბამება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტებს. თუმცა, მოპოვებული ინფორმაციით, ბულგარეთის, საქართველოსა და უკრაინის მოსამართლეები დაცვისა და ბრალდების მხრიდან მოწვეთა მოწვევის შუამდგომლობების განხილვისას ხშირად არ არიან თანმიმდევრულნი. ნაწილობრივ, ეს შეიძლება განპირობებული იყოს პროცესის თავისებურებით (როდესაც ხდება მოწვეთა იდენტიფიცირება და დაბარება მტკიცებულების წარმოდგენის მიზნით), მაგალითად, გამოძახებული მოწმეები უკვე დაკითხულნი არიან პოლიციის ან პროკურორის მიერ, შესაბამისად მათი ჩვენების რელევანტურობა უკვე დადგენილია (ბულგარეთი).

როგორც უკვე აღინიშნა, დაცვას არ აქვს უფლებამოსილება დაკითხვის დროს მოწმეს მოსთხოვოს თანამშრომლობა. შესაბამისად, თუ პროკურორისთვის ადვილია მოსამართლის წინაშე მტკიცებულების რელევანტურობის დადასტურება, ეს უფრო რთული საქმეა ბრალდებულისთვის ან მისი ადვოკატისთვის.

უკრაინაში მოწმის გამოძახების დროს ბრალდებული რამდენიმე სირთულეს აწყდება - უცერემონიოდ ხდება მოწვეთა გამოძახების შესახებ დაცვის შუამდგომლობების უარყოფა როგორც პროკურორების, ისე მოსამართლეების მიერ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოწმე გამოძახებულია მტკიცებულების წარდგენის მიზნით, ბევრი მათგანი არ ცხადდება და პოლიცია, როგორც წესი, ადგენს, რომ მათ გაატარეს ყველა შესაძლო ღონისძიება დასწრების უზრუნველსაყოფად. უკრაინის კანონი ბრალდებულს აძლევს ექსპერტის დასკვნის წარდგენის უფლებას (მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საექსპერტო მტკიცებულების მოთხოვნის უფლება), თუმცა პრაქტიკაში მოსამართლეები ძალზედ იშვიათად აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას.

რაც შეეხება დაცვის მიერ ბრალდების მოწვეთა დაკითხვას,<sup>486</sup> როგორც ჩანს, გარდა მოლდოვისა,<sup>487</sup> ყველა ქვეყნის კანონი ითვალისწინებს ჯვარედინ დაკითხვას. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის კანონი ითვალისწინებს მოწვეთა მხრიდან ზეპირი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას, ამის სანაცვლოდ ხდება მოწმის მიერ ადრე მიცემული ჩვენების ჩანაწერის ნაკითხვა, დაცვის მცდელობა მათი სანდოობის შესამოწმებლად ჯვარედინად დაკითხოს მოწმეები, ხშირად უარყოფილია მოსამართლის მიერ.

484 ყურადღება გაამახვილეთ, რომ მოლდოვაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამ დროისთვის არ შეიცავს უფლებას ჯვარედინ დაკითხვის შესახებ, თუმცა არსებობს წინადადებები კოდექსის ამ კუთხით შეცვლასთან დაკავშირებით.

485 ყურადღება გაამახვილეთ ბრალდებულის მიერ საქმეში მასალების დართვის უფლების ზოგადად არარსებობის თაობაზე და პოლიციისა და ბრალდების მიერ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ დებულებების არარსებობის თაობაზე. იხილეთ 7.1. ნაწილი ზემოთ.

486 მკაცრად ინკვიზიციური მიდგომა გულისხმობს, რომ არა მართებულია მიეთითოს მოწმეზე როგორც ბრალდების მოწმეზე. აქ იგულისხმება მოწმე რომელიც აძლევს ჩვენებას ბრალდებულის საწინააღმდეგოდ.

487 იხილეთ სქოლიო 57 ზემოთ.



#### 5.4. თარჯიმნით უფასო მომსახურებისა და თარჯიმნის უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 (3)(e) მუხლი სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ბრალდებულ პირს აძლევს თარჯიმნით უფასო მომსახურების უფლებას, თუ იგი ვერ ფლობს სასამართლოს ენას. „ბრალდების“<sup>488</sup> ავტონომიური მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეს უფლება ვრცელდება წინასასამართლო ეტაპზეც. აღნიშნული უფლება გამყარებულია კონვენციის მე-5(2) და მე-6 (3)(d) მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ რომ პირი უნდა იქნეს ინფორმირებული დაპატიმრების ან დაკავების მიზეზების, ბრალდების ხასიათისა ან მიზეზების შესახებ მისთვის გასაგებ ენაზე. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მართლმსაჯულების ორგანოებისგან მოითხოვს აქტიურ მიდგომას საჭიროების დადგენისათვის. ევროპის კავშირის დირექტივა თარჯიმნით მომსახურებისა და თარჯიმნის შესახებ აფართოებს სახელმწიფოს ვალდებულებებს უზრუნველყონ შესაბამისი პროცედურების არსებობა იმის დასადგენად, თუ რამდენად საუბრობს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული სასამართლოს ენაზე ან ესმის ეს ენა. ყველაფერი რაც ითქმება ბრალდებულის მიერ ან მის მიმართ, თუ ის არ საუბრობს პროცესის ენაზე ან არ ესმის ეს ენა, სისხლის სამართლის პროცესის დროს მას უნდა უთარგმნონ. ევროპის დირექტივა დეტალურად განსაზღვრავს ამ მოთხოვნას, მათ შორის იურისტის/კლიენტის კონსულტაციების დროს, როდესაც ეს აუცილებელია პროცესის სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. არ არის სავალდებულო ყველა დოკუმენტის თარგმნა, მაგრამ ევროპის კავშირის დირექტივა ითვალისწინებს რომ ყველა დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირის დაცვის უფლებებისა და პროცესის სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, უნდა იქნეს ნათარგმნი. დირექტივა ასევე განსაზღვრავს იმ დოკუმენტების სიას (მინიმუმი), რომელთა თარგმნა აუცილებელია.<sup>489</sup>

კვლევის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია და/ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს თარჯიმნით მომსახურებასა და/ან თარგმანთან დაკავშირებულ დებულებებს, მაგრამ განსხვავებულია მოთხოვნის ფარგლები.

ყველა ქვეყანაში მოქმედებს სავალდებულო დაცვა, თუ ბრალდებული არ საუბრობს პროცესის ენაზე ან არ ესმის ეს ენა (იხილეთ 5.1. ნაწილი ზემოთ). მკაფიოდ არ არის განსაზღვრული პროცედურები, რომლებითაც უნდა დადგინდეს რამდენად ფლობს ეჭვმიტანილი/ბრალდებული პროცესის ენას, მაგრამ, ზოგადად, ბრალდებულის საჭიროების დადგენის ვალდებულება ეკისრებათ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს. კვლევის ფარგლებში არ მომხდარა საჭიროებათა დადგენის პრაქტიკის შეფასება, მაგრამ არსებობს მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ მოლდოვაში გამოძიებლები ზემოქმედებას ახდენენ ეჭვმიტანილებზე, რათა მათ უარი თქვან თარჯიმნის საჭიროებაზე. უკრაინისა და ბულგარეთის კანონი არ ითვალისწინებს იურისტის-კლიენტის კონსულტაციის თარჯიმნის შესახებ დებულებებს. თუ ბულგარეთი შესაბამის ნორმებს 2013 წლის ოქტომბრამდე არ მიიღებს, ეს იქნება ევროპის კავშირის დირექტივის დარღვევა.<sup>490</sup>

თარგმანთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მოლდოვის კანონი ითვალისწინებს გადაწყვეტილებების თარგმნას, პრაქტიკაში სტანდარტულად ითარგმნება ბრალდებების ჩამონათვალი, ბრალდების აქტი და სასამართლოს გადაწყვეტილებები. მიუხედავად იმისა რომ უკრაინის კანონი არ ითხოვს ყველა დოკუმენტის თარგმნას, ის აწესებს ბრალდებულისათვის გადასაცემი დოკუმენტების (გამოძიების დაწყების გადაწყვეტილება, ბრალდების დოკუმენტები) თარგმნის ვალდებულებას. ბულგარეთში თარგმნის უფლება 2010 წელს შემოიღეს და კანონი, უკრაინის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ითვალისწინებს დამატებით ვერდიქტისა და აპელაციის გადაწყვეტილების თარგმნას. როგორც ჩანს, ამ ქვეყნებში არსებობს გარკვეული პრობლემები

488 იხილეთ მეორე თავი, მე-3 ნაწილი.

489 იხილეთ მეორე თავი, 7.4 ნაწილი

490 იხილეთ პირველი თავი, 4.3.2.



ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტებთან და თარჯიმნით მომსახურებისა და თარგმნის შესახებ ევროპის კავშირის დირექტივასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. დაცვის მომზადებისათვის ადეკვატური დროისა და საშუალებების უფლების გათვალისწინებით, რთულია იმის დანახვა, თუ როგორ შეიძლება სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველყოფა ბრალდებულის წინააღმდეგ საქმის მასალების გარკვეული ნაწილის თარგმნის გარეშე. მიუხედავად ამისა, ქვეყნების უმრავლესობაში კანონით თარგმნის მკაფიო მოთხოვნები არ არის დადგენილი.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოითხოვს, რომ თარგმანი იყოს უფასო, ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირს არ შეიძლება მოეთხოვოს თარგმნის ხარჯების გადახდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდა მსჯავრდება. ეს პირდაპირ არის გაცხადებული თარჯიმნით მომსახურებისა და თარგმნის შესახებ ევროპის კავშირის დირექტივაში. როგორც ჩანს, ბულგარეთში ეს მოთხოვნა დარღვეულია, ვინაიდან მსჯავრდებულ პირს შეიძლება მოეთხოვოს თარჯიმნით მომსახურებისა ან თარგმნის ხარჯების ანაზღაურება. მიუხედავად ამისა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ამ საკითხზე ბულგარეთის წინააღმდეგ გადანიშნულია აქვს გამოტანილი, ბულგარეთის კანონში კვლავაც არ არის მკაფიო სამართლებრივი დებულებები, ხოლო ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკა სადავო და წინააღმდეგობრივია.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალით მხოლოდ თარჯიმნის ან თარგმნის დანიშვნა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს დამატებითი პასუხისმგებლობისგან. როგორც სახელმწიფოებმა, ისე სასამართლო ორგანოებმა გარკვეული ვალდებულება უნდა აიღონ თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის ადეკვატურობასთან დაკავშირებით. თარჯიმნით მომსახურებისა და თარგმნის შესახებ ევროპის კავშირის დირექტივა უფრო შორს მიდის და სთხოვს სახელმწიფოებს გაატარონ კონკრეტული ზომები ხარისხის უზრუნველსაყოფად, შექმნან კვალიფიციური თარჯიმნების რეესტრი და დაადგინონ გასაჩივრების მექანიზმი არაადეკვატური ხარისხის თარგმნის შემთხვევაში. ლიტვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემულია დებულებები თარჯიმანთა კომპეტენციისა და დამოუკიდებლობის შესახებ, თუმცა არ მოპოვება ინფორმაცია, თუ როგორ მოქმედებს ეს რეგულაცია პრაქტიკაში. კვლევის არც ერთ ქვეყანას არა აქვს თარჯიმნების სერტიფიცირების ან ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა<sup>491</sup>. რეალურად საკმაოდ მწირი ინფორმაციაა თარგმნის ხარისხსა და მოთხოვნებზე, მომსახურების საფასურზე და ხარჯებზე, თარჯიმნით უზრუნველყოფის პრაქტიკაზე. გასათვალისწინებელია პრაქტიკული სირთულეები და ფართოდ გავრცელებული ენების კომპეტენტურ თარგმანთან დაკავშირებული ხარჯები. ქვეყნებმა დამატებითი ღონისძიებები უნდა გაატარონ ამ მიმართულებით ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციასთან და ევროპის კავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის დემონსტრირებისთვის.

## 6. დასკვნა

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დაცვაზე ხელმისაწვდომობა სამართლიანი სასამართლოს გარანტიებით სარგებლობის აუცილებელი წინაპირობაა და ევროპულ კონტექსტში ის განხილულ უნდა იქნას ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებების და პროცედურულ უფლებათა შესახებ ევროპის კავშირის სამართლის ანალიზის შედეგად დადგენილ სტანდარტებთან მიმართებაში. კონკრეტულ იურისდიქციაში ეჭვმიტანილ და ბრალდებულ პირთა ხელმისაწვდომობა ეფექტური სისხლის სამართლის დაცვაზე დამოკიდებულია კონსტიტუციური და სამართლებრივი უფლებების, რეგულაციების, ინსტიტუტების (და ინსტიტუციური

<sup>491</sup>მოდლოვაში იუსტიციის სამინისტრო არის უფლებამოსილი ავტორიზაციის და თარჯიმანთა ხარისხის უზრუნველყოფაზე, მაგრამ ეს ჯერ არ ფუნქციონირებს.

კულტურების), პროცედურების ურთიერთქმედებაზე და დაცვის განმახორციელებელი პროფესიონალების ორგანიზებულობაზე, კომპეტენციასა და პროფესიულ კულტურაზე.

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის და ევროპის კავშირის სტანდარტებთან შესაბამისობა აუცილებელი წინაპირობაა ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი: სისხლისსამართლებრივი დაცვის ყველა ასპექტი ეფექტურად, სათანადო სიცხადით და სტანდარტით უნდა იყოს გამყარებული.

ეჭვმიტანილთა ან ბრალდებულთა ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის განსაზღვრის ინსტიტუციური, პროცედურული და კულტურული მოთხოვნები ხშირად ძალზედ დეტალური ან განსხვავებულია იმისთვის, რომ ადეკვატურად დარეგულირდეს ზე-ეროვნული სტანდარტებით. ეს კარგად ჩანს კვლევაში განხილული ქვეყნების გამოცდილების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზიდან. ფართო გაგებით ხუთივე ქვეყნის კონსტიტუციები და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან (თუმცა არის გამონაკლისები). თუმცა, ნათელია, რომ მეტ-ნაკლებად ყველა იურისდიქციაში ეჭვმიტანილ და ბრალდებულ პირებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ ეფექტური დაცვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. სხვადასხვა მიზეზებს შორის შეიძლება გამოიყოს არასაკმარისი პოლიტიკური და ინსტიტუციური ვალდებულებები დაცვის უფლებასთან დაკავშირებით; რეგულაციების, რესურსებისა და აღსრულების მექანიზმების არაადეკვატურობა; იურიდიული პროფესიები, რომელთაც აკლიათ შესაბამისი რესურსები, ორგანიზებულობა და ე.წ „პროფესიული თავდაჯერებულობა“ საჭიროების შემთვევაში მაღალი სტანდარტის იურიდიული დახმარების გასანწევად.

საზგაასამელია ის პროგრესი, რომელიც ეფექტური დაცვის უფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით განხორციელდა. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებისა და პროცესების მნიშვნელოვანი რეფორმები ყველა იურისდიქციაში გატარდა, თუმცა, როგორც ჩანს, სამართლიანი სასამართლოს უფლებებთან მიმართებაში პროგრესი ხშირად გამოწვეული იყო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ან ევროპის კავშირის მიერ. ისიც ნათელია, რომ ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა უფლებები საზოგადოებაში ყოველთვის არ სარგებლობს პოპულარობით. არის არაერთგვაროვანი მოსაზრებებიც, რაც, სავარაუდოდ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინსტიტუტებისადმი ან პერსონალისადმი უნდობლობასა და ზოგიერთ იურისდიქციაში არსებული კორუფციის პრობლემებს უკავშირდება. ევროპის სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზზე დაყრდნობით, მე-5 თავში ჩვენ გამოვკვეთეთ რამდენიმე საერთო თემა, რომლებზეც სათანადო ყურადღების მიქცევისა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმით შესაძლებელია ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

## 7. ბიბლიოგრაფია

### **წიგნები და კვლევითი ანგარიშები**

კეიპი **et al. 2007**

კეიპი, ე., ჰოდგსონი, ჰ., პრაკკენი, ტ. და სპრონკენი, ტ., ეჭვმიტანილები ევროპაში, ანტვერპ: ინტერსენტია, 2007.

კეიპი **et al. 2010**

კეიპი, ე. ნამორადე, ზ., სმიტი, რ. და სპრონკენი, ტ., ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა ევროპაში, ანტვერპ: ინტერსენტია, 2010.

ო.ს.ი. 2001

ო.ს.ი., ევროპის კავშირში განწვერიანების პროცესის მონიტორინგი: სასამართლო დამოუკიდებლობა, ბუდაპეშტი: ღია საზოგადოების ინსტიტუტი, 2001.

## თავი 5

# ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

### 1. შესავალი

ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობა არის სამართლიანი სასამართლოს უფლების უმთავრესი კომპონენტი. ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვანი ასპექტია იურიდიული რჩევისა და დახმარების უფლება. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია კვალიფიციური იურიდიული რჩევისა და დახმარებისადმი ხელმისაწვდომობა, იმ მომენტიდან მაინც, როდესაც პირი, რომელიც ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, პირველად დაიკითხება პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ. იურიდიული დახმარების ეფექტური ხელმისაწვდომობა მოითხოვს შესაბამისი კანონების და სისტემების არსებობას, რათა უზრუნველყოფილი და დამონმებული იყოს, რომ ეჭვმიტანილმა და ბრალდებულმა პირებმა იციან და ესმით თავიანთი უფლება იყოლიონ ადვოკატი; შეუძლიათ გაცნობიერებული და გააზრებული არჩევანის გაკეთება ამ უფლების გამოყენებაზე; ეძლევათ შესაბამისი დახმარება ადვოკატთან დასაკავშირებლად და მათთვის ხელმისაწვდომია კვალიფიციური ადვოკატი, რომელიც გაუნევეს იურიდიულ დახმარებას, როდესაც და სადაც ეს საჭირო იქნება. თუმცა, ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობა გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე უბრალოდ ადვოკატზე ხელმისაწვდომობაა. კვალიფიციურ ადვოკატზე ხელმისაწვდომობა ვერ უზრუნველყოფს სამართლიან სასამართლოს, თუ სამართლიანი სასამართლოს სხვა უფლებები - ინფორმაციისა და მტკიცებულებებისადმი ხელმისაწვდომობა, უდანაშაულობის პრეზუმცია და დუმილის უფლება, საქმის განხილვამდე ან განხილვის პროცესში გათავისუფლება, ბრალდებასთან თანაბარ პირობებში ეფექტური მონაწილეობა, ადეკვატური დრო და საშუალებები, დასაბუთებული გადაწყვეტილებები და, სადაც აუცილებელია, თარჯიმნით მომსახურებისა და თარგმნის უფლება - არ არსებობს ან არაადეკვატურია.

რომელიმე კონკრეტულ იურისდიქციაში ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირების ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დაცვაზე ხელმისაწვდომობის შესაფასებლად სამ-ეტაპიანი ანალიზი უნდა გაკეთდეს: რამდენად არსებობს კონსტიტუციური და საკანონმდებლო სტრუქტურები, რომლებიც ადეკვატურად უზრუნველყოფენ სისხლისსამართლებრივი დაცვის უფლებებს; რამდენად არის შესაბამისი რეგულაციები, ინსტიტუტები, პროცედურები და სასამართლო კულტურა, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული უფლებების პრაქტიკულობას და ეფექტურობას; და რამდენად არსებობს კომპეტენტური იურიდიული პროფესია, რომელსაც აქვს სურვილი და შესაძლებლობა უზრუნველყოს იურიდიული კონსულტაცია და დახმარება მათთვის, ვისაც ეს ესაჭიროება, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც ასეთი დახმარების ანაზღაურება საკუთარი რესურსით არ შეუძლია. ევროპულ კონტექსტში, ასეთი შეფასების

გაკეთება მიზანშეწონილია განხორციელდეს იმ სტანდარტებზე მითითებით, რომლებიც გამტკიცებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით, როგორც ეს განმარტებულია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ, და ევროპის კავშირის ახლად წარმოჩენილ პროცედურულ უფლებებში.

მოცემულ კვლევაში, ზემოთ აღნიშნულ სტანდარტებზე მითითებით, გავაკეთეთ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის ანალიზი - აღმოსავლეთ ევროპის ხუთი ქვეყნის: ბულგარეთის, საქართველოს, ლიტვის, მოლდოვის და უკრაინის იურისდიქციაში. ჩვენი დასკვნით, ზოგადად, ხუთივე ქვეყნის კანონმდებლობა (გარკვეული გამონაკლისების გარდა) შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, ხუთივე იურისდიქცია გახლდათ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს უარყოფითი გადაწყვეტილებების ობიექტი (ზოგიერთი - უფრო მეტად) და ჩვენმა კვლევამ გამოავლინა რამდენიმე სერიოზული პრობლემა, რომლებიც ზოგადად სამართლიანი სასამართლოს უფლებების პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით არსებობს, განსაკუთრებით ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით.<sup>492</sup> მაშინ როდესაც ზოგიერთი ხარვეზი, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ უფასო იურიდიული დახმარების დაფინანსება, შესაძლოა გამოსწორდეს ფინანსური რესურსების მობილიზებით, მარეგულირებელი, პროცედურული და კულტურული ფაქტორებით განპირობებული ბევრი ხარვეზი, შეიძლება ეფექტურად მოგვარდეს მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე. მართლაც, სხვა ხარვეზების (მაგალითად: არამიზანშეწონილი ან გახანგრძლივებული დაკავებისთვის საჭირო თანხები) გათვალისწინებით, შესაბამისი ღონისძიების გატარებით შეიძლება არამარტო ხარვეზების თავიდან აცილება, არამედ თანხების დაზოგვაც კი, როგორც ამას ადგილი აქვს წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში.

მეორე ნაწილში ჩვენ განვსაზღვრავთ ყველა იურისდიქციისთვის საერთო რამდენიმე საკითხს, რომლებიც ზღუდავს ეფექტურ სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობას და აღნიშნულის გამოსასწორებლად წარმოვადგენთ შესაბამის ნინადადებებს. მე-3 ნაწილში, მოცემულია დასკვნები და გასანვი საქმიანობის რეკომენდაციები კვლევის ობიექტი ქვეყნებისათვის.

## 2. საერთო საკითხები

### 2.1. უფლებათა თავიდან აცილების მექანიზმები

კვლევის ყველა ქვეყანაში პოლიცია და პროკურატურა (შედარებით ნაკლებად) აწარმოებენ ისეთ პრაქტიკას, რომელიც ეჭვმიტანილებს ართმევს ზოგიერთ ან ყველა პროცედურულ უფლებას. ყველაზე ალსანიშნავია უკრაინის შემთხვევა, სადაც ფორმალური დაპატიმრების უმეტესობას წინ უძღვის არაფორმალური, უნებართვო დაკავება, რომელიც შეიძლება საათობით, ზოგჯერ დღეებიც კი გაგრძელდეს. ამის ალტერნატივად, საწყის ეტაპზე იყენებენ ადმინისტრაციულ პროცედურებს, მოგვიანებით კი ხდება საქმის სისხლის სამართლის პროცესში გადატანა. მსგავსი მიდგომები გარკვეულწილად გვხვდება სხვა ქვეყნებშიც - „პირველადი დაპატიმრება“ ბულგარეთში, გამოძიება ფორმალური გამოძიების პროცედურის გარეშე მოლდოვაში, დროებითი დაპატიმრების უფლებამოსილების უკანონოდ გამოყენება ლიტვაში. ასევე საერთო ტენდენციაა დე ფაქტო ეჭვმიტანილის განხილვა მონმედ, როგორც ეს ბულგარეთში, საქართველოსა და მოლდოვაში ხდება. ამ ქვეყანათა უმრავლესობაში, ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირებს, პროცედურულ უფლებებთან დაკავშირებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ და სრულად მაშინაც კი არ მიეწოდებათ, როდესაც ამას კანონი მოითხოვს. აგრეთვე არსებობს გარკვეული მტკიცებულება დაჩქარებული განხილვის და საპროცესო შეთანხმების პროცედურების ბოროტად გამოყენების შესახებ, რაც გამოიხატება ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირების დაშინებით და ზენოლით, რათა ისინი დათანხმდნენ ბრალზე და, შესაბამისად, მოხდეს მტკიცებულებების სასამართლოზე სრულად განხილვის თავიდან აცილება.

492 იხილეთ ზოგადად მე-8 თავი.



ასეთი პრაქტიკა ხშირად ღრმად არის გამჯდარი პოლიციისა და პროკურატურის კულტურაში და მიღებულია სასამართლოს მიერ, რაც ართულებს და ახანგრძლივებს პოზიტიური ცვლილებების გატარების პროცესს. თუმცა პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში გარკვეული შესწორებებით, კარგად დაგეგმილი სტრატეგიული სამართალწარმოებით, ცვლილების გატარება შესაძლებელია. კანონი უნდა ითვალისწინებდეს, რომ სისხლის სამართლებრივი გამოძიების კონტექსტში, პოლიციის ან სხვა საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ნებისმიერი ფორმის თავისუფლების აღკვეთა, ან მოქმედების თავისუფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვა, უნდა განაპირობებდეს ეჭვმიტანილის სრული პროცესუალური უფლებების ამოქმედებას. ამას მოითხოვს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი,<sup>493</sup> ეს მოთხოვნა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც პირს ამყოფებენ ადმინისტრაციულ პატიმრობაში,<sup>494</sup> და ეს ასახული უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში. მეტიც, კანონი უნდა ითხოვდეს, რომ სადაც არსებობს საკმარისი (ან გონივრული) საფუძველი იმისა, რომ პირი ეჭვმიტანილ იქნას დანაშაულის ჩადენაში, მოწმედ დაკითხვის დროს, პროცედურული უფლებების მიზნებიდან გამომდინარე, მას უნდა მოეპყრან როგორც ეჭვმიტანილს, მაშინაც კი, თუ ის არ არის დაკავებული. ამასვე ითხოვს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.<sup>495</sup> იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოცემული დებულებების ეფექტურობა, კანონმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მოწმისგან ან ეჭვმიტანილისგან იმ პირობებში მოპოვებული მტკიცებულება, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ მოთხოვნებს, გამორიცხული იქნება საქმის მასალებიდან. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ეჭვმიტანილისგან მოპოვებული მტკიცებულება იურიდიული დახმარების არარსებობის დროს არ უნდა იქნეს გამოყენებული მის წინააღმდეგ მტკიცებულებად<sup>496</sup>. გარდა ამისა, ევროპის კავშირის დირექტივა იურისტის ხელმისაწვდომობის შესახებ ითვალისწინებს, რომ მოწმის მიერ მანამდე გაკეთებული განცხადებები, სანამ მისთვის ცნობილი გახდებოდა, რომ იგი ეჭვმიტანილია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ (მე-10 მუხლი). საქმის მასალებიდან გამორიცხვა აუცილებელია იმ გავრცელებული ეჭვის გამო, რომელსაც აძლიერებს განხილული იურისტის დიქციების უმრავლესობაში განაჩენის არაადეკვატური დასაბუთების შემთხვევები და მოსამართლეთა მიერ ისეთი მასალების მხედველობაში მიღება, რომლებიც ფორმალურად დაუშვებელ მტკიცებულებებად ითვლება.

## 2.2. წინასწარი პატიმრობა

წინასწარი პატიმრობის გადაჭარბებული გამოყენება დამახასიათებელია მსოფლიოში ბევრი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისთვის, შესაბამისად, მიზანშეუწონლად არის დაკავებული მილიონობით ადამიანი და ეს პატიმრობა უმიზეზოდ ხანგრძლივი პერიოდი გრძელდება.<sup>497</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიდგომაა შეიზღუდოს პატიმრობის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის, იმ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირის თავისუფლების უფლების გათვალისწინებით, რომელიც გადანეცილებების მიღების პროცესში არ არის ცნობილი დამნაშავედ. კვლევაში განხილული ქვეყნების

493 მაგალითად, შოტლანდიაში უკვე ბევრი წელია, რაც დაკავებული ეჭვმიტანილის იურიდიული დახმარების უფლებაზე უარს ამბობდნენ, რადგან ის არ იყო განმარტებული კანონით როგორც დაპატიმრება. მაგრამ, 2010 წელს უზენაესმა სასამართლომ საქმეში *Cadder v. HMA* [2010] UKSC 43 ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადანეცილებებაზე *Salduz* საქმეში დაყრდნობით, გადანეციტა რომ ეს არ შეიძლება კვლავ გაგრძელებულიყო და კანონი შეიცვალა, რათა ეჭვმიტანილებს მისცემოდათ უფლება იურიდიულ დახმარებაზე მოცემულ შემთხვევებში.

494 იხილეთ ECtHR 18 თებერვალი 2010, *Zaichenko v. Russia*, No. 39660/02; და ECtHR 21 აპრილი 2011, *Nechiporuk and Yonkalo v. Ukraine*, No. 42310/04, და იხილეთ ზოგადად მეორე თავი, 5.3. ნაწილი.

495 ECtHR 14 ოქტომბერი 2010, *Brusco v. France*, No. 1466/07.

496 ECtHR, დიდი პალატა, 27 ნოემბერი 2008, *Salduz v. Turkey*, No. 36391/02.

497 იხილეთ OSJI 2008, OSF 2012, და ღია საზოგადოების მართლმსაჯულების ინიციატივის გამოცემათა სერია, რომელიც ხელმისაწვდომია აქ <http://www.soros.org/initiatives/justice/focus/pretrial-justice>.

კანონი ძირითადად შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, თუმცა ის ფაქტი, რომ ოთხი მათგანი იყო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს უარყოფითი გადაწყვეტილების ობიექტი, მეტყველებს კანონის პრაქტიკულ გამოყენებაში არსებულ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.<sup>498</sup> შესაბამისობის ძირითადი ფორმები მოიცავს: ბრალდებულისათვის შესაბამის მასალებზე ხელმისაწვდომობის არარსებობას; პატიმრობის შეფარდების დროს ისეთი კრიტერიუმების გამოყენებას, რომლებიც არაღებულებიერია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით; საქმის კონკრეტული ფაქტების მხედველობაში არმიღებას (გადაწყვეტილებების მიღებისას „შაბლონური“ მიდგომა); ადეკვატური დასაბუთების არარსებობას და პატიმრობის ალტერნატივების განუხილველობას.<sup>499</sup>

ამ სფეროში ცვლილებების მისაღწევად არ არის აუცილებელი მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეფორმა, თუმცა მოლდოვაში და უკრაინაში საკანონმდებლო ცვლილებები აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბრალდებულის მკაფიო უფლება სასამართლო განხილვამდე ხელი მიუწვდებოდეს მასალებზე, რომლებზეც დაფუძნებულია დაპატიმრების შუამდგომლობა. თუმცა, წინასწარ პატიმრობასთან მიმართებით, ძირითადი ცვლილებები დამოკიდებული იქნება პროფესიული კულტურისა და პრაქტიკის ცვლილებებზე. ეს მოითხოვს მოსამართლეებისგან: სერიოზულად მოეციონ მოთხოვნას, რომ დაპატიმრების ბრძანება გაიცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ალტერნატიული ღონისძიებები არ არის საკმარისი შესაბამისი მიზნების მისაღწევად; გადაწყვეტილება მიიღონ საქმის ფაქტების საფუძველზე (და მხოლოდ შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით) და წარმოადგინონ გადაწყვეტილების ადეკვატური დასაბუთება. თუმცა, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა აგრეთვე მოითხოვს ცვლილებებს საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურორების საქმიანობასა და მიდგომებში. მაგალითად საქართველოსა და უკრაინაში პროკურორის მიერ დაყენებული პატიმრობის შუამდგომლობების უმრავლესობა კმაყოფილდება. თუმცა, საერთაშორისო დონესთან შედარებით, ეს მაჩვენებელი უჩვეულო არ არის. მაგალითად, კვლევა აჩვენებს რომ, ინგლისში და უელსში, პროკურორის წინასწარ პატიმრობაზე წარდგენილი შუამდგომლობების დაახლოებით მნ პროცენტი კმაყოფილდება. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულების მხოლოდ სამი პროცენტი რჩება წინასწარ პატიმრობაში. ციფრებში ესეთი სხვაობის მიზეზი ისაა, რომ პროკურორები საქმეების მხოლოდ მცირე ნაწილში (15 პროცენტზე ნაკლები), ითხოვენ წინასწარ პატიმრობას.<sup>500</sup> შესაბამისად, მართალია მოსამართლეთა მიდგომებისა და პრაქტიკის შეცვლა მნიშვნელოვანია, თუმცა, როგორც ჩანს, წინასწარი პატიმრობის გამოყენების კუთხით უმნიშვნელოვანესია პროკურორებისა და გამომძიებლების მხრიდან მიდგომის შეცვლა. ეს კი ინსტიტუციური ნახალისებისა და ტრენინგების საჭიროებაზე მიუთითებს.

### 2.3. ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობა და მტკიცებულებათა განხილვა

აქ ერთობლივად განიხილება რამდენიმე საკითხი, რომლებიც ეხება დაცვის მიერ ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის შესახებ მასალებისადმი ხელმისაწვდომობას და მტკიცებულების სასამართლო განხილვას, რომელიც ხელს უშლის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობას ხუთივე იურისდიქციაში. საგამოძიებო ორგანოებს და პროკურორებს აქვთ ვირტუალური მონოპოლია მტკიცებულებების შეგროვებაზე, როგორც ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სასარგებლოდ, ისე მათ სანინააღმდეგოდ; ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებს ან სრულიად არა აქვთ მოცემული მასალების მოპოვების საშუალება ან ამის მხოლოდ მცირე შანსი გააჩნიათ. პრაქტიკაში, ეჭვმიტანილ და ბრალდებულ

498 ყურადღება მიაქციეთ გადაწყვეტილებებს ბულგარეთის წინააღმდეგ, რომლებიც მიღებულია უკანასკნელი რეფორმების რაუნდამდე. იხილეთ მე-3 თავი, 3.3.1. ნაწილი ზემოთ.

499 საფუძვლიანი ეჭვის მოთხოვნების გარდა თავისუფლების აღკვეთა უნდა დასაბუთდეს საფუძვლიან მოლოდინზე მითითებით, რომ პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს ან გაიქცევა ან ჩაურევს გამოძიებაში ან პროცესში. სასამართლო ორგანოებმა უნდა განიხილონ, რამდენად შეიძლება მოცემული მოლოდინი დარეგულირდეს არასაპატიმრო ღონისძიებებით. იხილეთ მე-3 თავი, 6.2. ნაწილი.

500 ჰანკელსი 1997.

პირებს არ შეუძლიათ მოითხოვონ მონმეების დაკითხვა, გარკვეული მოკვლევის ჩატარება და არ არსებობს მესამე მხარისგან სასამართლოსთვის მასალების აუცილებელი წარდგენის ეფექტური სისტემა. გარკვეულწილად ხუთივე ქვეყანაში საგამოძიებო ორგანოები და პროკურორები მტკიცებულებების მოსაპოვებლად იყენებენ უკანონო საშუალებებს, განსაკუთრებით ეჭვმიტანილებისგან და ქვეყნების უმეტესობას არა აქვთ ეფექტური მექანიზმები მოცემული მტკიცებულებების საქმის მასალებიდან გამოსარიცხად, ან/და იმის თავიდან ასაცილებლად, რომ არ მოხდეს მათი გათვალისწინება ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის დადგენის დროს. ზოგადად, ბრალდებული პირის უფლება დაურთოს საქმეს მასალა და მოინვიოს მონმეები არ არის აბსოლუტური, ხოლო მონმეთა მონვევაზე სასამართლო ნებართვის მიღება დამოკიდებულია საჭიროებისა და შესაბამისობის დემონსტრირებაზე, რაც პრაქტიკაში ხშირად რთული მისაღწევია.

ჩამოთვლილი პრობლემები არ არის უცხო კვლევის ქვეყნებისთვის და ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ინკვიზიციური ტრადიციის მქონე იურისდიქციებში.<sup>501</sup> თუმცა, ძირითადად, ეს პრობლემები ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ყურადღების მიღმა რჩება, რადგან მტკიცებულება, ზოგადად, განიხილება როგორც საკითხი, რომელიც ექცევა ეროვნული მთავრობების შეფასების თავისუფლების ფარგლებში. ამავე დროს, შესაბამისი ქვეყნების მიმხილვიდან ნათელია, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მოთხოვნები შეჯიბრობითობაზე პრაქტიკაში შეზღუდულია საქმის მასალებზე (რომლებიც შეიძლება მას დაეხმაროს როგორც წინასწარი გამოძიების ისე სასამართლო ეტაპზე) ბრალდებულის ხელმისაწვდომობის შეზღუდვით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოს მიერ უკანონოდ მოპოვებული მასალების მხედველობაში მიღება და მასალების სრულყოფილი შესწავლა.

გარკვეულწილად ეს არის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის კიდევ ერთი ასპექტი, სადაც გამოძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეების კულტურული შეხედულებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ბევრ იურისდიქციაში პოლიციისა და პროკურორების მიდგომა ითვალისწინებს დამცველის მასალებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას და ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირების გამოძიებაზე გავლენის მოხდენის მცდელობის თავიდან აცილებას. რამდენიმე ქვეყანაში მოსამართლეები სხვადასხვაგვარად უჭერენ მხარს ან პრიორიტეტს ანიჭებენ პროკურორის მტკიცებულებას და არგუმენტებს. ამ მიდგომებისა და ჩვევების შესაცვლელად აუცილებელია შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება, რათა ეჭვმიტანილი და ბრალდებულმა პირებმა შეძლონ საკუთარი თავია ეფექტურად დაცვა. თუმცა, ასევე აუცილებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების რეფორმა, რათა გაძლიერდეს ეჭვმიტანილებისა და ბრალდებული პირების მონაწილეობა და გავლენა გამოძიების პროცესში, მიეცეთ მათ შესაბამისი მასალების მოპოვების საშუალება და შეიზღუდოს ბრალდების მხარის უკანონოდ მოპოვებული მასალების სასამართლოების მიერ გამოყენების საშუალება, რითაც სასამართლო, ფაქტობრივად, სანქცირებულს ხდის პოლიციის და პროკურორების უკანონო ქმედებას.

## 2.4. პროფესიული კულტურა და პრაქტიკა

როგორც ზემოთ, 2.2. ნაწილში წინასწარ პატიმრობაზე მსჯელობამ აჩვენა, პოლიციის (და სხვა გამოძიებლების), პროკურორების და მოსამართლეთა პროფესიული კულტურა მნიშვნელოვანია ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. როგორც ჩვენ ვამტკიცებდით, სამართლიანი სასამართლოს უფლებები დაფუძნებულია შესაფერის კანონებზე, სტრუქტურებსა და პროცედურებზე, მაგრამ ისინი აგრეთვე, მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება სისხლის სამართლის

<sup>501</sup> ხუთი ქვეყნიდან საქართველომ განახორციელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმა რამდენიმე პრობლემის გადასაწყვეტად, თუმცა რეფორმების იმპლემენტაცია პრაქტიკაში განსხვავებულია. ჩვენ არ ვაცხადებთ რომ მოცემული საკითხი არ არის პრობლემა შეჯიბრებით სისტემაში. ასე მაგალითად, იხილეთ მოსაზრება ინგლისსა და უელსზე კეიპი 2010, განსაკუთრებით გვერდი 143.

მართლმსაჯულების პერსონალით. როგორც ეს უკრაინის შემთხვევაში დაფიქსირდა, გამამართლებელი განაჩენები განიხილება როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წარუმატებლობა. შესაბამისად, აქცენტი კეთდება არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების მსჯავრდებაზე. ეს მიდგომა არა მხოლოდ მოსამართლეებსა და პროკურორებს აქვთ, არამედ გამჯდარია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში, მაგალითად, გამამართლებელ განაჩენებს შეიძლება უარყოფითი შედეგები ქონდეთ გამოძიებლებისათვის და პროკურორებისათვის. ბულგარეთში მოსამართლეები მტკიცებულების გასამყარებლად ან ბრალდებაში ცვლილებების შესატანად, საქმეს უკან გამოძიებაში აბრუნებდნენ, მაგრამ ეს პრაქტიკა შეიცვალა იურიდიული რეფორმებისა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების შედეგად.

კვლევაში განხილულ ყველა ქვეყანაში სხვა მაგალითებიც არსებობს იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად კრიტიკულია პროფესიული კულტურის გავლენა ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დაცვის ხელმისაწვდომობაზე და ამ თვალსაზრისით აღნიშნული ქვეყნების იურისდიქციები განსაკუთრებული არაა.<sup>502</sup> თუმცა, კვლევის ხუთივე ქვეყანას მოუხდა საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობასთან გამკლავება, რომლის დროსაც გამოძიებლები და პროკურორები და, გარკვეული ფორმით, ზოგიერთი მოსამართლეც სახელმწიფოს ერთგულნი იყვნენ. შესაბამისად, განსხვავებულია ლიბერალური დემოკრატიის კონცეფციებისადმი ამ ქვეყნების პროგრესის ხარისხი. მაშინ როდესაც კანონის უზენაესობის, სამართლიანი პროცესის და დამოუკიდებელი სასამართლოს შესახებ ევროპული სტანდარტების დამკვიდრების კუთხით ძირითადი პასუხისმგებლობა შესაბამის ინსტიტუტებს ეკისრებათ, მთავრობებსაც აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა პროცესებსა და მიდგომებზე. მაგალითად, მანამ სანამ გამამართლებელი განაჩენი განიხილება როგორც „წარუმატებლობა“, რაც გამყარებულია პირადი და ინსტიტუციური მოსაზრებებით და კარიერული შეხედულებებით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პერსონალი, მაღალი ალბათობით, უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს ამ იმპერატივებს, ვიდრე სამართლიანი სასამართლოსა და მართლმსაჯულების პრინციპებს.

ექვმიტანილი და ბრალდებული პირების ადვოკატების პროფესიული კულტურა ასევე მნიშვნელოვანია ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისთვის. შეუფერებელი იურიდიული პროფესიული კულტურის ყველაზე ნათელი მაგალითია „ჯიბის ადვოკატის“ ფენომენი. თუმცა კვლევის პროცესში ვერ ვიპოვეთ პროფესიული ორგანიზაციის მიერ „ჯიბის ადვოკატის“ დისციპლინური დასჯის მაგალითი.

## 2.5. იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება

ECDE კვლევაში იურიდიული დახმარება განმარტებულ იქნა როგორც “ევროპის კავშირის ბევრი ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემის აქტილევსის ქუსლი”,<sup>503</sup> და ეს განმარტება ესადაგება კვლევაში განხილული ხუთივე ქვეყნის იურიდიული დახმარების სისტემას. ზოგადად, კვლევის ქვეყნებში იურიდიული დახმარებისთვის გამოყოფილი ხარჯები მინიმალურია, ანაზღაურება არაადეკვატური, უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის მექანიზმები (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) ზოგადად ნაკლოვანია და იურიდიული დახმარების საქმიანობა განიხილება, როგორც დაბალი სტატუსის მქონე.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტები იურიდიული დახმარების უფლების შესახებ ნათელია, ჩვენ ვნახეთ, რომ იგივე არ მეორდება იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების სტანდარტებთან მიმართებით. ექვმიტანილი და ბრალდებული პირებისათვის თანმიმდევრული, კვალიფიციური და ეფექტური იურიდიული კონსულტაციის უზრუნველყოფა,

502 იხილეთ ვესტმარლანდ 2008.

503 კეიპი 2010, გვერდი 41.



განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც შეზღუდული ფინანსური რესურსები აქვთ, მოითხოვს ისეთ კანონებს, ინსტიტუტებს, პროცედურებს და რესურსებს, რომლებიც უზრუნველყოფს შემდეგს:

- ეჭვმიტანილ და ბრალდებულ პირებს აქვთ იურიდიული კონსულტაციისა და უფასო იურიდიული დახმარების უფლება და, სადაც ეს აუცილებელია, მიეცემათ ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა, არაუგვიანეს იმ მომენტისა, როდესაც მათი მოქმედების თავისუფლება არსებითად შეიზღუდება;
- ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირები ინფორმირებულნი არიან (და სადაც საჭიროა - შეხსენებულნი), რომ მათ აქვთ აღნიშნული უფლება, რომ ისინი აცნობიერებენ ამ უფლების მნიშვნელობას, რომ მათ იციან როგორ (ან დახმარებით) გამოიყენონ ეს უფლება და რომ არსებობს გადამონმების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პირების ინფორმირებულობას, მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებას და გადაწყვეტილების აღსასრულებლად განხორციელებულ ქმედებას;
- ეროვნულ დონეზე შეთანხმებული და გამჭვირვალე კრიტერიუმების შესაბამისად არსებობს სწრაფი და ეფექტური პროცედურები იმის დასადგენად, თუ რამდენად ექვემდებარება ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირი უფასო იურიდიულ დახმარებას;
- არსებობს სწრაფი და ეფექტური პროცედურები შესაბამისი ადვოკატისთვის შეტყობინების მისაწოდებლად, რომ მოთხოვნილია იურიდიული დახმარება და რომ (მკაცრად განსაზღვრული გადაუდებელი აუცილებლობის არარსებობის შემთხვევაში) აკრძალულია ეჭვმიტანილისა ან ბრალდებულის საგამოძიებო ან სხვა პროცედურებში მონაწილეობა, სანამ ისინი არ მიიღებენ იურიდიულ დახმარებას;
- ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირს, რომელსაც იურიდიული დახმარება სურს, უფლება აქვს მისი ადვოკატი ესწრებოდეს იმ პროცედურებს, რომლებშიც ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მონაწილეობს (გარდა მკაცრად განსაზღვრული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევისა);
- ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს დაუგეგმავი გაჭიანურების გარეშე ხვდება კვალიფიციური ადვოკატი და იგი უზრუნველყოფილია შესაბამისი საშუალებებით და ინფორმაციით, შეუძლია პირადად ესაუბროს პირს იმდენ ხანს, რამდენიც აუცილებელია, უწევს მას კონსულტაციასა და დახმარებას;
- შექმნილია ხარისხის კონტროლისა და მხარეთა თანასწორობის მექანიზმები, რაც ხელს უწყობს სისხლის სამართლის ადვოკატების აქტიურ ადვოკატირებას მათი კლიენტების ინტერესებიდან გამომდინარე, მათი კვალიფიკაციის უწყვეტ ზრდას; სისხლის სამართლის სისტემის სხვა სუბიექტების მიერ სისხლის სამართლის ადვოკატების საქმიანობის პატივისცემასა და მათთვის ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფას.

კვლევის ზოგიერთმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ამ მოთხოვნების ნაწილის დაკმაყოფილების კუთხით, მაგრამ ის ფაქტი, რომ ყველა იურისდიქციაში, საგამოძიებო ეტაპზე ეჭვმიტანილების ძალიან მცირე რაოდენობა იღებს იურიდიულ დახმარებას, მიუთითებს რომ ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია გასაკეთებელი. პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მთავრობას და იურიდიული დახმარების სუბიექტებს (სადაც ასეთი არსებობს) ეკისრება. პოლიციის მიერ ადვოკატის ჩართვაზე თავის არიდება - განსაკუთრებით საგამოძიებო ეტაპზე, რაც ბევრ იურისდიქციაში შეინიშნება, უნდა აღიკვეთოს მკაფიო კანონებით, მუშა პროცედურებით, გადამონმების მეთოდებით და პასუხისმგებლობის ეფექტური მექანიზმებით.



# დასკვნა და რეკომენდაციები საქართველოსთვის

## ძირითადი საკითხები

2003-2011 წლებში საქართველოში განხორციელებულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმას შედეგად მოჰყვა დანაშაულისა და კორუფციის მკვეთრი შემცირება და საზოგადოების ნდობის ამაღლება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. თუმცა რეფორმას ჰქონდა ნეგატიური შედეგი ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

2006 წელს დაწყებული მკაცრი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკისა და მცირე მნიშვნელობის დანაშაულების მიმართ გაძლიერებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ შედეგად, სამჯერ გაიზარდა პატიმრების საერთო რაოდენობა და 2011 წლის მდგომარეობით საქართველო ევროპაში პირველ ადგილზეა 100 000 მოსახლეზე პატიმართა ოდენობის მიხედვით. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკა უფრო დამსჯელობითი ხასიათის გახდა, რაც დასტურდება ძალიან მცირე რაოდენობის გამამართლებელი განაჩენებით და უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ოფიციალური სტატისტიკით.

როგორც უკვე აღინიშნა, მკაცრი ღონისძიებებისა და პოლიტიკის შედეგად შემცირდა დანაშაულის რაოდენობა, რასაც ხელი შეუწყო სამართალდამცავი სტრუქტურების უფრო ეფექტურმა მუშაობამ, პოლიციის მიმართ საზოგადოების გაზრდილმა ნდობამ და დანაშაულის დროული შეტყობინების გაუმჯობესებამ. 2006 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაარეგისტრირა 62,283 დანაშაული, 2010 წლისთვის ეს ციფრი დაეცა 34,739-მდე (2007 წელს იყო – 54,746; 2008 წ – 44,644; 2009 წ – 35,949).<sup>504</sup> გორბის, იუსტიციის სამინისტროსა და ევროპის კავშირის მიერ ერთობლივად ჩატარებული უკანასკნელი კვლევის მიხედვით,<sup>505</sup> მოსახლეობის 98 პროცენტი თავს დაცულად გრძნობს დღის ნებისმიერ დროს და 96 - პროცენტი ღამის განმავლობაში. გამოკითხულთა დაახლოებით 87 პროცენტი აფასებს პოლიციის მუშაობას როგორც ეფექტურს და ხაზს უსვამს პოლიციის მიმართ ნდობის ამაღლებას.

ამავე დროს, ამ პოზიტიურ ასპექტებთან ერთად, ისეთი ფაქტორები, როგორცაა სამართალდამცავი ორგანოების გავლენის ამაღლება და საგარეუდო კონტროლი მართლმსაჯულებაზე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, მნიშვნელოვნად აუფასურებს სისხლის სამართლის დამცველის როლს სისხლის სამართლის პროცესში. ადვოკატების როლი ხშირად ნომინალურია და ბევრი მათგანი აღნიშნავს, რომ ვერ ახერხებენ მათი კლიენტების ინტერესების ეფექტურად დაცვას.

დაცვის უფლების ეფექტურ სარგებლობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის ბრალდებულის დაკავების ადრეულ ეტაპზე ადვოკატის ჩართვის ადეკვატური სისტემის არარსებობა, განსაკუთრებით უფასო იურიდიული დახმარების საქმეებში. ამ პერიოდში ბრალდებული ყველაზე მონყვლად მდგომარეობაშია, და ეს ხშირად გამოიყენება ხელისუფლების ორგანოების მიერ დაკითხვის/გასაუბრების ჩასატარებლად, იმის გასაცხადებლად, რომ ბრალდებული არ ითხოვს ადვოკატის დახმარებას, მისგან გარკვეული პირობებით საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობის მოსაპოვებლად და ა.შ.

ვალდებულება, დაკავებულ პირს მიენოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ ხშირად არ სრულდება შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან. ზოგადად, ხელისუფლების ორგანოები ცდილობენ გამოიყენონ მოულოდნელი დაპატიმრებისგან შექმნილი უპირატესობა და მოიპოვონ რაც შეიძლება მეტი მტკიცებულებები/ჩვენება დაპატიმრებული პირისგან, მისთვის მისი უფლებების შეტყობინების გარეშე.

504 [http://www.police.ge/uploads/statistika/shss\\_statistika/BIULETENI.saqartvelo.ianvari.14.02.10.pdf](http://www.police.ge/uploads/statistika/shss_statistika/BIULETENI.saqartvelo.ianvari.14.02.10.pdf).

505 [http://www.justice.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=130](http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=130).

„თავისუფლების სასარგებლოდ“ პრეზუმციის ეფექტური იმპლემენტაცია საქართველოში არ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ნათლად მოითხოვს წინასწარი პატიმრობის შეფარდებას როგორც უკანასკნელ საშუალებას, როდესაც პროკურორი ითხოვს წინასწარი პატიმრობის გამოყენებას, სასამართლოები აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნას თითქმის ყველა საქმეში, მათი შუალედური და საბოლოო გადაწყვეტილების დასაბუთების გარეშე.

მხარეთა თანასწორობა არ არის სრულად გარანტირებული მტკიცებულებების მოპოვების პროცესში. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ ადვოკატებს შეუძლიათ მოიპოვონ ბრალდების ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოში მათ წინააღმდეგ. თუმცა, დაცვას არ შეუძლია მოითხოვოს მტკიცებულება (მესამე მხარის მფლობელობაში მყოფი), რომელიც შეიძლება მოპოვებულ იქნეს ჩხრეკის შედეგად - იმ შემთხვევაშიც კი თუ მას შეუძლია დაეხმაროს ან გაამართლოს ბრალდებული. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდება ვალდებულია გააცნოს დაცვას ყველა ის მტკიცებულება რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ, არ არსებობს ბრალდების მხრიდან ვალდებულება, რომ გააცნოს დაცვას მტკიცებულება, რომელიც მის მფლობელობაშია, მაგრამ არ აპირებს მისი ბრალდებულის საწინააღმდეგოდ წარდგენას, თუმცა აღნიშნულს პოტენციურად შეუძლია დაეხმაროს დაცვას. ხშირად, როდესაც ბრალდების მხარე ფლობს მტკიცებულებას, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს დაცვის პოზიცია, ის ამტკიცებს, რომ არ გამოიყენებს მას დაცვის წინააღმდეგ და შესაბამისად არ დგება მისი გასაჯაროების ვალდებულება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს მხარეთა თანასწორობაზე ბრალდებასა და დაცვას შორის, არის დროებითი წესი შეცვლილ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს ბრალდებას, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე გამოიძახოს მონმე და დააკისროს ჩვენების მიცემის ვალდებულება. მონმეები რჩებიან სისხლისსამართლებრივად ვალდებულნი 2012 წლის 1 ოქტომბრამდე. ამის საპირისპიროდ დაცვას არა აქვს რაიმე მსგავსი საშუალება და არ ძალუძს, რომ რაიმე სახით დააკისროს ვალდებულება მონმეს მისცეს მას ჩვენება/მტკიცებულება და დაეხმაროს დაცვის პოზიციას.

დაცვის პოზიციის არათანაბარი მდგომარეობა პროკურორთან შედარებით დასტურდება იმითაც, რომ ხშირად მოსამართლეები ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყოფენ დაცვის ადვოკატების შუამდგომლობებსა და მტკიცებულებებს. გარდა ამისა, მოსამართლეები თავიანთ გადაწყვეტილებებში არ აღნიშნავენ და ანალიზს არ უკეთებენ დაცვის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, რაც ბრალდებისა და გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობასთან ერთად უარყოფითად გავლენას ახდენს დაცვის უფლების ეფექტურ განხორციელებაზე.

საქართველოში სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობა საპროცესო შეთახმებით წყდება. აქ მოსამართლეს მხოლოდ ფორმალური როლი აქვს, პროკურორს წამყვანი, ხოლო დაცვის ადვოკატს ნომინალური. ეს ყოველივე კი ნეგატიური გავლენას ახდენს ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვის არსზე.

## რეკომენდაციები

1. დაფუძნდეს ეფექტური სისტემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადვოკატები ჩართულები იყვნენ პოლიციის მიერ ბრალდებულის დაკავების ადრეულ ეტაპებზე, კერძოდ უფასო იურიდიული დახმარების საქმეებში და ადვოკატებს მიეცეთ დაკავებაში მყოფ კლიენტებთან ურთიერთობის საშუალება.
2. შეიქმნას ეფექტური მექანიზმი იმის უზრუნველსაყოფად და გადასამონმებლად, რომ ბრალდებულები ინფორმირებულნი არიან მათი უფლებების შესახებ პოლიციაში დაკავებისთანავე.
3. სასამართლო ორგანოებს მოეთხოვოთ, დაასაბუთონ მათი გადაწყვეტილებები, თუ რატომ არ არის შესაძლებელი გამოყენებულ იქნას ალტერნატიული აღმკვეთი ღონისძიებები და რატომ არის აუცილებელი წინასწარი პატიმრობის გამოყენება, იმისათვის რომ ბრალდებული არ მიიმალოს, ჩაერიოს მართლმსაჯულების შესაბამის განხორციელებაში, ჩაიდინოს ახალი დანაშაული, ან საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ წესრიგს.
4. სამართალდამცავ ორგანოებს უნდა დაეკისროთ ვალდებულება შეწყვიტონ საგამოძიებო მასალების, ვიდეო ჩანაწერის, დაკითხვის ჩანაწერების, სატელეფონო მიყურადების მასალების ან ბრალის აღიარების ჩანაწერის ტელეკომპანიებისათვის გადაცემა. ტელეკომპანიებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ დაიცვან უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპი.
5. იმისათვის რომ გარანტირებულ იქნეს მხარეთა სრული თანასწორობა (პროკურორსა და დაცვას შორის), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ნათლად უნდა გაითვალისწინოს დაცვის უფლება - სასამართლოს ბრძანების საფუძველზე მოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს ან მესამე პირის მფლობელობაშია; ადეკვატური დაფინანსება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საქმეთა გამოძიებისთვის უფასო იურიდიული დახმარების ადვოკატების მიერ.
6. უნდა გაიზარდოს სასამართლო ორგანოების როლი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს, რათა არსებობდეს ბალანსი მხარეთა ინტერესებს შორის. მოსამართლეებს უნდა მიეცეთ შესაბამისი უფლებამოსილება განიხილონ საპროცესო შეთანხმების დეტალები, შეაფასონ მისი გონივრულობა და, სადაც აუცილებელია, მოახდინონ მისი მოდიფიცირება.
7. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ სასამართლო ხელისუფლების ორგანოები მხედველობაში იღებდნენ დაცვის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და ახდენდნენ ამ მტკიცებულებების შესაბამის და სათანადო ანალიზს. ასევე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და წარმოდგენილი იყოს ადეკვატური არგუმენტაცია აღნიშნულ გადაწყვეტილებებზე.

## ბიბლიოგრაფია

### წიგნები და კვლევითი ანგარიშები

ჰოდსონი 2005

ჰოდსონი, ჯ., ფრანგული სისხლის სამართლის მართმსაჯულება, ოქსფორდი: ჰარტი, 2005

ჯული და ვადე 2006

ჯული, ჯ და ნადე, მ. გადატვირთული სისხლის სამართლის მართმსაჯულების სისტემის მიხედვა: საპროკურელო უფლებამოსილების გაზრდა ევროპაში, ბერლინი: სპრინგერ, 2006.

ნელკენი 2010

ნელკენ, დ., შედარებითი სისხლის სამართლის მართმსაჯულება, ლონდი:საგე 2010

ოსფ 2012

ღია საზოგადების ფონდები, წინასასამართლო მართმსაჯულების გაუმჯობესება: ადვოკატების და პარალელელების როლი, ნიუ იუორკი: ღია საზოგადოების ფონდები, 2012.

ოსჯი 2008

ოსჯი, წინასწარი პატიმრობა, ნიუ ორკი: ღია საზოგადოების მართმსაჯულების ინიციატივა, 2008

ვანდერ ბეკენ კლინჩლინგი 2000

ვანდერ ბეკენ, ტ. და კლინჩლინგი, მ. საჯარო პროკურორის როლი ევროპის სისხლის სამართლის მართმსაჯულების სისტემები, ბრუსელი: KVAB, 2000

ვესტმარლან 2008

ვესტმარლანდ, ლ., „პოლიციური კულტურები“, ნეუბორნში, ტ, პოლიციის სახელმძღვანელო, კოლომბტონ: ვილან, 2008

სტატიები ჟურნალებში

ფიელდი 2006

ფიელდი, ს., „სახელმწიფო, მოქალაქე და ხასიათი ფრანგულ სისხლის სამართლის პროცესში“ (2006) 33

სამართალი და საზოგადოების ჟურნალი 4, გვერდები 552-546

ჰოდგსონი 2001

ჰოდგსონი, ჯ., პოლიცია, პროკურორი, და საგამოძიებო მოსამართლე (2001) 41 ბრიტანული ჟურნალი კრიმინოლოგიაში 342

ჰუკლესბი 1997

ჰუკლესბი, ა., „გადანწყვეტილების მიმღებნი“ (1997) სისხლის სამართლის მიმოხილვა, 269

მონტანა 2012

მონტანა, რ., „შეჯიბრებითობა იტალიაში: იურიდიული კულტურის კონცეფციის გამოყენება რათა აიხსნას იურიდიული მოდიფიკაციებზე წინააღმდეგობა და მისი შედეგები“, (2012) ევროპის ჟურნალი დანაშაული, სისხლის სამართლის კანონი და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება 20, 99





